ISSN 0132-8023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნა

7

1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

348

გამოცემის ოცდამეცხრე წელი

7

ივლისი

1986

თბილისი

სსრ. კა ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გიორგი ალხაზიშვილი
თედო გელეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გიორგი გეგეჭკორი
თემურ გიორგაძე
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დღიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ზოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ციცაკე
გოგი ფარეთელი
ტარიელ ჭანტურია
გაღრი ჭოსრონელიძე
მაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია და პროზა

3. დოდო ბუმბურაძე — ლექსები
7. გურამ გეგეშიძე — დიდება (ისტორიული მოთხრობა)
44. მამუკა ფიქლაური — ლექსები
48. ეთერ თათარაიძე — ლექსები
50. ანა მხეიძე — პარასკევი, შაბათი და „გამოტოვებული“. მოთხრობა
65. ბესიკ ხარანაული — მოცალეობის ჟამი. პოემა
74. ლია არჩვაძე — ლექსები
75. თამაზ ჯიბღაშვილი — გვირილების ველზე დამარხული სიზმარი. მოთხრობა
89. ლადო სულაბერიძე — ლექსები
91. მირიან მირხელი — ლექსები
92. ლევან სანიკიძე — გიორგი ათონელი. რომანი. გაგრძელება
122. მრეგოლ რუხაია — ლექსები
128. ომირა მამედოვი — ლექსები
124. ანზორ დავითაია — ლექსები
125. გიორგი დანელია — ლექსები

მოგონებები

126. მურმან ჯაგუტარია — „ხაზარულას“ გარშემო, ანუ რამდენიმე სალამო ნოდარ დუმბაძესთან

წერილები

150. ნაზი ხელაია — იოსებ ნონეშვილის ლირიკა
155. ანდრო გუაჩიძე — „მარინე“

რეცენზია

158. გიგა ლიპარტელიანი — გულის თვალებით ნანახი

Республіканська бібліотека
УРСР імені КПРС

დოდო ჭუმბურიძე

●

„შენ ხარ ვენახი...“

ჩვენ დავიბადეთ იქნებ ვაზიდან
მაშინ, როდესაც ტიროდა ვაზი,
მასში გრძნობები ჩვენი აზვირთდა,
ვაზში ჩაიდო სიცოცხლის აზრი.
ჩვენ დავიბადეთ იქნებ ვაზიდან...

ხან ყურძნის წვენის სიმჟავით
გვგუდავს,
ხან გვეფინება სიტკბოდ ბადაგის
და მუდამ მთვრალებს სიცოცხლით,
მუდამ
მისი სიმღერა თავზე გადაგვდის.

მხიარულებაც, წუხილიც, ტანჯვაც,
თავქარიანი სურვილთა ჯარიც,
დატკეცებული გულს ხშირად ხანჯლად
მამულზე ანდა სატრფოზე ჯავრი.

იქნებ მიტომ ვგრძნობთ გულებს
ნაზვირთად,
ხან მიწას ვეკვრით, ხანაც ფრთებს
ვიქნევთ,
მართლა ვაზიდან გავჩნდით, ვაზიდან
და ასეთები მიტომ ვართ, იქნებ...

წარწერა ისტორიის სახელმძღვანელოზე

უძლებს ათასგვარ ტყეცილს, მონობას,
მიდის და ელის დღეებს ორბიანს,

●

საიდან მახსოვს...
ბელურას ჭიკჭიკს,
აუხდენელი სურვილის გამმას,
კედლიდან ძველი საათის წიკწიკს,
ფანჯრიდან თბილი სხივების ჰამაკს —

●

სახლში არიან შვილები,
ქმარიც, დედაც და ძმებიც,
მაინც რად მტკივა ფრჩხილები,
მაინც რად მტეხენ ძვლები!

რად არ მასვენებს ორპირი
ფიქრი, შეხლილი სურებს,
აკვნიდან ბავშვის ჭყლოპინი
რად არ მამშვიდებს სულელს.

რა მაღალია ხალხის გონება
და ხალხის ძალა რა უჭკნობია.

ვეწვინე მკლავზე და წერილს გწერდით
ნახევრად ღია კარების შუქზე,
საიდან მახსოვს — ავსებულს სევდით
ნაწნავი მეწყო ფიქრიანს მუხლზე.

რად ვეკითხები ყამი-ყამ
გულს, — რა გინდა-თქო, — „ვერაგს“,
რად მინდა გარდა ამისა
ის, რასაც ვპოვებ ვერრას.

რად მინდა ხილვა გმირების —
მიწას ჩარჩენილ ძვლების...
სახლში არიან შვილები,
ქმარიც, დედაც და ძმებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გამიტყდა სარკე, წუხილმა მომკლა,
უეჭველია ცუდი რამ მელის,
წუხელაც ქარი არყევდა ონკანს
და მოწვეთავდა წყალი, ვით ცრემლი.

ფუჭდება ოქროც, ტყდება და ცვდება
და მარმარილოს იმსხვრევა ზოდიც,
სიცოცხლე მიდის და გული გვწყდება,
რომ გაქრა გრძნობა,
ტანჯვით რომ ვგრძნობდით.

ზოგი რას იტყვის, ზოგი რას,
ერთად
არ არის რაც გვსურს
ან ვინაც გვსურდა,
მარადიული რა არის ნეტავ,
რომ ვიპოვოთ და მივიკრათ სულთან.

ჩემი ძმები

ჩემი ძმები — მეთორმეტე საუკუნის
რაინდები,
ჩემი ძმები — გაუხდელი ჯაჭვის
პერანგებით,
ჩემი ძმები თოროსანნი იბრძვიან
დიდგორისა და შამქორის ველებზე,
ღმერთო, ხელი მოუმართე ამ ბიჭებს,
დატოვე ამ მთა-ველების
მომღერლებად,
მთიდან დაქანებულ წყლებს ნუ
გამიყოლებ,
ზვავებს ნუ დაატანინებ მათ
სხეულებს,
ნუ, ნუ წაართმევ მამულის მზეს და
გზა-კვალს ნუ აურევ მომავლის
ულრანებში,
ღმერთო, დაიფარე ჩემი ძმები —
მეთორმეტე საუკუნის რაინდები.

●

გახედე, ირგვლივ უკვე გადახმა
ჩალა, იონჯა, სამყურას ღერი,
ღელე გაჩერდა ყანის გადაღმა
და ქარი ბოლო სიმღერას მღერის.

ბუჩქებში სადღაც კურდღელი რუხი
დაუზოგავად გარბის ბინდიან
საღამოსაკენ და ლურჯი მწუხრით
ღრუბლებიც დაღლილ ცაზე მიდიან.

ოქრომჭედელი ოქროს გაჭედავს,
ვერცხლის მჭედელი ჭალაში ნისლებს
და ფილაბინდზე კვლავ მზის
საჭვრეტად
წამოგვახტუნებს ბუნება ისევ.

აკვნებს, სიმღერებს, ქვითინს
ქალისას,
ან გოგონათა მხურვალე კისკისს,
კვლავ შემოგვახვევს სითბოს
მკლავისას
სულის სილაღეს და ენების გიზგიზს.

ცრემლს გვაღვრევინებს ბაღლები
ხანდახან,
რწმენით გვამღერებს ზოგჯერაც
დღენი...
ყანაში ჩალა უკვე გადახმა,
ყანის გადაღმა მდინარე მღერის...

●

— რა გნებავდათო ქალბატონო! —
მკითხა ქუჩაში
კაცმა უეცრად, ფიქრში როცა თავი
ასწია,
— ო, არაფერი ბატონო-თქო — და
გზად გავსწიე
და შევერიე წუთისოფლის
გაწამაწიას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ არ არის ამგვარი არსად
იმედი ხვალის, წუხილის შხამიც,
ალექსანდრიის შუქურის მსგავსად
შენ გზას მინათებ, რაც გადის ხანი.

რაც გადის ხანი უფრო ღრმად ჩავცქერ
უფსკრულებს მიწის, ღრმასა და
საშიშს,
რაც გადის ხანი უფრო მიტაცებს
მწვერვალთა ცქერა უღრუბლო ცაში.

ჩვენი სულები, როს დაჰბერს ქარი
ფარფატს იწყებენ, როგორც პეპლები,
რაც გადის ხანი, რაც გადის ხანი
ერთმანეთს ვეძებთ და ვიფერფლებით.

ნაკადულები მღეროდნენ სუფთად,
მოწკრიალე ხმით გაჰქონდათ ბნელი,
ნელი შრიალით ცვიოდა თუთა —
სურნელოვანი, ტკბილი და სველი.

სიზმრიდან სიზმრად ვვიდოდი ვიდრე.
სულს სხვანაირი სიმშვიდე ჰქონდა,
ეფინებოდნენ ჩრდილები მინდვრებს
და ყვავილების სურნელი ჰქროდა.

ნელი შრიალით ცვიოდა თუთა,
ნელა უკრავდა ნიავიც ნელი,
ნაკადულები მღეროდნენ სუფთად
და წკრიალა ხმით გაჰქონდათ ბნელი.

შენ აკაკუნებ ფრთხილად და ითხოვ
გაგიღონ კარი, გიყარონ წილი,
მიიღო ჯილდოდ ყოველი თითოდ
რაც არის კარგი და არა მწირი.

მეგობრების თუ შეთქმულთა პროცესს,
შენ არ ესწრები ქალაქურ მეჯლისს,
მტკვარი ნაზამთრი, დაღლილი რომ
წევს,
მტკვრისწინ ჩავლილებს უყურებ
ეჭვით.

გჯერა თბილისელ ქალების ჭორის,
წერ შენს სიყვარულს სიმღერით
თბილით,
გაივლი დილით ყრუ კედლებს შორის
და ეფერები მომავლის თბილისს.

— „ალბათ მჯობია ქარიო“ — მეტყვი,
რომ ბედნიერი არა ხარ ქარზე —
მამულის ყველა ციხე და სვეტი
რომ უწვენია მსუბუქად მკლავზე.

რომ მეწისქვილის გოგოც გჯობია
და სოფლის ნოქრის ჯანსაღი ცოლიც,
ყველაზე მარტივ ფილოსოფიას
რომ ავრცელებენ ერთმანეთს შორის.

ცაშიც მერცხალი, რაღა თქმა უნდა
რომ გჯობს, სულ მისი ჭიკჭიკი ისმის,
ნისლიც გჯობს, ლამაზ წინდებს
დაურთავს
ბებო შვილიშვილს იმ ჭრელი ნისლით.

შინდიც გჯობს, შინდიც,
ტყავში გამძვრალი,
ქარით ნამღერი უკაცურ კარზე.
მამულის ყველა ციხე-ტაძარი
სანამ ქარივით არ გიწევს მკლავზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ვინ მიგვატოვა, საით წავიდა,
ბედნიერება თან ვინ წაიღო,
რასაც მიველტვით დასაბამიდან
რა არის ჩვენთვის, სხვისთვის რა
იყო.

თუ წაიკითხავს ამ აზრებიდან
ვინმე ჩვენს ტკივილს, ტკივილს
ერისას,
ვინ იხედება იმ ფანჯრებიდან
მომავლიდან რომ კრთება ელვისებრ.

●

ზოგჯერ ბედისწერა როგორ ჰგავს
ქარს,
როგორ გადარეკავს სასოწარმკვეთ
ღრუბლებს,
ერთი ალერსი და სხვა რა უნდა ქალს,
ბედნიერი არის უკვე.

ცისარტყელასავით მოგაყრდნობ თავს,
ცა ხარ და წუთია წყალობა უფლის,
ზოგჯერ ბედისწერა მართლა ჰგავს
ქარს —
ქარივით გადარეკს წუხილის
ღრუბლებს.

●

იქედან მოვალ — ჩემი მიწის შვილთა გულიდან,
რომელთაც უყვართ იმდაგვარი სიყვარულითა
ეს მხარე, მთები, ქალაქები, სოფლები, წყლები,
ჩვენი წარსულის ყველა კენჭი, ცოცხლებიც, მკვდრებიც
რომ თვითონ რამე არც იციან ამ სიყვარულზე —
იქედან მოვალ, მათკენ მივალ და მათში ვქრები.

●

— დარბაისელნო, მაპატიეთ ზოგი რამ, რადგან
ახალგაზრდა ვარ ჯერ კიდევ და ბევრი მეშლება,
— ახალგაზრდებო, მაპატიეთ, მე ახალგაზრდა
აღარ ვარ ისე და ეჭვებს ვწერ ზოგჯერ ლექსებად.
ქარს მიაქვს ჩემი კალენდარი ფურცელ და ფურცელ,
მცხეთისკენ მიაქვს, ის ფურცლები ჯვარზე ეშვება,
მე მირჩევნია ვინც გულიან შეცდომას უშვებს
მას, ვისაც ქვეყნად არაფერი აღარ ეშლება.

მეც ავალ ჯვარზე, სულს მოვითქვამ, თორემ რას ვგავარ,
ვნახავ, ზედაზნის მთებს ნისლი რომ მზეზე შეშრებათ,
გთხოვთ მაპატიოთ,
მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ
და ამიტომაც ისევ ბევრი რამე მეშლება.

გურამ გეგეშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ი დ ე ბ ა

(ისტორიული მოთხრობა)

კაცი, რომელიც ქალაქის გზას მიუყვებოდა ფეხშიშველი და დაძონძილი, —თან მხრებჩამოყრილი, ღაწვებჩაცვენილი, თვალში შუქჩამქრალი, — შეიძლება ითქვას, მკვდრეთით აღმდგარს ჰგავდა. იგი კოჭლობით მიკელნობდა მტვრიან გზის პირზე, ხელში არგანი ეჭირა, რომელსაც ზოგჯერ ებჯინებოდა, და ხმას არავის სცემდა. გზა კი გადატენილი იყო. ფოთლებშემოფლეთილ ალვის ხეებს შორის მოქცეულ შარას ხმამაღლა მოყაყანე ხალხი მოჰყვებოდა. ზოგნი საქონელს მიერეკებოდნენ, ზოგნი ურემზე, ჯორზე ან სახედარზე ისხდნენ. დედაკაცები, ბალღები, ჯოლ-ღომოღჯო ჯამაათი ერთმანეთში არეულიყვნენ. ბალღები ცელქობდნენ, ქალები ენად გაკრეფილიყვნენ, კაცები მასლაათით თავს ირთობდნენ, ვიღრე ქალაქის გზას ჩაათავებდნენ, აქლემისფერი ხრიოკი გორაკებით გარშემორტყმული ველზე გაჭიმული, რომელსაც შემოდგომის ოქროსფერი ბდღვრიალა მზე დაჰნათოდა გაკრიალებული ლურჯი ციდან. სახედრებსა და ჯაგლაგ ცხენებს ხურჯინები და საპალნეები ჰქონდათ აკიდებული, ჩარდახიან ურმებზე ზოგს ბარგი ეწყო, ალბათ, სავაჭროდ წამოღებული ქალაქში, ზოგს კიდევ სხვა რამ, მხოლოდ ეს კაცი მოდიოდა ეულად, ვითა მწირი ვინმე, უნათესაო და უპოვარი. ერთხელ პური გაუწოდეს, აიღო, შეჭამა, მაგრამ მასლაათში არ ჩარეულა. არავინ იცნობდა ამ ჯგროში მას და ისიც, ეტყობა, არავის იცნობდა.

მერე ქალაქიც გამოჩნდა.

ციხე-გალავნის მაღალი კედლები მზეზე ბზინავდნენ, ირგვლივ შემოდგომისგან განძარცული ბაღჩა-ბოსტნები იყო ყვითლად გაშლილი. ბრბო გამოცოცხლდა, კიდევ უფრო აყაყანდა. კარიბჭეს რომ მიაღწიეს, ზოგიერთები შედგნენ, გზაზე ახვეტილი მტვერი ჩამოიბერტყეს, ბარგი ხელახლა გადაალაგეს, მოწესრიგდნენ. გალავანზე გადმომდგარი მეციხოვნეები ყურადღებას არ აქცევდნენ მგზავრებს, მაშინ როდესაც სხვა დროს ათასნაირად ამოწმებდნენ და აწვალებდნენ რაიმეს წაღლეტისა და გამოგლეჯის იმედით.

ეული კაცი ქალაქში შევიდა და ვიწრო ქუჩას დაუყვა. აქლემების ქარავანმა გზა გადაუღობა. მექარავნეები სტვენდნენ, კიოდნენ, თათრულად იგინებოდნენ, წინ და უკან დარბოდნენ, გეზს აძლევდნენ და მიუძღვოდნენ ქალაქიდან მიმავალ ქარავანს. კაცმა ზიზღით გახედა მათ. ქარავანმა რომ ჩაიარა, სიჩუმე ჩამოვარდა. კაცი გაუყვა ქუჩას კოჭლობით და გაუკვირდა ამ ქალაქისთვის უჩვეულო სიცარიელე. მხოლოდ ვიღაც ხეიბარი მიჩანჩალებდა შუა ქუჩაში, მასავით გამთხოვრებული და დაფლეთილი. როცა გაუსწორდა, ხეიბარი თათრულად გამოელაპარაკა.

„პირველადა ვარ ამ ქალაქში. არც ენა ვიცი ამათი და არც აქაურობას ვიცნობ, საით წავიდე?“

კაცს მწარედ გაეცინა, მკვდარი მკვდარს აეკიდაო, გაიფიქრა.

„საითაც გინდა, იქით წადი!“

„საით ჯობს?“

„სულ ერთია.“

„ამბობენ, აქ ცხოვრება იოლიაო“, თქვა თათარმა.

არგნიანმა კაცმა ირიბად გახედა თანამგზავრს და ხმა არ გასცა, თუმცა მოედნამდე ერთად იარეს.

მოედანზე აკოთკოთებული ბრბო შეყრილიყო. ციხის კონგურაზე შუბის წვერზე წამოგებული ბასისხლიანებული თავი იყო გადმოდებული. ხალხი ყაყანებდა, ბჭობდა. ახალმოსული ხალხს შეერია და საუბარს ყური მიუგდო, მაგრამ აზრი ვერ გამოიტანა.

„რა ხდება აქა?“ ჰკითხა ბოლოს ერთ ჩია კაცს.

„იი, ჭურში ზიხარ, კაცო? — გაუკვირდა ჩიას, — არ გაგიგია, ახალი ფაშა რომ დაგვინიშნეს?“

„ძველი სადღა?“

„იი, ძველს პატივი აჰყარეს და ფადიშაჰის ქალაქში დაიბარეს, იმის მაგივრად ნასყიდა-ეფენდი დაგვისვეს“.

„დაგვისვეს თორემ, მაგანაც ეხლა სულ ფარჩებში არ ჩაგვსვამ. ჯარი ჩვენ არა გვყავს, ხაზნა ჩვენ არ გაგვაჩნია, ყველაფერში თათრებს ვემორჩილებით. რის გაკეთება შეუძლია ფადიშაჰის დანიშნულ კაცს თავის ქვეყნისთვის, გულითაც რომ ეწადოს?“ — ჩაერია საუბარში ვიღაც ურწმუნო.

„მაშ, ის იყო კარგი, ძველი ბეგლარბეგი მთელი ოცი წელიწადი რომ გვყვლეფდა უნამუსოდ? ხომ ხედავ, მაგის დამხობის დღესაც მოვესწარით, ეხლა რაღაც შეიცვლება“.

„არაფერიც არ შეიცვლება!“ განაგრძობდა კამათს ურწმუნო.

„მაშ, ვერ მოსხება თავი ძველი ფაშის პირველ ნაზირ-ვეზირსა, მაგ არდასაცლელ ქვეყნის მუწუკსა?“

უმრავლესობა არ იზიარებდა ურწმუნოს ეჭვებს, ეტყობოდა, სასურველი შესაძლებლად მიაჩნდათ.

ახალმოსულმა კაცმა იგრძნო, დიდმა წყურვილმა ბრბოს იმედი გაუღვიძა და სინამდვილის დანახვის, დაფიქრებისა და აწონ-დაწონვის სურვილი მოუსპო. იმიტომაც იყვნენ აგრერიგად თავბრუდახვეულნი, იმიტომაც იდგნენ მოედანზე და ელოდნენ ახალი ფაშის გამოჩენას.

ძველი მმართველი არგნიან კაცსაც სძულდა და გაუხარდა ახლა მისი დამბობის ამბავი რომ გაიგო. მაგრამ, ღმერთმა უწყის, უკეთესი იქნებოდა ნასყიდა-ეფენდი-ფაშა ამ საწყალი და უმეცარი ქვეყნისთვის? ამბობდნენ, გაბედული და ცბიერი კაციაო, მაგრამ მხოლოდ ეს თვისებები ხომ ვერ შეცვლის სივრცეს გონებისას?

ქვეყანას სწორადმხედი მმართველი სჭირდებოდა, მისი გულშემატკივარი...

სანჯაყ-ბეგად ყოფნის დროს, ნასყიდა-ეფენდიმ ძველი ფაშას ორი ერთგული ვეზირი მეერთამეობაში ამხილა და ძელზე გასვა. ყველა ვერ გაბედავდა ფაშას წინააღმდეგ გალაშქრებას და იმისი ადგილის დაკავებას, როცა ცნობილი იყო, რომ ძველი ფაშა დიდი ფადიშაჰის მოყვარედ ითვლებოდა, ცოლად მისი ნათესავი ჰყავდა და ომშიც სულთანს ბევრჯერ ხლება და თავდაუზოგავად უბრძოლია. ვინც ეს იცოდა, იმისთვის გაუგებარი იყო, რატომ დასაჯეს დამსახურებული ბეგლარბეგი. ვინ დაიჯერებდა, რომ მისმა უსამართლობამ და უგუნურობამ ხონთქარი აღაშფოთა, თავად გაცილებით უსამართლო და დაუნდობელი, თუ ამას საწელმწიფოს საჭიროებანი მოითხოვდა. ცხადია, ფადიშაჰებიც გარკვეულ წესებს ემორჩილებიან, რომელსაც, შეიძლება, თვითონვე ჰქმნიან. მაშ, რა მოხდა, რატომ აღაზევა ნასყიდა-ეფენდი?

არგნიანი კაცი აზმუვლებულ ბრბოს გამოეყო, მოედნის განაპირას დადგა და ჩაფიქრდა. სასარგებლო იყო თუ არა ქვეყნისთვის ფაშას გამოცვლა, ამ კაცს თავისი გაჭირვება ჰქონდა, არც საარსებო სახსარი გაარნდა და არც თავშესაფარი. ახლაც შიოდა, ხოლო ის ხეებარი თათარი, ქალაქში შემოსვლისას რომ დაუთანამგზავრდა, ბრბოში დადიოდა ხელგაწვდილი და მათხოვრობდა. ზოგიერთები ხურდას აძლევდნენ და არგნიანმა კაცმა ინანა მათხოვრად რომ არ იყო დაბადებული. მათხოვრობა რომ არ შეეძლო, იმიტომ უძნელდებოდა ცხოვრება, არა და იმ ქვეყანა-

ში, სადაც ყველა მათხოვარი იყო და მათხოვრობით გადიოდა ფონს, დიდი ვეზირიდან დაწყებული უკანასკნელ გლახამდე, სულაც არ იყო აუცილებელი უბრალო ადამიანური ღირსების შენარჩუნება.

ქვემო უბნისკენ დაეშვა ვიწრო, დახლართული ქუჩებით. რამდენი ხანია აქ არ ყოფილა, მაგრამ სულ არ გრძნობდა სიხარულს, ან თუნდაც მცირე კმაყოფილებას. მიდიოდა ნელ-ნელა. ბრბოის ხმაური უკან რჩებოდა და სულ უფრო და უფრო გარკვევით ისმოდა ხელეჩოს კაკუნი. ამ ხმამ დაიანტერესა, მიაყურადა და გეზი იქით აიღო, საიდანაც ეს მონატრებული და მშვიდობიანი კაკუნი ესმოდა.

ქუჩის პირზე, თავიანთი სახლების კედლებთან მოხუცები ისხდნენ, კრიალოსნებს მარცვლავდნენ და ბაასობდნენ, ის კი იქით მიემართებოდა, საიდანაც ჩაქუჩის ცემა და ხელეჩოს კაკუნი ისმოდა და მიადგა კიდეც ხარაჩოებში ჩასმულ შენობას, რომელსაც სამი კაკი აგებდა. ერთი, ყველაზე ახალგაზრდა, ბოლომდე ამოყვანილი კედლის თავზე იდგა და ლარტყს ამაგრებდა. სწორედ მას ეჭირა ჩაქუჩი. მეორე, თეთრწვერა, ძარღვებდაძაგრული ჭარმაგი კაკი იყო, ქვებს ეზიდებოდა. მესამე — ჯერ კიდევ ყოჩაღი მამაკაცი, ქვებს ალაგებდა. ეტყობოდა, ის იყო კირითხურო. მარჯვედ ხმარობდა ქაფჩას და სწრაფად ამოჭყავდა კედელი.

ახალმოსული შორიახლო გაჩერდა და თვალი მიადევნა მომუშავეებს. ისე იყურებოდა, თითქოს უკვე ხედავდა მომავალ შენობას. მუშები ჩუმად მუშაობდნენ, თითო-ოროლა სიტყვას თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს. მხოლოდ კირითხურო ღიღინებდა და ზოგჯერ გადმოხედავდა თვალმოჭუტულ უცნობს, თითქოს უნდოდა გაეგო, რატომ იდგა ეს დაძთნძილი კაკი აქ ამდენი ხანი უსიტყვოდ და უსაქმოდ, ვინ იყო ივი, ვისი მოგზაენილი და, როგორ აფასებდა ამათ შრომას.

ამასობაში, ახალგაზრდამ ლარტყი დაამაგრა და ძირს ჩამოვიდა. ახლა ისიც ჭაღარა კალატოზს ეხმარებოდა ქვების ზიდვაში, კედელი სულ უფრო მაღლა ადიოდა. გახურებულ მუშაობაში იყვნენ, როცა უცნობმა ნაბიჯი წარსდგა წინ და კირითხურს შესძახა:

„ძმობილო, სარკმელი ცოტა მარჯვნივ ჯობებს!“

სამივემ უკმაყოფილო მზერა მიაპყრო არამკითხე მრჩეველს. სარკმელი უკვე გამოჭრილი იყო. კედლის დაშლა და ხელახლა ამოყვანა, ცხადია, კალატოზებს არ ეპიტნავებოდათ.

„თუ გინდა, აქედან შეხედე!“

გაღიზიანებული კირითხურო ხარაჩოდან ჩამოვიდა და იმ ადგილს დადგა, საიდანაც უცნობი კაკი თვალს ადევნებდა მუშაობას. თვალი მოჭუტა და კედელს მიაჩერდა.

„სწორი ხარ!“ თქვა ბოლოს მან, უცნობი იჭვნეულად აათვალ-ჩაათვალიერა და ისევ ხარაჩოზე ავიდა.

„და თაღი ცოტა უფრო მოამრგვალე, ლამაზი და მოხერხებული გამოვა, თან ზედმეტ ორ ქვასაც მოიგებ“.

ამჯერად კირითხუროს ხმა არ ამოუღია, მაგრამ როცა ახლად ამოყვანილი კედელი დაშალა და ხელახლა ამოიყვანა, — სარკმელიც ოდნავ გვერდით გადასწია და თაღიც ისე მოამრგვალა, როგორც უცნობმა კაცმა ურჩია, კმაყოფილი მრჩეველი ვიწრო ჩიხისკენ შებრუნდა და ნელა წალასლასდა. სწორედ ამ დროს კირითხურომ დაუძახა:

„მოიცა, ძმობილო, შენ დიდება ხომ არა ხარ?“

„საიდან იცი ჩემი სახელი?“ გაუკვირდა დიდებას.

„როგორ არ ვიცი, ლურჯი მონასტერი ხომ შენი აგებულია?“

„ჰო“.

კირითხურო ძირს ჩამოვიდა და დიდებას მიუახლოვდა.

„ეგეთი ნაგებობა ჩვენს ქალაქში მეორე არ არის. დიდი ხანია მინდოდა შენი გაცნობა, მაგრამ ვერსად შეგხვდი, მითხრეს, ქალაქიდან გადაიხვეწო. ვისაც ჭეშმარიტი ხუროთმოძღვრება უყ-

ვარს და გაეგება, იმათ იციან შენი ხელობის ფასი და პატივს გცემენ. მეც ბევრი რამ მისწავლია შენგან, ოსტატო!“

დიდებას ისეთი დაბნეული სახე ჰქონდა, თითქოს არც ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. მერე გაჭირვებით ამოილუღლუღა:

„იქნება, დამეხმარო და რაიმე სამუშაო მომცე, მეგობარო, თავი რომ გავიტანო?!“

კირითხუროს ღიმილი პირზე შეაშრა.

„ეგრე გიჭირს?“

„რომ არ მიჭირდეს, ხომ არ გთხოვდი?“

„აბა, რა სამუშაო მოგცე, მე რისი მომცემი ვარ, თვითონ ძლივს გამაქვს თავი...“

„კეთილი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ისე გითხარი, აბა, კარგად იყავი!“ ნაჩქარევად თქვა დიდებამ და თავის გზას დაადგა.

უსარგებლო ქებას ლუკმა პურის შონა ერჩივნა და უცებ, თვითონვე გაუკვირდა, თავის მიერ ოდესღაც შექმნილი ეკლესიის ნახვა რომ მოუნდა.

ციხის ალმართს აუყვა.

დიდხანს მიდიოდა, დაიღალა კიდეც. ერთ-ერთი ეზოდან ქეციანი ძაღლი გამოვარდა და სანამ არგანს მოიშველიებდა, წვივზე უკბინა. მწვავედ აეწვა ნაკბენი და ის სუსტი, გაუცნობიერებელი ხალისი, ეტყობა, მისდამი პატივისცემის გამომჟღავნებამ წამით რომ მოჰბგვარა და თავისი ოდინდელი, აწ უკვე გადავიწყებული ქმნილების ნახვის სურვილი აღუძრა, ისევ ჩაუქრა. სწორედ ამ დროს დაინახა ეკლესიის მომინანქრებული ლურჯი გუმბათი, სადაღაც ერთხელ გადმოვარდა ხარიხაზე ფეხდაცდენილი, მაგრამ გადარჩა, მხოლოდ მკლავი იღრძო. მიდიოდა და აგონდებოდა, რამდენი ჯაფა შეალია ამ ეკლესიის აგებას, რამდენი ოფლი ღვარა, რამდენი ღამე ათია თეთრად, რამდენი ტკივილი აიტანა, რამდენჯერ გადაეწურა იმედი, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა, რამდენჯერ გაუტყდა გული განუზომლიელებელი ჩანაფიქრებით, შეუსრულებელი ნატვრებარით. ეკლესიასთან მისული იდგა და შესცქეროდა მის ოდლებს, ზედ გამოკვეთილ ჩუქურთმებს, დაჭრელებულ სამრეხულებს და აღარც კი სჯეროდა, რომ ყველაფერი ეს მისი ნახელავი იყო მისი მოფიქრებული, მის არსში ჩამოყალიბებული და გამოკვეთილი. მაგრამ ეს მაინც ის არ იყო, რაც მას წინასწარ წარმოედგინა, და რისი შექმნაც ეწადა. ვერ მიაღწია საწადელს! აგე, ის ჯვარი, სარკმლის ზემოთ ამოკვეთილი, ზედმეტი იყო, ახლა უკვე ხედავდა ამას. ამოჩუქურთმებულ ყურძნის მტევანს ზედა თაღთან მეორე ასეთივე ჩუქურთმა აკლდა. ცხადია, არ იყო ეს ნაგებობა სრულყოფილი, ოცნებისმიერი, მაგრამ ეს მაინც მისი ქმნილება იყო და დიდებას სიამოვნებდა მისი ცქერა. ტაძრის შესასვლელისკენ გაემართა, სადაც ქვაფენილზე მათხოვრები ისხდნენ და იღრიჭებოდნენ, მაგრამ დიდებას არაფერი გააჩნდა საწყალობელი, და იგი ეკლესიაში შევიდა.

აქ იყო სიჩუმე, სიცივე, სიცარიელე. გარდა ამისა, საკმაოდ ბნელოდა, მხოლოდ ერთი სანთელი ენთო კანდელში მაცხოვრის ხატთან. დიდება ბნელ კუთხეში დაჯდა და შიშველ კედლებს მიაპყრო მზერა. შავად შემოსილმა მორჩილმა ფეხების ფლატუნით ჩაიარა და ეკვდერში შევიდა. დიდებამ ისევ შეხედა კედლებს. ერთ ადგილზე დაწყებული, მაგრამ დაუმთავრებელი მონახატი გაარჩია. პირქუში და ცბიერი სახეები იცქირებოდნენ კედლიდან. დიდებას ჩაეცინა. ანგელოსების ასახვა სურდა და ეშმაკეულნი გამოუვიდა, რადგან ეშმაკეულთ კარგად იცნობდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა. ჰოდა, რაც იცოდა, ის უკეთესად გამოსდიოდა, განა ეშმაკეულნი არ იყვნენ ღირსნი ყურადღებისა? თუმცა, რა უნდა ეშმაკეულს ეკლესიის კედლებზე, კიდევ კარგი, ვერ მოასწრო ნახატის დასრულება, არ დააცალეს, არ დაამთავრებინეს. ახლა გული აღარ სწყდებოდა ამაზე.

თანდათან სიმშვიდე ჩაეღვარა სხეულში და ის დრო მოაგონდა, ეკლესიის აგებაზე რომ დაიწყო ფიქრი. რამდენ ხანს ეძებდა შესაფერ მდებარეობას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ეკლესიის აშენება. მან იცოდა, რომ ეკლესია ისეთ ადგილზე უნდა დაედგა, სადაც სული წმინდა თავისი ზეობით განდევნის არიმანულ ძალებს, ადამიანს რომ აწუხებენ, აღიზიანებენ, ტანჯავენ და აბოროტებენ. ასეთი ადგილი უნდა ყოფილიყო შშვიდი და ნათელი, რათა გულწრფელი ლოცვა დაუბრკოლებლად აღვლენილიყო ცათა შინა. დიდხანს ეძება და ბოლოს მიაგნო კიდეც ამ მყუდრო ჭალას, საცა მხოლოდ ღონიერი მუხები იდგნენ, რომელთა ძირში მოსჩქეფდა მაცოცხლებელი ანკარა წყარო და თავისი უხილავი აურით ასუფთავებდა მიწას და ჰაერს. ხეებისათვის ხელი არ უხლია, არაფერი შეუცვლია, მხოლოდ ეკლესია დაუმატა ბუნების მიერ შექმნილ ამ კუთხეს. ეკლესიაც ხომ ბუნების ქმნილება იყო, მისი ნაწილი, მისი გამოხატულება, ოღონდ ადამიანის სულის ქუჩაში გატარებული და იმისი ნებით განხორციელებული? ეს ქმნილებაც თავისებურად ერთადერთი და განუმეორებელი იყო, და იქნებოდა უკუნითი უკუნისამდე, როგორც ყოველი სულდგმული.

გარედან მათხოვრების ყაყანი ისმოდა. დიდებამ-ღია კარისკენ გაიხედა, საიდანაც სინათლის ნაკადი შემოდიოდა შიგნით, და გაიფიქრა, რადგან ყოველივე არის განუმეორებელი და ერთადერთი, იქნებ, ეს სულაც არ არის დიდად გამორჩეული ღირსებაო. აბა, რა ღირსება გაიჩნდათ ეკლესიის შესასვლელთან დაყრილ გლახებს, მანჭვა-ღრეჩით თავს რომ აბეზრებდნენ ყველას? და, ისინიც ხომ თავისებურად ერთადერთნი და განუმეორებელნი იყვნენ, როგორც მოედანზე თავშეყრილი ბრბოს თითოეული წევრი, ახალი მმართველის ნახვა რომ სწყუროდა, თუმცა ჯერ არც კი იცოდა, იმსახურებდა თუ არა ეს მმართველი ქვეშევრდომთა პატივისცემას? ან რით იყვნენ ღირსეულნი ის მეომრები, ვიღაცის ბრძანებით ერთმანეთს რომ დარეოდნენ და განუკითხავად ჟლეტდნენ ბრძოლის ველზე, და თავადაც არ იცოდნენ რატომ? რა არის ადამიანის ღირსება, რაში გამოიხატება იგი, თუ კაცი მხოლოდ იმას ასრულებს, რაც ბედისგან უწერია?!

ძაღლის ნაკბენი აეწვა დიდებას და წვივზე მოისვა ხელი. ხომ შეიძლებოდა ეს უბრალო ნაკაწრი სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა? რამდენ განსაცდელს დაადწია თავი, ტყვეობას, დევნას, შიმშილს და მაინც დაბრუნდა თავის ქალაქში, მაგრამ თუ ის ძაღლი ცოფიანი იყო, შეიძლება მისგან დაკბენილმა ხვალვე დალიოს სული. მაშინ ხომ ფუჭად ჩაივლის ამდენი წვალება, ესოდენ მნიშვნელოვანი და განგებისაგან წინასწარდასახული რომ ეგონა სასურველი მიზნის განსახორციელებლად. განა ერთხელ და ორჯერ მომხდარა მსგავსი რამ? ახლა იმაზე უნდა ილოცოს, ის ძაღლი ცოფიანი არ გამოდგეს, მაგრამ თუ ის ძაღლი ცოფიანი იყო, ლოცვა რას უშველის და აღსრულდება აღსასრულებელი, ვერაფერი დაუდგება წინ და მთელი მისი ძალისხმევა უაზრო გახდება.

სადღაც კარმა გაიჭრაჭუნა, ფეხის ხმაც გაისმა, მაგრამ დიდებას არავინ დაუნახავს. კიდევ უფრო მოიკუნტა. რა მოუტანა ამდენმა წვალებამ? აჰა, ეს ეკლესია ააგო, ახლა მას სხვები განაგებენ, აქ სხვები დადიან, თვითონ კი მათხოვარივით ზის ბნელ კუთხეში ნაწამები, დაღლილი, გულგრილი. აღარავის ახსოვს მისი არსებობა, ან თვითონ რით გაიხარა? არც ერთ მის ოცნებას აღსრულება არ ეწერა. სამშობლო უთათრდებოდა, ხალხი ირყვნებოდა, ბოროტება სიკეთეს სძლევდა. მაგრამ თავის იღბალს მაინც არ ემდუროდა დიდება. თუმცა ბედი არასოდეს ანებივრებდა, ბოლომდეც არასდროს იმეტებდა. არც მოღალატე ყოფილა, საკუთარი ერის წინააღმდეგ მებრძოლი, არც მკვლელი, არც დამსმენი. კიდევ ბევრი

უკეთურება ასცდენია. განა ეს ბედის წყალობა არ იყო? რამდენად ბედნიერი იყო ნასყიდა-ეფენდისთან შედარებით, თუნდაც იმით, რომ ეფენდის არავინ ეძახდა და არც არავინ დაუძახებდა არასოდეს. ძალაუფლებაც ვერაფერი უპირატესობაა, მერე რა, რომ კაცის მოკვლა, გამწარება და აწიოკება შეგიძლია დაუსჯელად, ან თუნდაც უსაზღვრო წყალობის გაღება, როცა მოგესურვება? ყველა მბრძანებელი მონაა თავისი ძალაუფლებისა, უფრო უარესი მონა, ვიდრე ბორკილდადებული ტყვე, თავისუფლებაზე ოცნებას რომ ვერავინ დაუშლის.

დაღლილმა დიდებამ თავი ჩაჰქინდრა და ჩასთვლიმა. უცებ, ვიღაცამ შეაჯანჯღარა. დაფეთებული გამოერკვა და შავანაფოროიანი მორჩილი შერჩა ხელთ.

„მამა ნიკიფორე გიხმობს თავის სენაკში!“

„ვინა?“ შეშფოთდა დიდება.

„მამა ნიკიფორეს არ იცნობ?“ გამაცარდა ხმა.

დიდება წამოდგა და უკან მიჰყვა ტანმორჩილ ბერს, რომელიც ფეხებს მიაფლატუნებდა ქვის იატაკზე.

ეს ეკლესია ხუთი თითივით იცოდა დიდებამ. ან რად უნდა დავიწყებოდა, როგორ იყო განლაგებული სენაკები და სად განისვენებდა მღვდელმთავარი. ბნელი ტალანი გაიარეს. მორჩილმა მუხის მძიმე კარი შეაღო და დიდება მკრთალად განათებულ საკანში შეუშვა, რომელსაც თაღივით მორკალული ჭერი ჰქონდა და ერთადერთი ვიწრო სარკმელი, საიდანაც შემოსული შუქი, ეტყობა, არ იყო საკმარისი და ამიტომ კედელზე მიმაგრებულ შანდალში მსხვილი კელატარი ენთო. მამა ნიკიფორე ტახტზე იჯდა. მან ჯვარი გადასწერა დიდებას და ხელი გამოუწოდა. დიდება ემთხვია მღვდელმთავარს.

„წელან საკუთხეველიდან გამოვედი და დაგინახე კუთხეში მჯდარი. მყისვე გიცანი. შენზე ამბობდნენ დაიღუპაო, როგორ გადარჩი?“ ჰკითხა მამა ნიკიფორემ.

„თვითონაც არ ვიცი. ჯერ არ მეწერა ალბათ სიკვდილი“.

„აქამდე როგორღა მოაღწიე, ეს თვითონ გაიტანე, ქურდობა შენ არ შეგიძლია და მთხოვრობა“.

„ხან ქარავნებს ავედევნე, ხან მწყემსებს შევეკედლე. გარეული ხილიც მხვდებოდა გზად და ასე გავძელი...“

მამა ნიკიფორემ თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

„საკუთარი თავისთვის ბრძოლა არ შეგიძლია, ხელის გამოღება არ გიყვარს, თორემ რომელი მემთარი შენა ხარ? რატომ გლახუნა არ წაიყვანეს ლაშქარში, ვითომ რითა გკობია, რით არის შენზე უკეთესი ხუროთმოძღვარი?“

„ვინა თქვა, უკეთესიაო?“

„ყველას ეგრე ჰგონია“.

„იმიტომ, რომ ეგ ბრიყვი და ამპარტავანია და ბრბოს ბრძენი და ძლიერი ჰგონია. განა მაგდენის გარჩევა შეუძლიათ? თანაც ხელისუფალნი გლახუნას მფარველობენ“.

„იმიტომ, რომ, რასაც ეუბნებიან, იმას აკეთებს, იცის, როგორ ასიამოვნოს ძალაუფლების მპყრობელთა“.

„ჰოდა, ქვეყანაც მაგისთანა გლახუნების ხელშია“.

სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა, როგორ იღენთებოდა შიშინით შანდალში ჩარჭობილი სანთელი.

„ეხლა რას აპირებ?“

„რა ვიცი, აბა? მძიმედ ვიყავი დაჭრილი, ბევრი სისხლი დავკარგე. მაგრამ რაკი ცოცხალი დავრჩი და ტყვეობასაც დადავურჩი, აღარა მიშავს რა. რამე საქმეს მოვკიდებ ხელს...“ თქვა დიდებამ.

„ეკლესიების შენება კარგი ხანია აკრძალეს, მოხატვაც“.

„ვიცი“.

„ჰოდა, რა უნდა ქნა, რა გიყო, რით დაგეხმარო, მე რა შემიძლია?“

დიდებას ფერმა გადაუარა, გული ძალუმად აუძგერდა და მუხლებში სისუსტე იგრძნო.

„მამაო, თუ ამ ეკლესიის მებაღედ ამიყვან, ან დარაჯად...“

მღვდელმთავარმა ისეთი სახით შემოხედა, თითქოს გაუკვირდა, მართლა რაღაცას არა მთხოვსო?!

„დარაჯი მყავს, მებაღედ შენ არ გამოდგები...“

დიდებამ თავი ჩაქინდრა. თვითონაც გრძნობდა, რომ არ იყო შეუპოვარი კაცი და ამის გამო, ის ხალხი, მის ფრჩხილად რომ არ ღირდა, ანგარიშს არ უწევდა და არაფრად აგდებდა. ამ ამბავს უკვე შეჩვეული იყო, რადგან ამ ქვეყანაში რწყილისოდენა შესაძლებლობების პირებსაც კი სპილოსოდენა მოთხოვნები და გაბერილი წარმოდგენა ჰქონდათ თავის თავზე. ბუნებრივია, ეშმარიტად ღირსეულ ხალხს ზედაც არავინ უყურებდა. ადამიანის ბედი მის გარეგნობაში და ხასიათშიც არის გამოხატული. დიდება ერთი უბრალო კაცი იყო, შეუხედავი და ჩუმი. ვინ მისცემდა მას სამუშაოს, ვიღას ახსოვდა და ვიღას სჭირდებოდა იგი. ან რა შენდებოდა, ან რა კეთდებოდა იმის ფასი, რაც ინგრეოდა და ნადგურდებოდა!

„ერთი თხოვნა მაქვს, მამაო! მომეცი უფლება სამრეკლოს კიბის ქვეშ ღამე მაინც გავათენო ხოლმე...“

მამა ნიკიფორემ წვერზე ხელი ჩამოისვა.

„ეგ არ არის ძნელი. კი, ბატონო. ვეტყვი თივა დაგიგონ!“

დიდებამ მადლობა გადაუხადა და გაბარებული კარისკენ გაემართა. მამა ნიკიფორე გაოცებული დარჩა, რა უხარია, მაგრამ მერე მოაგონდა, ეს კაცი მუდამ ძალზე მცირეთი რომ კმაყოფილდებოდა, ქვეყნისგან ბევრს არაფერს მოითხოვდა. ამ ეკლესიის აგებაზე თვითონაც ბევრი იზრუნა მამა ნიკიფორემ, მაგრამ მღვდელმთავრობაც გაინაღდა. ისე რა აზრი ჰქონდა ამ საქმის წამოწყებას, თუ მონასტერს სათავეში არ ჩაუდგებოდა? დიდება კი თავის გაკეთებულ საქმეს თვითონ არ აფასებდა დიდად და სხვები რას დაუფასებდნენ. ასეთი კაცი იყო იგი, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო მამა ნიკიფორე, რომ იმ ეკლესიის ამგებს, რომელსაც ახლა თვითონ განაგებდა, მცირე პატივი მიაგო, დახმარების ხელი გაუწოდა, თავშესაფარი მისცა. ბევრი ამასაც ვერ გაბედავდა.

●

ეკლესიიდან გამოსული დიდება ისევ ქვევით დაეშვა.

მთელი ქალაქი ნასყიდა-ეფენდიზე ლაპარაკობდა. მისი მეტოქის მოკვეთილი თავი, შუბის წვერზე წამოგებული, ისევ ციხის ქონგურზე იყო გადმოდებული. ნეტავ რა საჩქარო იყო ამ კაცის მოკვლაო, გაიფიქრა დიდებამ, მოედანზე რომ ჩაიარა. ეს კაცი ძველი ფაშის პირველ ვეზირად ითვლებოდა, იმისი მარჯვენა ხელი იყო, მაგრამ მაინც მონა იყო და, როგორც ყველა მონა, ისიც უყოყმანოდ დაემორჩილებოდა ახალ ხელმწიფეს და დაგმობდა ძველს, რომელსაც ერთ დროს ერთგულად ემსახურებოდა. სადა აქვს მონას ღირსება, რომ ვინმეს ბოლომდე უერთგულოს, მას მხოლოდ სამსახური შეუძლია. რაც უნდა მაღლა აღაზევო, მონა მაინც მონად რჩება. ამიტომ ის კაცი, მონურად რომ ემსახურებოდა ძველ პატრონს, ახალსაც ისევე მოემსახურებოდა. მაშ, რა საჭირო იყო მისი მოკვლა? ალბათ, რამე იცოდა ისეთი, რაც ნასყიდა-ეფენდის არ უნდოდა, რომ ვინმეს სცოდნოდა, ან შეიძლება, რაიმე დამცირება ახსოვდა მისგან, როცა ის აღზევებული იყო და ახლა სამაგიერო გადაუხადა? ღმერთმა უწყის, რა იყო მიზეზი, სად შეუძლია ჩვეულებრივ კაცს იმის გაგება, რაც სულთნის დივანში ხდება?

ერთი რამ კარგად უწყოდა დიდებამ, ახალ ფაშას ახალი ნაზირ-ვეზირები უნდა შემოეკრიბა ირგვლივ. იქნებ, არც ძველთ ეთქვათ სამსახურზე უარი, მაგრამ წესი იყო ასეთი. დიდი ფადიშ-

აჰიც ასე იქცეოდა და, ცხადია, ეს პატარა ფაშაც ასე მოიქცეოდა.

თუმცა, რა ედარდებოდა დიდებას ქვეყნის ამბები, როცა შიმშილისაგან სული ძვრებოდა. ვინც უნდა დაესვათ მმართველად, დამონებულ ხალხს მაინც არაფერი ეშველებოდა. ფადიშაჰის კაცი ვერ გამოადგებოდა სამშობლოს...

დიდება მიწაზე დაჯდა, თავი კედელს მიაყრდნო. ხალხი მიმოდიოდა ირგვლივ, ის კი, მტვერში მჯდარი, ძალას იკრებდა. სულ ცოტაღა უკლდა, რომ სამათხოვროდ გაეშვირა ხელი. ისევ წამოდგა, რიყისაკენ წალასლასდა. ქალაქს ეტყობოდა, რომ აქ გაღარიბებული და გალატაკებული ხალხი ცხოვრობდა. უბადრუკი სახლები მინგრეულ-მონგრეული იყო, ქუჩები აყრილი, ვიწრო და მყარალი. უფრო შეძლებული ვირებით დადიოდნენ, რიგიან ცხენს ან აქლემს იშვიათად წააწყდებოდით, ვის ჰქონდა მათი შენახვის თავი?

უცებ, ქუჩები ხალხით აივსო. მოედნიდან დაძრული ბრბო სასახლისკენ მიედინებოდა და დიდებაც ჩაითრია ამ ბოგანო ხალხის ნაკადმა. გზადაგზა შეიტყო, რომ თურმე აქ ახალი ფაშას მოსვლას ელოდნენ და უნდოდათ დაენახათ.

დიდებამ გალავანში ვერ შეაღწია და ქუჩაში გაჩერდა. მოედანი მოლვბით, მღვდელმთავრებით, ბეგებით და დიდებულებით გაიტენა. ხელმწიფემ ხუტბა უნდა აღავლინოსო, გავრცელდა ხმა. როდესაც ნასყიდა-ეფენდი მობრძანდა ეტლით, რომელშიც ჯიშიანი ბეღაურები იყვნენ შებმული, სასახლის ირგვლივ შეგროვილმა ბრბომ „ვაშა“ დასჭექა. დიდებამ თვალი მოჰკრა ახალი მმართველის გაბადრულ, თვითკმაყოფილ სახეს, იგი ხელს უქნევდა აღფრთოვანებულ ქვეშევრდომთ. რას მოესწრო ეს ნამწყემსარიო, გაიფიქრა დიდებამ.

ბაღლობაში, ნასყიდა-ეფენდი თხების მწყემსი იყო. ეს ყველამ იცოდა. მერე იგი შშობლებმა თათრებს მიაბარეს და თათრულად აღზარდეს. ამბობდნენ, გათათრებულ ნასყიდა-ეფენდის [illegible] მშობელი ქვეყანა ავიწყდებაო და გულით სურს თავისი ხალხი თათრების სამსახურში დაწინაუროსო, რათა თათრების კეთილგანწყობა მოიპოვოსო. იმ დღესაც ამაზე ილაპარაკა ლოცვის დასრულების შემდეგ. მღვდელმთავრებს და დიდებულებს მოუწოდა თათრული წესები გადმოეღოთ და თათრული კარგად შეესწავლათ. თათრებს იქით ჩვენ სხვა გზა არა გვაქვსო, თათრებმა რომ მიგვატოვონ, სხვები გაგვანადგურებენო.

„კიდევ რა თქვა, კიდევ რა თქვა?“ ერთმანეთს ეკითხებოდა გალავანს გარეთ დარჩენილი ხალხი.

„კიდევ ისა თქვა, ქურდობასა და ავაზაკობას მოვსპობო!“

„საიდან მოსპობს, თუ ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზები არ მოსპო?“ ხმამაღლა წამოიძახა დიდებამ და ყველამ მას მიაპყრო გაოცებული და შეცბუნებული მზერა.

„მერე ეგ მიზეზები რა არის?“ მკვახედ ჰკითხა ვიღაც ახმახმა, დაბღვერილი სახისა და ჩაუყლეტილი ცხვირის პატრონმა.

„თათრები არიან მაგის მიზეზები, სიღარიბე და მონობაა მაგის მიზეზი!“ მკვახედვე უპასუხა დიდებამ.

დიდებას ეჭვით დაუწყეს ცქერა და თანდათან შეთხელდა მის ირგვლივ დამფრთხალი ხალხი. ბოლოს დიდებაც წალასლასდა სადღაც უმიზნოდ, გაეცალა სასახლეს.

აღმართს აუყვა. შიმშილისგან გული უყანცალებდა. უცნაური იყო, მაგრამ თათრებისა დიდებას არ ეშინოდა, თუმცა კარგად იცნობდა იმათ ადათ-წესებს და მრავალ გზის წასწყდომია იმათ სიმკაცრეს, დაუნდობლობას, გულქვაობას, სირეგვნესა და მუხანათობას. მაგრამ იმდენად სძულდა მათი მანკიერება, რომ თათრულ უსამართლობასა ს და უსინდისობას არ უფრთხოდა, აინუნშიც არ აგდებდა, თუ საჭირო იყო, ერთი ათის წინააღმდეგ გავიდოდა

ხმალში. გულის სიღრმეში, თათრებს ხალხად არც კი თვლიდა, ეს იყო მისთვის ყოველივეს წამლეკავი ბოროტი და უგულონი ძალა. მაგრამ მაინც კი იყო გონივრული საკუთარი ფიქრების ასე ხმამაღლა გამოცხადება აჭრელებული ბრბოში, სადაც არ იცი, ვინ გითანაგრძნობს და გაგიგებს. სხვა ათასთან ერთად, ეს ნაკლიც სჭირდა დიდებას, ლაპარაკის დროს თავს ვერ იკავებდა და უამრავ დაუფიქრებელ და უსარგებლო რამეს წამოროშავდა ხოლმე ზოგჯერ სრულიად უცხოთა შორისაც კი. ამან ბევრჯერ მიაყენა ზიანი.

უკაცრიელმა შუკამ დიდება ერთ დანგრეულ სახლთან მიიყვანა. სახლის წინ მიყრილ-მოყრილ ქვებზე მათხოვრები ისხდნენ, სადღაც ნაშვენი საშვლის ნარჩენები მიწაზე დაეყარათ და ხარბად იღეჭრძლეებოდნენ. თან ყაყანებდნენ, ერთმანეთს უწმაწურად აგინებდნენ. ნასვამებს ჰგავდნენ. თათრულად ლაპარაკობდნენ. ჩანდა, არც ერთი არ იყო ამ ქალაქის მკვიდრი. ერთ-ერთი მათგანი დიდებამ იცნო. ის ხეიბარი თათარი იყო, ქალაქში შემოსვლისას რომ გადაეყარა. მეორე, ძალზე სქელი კაცი, ბრმა იყო, გადმობრუნებული თვალის გუგები საზარლად უჩანდა. ხოლო მესამე, თმაგაბურძგნული ცალფეხა კაცი, გრძელი მსხვილი ჯოხი რომ ედო გვერდით, ორ ჩაბინძურებულ, სახედასივებული დედაკაცს შორის ჩაჩჯდარიყო და ხითხითებდა. მოულოდნელად თავზე წამომდგარ დიდებას მტრულად შეხედეს.

„რა გინდა?“ ჰკითხა ხეიბარმა.

„არაფერი!“

შემკთალი დიდება უკან მიბრუნდა.

„მოდი აქ!“

დიდება შეშინდა, ამ გლახებმა რამე არ დამაწიონო და გაიქცა. მათხოვრები ჯერ უყვიროდნენ, მერე კი სიცილ-ხარხარი დააყარეს, მაგრამ შეშინებული დიდება უკან მოუხედავად გარბოდა, ვიდრე იმათი დამამცირებელი ჟივილ-ხივილი ყურთა ჩაესმოდა.

ბოლოს თავი სამშვიდობოს დაიგულა და ნელა გაუყვა ქუჩას. აქ უკვე გამვლელებიც ჩანდნენ. ერთ-ერთმა უფანჯრო სახლის დაბალი კარიდან ვიღაც აყლაყუდა გამოძვრა და დიდებას გზა გადაუღობა.

„თქვენ დიდება ბრძანდებით?“

„დიახ“.

„დღეს ჩამობრძანდით ჩვენს ქალაქში?“

„დიახ“.

„ერთი წუთით აქ მობრძანდით, თუ შეიძლება!“

ამ კაცის თავაზიანი კილო არ ეხამებოდა მისსავე უსიამოვნო, უტიფარ იერს. დიდება ისე დაიბნა, რომ არც კი ჰკითხა, რა უნდოდა. თავი დაღუნა და კარის ზღურბლზე გადაბიჯა. როგორც კი შენობაში შევიდა, კარი მყისვე მიხურეს და დიდება სრულ წყვდიადში შთაინთქა. ვიღაცეები მეყსეულად ეძგერნენ, შეკოჭეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ცემა-ტყეპით წაათრიეს და სადღაც შეაგდეს. სლიპ კედელს მიანარცხა დიდებამ თავი და ტკივილისაგან ლამის გრძნობა დაჰკარგა. მერე მძიმე ურდულის ბრახუნი გაიგონა, ეტყობა, დილეგის კარი გადაუკეტეს ნეტა, რისთვისაო, გაიფიქრა, მაგრამ არ გაჰკვირვებია.

●

ჯურღმულში მყოფი კარგა ხანს ვერ ატყობდა, დღე იყო თუ ღამე, თუმცა გრძნობდა, როგორ იწელებოდა დრო გულისწამღლებად. მიწაზე ეგდო და ცახცახებდა, და ვერ მიმხვდარიყო, შიშისგან იყო ეს თუ სიცივისგან. გაურკვევლობა სიცივეზე და შიშილზე უარესი იყო.

ბოლოს კარი გაიღო და მაშხალებიანი მცველები შემოვიდნენ დილეგში. დიდება ფეხზე წამოაგდეს, ხელ-ფეხი შეუხსნეს და გარეთ გამოიყვანეს, სადაც ბნელოდა, თუმცა მთვარეც ანათებდა და აქა-იქ ვარსკვლავებიც მოჩანდა.

სუფთა ჰაერმა დიდება ცოტათი გამოაცოცხლა და სიამის მსგავსი რაღაც

იგრძნო, გუნების მომწამვლელ დილეგის მყრალ სუნს რომ დაიწია თავი.

მთვარით განათებულ ქუჩის გაუყენეს და სასახლესთან მიიყვანეს. წინ ის აყლაყუდა მიუძღვებოდათ, დიდება რომ შეიპყრო. სასახლესთან რომ მივიდნენ, აყლაყუდა შედგა, ტუსაღს მხარზე ხელი დაადო და შესასვლელთან მიიყვანა, სადაც ცულებით შეიარაღებული ბალთაჯიები იდგნენ.

„შედი!“

„აქ რა მინდა?“ შეშინდა დიდება.

„მიდი ხელმწიფესთან და პატიება თხოვე!“ კბილებში გამოსცრა აყლაყუდამ.

„ხელმწიფესთან მე ვინ შემიშვებს?! სულ წახდა დიდება.

„შეგიშვებენ, შე ბრიყვო!“

აყლაყუდამ ხელი ჰკრა და სასახლეში შეაგდო. დიდებამ დაბნეულად გაიხედ-გამოიხედა ირგვლივ. ერთმა მცველმა ანიშნა, მომყევიო და დიდება მისკენ წალასლასდა.

სასახლე მაშხალებით იყო განათებული და დიდებას გაუკვირდა, რომ აქ ამ დრომდე არ ეძინათ. ბევრი ატარეს თუ ცოტა, ბოლოს ერთ დიდი დარბაზში შეიყვანეს და ახალ ფაშას წარუდგინეს. ფაშა ტახტზე იჯდა და თავის ნაზირ-ვეზირებს ელაპარაკებოდა. დიდებას ზედაც არ შეხედა. ეტყობოდა, გაცხარებული იყო. სახე წამოსწოლოდა და თვალებს ცივად აბრიალებდა. სულ არ ჰგავდა იმ მოღიმარ მწყალობელს, ამ დილით ხალხს ხელს რომ უქნევდა. კუთხეში მდგარი დიდება პირველად ხედავდა ნასყიდა-ეფენდის ასე ახლოს და ამჩნევდა, რომ ეს კაცი თავის წინამორბედთან შედარებით, გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ერთი შეხედვით სასიამოვნო შესახედავი იყო. ძველი ხელმწიფე ჩარჩს უფრო ჰგავდა, ვიდრე ფაღლშაჰის სერასქერს.

დარბაზი ისე მდიდრულად იყო მორთული, რომ დიდებამ ერთბაშად იგრძნო უფსკრულისებური ზღვარი თავის თავსა და აქ მყოფ ადამიანებს შორის. თითქოს ისინი ადამიანები არც იყვნენ, არამედ ჩვეულებრივ ადამიანებზე ბევრად მაღლა მდგომი ჩვეულებრივ ახალი და უცნაური არსებები. კედელთან ატუზულს მოეჩვენა, რომ მას ვერავინ ამჩნევდა, და მართლაც, ისეთ კაცებს, როგორიც დიდება იყო, ამ დარბაზში ვერასოდეს ვერ ამჩნევდნენ, უფრო სწორად, არ ამჩნევდნენ ამ დარბაზის მკვიდრნი. მაგრამ თუ რომელიმე დარბაზის წევრს სასახლიდან გამოაპანღურებდნენ, მაშინ მათ თვალები ეხილებოდათ და დიდებასნაირ კაცებს ხედავდნენ და ცხობდნენ ქუჩაში. სასახლეში კი ყველანი იმ კანონებს და წესებს იცავდნენ, რომელიც იქ იყო დამკვიდრებული, იქ კი, ასეთი წესი იყო, უბრალო მოკვდავი არ უნდა შეემჩნიათ.

დიდება იდგა და იცდიდა. თითქოს უსარგებლო ნივთად გადაიქცა, თითქოს კეთილმყოფელმა სულმა დატოვა და ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგა. ვინ იყო, რა იყო, რას წარმოადგენდა, ვის რაში სჭირდებოდა? ერთი უბრალო მღილი, რომლის გაქრობას სულის შებერვაც ეყოფოდა. სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და გული აეწურა. სწორედ ამ დროს ხელმწიფემ ნაზირ-ვეზირები დაითხოვა და დიდება იხმო. ძლივს მილასლასდა ტახტთან, რომელზედაც ხელმწიფე იჯდა, ხოლო ნაზირ-ვეზირებმა ისე ჩაუარეს, რომ ზედაც არ შეუხედავთ.

ფაშამ პირდაპირ შუბლში მიაბერა და გამჭოლი მზერა და ნაძალადევად გაიღიმა. ამ ღიმილმა მოქარაზე მეტად შეაშინა დიდება.

„რა იყო, კაცო, რას მერჩი, რას მაგინებ ხალხში, ჯერ არ ჩამოსულხარ და უკვე მებრძეი?“

„მე, ბატონო?“ ძლივს ამოიკნავლა დიდებამ.

„ჰო, შენ, აბა, მე?“ დაუყვირა ფაშამ.

„არა, ბატონო!“

„როგორ არა, დღეს სასახლესთან გაიძახოდი, ეგ ვერც ქუდდობას მოსპობს და ვერც ავაზაკობასო!“

უცებ დიდება მიხვდა, რომ გაყიდუ-

ლი იყო, და ერთბაშად, კეთილმყოფელი სული, რომელმაც წელან მიატოვა, დაუბრუნდა და ისევ თავის თავად აქცია. ასე ემართებოდა ყოველთვის: პირველი ელდა რომ გადაუვლიდა, მერე კაცი ხდებოდა.

ხმა არ ამოუღია და დაიძაბა. ეტყობა, ხელმწიფემაც შეამჩნია ეს მოულოდნელი გარდაქმნა წელან მიჩვარულ არსებაში, უკვე რომ ეგუებოდა შექმნილ მდგომარეობას და პოულობდა თავის თავს, თავის დასაყრდენს, წამით დაკარგულს და მომქრალს. ოროარც ჩანს, ეს გამოხედვაშიც შეეტყო დიდებას, რომელსაც შიში დაავიწყდა და ახლა არანაკლებ ცივად და მტკიცედ იმზირებოდა, ვიდრე თვით ხელმწიფე.

ხელმწიფე წამოდგა.

„შენ გგონია, მე შენზე ნაკლებ მიყვარს ჩემი ქვეყანა?“

დარბაზში გაიარ-გამოიარა.

„არა, ბატონო დიდებავ, ეგრე არ არის საქმე!“

ისევ დაჯდა.

„შენ არ იცი, რა ხდება ქვეყანაზე. ეგ შენი ბრალი არც არი. ქვეყნის მმართველობისა შენ არაფერი გაგეგება და ისე, ჰაერზე მსჯელობ. ჩვენ რომ თათრებს ზურგი შევაქციოთ, მყისვე გაგვაქრობენ. რა ჯობს, არსებობა თუ გაქრობა?“

„არსებობა“. თქვა დიდებამ.

„ჰოდა, თუ არსებობა გვინდა, თათრების გული უნდა მოვიგოთ. გახსოვდეს, თვალის დახამხამებაში გადაგვთელავენ. ეგეც კი არაა საჭირო. ახლა წადი და იფიქრე ამაზე.“

დიდება დაიბნა, ასეთ ლაპარაკს არ მოელოდა. ეჭვიც კი შეეპარა, ნუთუ გულწრფელად მელაპარაკებაო. თავისებურად ახალი ფაშა მართალი იყო. თუ თათრებს ოდნავ წინააღმდეგობას გაუწევდი, დაუნდობლად მოგსპობდნენ. მრავალი იყო ამის მაგალითი, მაგრამ ისევდაც რომ გსპობდნენ, ისევდაც რომ სამარეს გითხრიდნენ და დღითი დღე გრაყვნიდნენ? გამოსავალი არ ჩანდა. იქნებ, პატარა გაძალიანება მაინც საჭირო იყო? მაგრამ ვინ უნდა გასძალიანებოდა, როცა ხალხი თათრდებოდა და თათრობას ირჩევდა, რათა ეცხოვრა და როგორმე გაეძლო.

ხელმწიფე ისევ წამოხტა, ეტყობოდა მოუსვენარი კაცი რომ იყო.

„მე ვიცი, ლურჯი მონასტერი შენი აგებულია... წადი, იმუშაეთ, შენს საქმეს მიხედე“.

მერე ტაში შემოკრა და ქეთხუდა იხმო.

„ეს კაცი შორიდან არის მოსული. მზიერი იქნება. დაბანეთ, დააპურეთ, ტანსაცმელი მიეცით და გაუშვით!“

●

ასე დაბრუნდა ქალაქში ოსტატი დიდება, ერთ დროს განდევნილი და ტყვედყოფილი. მას შემდეგ მრავალჯერ გადმოჭკიდეს ციხის გალავანზე შუბის წვეტზე წამოგებული გასისხლიანებული თავები ძველი ხელმწიფის ერთგული ნაზირ-ვეზირებისა. ზოგს ხაზინის ქურდობა ბრალდებოდა, ზოგს სხვა რამ ბოროტება. გადიოდა ხანი. ნასყიდა-ეფენდი-ფაშა უმოწყალოდ ანადგურებდა არასასურველ მოხელეებს, თავები ცვიოდათ სხვადასხვა თეფდედერებს, დევთერდარებს, ყადებს, კაიმაკამებს, მუთესელიმებს. ერთი სუბაშა და ჩეხაიაფაშაც დასაჯეს, ზოგიერთებს პატივი აპყარეს, ქონება წაართვეს და ფადიშაჰის ქალაქში გაისტუმრეს.

ნასყიდა-ეფენდი-ფაშა ახალ ვეზირებს იკრებდა ირგვლივ, მაგრამ დიდებამ მშვენივრად იცოდა, რომ ახლებიც ისევე დაემორჩილებოდნენ უკეთურ წესებს, როგორც ძველები ემორჩილებოდნენ, ახლებიც იმას გაიმეორებდნენ, რასაც ძველები აკეთებდნენ. ეს მხოლოდ დროის ამბავი იყო.

ქვეყანაზე არაფერი იცვლებოდა, ისევ გრძელდებოდა განუწყვეტელი ომები, თარეში, აკლება-აწიოკება, გადასა-

---

გურამ გეგეშიძე
დიდება

ხადების ზრდა, ხალხის დამონება-შევიწროება. დიდებას ვეღარ გაეგო, რა მოთხოვნები განაგებდა ქვეყნების ბედს, რა იყო ის აუცილებლობა ერთს რომ აღაზევებდა და მეორეს დაამხობდა. დიდება გრძნობდა, რომ ის, რაც ხდებოდა გარკვეული გეზით მიემართებოდა, გარდუვალი და კანონზომიერი იყო, მაგრამ სად მიიყვანდა ეს ყოველივე მის ქვეყანას და მის ხალხს?

ბოლოს და ბოლოს ყველაფერი თავდება ან სხვა თვისებაში გადადის. როგორც სასრულია კაცის ცხოვრება, ალბათ, ისევე სასრულია ერისაც. თუმცა არსებობენ დღეგრძელი ადამიანები და დღეგრძელი ერები, მაგრამ რაც უნდა დღეგრძელი იყოს კაცი ან ერი, სიკვდილი მას მაინც უახლოვდება. დიდება შეგუებული იყო კაცის სიკვდილს, მაგრამ ერის სიკვდილს ვერ ურიგდებოდა და სწუხდა ქვეყნის გამო. ვერ იტყუებდა თავს ზოგიერთი დალხინებულივით, ბოროტებას განზრახ რომ არ ამჩნევენ, უკეთურებას სიკეთედ რომ ასაღებენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ თავად საშინელ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, არავითარი სახსარი არ გააჩნდა. შემთხვევითი სამუშაოთი შოულობდა ლუკმა პურს, ხან ბაზარში, ხან ქარავასლაში, ხან ქალაქის კარიბჭესთან დაწნწალებდა, რათა ვინმეს რამეში წაეხმარებოდა და სარჩო ეშოვა. ზოგჯერ დიდება ქალაქში თავშეყრილ სხვადასხვა ტომის ეაჰრებს შორის თარჯიმნობდა, რადგან რამდენიმე ენა იცოდა, — და გადმოუგდებდნენ ხოლმე თითო გროშს. მაგრამ სამუშაო მუდამ როდი იყო და მაშინ დიდება შიმშილობდა. ცხადია, არაფერი უღვიძებდა მომავლის რწმენას.

ძლივს გადაიტანა ის ზამთარი. მარტოდმარტო დაწანწალებდა მისთვის გაუცხოებული ქალაქის ქუჩებში.

გაზაფხულის დამდეგს ხმა გავრცელდა, წმინდა ტყეს გაკაფვას უპირებენო. ეს დიდებული ტყე მდინარის პირზე ხარობდა და ძლიერ აშშვენებდა ქალაქს. აქ ერთ მძლავრ მუხასთან უხსოვარი დროიდან მოდიოდა ხალხი სალოცავად, რადგან ოდითგანვე სწამდათ, თითქოს ქალაქის მფარველი სული ამ ხეში იყო ჩაბუდებული. ცოდვა იყო მისი ხელყოფა, მაგრამ დიდებას არც ეს გაუკვირდებოდა, რადგან ყველაფერი ნადგურდებოდა და ტყე რაღას წარმოადგენდა იმ ქვეყანაში, რომელსაც გამკითხავი არ ჰყავდა? ზოგნი ამბობდნენ, ამ ადგილზე გზა უნდა გაიყვანონო, ზოგნი ამბობდნენ, ნასყიდა-ეფენდიფაშას უბრძანებია, მანდ მეჩეთი უნდა აიგოსო. რას არ ამბობდნენ და დიდებამ არ იცოდა, რომელი ჭორი დაეჯერებინა. ამასობაში კი მართლაც შეუდგნენ ტყის კაფვას. მორეკეს მონები, თავს დააყენეს ზედამხედველები და ათასწლოვანი ხეები შხუილით ასკდებოდა მიწას.

დაუნანებლად სპობდნენ წმინდა ტყეს, მაგრამ ყველას როდი ენანებოდა ოდითგანვე ქალაქის დამამშვენებელი, ამ ძველისძველი ტყის გაკაფვა. ბევრს უხაროდა ნასყიდა-ეფენდი-ფაშას წამოწყებული საქმე, კარგია, შეშა გაიაფდებაო. ჭრელი ხალხი ცხოვრობდა ამ ქალაქში და ეს ჭრელი ხალხი, ცხადია, სხვადასხვანირად ბჭობდა.

ერთხელ, დიდება შორიახლო დადგა და უყურებდა ტყის მჭრელებს, წაქცეულ ხეებს ტოტებს რომ აცლიდნენ, გასუფთავებულ ძირიმ მორებს მსხვილი თოკებით ჰკრავდნენ, ჯორებს აბამდნენ, მიწაზე მითარევდნენ და ასე ჩოჩიალით სადღაც გაჰქონდათ. ერთი წარმოსადეგი კაცი ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. დიდებამ იცნო ხუროთმოძღვარი გლახუნა, რომელიც ყოველთვის პირნათლად ასრულებდა ფაშების დავალებას. მან გვერდით ჩაუარა დიდებას და ზედაც არ შეხედა, ვითომ ვერ შეამჩნია. ამ დროს დიდებას ვიღაცამ დაუძახა.

დიდება მობრუნდა და გაკვირვებით მიაჩერდა თათრულ ტანისამოსში გამოწყობილ ჩალმიან ზედამხედველს, ღიმილით რომ შემოსცქეროდა. სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ ამ ღიმილმა გაახსენა თავისი ძველი ნაამხანაგარი, ვისთან ერთადაც უწინ ბევრჯერ შებრძოლებია მტერს.

„თათრის რჯულზე გადახვედი, კაცო?“ გაუკვირდა დიდებას.

„მაშ, რა მექნა, ცხოვრება მინდა!“ კვლავ იღიმოდა იგი.

„თათრებს რომ ებრძოდი?“

„ის დრო წავიდა“.

„ამას კი არ ველოდი,“ დანანებით თქვა დიდებამ.

„დავშკვანდი, ძმაო, გონზე მოვედი“. ქმაყოფილი სახით თქვა დიდებას ნაამხანაგარმა და მთრახი გადაუჭირა ბარბაცით მომავალ მხარზე ხეგადებულ ხაწშიშესულ მონას, ცოცხლად, შე პატრონძაღლო!

დიდება გაეცალა ყოფილ ამხანაგს. ღაღაც გროშები ეყარა ჯიბეში და დუქანში შევიდა. დუქანი გზის პირას იდგა. აქ მექარავნეები და სარქლები იკრიბებოდნენ, მუდამ თბილოდა და გამომშრალი ტყავისა და ცხვრის სუნი ტრიალებდა. გრძელ მაგიდებთან მსხდარი წვერმოშვებული კაცები ტყაპუჭებში გახვეულიყვნენ. დიდებასაც ცხვარის გაცვეთილი ტყაპუჭი ეცვა და ნასყიდა-ეფენდის ნაწყალობევი ტანსაცმელი: მუშის წუდა-მესტები, წვივზე ამოკრული ნახმარი ტოლოები, გაცრეცილი შარვალი და მოკლე ღართი. გარეთ ჯერ კიდევ ციოდა და სასიამოვნო იყო აქ ჯდომა. დიდება კედელს მიეყრდნო და აიწურა, მხრებში მოიხარა, ღვინის ოხშივარმა და ხმაურმა თავბრუ დაახვია. კაცები ყაყანებდნენ. უმეტესობა მწყემსები იყვნენ, თუმცა ხელოსნები, წვრილი ჩარჩ-ვაჭრები და სოფლებიდან ჩამოსული მიწის მუშებიც ერიენნენ მათ შორის.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ერთბაშად გაიტრუნენენ და აჩურჩულდნენ: „სიკვდილა მოდის, ჯალათების უსტაბაში“. დიდებამ თავი აწია და კარებში მდგარი ნაცნობი აყლაყუდა დაინახა, რომელიც აქეთ-იქით იყურებოდა და ნელა მოაბიჯებდა სარდაფის შუაგულისკენ. ეს იყო ჯალათი. თვალს ვერავინ უსწორებდა მას. ჯალათის მზერას რომ წააწყდებოდნენ, შემეზიზღებოდა თხვევით, ეს ღონიერი კაცები ბავშვ დაბლა ხრიდნენ დამნაშავეებსავით და გვერდზე იხედებოდნენ. ჯალათი მოალაჯებდა და დახრილ თავებს ნადავლივით ტოვებდა ზურგს უკან. უცებ მან კედელთან მარტოკა მჯდარ დიდებას მოჰკრა თვალი და მისკენ გამოემართა. ისეთნაირად მიესალმა, თითქოს ძალიან გაუხარდა მისი დანახვა. გვერდით მოუჯდა, მედუქნეს ღვინო მოატანინა, დაუსხა და დაისხა, აქეთურ-იქითური გამოჰკითხა, წეღან ხმამაღლა მობაასე კაცები კი ნელ-ნელა ილალებოდნენ დუქნიდან. დიდება ხვდებოდა, რომ ჯალათის ყურადღება შემთხვევითი არ იყო, მაგრამ თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მისი გულწრფელობა მართლა სჯერდა.

„ხომ შეგიწყალა ხელმწიფემ, შენ კი არ გინდოდა სასახლეში შესვლა“. — თქვა მერე სიკვდილამ თავაზიანი, ნიშნის მომგები ღიმილით, ვითომ, შენთვის კარგი მინდოდა და, ტყუილად არ მენდობოდი.

„ააშენებს ღმერთი, დიდი პატივი მცა, დამაპურა და შემმოსა, თორემ ამ ზამთარს ვერ გადავიტანდი,“ თქვა დიდებამ და გაიფიქრა, ნეტა, რა იყო ნასყიდა-ეფენდის მოწყალების მიზეზი.

იქნებ, ნასყიდა-ეფენდის იმედი ჰქონდა, რომ დიდება ხალხში ილაპარაკებდა ამ ამბავზე, იტყოდა, როგორ აპატიეს დანაშაული, როგორ გაუმასპინძლდნენ და გაათავისუფლეს. ამით ხალხში სამართლიანი და მოწყალე მმართველის სახელი შეექმნებოდა ნასყიდა-ეფენდი-ფაშას და იმხანად, ეს, ალბად, სჭირდებოდა მას, თორემ ფეხებზე არ ეკიდა დიდება და დიდებასნაირი კალატოზები? თუ ეს მართლა ასე იყო, მაშინ, ეტყობა, მთლად არარაობას არ წარმოადგენდა დიდება მბრძანებლის თვალში, და ამის გაფიქრებაზე, დიდებას უნებურად გაეღიმა.

„ერთ კარგ რამეს გეტყვი,“ უთხრა სიკვდილამ და ქონიანი ხელი მხარზე დაადო. მისი წითელი, საზიზღარი ხელის შეხებაზე დიდებას შეაყრჭოლა, რადგან ცოცხლად წარმოიდგინა, როგორ ადებდა ჯალათი სისხლიან ტორს თავის მსხვერპლს, როცა მოსაკლავად მიჰყავდა თხემის ადგილზე.

„აქ, მდინარის პირას, მეჩეთი შენდება. თუ გინდა, ისე მოგიხერხებ საქმეს, რომ მოვაცემინებ მანდ სამუშაოს“.

„არ მინდა“, თქვა დიდებამ.

„კარგად დაფიქრდი. გაკეთდები, იმდენ ფულს იშოვი. მთელი ცხოვრება გეყოფა. ხუროთმოძღვარ გლახუნას აქვს დავალებული გეგმის შედგენა. თუ შენც წაეხმარები, ქერის ორმოში ჩავარდები“.

„გლახუნას რასაც ავალებენ, ყველაფერს აკეთებს, მე მაგდენი სად შემძლია?“

„იცოდე, მეჯლისი ძალიან მოწადინებულია ეგ საქმე რომ შესრულდეს“.

„ვერ შევძლებ. არ ვიცი მე მეჩეთის აგება. მაგაზე არასდროს მიმუშავია“.

„ეკლესიის ამგები მეჩეთსაც იოლად ააგებს. შენ ისეთი ოსტატი ხარ, ყველაფერს შეძლებ. დამიჯერე, შენთვის უკეთესი იქნება“.

„ვერ დაგიჯერებ. არ არის ეგ ჩემი საქმე“.

„ნუ გეზარება, ნუ ხარ ყოყმანა კაცი. მე წავალ და ნასყიდა-ეფენდის ვთხოვ, მოგიხერხოს ეგ საქმე. იქნებ, შენც გამუშაონ. ათასი ვინმეა მსურველი, ყველას კი არ იღებენ“.

„ნუ შეწუხდები, ნურც იმას შეაწუხებ. არ მინდა“.

ჯალათმა ცივი ბოღმით შეხედა დიდებას და უშნოდ გაიღიმა.

„რა გაეწყობა?! კარგი. იფიქრე კიდევ. მოგვიანებით გინახულებ!“

წამოდგა და კარში გავიდა.

იგი სასახლეში მივიდა, და როცა ფაშასთან შესვლა მოახერხა, ორი სიტყვით მოახსენა:

„არ უნდა“.

„არ უნდა და ნუ უნდა!“, გესლიანად თქვა მბრძანებელმა.

„მოვსპო?“ ჯალათმა ხელი მოჭრილად მოიქნია, ვითომ თავი ხომ არ წავაგდებინოო.

„ხელი არ ახლო. შიმშილით ჩაკვდეს!“

●

ნასყიდა-ეფენდი გულადი კაცი იყო. რაკი ბალლობა სამწყესურში ჰქონდა გატარებული, ათასნაირ მოულოდნელ ფათერაკს თავიდანვე იყო შეჩვეული. იგი თხების არვეს პატრონობდა და ზოგჯერ თხები ისეთი სალი კლდის წვეროზე აიყვანდნენ ძალაუნებურად, რომ იქიდან ჩამძორომას დიდი გაბედულება და თავშეკავება სჭირდებოდა. ეკლესიანი ბუჩქნარით დაფარულ ფლატეზე გაჩხერილი ნასყიდა აუღელვებლად და აუჩქარებლად პოულობდა გამოსავალს და შინ მშვიდობით ბრუნდებოდა. თავის არვესაც ერთგულად უვლიდა. არც მგლების ეშინოდა, არც წყვდიადისა და უამინდობის, და ამის გამო უფროსები ხშირად აქებდნენ და უწონებდნენ საქციელს, ხასიათს, და ნასყიდას გული სიხარულით და სიამაყით ევსებოდა, რადგან არაფერი არ სიამოვნებდა ისე, როგორც უფროსების შექება, და მუდამ ცდილობდა, ეს შექება დაემსახურებინა. სწორედ ამიტომ იყო დამჯერე და ყველა დავალების გულმოდგინე შემსრულებელი, და არა ისე ონავარი, როგორც მისი ტოლი ბევრი მწყემსი ბიჭი. ეს თვისება ნასყიდას ბოლომდე შერჩა, უფროსების პატივისცემა, მოწიწება და რიდი სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი. უფროსებისგან წაქეზებული, ამხანაგებს მუდამ უპირისპირდებოდა და ამის გამო, თანატოლებს არ უყვარდათ, თუმცა უფროსები უფასებდნენ მეცადინეობას. ნასყიდასაც ეს უნდოდა, თანატოლებს თავსაც არ უყადრებდა, აღზევებულთა შორის სურდა ადგილი ბალლობა ისე გაატარა, რომ სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ტოლი ბიჭებისგან გამორჩეულად იყო. სხვებზე წინ დგომა აღრეულ ასაკიდან შეუუვარდა, ხასიათის თვისებად ექცა.

როცა თათრები მოვიდნენ, ნასყიდას მამა და ნათესავები მყისვე იმათ სამსახურში ჩადგნენ და ნასყიდაც იმათ მიაბარეს. ერთხანს სანჯაყ-ბეგის კარზე ცხოვრობდა და ზოგიერთივით მტრებად არ აღიქვამდა ამ ხალხს. მაშინ არც კი იცოდა, რომ მისსავე თანამემამულეთა შორის ბლომად იყვნენ ისეთები, თათრებს თავისი ქვეყნის დამპყრობლებად რომ მიიჩნევდნენ და ებრძოდნენ. ეს მერე შეიტყო. რაც თავი ახსოვდა, თათრებს ხედავდა და ეგონა, რომ ბუდამ ასე იყო და ასე იქნებოდა. მაგრამ მთლად ასეც არ იყო თურმე.

ერთ დღეს, სოფლის მოედანზე დაბორკილი ჭაბუკი მოიყვანეს. ტანსაცმელშემოფლეთილს ტანზე სისხლიანი ზოლები ემჩნეოდა ცემისგან. მხრებამდე ჩამოშვებული ქერა ხუჭუჭა თმა ჰქონდა, გრძელი წამწამებით დაჩრდილულ ცისფერ თვალებში უნუგეშო მზერა ჩასდგომოდა. პირმოკუმული მძიმედ სუნთქავდა, ყელზე გამობურცული ხვანჯი გამალებით აუდ-ჩაუდიოდა და წარამარა ნერწყვს ყლაპავდა. იგი ქალწულივით ნაზი და გამხდარი იყო და სოფლის მოედანზე მორეკილ ხალხს უჭირდა იმის დაჯერება, რომ ამ სუსტმა ჭაბუკმა ორი იანიჩარი მოკლა. ხელებშებორკილი ჭაბუკი დაიჩოქეს, ოქროსკულულებიანი თავი დაახრევინეს, მერე მოვიდა კამეჩივით შავი ჯალათი, ორივ ხელით აღმართა გრძელი, პრიალა ხმალი, უცბად მოიქნია და კისერზე დაჭკრა. წარკვეთილი თავი მტვერში გაგორდა და ნასყიდამ დაინახა, როგორ კუშავდა ტუჩებს აწ უკვე სხეულს მოცილებული, გადაჭრილი ძარღვებიდან ამოხეთქილი სისხლით გასვრილი ლამაზი თავი.

იმ დღიდან დაიინტერესა სიკვდილის საიდუმლოებამ და ღრმად დაფიქრა სიცოცხლის უკანასკნელი წუთის ზეშთაგონებამ. სიკვდილს ხშირად ხედავდა ადრეც, როცა საქონელს კლავდა სოფლის ხალხი. საოცარი ყრჟოლა იტანდა და სიამოვნებდა ამის ცქერა, მაგრამ ისინი უტყვნი იყვნენ და ვერ გაიგებდი, რას ფიქრობდნენ და რას განიცდიდნენ სიკვდილის წინ, ან თუ გრძნობდნენ სიკვდილის მოახლოებას. თუმცა, მაინც შეიმჩნეოდა, რომ რაღაცას გრძნობდნენ ცხოველები, ვინ იცის, იქნება, განიცდიდნენ კიდეც უკანასკნელი წუთის სიმწვავეს ჩუმად, თავისთვის. აკვიატებულ აზრად ექცა ნასყიდას იმის გამოცნობა, თუ რა ხდებოდა სიკვდილის კარიბჭესთან მდგარი სულდგმულის სულში, და ამიტომ ცხოველის დაკვლა თუ იყო საჭირო, თხისა ან ხბოისა, უკან არ იხეკდა, თავის თაგზე იღებდა ამ დავალებას და სიამოვნებით ასრულებდა, რათა სიკვდილზე დაკვირვების საშუალება ჰქონოდა.

მაგრამ ეს მაინც ის არ იყო, რაც გაუმხელელ სურვილად ჰქონდა მიჩქმალული თავისი არსების სიღრმეში.

მას ადამიანის მოკვლა სწყუროდა!

ეს იყო მისი ყველაზე უნეტარესი, სანუკვარი, თამამი და გაბედული სურვილი...

ერთხელ, საძოვრიდან რომ მოერეკებოდა თხების არვეს, თათრებისგან აწოკებულ სოფელს წაადგა. ნასახლარებს ჯერ კიდევ ბოლი ასდიოდა. სოფლის მოსახლეობა ეკლესიაში შეერეკათ და ამოებუგათ, საქონელი წაელალათ, მხოლოდ ძაღლები დარჩენილიყვნენ, რომლებიც გულშემზარავად ყმუოდნენ. მხარზე კომბალგადებული ნასყიდა დაცარიელებულ ორღობეში მოაბოტებდა, როცა უცვ, დაწვას გადარჩენილი ერთ-ერთი სახლის ერდოზე ორ მცირეწლოვან ბალღს მოჰკრა თვალი. ბიჭი შვიდიოდე წლისა იქნებოდა, გოგონა სამიოდესი. ჩუმად, გაშტერებით უყურებდნენ ისინი ნასყიდას და როცა ნასყიდა ბაზზე ავიდა, არც კი განძრეულან.

„ რას აკეთებთ აქა?“

ბალღებს ხმა არ ამოუღიათ.

„სად არიან თქვენი პატრონები?“

კვლავ დუმილი.

„ხმა ამოიღეთ, თქვე ყურუმსაღებო, თორემ ყურებს დაგაჭრით!“ და ნასყიდამ ქამარზე დაკიდული ყამა ნახევრამდე ამოსწია ქარქაშიდან ბალღების შესაშინებლად.

და უცებ, პატარა ბიჭი სწრაფად, სხაპასხაპით ალაპარაკდა.

„ყველანი ეკლესიაში არიან, აგე, იქა!“ ხელი გაიშვირა სოფლის შუაგულისაკენ.

„თქვენ აქ რას უდგეხართ?“

„მამამ დაგვმალა აქა“.

„სადა?“

ბალღები ისევ გაჩუმდნენ. მაშინ ნასყიდას ისევ გაეღვიძა სულში ეშმაკი და გრძელი ყამა ქარქაშიდან დაიძრო.

„აბა, მოდით აქა, თავები უნდა დაგაჭრათ!“ მუქარით თქვა და გასუსული ბავშვები სვეტზე აიკრა.

თავდახრილი გოგონა, წარბშეკრული, ქვემოდან იყურებოდა და დასაკლავად გამზადებული ბატკანს ჰგავდა, მრავალგზის რომ უნახავს ნასყიდას, მაგრამ გრძნობდა იგი სიკვდილს, ეშინოდა სიკვდილისა? ცხადია, შეშინებული და დამუნჯებული იყო, უცხო მოძალადე თავზარს სცემდა, მაგრამ ჰქონდა მთელი სიგრძე-სიგანით წარმოდგენილი მუქარის ახრი? ნასყიდა აკვირდებოდა ამ ბავშვის გაკუშტულ სახეს და ცდილობდა ამოეცნო, რა განცდები ბობოქრობდნენ იმის პატარა გულში. იგი ხედავდა შიშს და უნდოდა გამოეცნო, რით იყო ეს შიში გამოწვეული. როცა ყამა ბლაგვი პირით ყელზე მიადო, ბავშვს ცივი რკინის შეხება არ ესიამოვნა, თავი ასწია და ტუჩებმოწკურულმა, სახემოღრეცილმა, სატირლად გამზადებულმა მოხუჭული თვალებით ამოხედა მწვალებელს. მაშინ ნასყიდამ გოგონას თავი დაანება და ბიჭს მიუბრუნდა:

„მოდი, ჯერ შენ მოგაჭრი თავსა“.

გაფითრებულ პატარა ბიჭს ნესტოები უცახცახებდა, გამშრალ ტუჩებს ენით ისველებდა და წარამარა ნერწყვს ყლაპავდა, ზუსტად ისე, როგორც სოფლის მოედანზე დასჯილი ოქროსთმიანი ჭაბუკი. ნასყიდამ ყამა ბლაგვი პირით ყელზე გაუხახუნა და უცებ, პატარა ბიჭი ჩაიკეცა, მუხლები მოეკვეთა, ნასყიდას შეეშინდა კიდეც, შემთხვევით რამე ხომ არ ვავნეო, მაგრამ არავითარი ნაკაწრი ბიჭს არ აჩნდა. ნასყიდამ ყამა დაადგა და მუხლებზე დამდგარმა ბიჭს თავი აუწია. თვალებგახელილი, ერთბაშად გალურჯებული ბავშვი ნერწყვს აღარ ყლაპავდა, არც ენას ამოძრავებდა, მხოლოდ ერთხელ დაიხრიალა და გაშეშდა.

გოგონამ ტირილი მორთო, ხოლო ნასყიდას შიშისგან ტანი აებურძგლა. გოგონას ხელი დასტაცა და ორღობეში ჩაარბენინა, ძმისკენ იწევდა, არ მიჰყვებოდა და ბავშვის კივილზე სოფლის ძაღლები მოცვივდნენ და გაფთრებული ღრენით შეუტიეს ნასყიდას, რომელიც იძულებული გახდა, პატარა გოგონასთვის თავი დაენებებინა და კომბლით გაეკვლია გზა. ასე, აყეფებული ძაღლებით გარშემორტყმულმა დატოვა იმ უბედური სოფლის სანახები.

შინ რომ მივიდა, ახლობლებს უამბო, რაც ნახა, მხოლოდ იმ ბედუკუღმართი ბალღების ამბავი გამოტოვა. თათრების სამსახურში ჩამდგართაც სძულდათ მათი ველური სისასტიკე. აფორიაქდნენ, ავიშვიშდნენ, დედაკაცებმა თავში ხელი იცეს, მამაკაცები კი შეიკრიბნენ და აოხრებული სოფლის გზას დაადგნენ.

ნასყიდას არ უყვარდა იმ ამბის მოგონება, და არც იგონებდა, თუმცა ცხადია, ახსოვდა, რა დაავიწყებდა. ეს იყო პირველი სიკვდილი, რომელშიც ბრალი ედო. მაგრამ მერე, თათრების სამსახურში მყოფი, იმდენ სიმხეცეს წაწყდა, რომ ამისთანები აღარაფრად მიაჩნდა და უდანაშაულო კაცის დასჯა, თუ ეს მის საქმეს სჭირდებოდა, სრულებითაც არ აწუხებდა და არ ეთაკილებოდა.

თათრებთან გაიზარდა იგი, მაგრამ თათრული კარგად ვერ შეისწავლა. მაინც უწიგნური კაცი იყო, თუმცა თავისებურად ნიჭიერი, მოხერხებული, პატივმოყვარე და ცბიერი. წერა-კითხვას ძალზე გვიან დაეუფლა და შეიძლება, ამანაც შეუშალა ხელი. ისიც უნდა ითქვას, რომ წერა-კითხვა ცოტა ვინმემ თუ იცოდა ნასყიდას გარემოცვაში და ნასყიდას თავისი ცოდნით თავიც კი მოსწონდა შინაურთა წრეში, რადგან სამღვდელოებასთან და მწიგნობარ ხალხთან მაშინ არაფერი ესაქმებოდა და იმათი განსწავლულობისა ბევრი არაფერი გაეგებოდა. ცხადია, ნასყიდა-ეფენდის განათლებას უამრავი ხარვეზი გააჩნდა. შემდგომში ამ დანაკლისს გულმოდგინედ მალავდა, როცა აღზევდა, თავისი თავი ყველაზე ჭკვიანადაც კი წარმოედგინა, რაც ყოველთვის ემართებათ აღზევებულთ, მაგრამ გარკვეული შეზღუდულობა, მოუმზადებლობა და უცოდინარობა ქვეყნის საქმეებისა, სათანადო აღზრდა-განათლება მიუღებელს, ბოლომდე გაჰყვა. თუმცა თათრული ქვეყნების მართვა-გამგეობას დიდი განათლება არც სჭირდებოდა, ასე რომ უწიგნურობას არავინ უთვლიდა ნაკლად.

ყველაფერი თათრული მოსწონდა ნასყიდას, რადგან ძალა თათრების ხელში იყო. ნასყიდა-ეფენდის ამა ქვეყნის ძლიერთა შორის სურდა ტრიალი. არაფერზე უკან არ დაიხევდა, საკუთარ მშობლებს გაყიდდა, ოღონდაც ამისთვის მიეღწია. თათრების გარეშე რას მიაღწევედა და იმიტომაც იყო, რომ მუდამ თვალში შესეცილნებდა ამ ხალხს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იმათ მარქაფაში იყო გარეული, მაინც ზერელე წარმოდგენა ჰქონდა თათრებზე, რადგან არც სათათრებში უცხოვრია და არც ლაშქრობებში ხლებია მათ. თათრებს იგი მხოლოდ ქარავსლებში და სამდივანბეგოებში ხედავდა, სადაც გაფუყეული დიდვაჭრები და კუშები მოხელეები ისხდნენ, რომელთაც ძალუძდათ დაპყრობილი ქვეყნების ნებისმიერი მკვიდრების გაქრობა-განადგურება. ნასყიდა-ეფენდი მალე მიხვდა, რომ თათრების გულს მოიგებდა და ძალზედაც დაწინაურდებოდა, თუ თათრების ორგულ მოხელეებს თათრებთან დაასმენდა. ამას იგი აკეთებდა კიდევაც და თათრული საქმის ერთგული თავკაცი ხდებოდა. თათრები უფასებდნენ სამსახურს და ნასყიდა-ეფენდი წინ მიდიოდა. სხვანაირი წინსვლა წარმოუდგენელი იყო, რადგან სხვა გზა არ არსებობდა.

მალე ფაშმა თავისი კარის ბაზიერთუხუცესად დაადგინა და თათრულ ყაიდაზე სამსონჯი-ბაში უწოდა. აქაც გამოიჩინა თავი. საუკეთესო ჯიშის ძაღლები შეარჩია და გაწვრთნა. ნასყიდა-ეფენდიმ იმითაც გაიოქვა სახელი ქვეყანაში, რომ თავისი ძაღლებით და სეკბანებით არა მარტო სანადიროდ ახლდა ხელმწიფეს, არამედ ზოგჯერ შარაგზის ყაჩაღებსა და ავაზაკებსაც იჭერდა. ეს ამბავი ბევრს ქვეყნისთვის სასიკეთოდ მიაჩნდა, თუმცა ამით ყაჩაღობა და ავაზაკობა არ მოსპობილა. მაგრამ როცა ნასყიდა-ეფენდი ფადიშაჰის ფირმანის თანახმად, ფაშად დაადგინეს, მართალია, ბევრს გაუკვირდა, როგორ მოახერხა სახელოვანი ფადი-შაჰის გულის მოგება, მაგრამ ბევრს გაუხარდა, ეშველება ქვეყანას რამე, ამ კაცს ჩვენზე გული შესტკივაო.

ეს სულ წინასწარი ვარაუდები იყო, მოცლილთა მითქმა-მოთქმა. ზოგიერთები იმასაც კი ამბობდნენ, თათრებისადმი მისი ერთგულება სულ მოგონილი ამბავია, მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბია, გულში იგი ჩვენნაირია, მაგრამ როცა ნასყიდა-ეფენდიმ თათრებს აღუთქვა, თქვენს ლაშქარში ორჯერ მეტ ხალხს გამოვიყვან ვიდრე ძველ ფაშას გამოჰყავდაო, კეთილმოსურნენიც კი დაეჭვდნენ და დაიბნენ. ეს ამბავი სულაც არ იყო ქვეყნისთვის საარგებლო და არც ის, ხარკის აღებისას ქვრივსა და ობერსაც რომ არ ინდობ-

და. რა თქმა უნდა, ფადიშაჰის ვეზირები ავალებდნენ ამას და ისიც იძულებული იყო, შეესრულებინა მათი დავალება, მაგრამ რატომ ძველი ფაშა არ იჩენდა ასეთ სისასტიკეს, ის ყოველად ჩლუნგი და უთვისებო ადამიანი, საკუთარი ჰარამხანის სათამაშოდ რომ იქცა?

იქნებ, ნასყიდა-ეფენდი-ფაშას თავის გამოჩენა სურდა, დიდებული ფადიშაჰის კარზე დაწინაურება და იმიტომაც იჩენდა ასეთ გულმოდგინებას?

როცა თაბრიზს სალაშქროდ მიმავალმა ფადიშაჰმა ახალციხეში შემოიარა, ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ დიდი და პატარა ქუჩაში გამოიყვანა, რათა ყვავილებით ხელში მისალმებოდნენ დიდ სულთანს, უზარმაზარი ქვეყნის ბატონ-პატრონს და მფლობელს. ჩაუშები, ყაფუჯიები, ყადიასკერები და მუთეფერიკები მოედანზე განლაგდნენ. თავისი ვეზირებით, სერასკერებით და კაფუდინებით გარშემორტყმული, ოქროს ჩალმით თავდაშვებებული ხონთქარი ფერადი თუღებით შემკობილი ტახტრევანიდან გადმობრძანდა. ნოხებით მორთული სახლების სახურავებზე და მაღალ ხეებზე ამძვრალი ხალხი გაფაციცებით ადევნებდა თვალს სასახლის წინ ჩამწკრივებულ დიდებულებს, ადგილობრივმა ბეგებმა ძვირფას სტუმრებს ძვირფასი ძღვენი მიართვეს. აღელვებულმა ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ, ამ დიდებული სტუმრობით გაბედნიერებულმა, მჭეკარე სიტყვით მიმართა ხონთქარს. აღმოსავლური წესის თანახმად, აღმოსავლეთიდან აღმომავალი მნათობი უწოდა, ქვეყანაში სითბოსა და სინათლის შემომტანი.

„...ამის გამო, მე და ჩემ ხალხს, დედამიწის ზურგზე არ გვეგულება თქვენზე უძვირფასესი არსება, მბრძანებელო! იდღეგრძელეთ უკუნითი უკუნისამდე! ამინ!“

ასე დაასრულა თავისი განთქმული სიტყვა ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ.

შემდეგ გაიმართა ცხენბურთი და მარული, სხვადასხვა თამაშობანი, ცეკვა, სიმღერა, ათასგვარი ჯამბაზობა და მოშაითობა. ნასყიდა-ეფენდი-ფაშას სურვარდა ამგვარი სანახაობების გამართვა, ზარ-ზეიმების მოწყობა სახელმწიფოსათვის მეტად საჭირო საქმედ მიაჩნდა.

ამბობდნენ, დიდი ფადიშაჰი მოიხიბლა ნასყიდა-ეფენდის სიტყვითა და დახვედრითო. იმ ღამეს, როცა თავისი ხალხის წესისამებრ, ფლავით ისე გამომძღარა, რომ ბლოყინი ავარდნია, ნასყიდა-ეფენდისთვის უთქვამს, კარგად მემსახურები, კმაყოფილი ვარ შენითო, და დამატებით ასი ურემი ალალი უთხოვია თავისი ჯარისთვის.

ამის შესრულება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ხალხი ისედაც წელში იყო გაწყვეტილი. ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ თავისი დევთერდარი დაიბარა და დიდი სულთნის ბრძანების შესრულება დაავალა.

„ვერ შევძლებთ, მწყალობელო!“ სასოწარკვეთით ამოიკვნესა დევთერდერმა.

„უნდა შეძლოთ! — მტკიცე, შეუვალი ხმით ბრძანა ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ. — ჩვენი ხალხი მორჩილი და გონიერია. ყველანაირად უნდა დავარწმუნოთ ერი, რომ ასეა საჭირო, ეს მისთვის უკეთესია. მომავალში ეს დამატებითი ხარკი სიკეთეს მოგვიტანს. ფადიშაჰის გამარჯვება, ჩვენი გამარჯვებაა!“

დავალება შესრულდა. უკანასკნელი სარჩო-საბადებელი წაართვეს გლეხებს. ასი ურემი ხონთქარს გაუგზავნეს.

ამის მერე ნასყიდა-ეფენდი-ფაშა უფრო გათამამდა, თავდაჯერებული გახდა. დიდი ფადიშაჰის მხარდაჭერის იმედით, ზოგჯერ სხვა ბეგლარბეგებს, ფაშებს და ვეზირებსაც კი აღარ ეპუებოდა.

შინ სულ სხვანაირად იქცეოდა. ყველა, რაიმეთი ცნობილი და გამორჩეული კაცის ფადიშაჰის სამსახურში ჩაყენებას ცდილობდა. ასეთ ადამიანებს იახლოვებდა, მათთვის არც საჩუქრებს ინანებდა და არც საზეიმო ქეიფ-დიდებას, რაც ასე ძლიერ უყვარდა ამ

ხალხს. ეს კარგად იცოდა ნასყიდა-ეფენდიმ და თანდათანობით აღწევდა მიზანს. ცრუმამულიშვილები, ცრუსარდლები, ცრუშშენებელნი, ცრუმგოსნები და ცრუმეცნიერნი კაცნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა ნასყიდა-ეფენდიის გული მოეგოთ და დაწინაურებულიყვნენ, რამე ეშოვათ. იმის ყველა სიტყვას და ბრძანებას უყოყმანოდ მხარს უჭერდნენ. ნასყიდა-ეფენდისაც ეს უნდოდა, ამ ადამიანების დახმარებით ხალხში სწორი და სამართლიანი მმართველის სახელის განმტკიცებას ცდილობდა. თუმცა ხალხს ჭკუას ვინ ჰკითხავდა, მაგრამ მაინც ასე ერჩივნა ახალ ფაშას. ის ძველი ნაზრი-ვეზირებიც, რომელიც მან განდევნა და მათ მაგივრად ახლები შემოიკრიბა, სამაგიეროს გადახდას კი არ ფიქრობდნენ, არამედ ცდილობდნენ კვლავ გამოენახათ გზები ქვეყნის მმართველთან დასაახლოებლად.

ნასყიდა-ეფენდის სურდა თავისი ქვეყანა სათათრეთის ყველაზე ერთგულ და მოწრნავე ვილაიეთად ექცია და წარჩინებულთა და დიდებულთა მხარდაჭერას თხოულობდა ამ საქმეში, თავისიივე საკუთარი, სულით დაცემული, წელში გამტყდარი და გაღატაკებული ქვეყნის წინაღმდეგ.

წარჩინებულნი და დიდებულნი ეხმარებოდნენ, რითაც შეეძლოთ, ზოგნი სიტყვით, ზოგნი საქმითაც.

ეკლესიის ზარები აღარ რეკდნენ არსად, თათრდებოდა ქვეყანა.

●

დიდება მონასტერში აღიზარდა. მისი ნათესავები ერთხანს თათრებთან ბრძოლას გაურბოდნენ, ის კი არა, ემსახურებოდნენ კიდევაც, და ამის გამო, მონასტერში ყოფნისას, დიდებას სირცხვილი თრგუნავდა მუდამ.

ბერები დიდი სიყვარულით ეპყრობოდნენ მას, ისევე როგორც აქ მობარებულ სხვა ყმაწვილებსაც. ასწავლიდნენ შშობლიური ერის სიტყვიერებას და წარსულს, უნერგავდნენ საშშობლოს სიყვარულს. ისინი არავის კიცხავდნენ, მოთმინებით და შეწყნარებით განიხილავდნენ ყველა მოვლენას, არასოდეს არავისზე წამოსცდებოდათ აუგი. მათ არ უგრძნობნენ ბაოთ ყრმისათვის, რომ თათრების სამსახურში მყოფი მისი ნათესავები არ მოსწონდათ. ერთი გადაკრული სიტყვაც კი არ დასცდენიათ ამის შესახებ, რადგან ნათესავების შეცდომებსა და შეცოდებებში დიდებას არავითარ ბრალს არ სდებდნენ. იგი უყვარდათ და გულთბილად ექცეოდნენ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო მწარედ განიცდიდა დიდება იმ განსხვავებას, რომელიც მისი ნათესავების მიწიერ, წვრილმან სურვილებსა და მონასტრის ბერების ამაღლებულ საქმიანობას შორის არსებობდა. ამ სხვაობას ისე განიცდიდა, როგორც ღალატს, როგორც ზურგში მუხანათურად ჩაცემულ მახვილს. და რამდენადაც მისი ნათესავები თათრებს ეთვისებოდნენ, იმდენადვე სძულდა დიდება თავისი ქვეყნის მტრები. და რადგან სძულდა, არ ეშინოდა მათი, და რადგან არ ეშინოდა, იმათ წინაღმდეგ საბრძოლველად მუდამ მზად იყო.

ცხადია, აღმზრდელებმა შთაუნერგეს ასეთი აზრები, საშშობლოს მტრებისადმი ასეთი დამოკიდებულება. მიბაძვისა და ათვისების დიდი უნარი აღმოაჩნდა ბალღობიდანვე. და ამ ადამიანმა, ჯერ სრულიად ჩამოუყალიბებელმა ყრმამ, ზოგჯერ გაუბედავმა და მორიდებულმა, ზოგჯერ შეურიგებელმა და თამამმა, ზოგჯერ ფრთხილმა და თავშეკავებულმა, ზოგჯერ ჯიუტმა და თავდაუშერელმა, ზოგჯერ დამთმობმა და მორჩილმა, ზოგჯერ ჭირვეულმა და ავყოთმ, უკანასკნელმა გაადგო ხელიდან ხმალი, როცა თათრები მონასტერს შემოესივნენ და ააწიოკეს.

უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: ხმალი კი არ გაუგდია, გაადგებინეს. გაკოჭეს, ძელზე მიაბეს და რამდენიმე ხანს, ვიდრე გადაბუგული მონასტრის ეზოში კვამლი ტრიალებდა, ხოლო დაფეთებული და აჭიხვინებული ცხენე-

ბიდან ჩამოქვეითებული სიფაჰიები ქონებას ატაკებდნენ, — არ იცოდა მან, რას უპირებდნენ, დაწვავდნენ, სარზე გასვამდენ თუ ჩამოახრჩობდნენ. მაგრამ წამითაც არ შეპპარვია შიში გულში, მხოლოდ აუწერელ ზიზღსა და სიძულვილს გრძნობდა დამპყრობთა მიმართ, რომელნიც არა მარტო მისი ქვეყნის, არამედ ადამიანთა მოდგმის დაუძინებელ მტრებად ესახებოდნენ. ეს დაუშრეტელი სიძულვილი მოძალადეებისადმი იმდენად აკნინებდა მათ დიდებას თვალში, რომ ყოველგვარ ძრწოლას უკარგავდა ძელზე მიბმულს, დამარცხებულს, შეურაცხყოფილს.

მიუხედავად ამისა, იგი ელოდა სიკვდილს და ისე იყო დაძაბული, რომ ლამის იმ ხედ გადაიქცა, რომელზედაც იყო მიბმული. ყველა გაწყვიტეს, მხოლოდ ის დარჩა ჯერჯერობით ცოცხალი. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ყაფუ-ყულუბის ცხვირპაჭუა აღა, ჩაწითლებული, სისხლნასვამი თვალები მიიპყრო და წინ დაუდგა ცალი ხელით დოინჯშემოყრილი. ჩალმა გვერდზე მოქცეოდა, მეორე ხელში სისხლიანი ხმალი ეჭირა. უეცრად ხმალი ზე აღმართა და იმის ნაცვლად, რომ თავი მოეკვეთა თავისი ტყვისათვის, ხმლის წვერით თოკები ჩაჭრა, რომლითაც ყმაწვილი ძელზე იყო მიბმული, და გაანთავისუფლა.

„წადი!“

დიდება გაშტერებული იდგა. სიკვდილს შეგუებულს, თითქოს არ უნდოდა დაეჯერებინა რაც ხდებოდა, რათა ხელმეორედ არ განეცადა მოსახდენისადმი თითქმის უკვე დაძლეული შიში. თათრებისაგან იგი მუხანათობის გარდა, არაფერს ელოდა.

„თავისუფალი ხარ!“ დაცინვით გაიმეორა მეთაურმა და თავის ხალხს მიუბრუნდა, „წავიდეს ეს გიაური და გაგებინოს გზას აცდენილ ურჯულოებს, რაც მოელით, თუ არ დაგემორჩილდებიან!“

დიდება მაინც არ იძვროდა. მაშინ თათრები ცხენებს მოახტნენ და აუწერელი წვიელ-ყვირილით დატოვეს იქურობა. ძელთან მდგარმა დიდებამაც ირწმუნა, რომ ცოცხალი და ჯანმრთელი ფალი იყო და ამჯერად ასცდა ბედის ლახვარი. მუხლებზე დაეცა და ატირდა. შემთხვევით, ეკლესიის ჯვარმოგლეჯილ გუმბათს ახედა. და თუმცა ირგვლივ ამდენი სისხლი იყო დაღვრილი და ამდენი გვამი ეყარა, უფალს მაინც მადლობა შესწირა გადარჩენისათვის.

მოყვასის სიკვდილი დიახაც მუდამ ამწუხრებს და აუბედურებს ადამიანს, მაგრამ სანამ კაცს სული უდგას, იგი ქვეშეცნეულად მუდამ მადლიერია განგებისა...

●

სიკვდილს გადარჩენილი დიდება დაქცეული მონასტრიდან შინ აღარ დაბრუნებულა. თათრებს შეგუებული ნათესავების არც ხილვა სურდა და არც დახმარება, მათი იმედი არ ჰქონდა და ამიტომ არ იცოდა, საით წასულიყო. სწორედ ამ დროს, სამრეკლოს ნანგრევებიდან იქ დამალული მოხუცი ბერი ანთიმოზი გამოძვრა. ეს ბერი ერისკაცობაში განთქმული კალატოზი და ხუროთმძღვარი იყო და მთელი ქვეყანა შემოვლილი ჰქონდა. მოხუცმა დიდება თან წაიყვანა და ერთ ნაყოფიერ, მაგრამ ყველასაგან მივიწყებულ, მიყრუებულ და გაჩანაგებულ ხეობაში მიიყვანა. ისინი აქ დასახლდნენ და ‘ყოველდღიური შრომით გაჰქონდათ თავი. სწორედ ანთიმოზ ბერმა შეასწავლა დიდებას კალატოზობა. ვიდრე იმ უკაცრიელ ხეობაში ცხოვრობდნენ, დიდებამ მდინარისპირა ველზე ერთი ბომბაცრო საყდარიც კი ააგო ანთიმოზ ბერის ხელმძღვანელობით და ლოცვა-კურთხევით გამხნევებულმა. მაგრამ როცა მოხუცი ბერი ანთიმოზი მიიცვალა, დიდებამ მიატოვა საკუთარი ხელით ნაგები ქოხი, საყდარი, მცირე ყანა, ფუტკარი და ქალაქის გზას დაადგა.

ქვეყანა წალეკილი იყო. სადაც თათრებს გაევლოთ, იქ ხე აღარ ხარობდა. ძლივს ჩაადწია დიდებამ ძირფესვიანად დანგრეულ ქალაქამდე, რომელიც მტერს

ეჭირა. თათრებს ქვა ქვაზე არ დაეტოვებინათ, მაგრამ მაინც უამრავი ხალხი აწყდებოდა აქაურობას: გაპარტახებული სოფლებიდან აყრილნი, უსახლკაროდ დარჩენილნი, ლუკმაპურისა და ბედის მაძიებელნი, სხვა ქვეყნებიდან მოდენილი ლტოლვილნი. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე დამშეული ბრბო დაწანწალებდა უპატრონო ქალაქის ქუჩებში და განსხვავებული მიზნებით და მისწრაფებებით შეპყრობილნი, ერთმანეთს ძარცავდნენ, ხოცავდნენ, არ ინდობდნენ. თუ ადგილობრივ მკვიდრთ ქალაქის აღდგენა სურდათ. უცხო ტომის ხალხს რაიმეს წაგლეჯისა და შვენის სურვილი ამოძრავებდა, და ერთ ხანს, ჩაშავებულ ნანგრევებს შორის ჩასახლებული ადამის ძენი ყველაფერს ანადგურებდნენ, არსებობისათვის იბრძოდნენ, შიმშილობდნენ, ირყვნებოდნენ და იყვნენ ასე.

იმავ ხანებში, თათრებმა მათ ჯარში ნამსახური ერთი აქაური კაცი მმართველად დანიშნეს და ფაშა დაარქვეს. ყველამ იცოდა, რა მმართველიც იყო ის, რა ძალა გააჩნდა და რის გაკეთება შეეძლო თავისი ქვეყნისათვის. მაგრამ ხალხი მაინც შინაურს უფრო ენდობოდა, ვიდრე უცხო მოხელეს, თუნდაც ეს შინაური დამპყრობლებს ემორჩილებოდეს და მხოლოდ მათ ბრძანებებს ასრულებდეს. ამიტომ, როცა ახალმა ხელმწიფემ თათრების განკარგულებით ციხე-გალავნის აღდგენა დაიწყო, ყველა ამ სამუშაოს მიაწყდა, რადგან ბევრს ეგონა, რომ ამ საქმეს თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ აკეთებდა და არა უცხო ჯარისათვის, რომელიც განახლებულ გალავანში უნდა ჩამდგარიყო, რათა მონობაში ჰყოლოდა დაპყრობილი ერი.

ქალაქში ჩამოსულმა დიდებამაც მიაშურა ამ სამუშაოს. თავდაპირველად, მასაც სურდა ქვეყნისთვის რაიმე სასიკეთო მოემოქმედნა, მაგრამ ქვეყანა ისე იყო წახდენილი და განადგურებული, რომ მის მკვიდრთ მხოლოდ ერთადერთი რამ აწუხებდათ: როგორმე თავი გაეტანათ. ეს არ იყო ადგილი საქმე. სწორედ ამიტომ ქურდობა, და ყველაფერი ეს „ქურდი“ „ვაჟკაცის“ შემცველი ცნება გახდა, ქურდობით თავიც კი მოსწონდათ. ყველანი ქურდობდნენ და ტაციაობდნენ. ღირსეული კაცები ისე იყვნენ შეშინებულნი თათრების თარეშით, რომ ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. ვინც ბედავდა, ის იღუპებოდა...

ასეთ ვითარებაში საზოგადო საქმეზე თუ გასაჭირზე ფიქრი უაზრობად ქცეულიყო და დიდებამაც ლუკმაპურზე იწყო ზრუნვა. იგი ციხე-გალავნის მშენებლობაზე დაიქირავეს და მალე გამოიჩინა თავი, როგორც მუყაითმა ოსტატმა. მუშაობაში საზრიანი და დაუზარელი გამოდგა ბევრი თავისი თვისტომისაგან განსხვავებით. წელში მოკაკული დაათრევდა მძიმე ლოდებს სულისშმეხუთველ აღმართზე, როცა ეს საჭირო იყო, ხოლო კედლები ისეთი სიზუსტით და სისწრაფით ამოჰყადა, რომ მალე გაითქვა სახელი, ვით ყველაზე უნარიანმა კალატოზმა. მოშურნეებიც მაშინ გაუჩნდნენ პირველად, მაგრამ ზოგიერთნი პატივს სცემდნენ და რჩევასაც კი ეკითხებოდნენ. დიდება არავის ეჯიბრებოდა და უპირისპირდებოდა. რამდენადაც მუშაობა უყვარდა, იმდენადვე სძულდა ტრაბახი და თავის მოწონება. იყო თავისთვის, თავისი საქმით გატაცებული.

სწორედ მაშინ წაადგა პირველად ნასყიდა-ეფენდის, თხის ტყავებში გახვეულს, ახლად ამოყვანილ გალავნის კედლებზე რომ ადამებდა და ათვლებდა დღემოდამ. ამით ისე განსხვავდებოდა სხვა ზედამხედველებისაგან, რომ ხალხმა მეისვე შეამჩნია და გამოარჩია. ახალი ჩამოსული იყო თავისი მიყრუებული სოფლიდან და ეს ნამწყემსარი, რომელსაც მშენებლობისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, უდიდეს გულმოდგინებას იჩენდა, არიგებდა კალატოზებს და ხუოროთმძღვრებსაც კი, უთითებდა, ასწავლიდა, როგორ ემუშავათ. ზედამხედველის თანამდებობა ამის

უფლებას აძლევდა და მასაც თავის გამოჩენა სწყუროდა, რათა გაემართლებინა მისი აქ დამნიშვნელი სანჯაყბეგის ნდობა. იგი ეუბნით და შურით შესცქეროდა მედრესედამთავრებულ მოულაზიმებს, თუმცა თვითონ იმათზე დიდი ადგილი ეკავა და მეტი პატივი ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ პირველ ხანებში ისინი მაინც აღიზიანებდნენ მას, რადგან შარიათის ბევრი ისეთი კანონი იცოდნენ, რომელზედაც ნასყიდა-ეფენდის წარმოდგენა არა ჰქონდა. როცა ფეხი მყარად მოიკიდა, ეს შური გაუქრა, მაგრამ ახლა ზიზღით და დაცინვით ეპყრობოდა განათლებულ ხალხს, რადგან იმათ არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდათ. მხოლოდ ძალაუფლების მქონენი იყვნენ ღირსნი ყურადღებისა მის თვალში და იღეწოდა იგი ძალაუფლებისათვის, თავს არ იზოგავდა, არც სხვებს ზოგავდა, მუშებს აქეზებდა, ძალას ატანდა, რომ სამუშაო კარგად შესრულებულიყო და უფროსებს შეემჩნიათ ნასყიდას თავგამოდება. დაუღალავი, მონდომებული, საქმის ერთგული და დაუნდობელი აღმსრულებლის თვისებები გამოავლინა ზედამხედველად ყოფნისას. თუ ვინმეს ზარმაცობას შეამჩნევდა, სასტიკად უსწორდებოდა. ზოგჯერ საკუთარი ხელითაც კი როზგავდა დადანაშაულებულ მონას ან მუშას. შეიძლება, მალულ ინტერესს ეღვიძებდა კაცის წვალება, როგორც ბალღობაში თხების დაკვლა. ზოგჯერ თათრების სამართალში აძლევდა დამნაშავეს, ხოლო თათრების სამართალი ყველამ კარგად იცოდა, რაც იყო. ისინი ცოცხლად ტყავს აძრობდნენ ადამიანს. ნასყიდასი ეშინოდათ. უკვე მაშინვე ჩანდა, რომ ეს კაცი შორს წავიდოდა თათრების სამსახურში. წავიდა კიდეც. მაგრამ მანამდე ბევრი ბრძოლა გადაატანა აშკარა თუ ფარული. ფაშას გარემოცვაშიც კი იყო ხალხი, რომელთაც სასტიკად აღიზიანებდათ ნასყიდას თავგამოდება და გულმოდგინება, მისი სიმკაცრე, საწყალი ხალხის მიმართ. რომ იჩენდა და წესრიგის სიყვარულიც ამა-ტაცებდნენ, ნასყიდა განდიდებასაც მიისწრაფვისო და არ სწამდათ მისი გულწრფელობა და სამართლისმოყვარეობა. ისინი ანგარიშს არ უწევდნენ იმ გარემოებას, რომ ნასყიდას მართლად ის მიაჩნდა, ვისაც ძალა ჰქონდა და თვითონაც ძალიან უნდოდა დაწინაურება, ძალაუფლების მოპოვება, სხვათა ზემოთ დგომა. ამიტომ შოლტავდა და აწამებდა მოზზიზენე მუშებს, მეტისმეტად დაზვინულ ჯალამბრებს რომ ჩასჯიდებოდნენ გაწამებულნი. ყველას შიშის ზარს სცემდა, ქალაქის კედელთან გამართულ ალაჩოყებთან რომ ჩამოივლიდა მედიდური ნაბიჯით, მონები და დაქირავებული მუშები თვალს არიდებდნენ. სადაც ნასყიდა გამოჩნდებოდა, იქ მუშაობა არ ფერხდებოდა. მონებისა და ტყვეების გარდა, ყველანი რაღაც გასამჯელოს იღებდნენ და აასებობდნენ ძაღლუმადურად. დინარი, დირჰემი, ახჩა და ფლური გაუფასურებულიყო, ფარას ძალა დაკარგული ჰქონდა, და ცოტას თუ არ წაიქურდებდი, ან რამეს არ იმარჯვებდი, ისე თავს ვერ გაიტანდი, მაგრამ გულხელდაკრეფილი ჯდომაც ხომ არ შეიძლებოდა? ქალაქის მოსახლეობას რომ ამ ციხის აღდგენაზე არ ემუშავა, შიმშილით ამოწყდებოდა და ესეც რომ არ ყოფილიყო, უგალავნო ქალაქი ვერ იარსებებდა.

აქედან ჩანს, რომ რაღაც აზრი მაინც ჰქონდა ნასყიდა-ეფენდისა და მისთანების საქმიანობას ქვეყნისათვის, თუმცა ისინი თათრების კაცები იყვნენ...

დიდება ამჩნევდა ნასყიდას და ერიდებოდა.

მონებს შორის ერთი გაძვალტყავებული მოხუცი ერია. დიდი ხნის წინათ ჩავარდნოდა თათრებს ტყვედ, როგორღაც ამ ქალაქში მოხვედრილიყო და ახლა აქ გალავნის აგებაზე ამუშავებდნენ. ამბობდნენ, მადიართა ქვეყნიდან არისო. ისე იყო გამხდარი, მკლავებზე ძა-

რღვები დაჭიმული სიმებივით ასხდა. თავაზიანი ღიმილი სახიდან თითქმის არასოდეს შორდებოდა, ეტყობოდა, შეჩვეული იყო გასაჭირის მოთმინებით ატანას. სხვაზე ნაკლებად არ შრომობდა. მშენებლობის საქმეში კარგად ერკვეოდა, ხან ხსნარს აზავებდა, ხან აგურს ალაგებდა, ხან ხარაჩო ამოჭაყადა. დიდებას უყვარდა ეს მოხუცი. ისიც კეთილად ეპყრობოდა ყმაწვილს და ზოგ რამეს ასწავლიდა.

ერთხელ, როცა გაუსაძლისი სიცხეები დაიჭირა, მოხუცს თავბრუ დაეხვა, ხარაჩოდან ჩამოვარდა და გონმინა დაკარგა. მუშებმა მაშინვე თავი მიანებეს საქმეს და შემოეხვივნენ, რადგან ყველას უყვარდა ეს ადამიანი. ერთმა წყალი მოუტრბენინა, მეორემ — ძმარი. როგორც იქნა, მოასულიერეს, წამოაყენეს და ლოდზე ჩამოსვეს. სანამ მოხუცი სულს ითქვამდა, ამხანაგები თავზე ადგნენ და ამხნევებდნენ, გულს უკეთებდნენ. ამ დროს ნასყიდა-ეფენდიმ ჩამოიარა და უქმად მდგარ ჯგროს აუყვირდა, შეუტია და გარეკა. აბუზღუნებული მუშები უხალისოდ დაიშალნენ, მხოლოდ ლოდზე ჩამომჯდარი მოხუცი არ იძვროდა ადგილიდან. ნასყიდამ რომ ეს დაინახა, ბრაზისაგან აცახცახდა და გამეტებით დასცხო შოლტი. სისხლმა იფეთქა მთარახის ზოლებით დასერილი სხეულიდან. მოხუცმა სახეზე ხელები აიფარა და წაიქცა. შორიახლო მდგარი დიდება ადგილს მოსწყდა, მოხუცს გადაეფარა და საკუთარი ტანი შეუშვირა წვიფლით წამოსულ მთარახის წნულს.

მერე რა მოხდა, დიდებას არ ახსოვდა...

გონს რომ მოვიდა, თეთრად შეფეთქილ ოთახში იწვა. კედელზე ხის პატარა ჯვარი ეკიდა, რომელზედაც მაცხოვარი იყო გაკრული. დიდება წამოიწია, რათა გაეგო, სად იმყოფებოდა, მაგრამ დასერილი სხეული მწვავედ ასტკივდა და ისევ დაეცა საწოლზე. მხოლოდ ახლა აგრძნო, რომ მალამოებით გაფენილი ჭინჭებში იყო გახვეული. ამ დროს კარი გაიღო, ოთახში წვერგაპარსული ბერი შემოვიდა და დაამშვიდა.

„ნუ გეშინია, კათოლიკე ბერეგის მისიაში ხარ, არაფერი გიშავს“.

დიდებამ იცნო ბერი. ეს იყო რომაელი მისიონერი, რომელსაც მამა იოანეს ეძახდნენ. მან უამრავი ენა იცოდა და ამ ქალაქში მცხოვრებ სხვადასხვა ტომის ხალხს, ყველას თავიანთ ენაზე ელაპარაკებოდა. მთელი ქალაქი იცნობდა, როგორც კარგ მკურნალს და მწიგნობარს, გაჭირვებულთა შემწყალეს და დამრიგებელს.

„საიდან მოგხვდი აქ, მამა იოანე?“

„ბედმა თუ უბედობამ მოგიყვანა!“ გაიღიმა ბერმა.

დიდება დამშვიდდა და ისევ დაიძინა.

ასე დარჩა იგი კათოლიკე ბერეგის მისიაში. მამა იოანემ უმკურნალა და მალე ფეხზე წამოაყენა. მაგრამ გამოჯამრთელებულმა დიდებამ აღარ ისურვა ძველ სამუშაოზე დაბრუნება, ციხისკენ გახედვაც კი არ უნდოდა და სთხოვა მამა იოანეს მისიაში დაეტოვებინა. ბერი დათანხმდა და დარჩა დიდება საცხოვრებლად აქ. იგი ერთგულად ემსახურებოდა მამა იოანეს და თავისუფალ დროს, ისიც ცდილობდა ნიჭიერი და შრომისმოყვარე ჭაბუკის განსწავლას. სახარებას უკითხავდა, ასწავლიდა ენებს, უყვებოდა იმ ქვეყნების ამბებს, რომელიც მას მოეკლო. მამა იოანეს მრავალი ქვეყანა და ღირსშესანშნაობანი ჭქონდა ნანახი. სად აღარ იყო ნამყოფი, იერუსალიმში მაცხოვრის საფლავთან ულოცია, ეგვიპტეში ყოფნისას, ხეოფსის პირამიდის ჩრდილში მდგარა, ათენის პართენონის მარმარილოს კაკვეთილ ფილაქნებზე დაუდგამს ფეხი, კონსტანტინეპოლის ჯვარმოგლეჯილ დიდებულ ტაძართან მალულად პირჯვარი გადაუწერია...

მამა იოანე აიღებდა ხოლმე დაფას და უხატავდა იმ საოცარ ნაგებობებს, რომელთა სადარი დედამიწის ზურგზე არ ეგულებოდა. თანდათან ხუროთმოძღვრების ანი და ბანიც ათთვისებინა და ვინაიდან ყმაწვილს განსაკუთრებული

ნიჯი შეამჩნია, დაუზარგბლად ასწავლიდა ყველაფერს, რაც იცოდა და რაზედაც ხელი მიუწვდებოდა. მალე დიდება კარგი მოქანდაკე და მხატვარი დადგა მის ხელში, მაგრამ ჭეშმარიტ ხელოვნებას ამ ჩამორჩენილ ქვეყანაში გასავალი არ ჰქონდა, და მამა იოანე, რომელიც დაუშრეტელი ცნობისწადილით შეპყრობილი ყმაწვილის მოძღვარი გახდა, მიხვდა, რომ ამ ხელობით მისი მოწაფე თავს ვერ გაიტანდა და ურჩია მას ხუროთმოძღვრის გზას დასდგომოდა, მეტადრე კალატოზის ხელობას სრულყოფილად იყო დაუფლებული. ეს არ იყო ადვილი საქმე. ყველაფერი თათრებისთვის შენდებოდა, დიდებას კი არ უნდოდა თათრებთან სამსახური.

მიუხედავად ამისა, ხუროთმოძღვრის ხელობა გულდასმით შეისწავლა. სწორედ ამ დროს, თათრებმა სამლოცველოების აგება აკრძალეს. საცხოვრებელი სახლის ყიდვისა და აშენების შესაძლებლობა ცოტა ვინმეს თუ გააჩნდა. ქალაქის ღარიბი მოსახლეობა მიწურებში და უბადრუკ ქოხმახებში შეყუჟულიყო. მაგრამ ქალაქი მაინც შენდებოდა, ახალ-ახალი შენობები ემატებოდა, თუმცა სინამდვილეში იქცეოდა, იღუპებოდა, რადგან ხალხის გარყვნასა და გადაგვარებას ბოლო არ უჩანდა. რად გინდა სახლი, ქვითა და დუღაბით ნაგები უსულო ქმნილება, თუკი ცოცხალი ბინადარი ამ სახლისა არ გივარგა?

დიდებამ რა იცოდა, რა ექნა. ძალა კი შესწევდა ქადილისა, მაგრამ ისეთი დრო დამდგარიყო, ადამიანის უნარსა და ცოდნას არავითარი გასაქანი არა ჰქონდა. ბედად, კათოლიკეთა მისიამ ქალაქში ლაზარეთის აგების ნებართვა მიიღო ქალაქის ვალისაგან და პატრი იოანეს მითითებით და შუამდგომლობით, ეს საქმე დიდებას დაავალეს.

დიდება დიდი გულმოდგინებით შეუდგა მუშაობას. მართალია, ხუროთმოძღვრებაში არ ჰქონდა საკმაო გამოცდილება, მაგრამ იმდენად სვებედნიერი გამოდგა, რომ არასრულყოფილი ცოდნა, რაც პატრი იოანეს საშუალებით შეიძინა, განგებისგან ბოძებულად ეფასებინა, გაალრმავა და სულ მალე შესანიშნავ ოსტატად გამოამჟღავნა თავი. მშვენიერი ლაზარეთი ააგო, ნათელი, ფართო და მოხერხებული. ავადმყოფები და მკურნალები ლოცავდნენ ამ შენობის ამგებს, ხოლო ხუროთმოძღვრები თავშეკავებული დუმილით ათვალიერებდნენ აქამდე უცნობი ოსტატის ნამუშევარს. აშკარა იყო, ამ კაცს ბევრი რამ შეეძლო, და, მართლაც, სულ მალე დიდებამ კიდევ რამდენიმე მშვენიერი შენობით დაამშვენა ქალაქი, სადა და მოხერხებულ ლაზარეთს მრგვალთაღიანი ჭრელი აბანო და ორსართულიანი ლამაზი ქარგასლა მიუმატა. თანდათან წარჩინებული ხალხიც გაიცნო, უფრო სწორად, იმ წარჩინებულებმა შეიტყვეს მისი არსებობა და ერთ მშვენიერ დღეს, ქალაქის ყადმა სასამართლოს შენობის დაგეგმვა და აგება თხოვა, მაგრამ დიდებამ უარი შეუთვალა. თავიდანვე გადაწყეტილი ჰქონდა ციხეების და დილეგების შენებაში არასოდეს მიეღო მონაწილეობა. ამ უარმა ძალიან გაუფუჭა საქმე. წარჩინებულმა კაცებმა ალმაცერად დაუწყეს ცქერა. ამას ისიც დაერთო, რომ ამ დროისათვის დიდებამ იმ გზების ძიებაზე დაიწყო ფიქრი, რომელიც სამარცხვინო მონობიდან გამოიყვანდა მის ერს, თუმცა ხალხი შეჩვეოდა მონობას და ვერც კი წარმოედგინა უთათრებოდ ცხოვრება, იმდენად შესისხლხორცებოდნენ თათრულ ყოფას. ბევრნი იყვნენ ისეთები, სიტყვით სამშობლოს სიყვარულს რომ ირწმუნებოდნენ, მაგრამ ამას თათრების ერთგული სამსახურთან ათავსებდნენ, თითქოს შესაძლებელი იყოს, ორ ბატონს ერთდროულად ემსახურო. ან ერთი უნდა გძულდეს და მეორე გიყვარდეს, ან იმ ერთს უნდა შეეთვისო და მეორე დაამცირო.

„ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონსაც!“ აფრთხილებდა მათ დიდება მაცხოვრის სიტყვებით, მაგრამ ეს ესმოდათ ვერცხლის მოყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ ფარისევლებს და დასცინოდნენ მას.

დიდება ხედავდა, რომ იყვნენ ადამიანები, რომელთაც გულწრფელად აწუხებდათ სამშობლოს სავალალო ხვედრი, მაგრამ ვერავითარ გზას ვერ ხედავდნენ ამ ვითარებიდან თავის დაღწევისა.

ცხადი იყო, აშკარა ბრძოლით თთრებს ვერ დაამარცხებდი და მონობის უღელს თავიდან ვერ მოიშორებდი, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მტრის გამწარება წვრილმანი შეტაკებებით? არ უნდა მიგეცა მათთვის ფეხის მოკიდების და დამშვიდების საშუალება, აუცილებელი იყო მტრის განუწყვეტელი შეწუხება, მათთვის ამ მიწაზე დამკვიდრების გაძნელება, შიშის თავს მოხვევა, უნდობლობის დათესვა, რათა თათრებს, მუდმივი დაძაბულობით გულგაწყალებულთ, შინაგანად, სულიერად მაინც ვერ დაემორჩილებინათ ეს ქვეყანა, რომელიც ამისათვის მტკიცედ უნდა შეკავშირებულიყო ერთი მიზნის ქვეშ, უნდა გაერთიანებულიყო ერთი სწრაფვით ანთებული და ფარული ბრძოლა გამიეცხადებინა თათრებისათვის ყოველი ფეხის ნაბიჯზე, მიწის ყოველ მტკაველზე, ყოველ წუთს და ყოველ წამს. წინააღმდეგ შემოხვევაში, ქვეყანა გათათრდებოდა და გადაგვარდებოდა. მაგრამ არ ჩანდა, რომ ამ მაღალ შეგნებამდე და გადაწყვეტილებამდე იყო მისული უმეცარი ერი. პირიქით, ქვეყანა შორს იყო ამისგან, ბევრნი საკუთარ შვილებს ყიდდნენ მონათა ბაზარზე, საიდანაც მერე ისინი იანიჩართა ჯარში მიდიოდნენ, რომელიც მათ მშობელ ქვეყანას ანადგურებდა. დროის სულისკვეთება მძლავრად დაძრული მეწყერივით მიაქანებდა ერს გადაგვარების უფსკრულში. ვის შეეძლო ამ ზვავის შეჩერება? ისევ განგებას! მაგრამ როგორ, რა სახით? დიდება ვერ ხედავდა ძალას, ქვეყანას რომ შემოაბრუნებდა ახალ გზაზე, წაღმა შემოატრიალებდა უკუღმა დატრიალებულ ბედის ჩარხს. გულგატეხილი და შეურიგებელი ამაოდ ეძებდა თანამოაზრეთ. ამ გულგაცივებულ და უმოძრაო ულაბნოში. სწორედ ამ დროს გაიცნო ნიკიფორე ბერი.

ეს მოხდა მამა იოანეს სიკვდილის წინ.

მისია კარგა ხანია გაუჭმეს, ბერები სამშობლოში დაბრუნდნენ, მხოლოდ მოხუცი და უთვისტომო მამა იოანე დარჩა თავის პატარა ქოხში, ამ უბედურ ხალხს უცნაურად შეთვისებული და მიჯაჭვული. იმათი ჭირი ჭირად აჩნდა გულს და იმათ სიხარულსაც ხალისით იზიარებდა.

„იმიტომ ხდება თქვენში ამდენი უაზრობა, რომ უაზროდ და უმიზნოდ ცხოვრობთ. ღმერთი ნუ დაივიწყეთ. ვინც ღმერთს ზურგს შეაქცევს, იმას ღმერთი სჯის! ასწიეთ თავი მაღლა, მხოლოდ საკუთარ თავზე ნუ ზრუნავთ ცხოველებივით. გონს მოდით“!

მოუწოდებდა მამა იოანე თავის მცირერიცხოვან მრევლს, მაგრამ ვინ უგდებდა ყურს მის ქადაგებას?! ცოცხლელებით შეპყობილი ლოგინად რომ ჩავარდა, კაცი არ დარჩა მისი მომკითხავი. მხოლოდ დიდება პატრონობდა ავადმყოფს, ყოველ საღამოს ნახულობდა და ერთხელაც, შინ რომ ეწვია, იქ ვიღაც შავგვრემანი კაცი დახვდა, ყორნისფერი თმა-წვერი მთელ სახეს რომ უფარავდა და საშიშ იერს ანიჭებდა. იგი შავ ჰალეკარტში იყო გახვეული, წელზე თოკი ჰქონდა შემოჭერილი და დაჩქლეთილი ფეხისგულები მოუჩანდა. ამ კაცს დიდება არ იცნობდა, არასოდეს ენახა იგი. ლოგინად ჩავარდნილ მამა იოანეს ერთი ლატაკი დედაკაცი უვლიდა, რომელსაც დიდება გასამრჯელოს უხდიდა, და ამიტომ, იმ საღამოს, ძალიან გაუკვირდა ქოხში უცხო ადამიანი რომ დახვდა.

„ესეც ჩემი ნამოწაფარია, ამასაც ქვეყნის შველა სურს“, უთხრა მამა იოანემ. ნიკიფორე ბერი საიდანღაც, შორიდან ჩამოსულიყო ქალაქში.

„იარაღის შოვნას აპირებთ?“ ჰკითხა დიდებამ უცნობს.

იარაღით ბრძოლას ახლა არავითარი აზრი არა აქვს, — ბოხი ხმით თქვა მან — მე ერთი განადგურებული მონასტრის განძი ჩამივარდა ხელში. მინდა ქალაქის განაპირას ახალი მონასტერი ავაგო!“

„ვინ მოგცემს მაგის უფლებას?“ გაეცინა დიდებას.

„ფადიშაჰის კარზე გადატრიალება მოხდა. სანამ თათრები ჩვენთვის მოიცლიან, უნდა ვისარგებლოთ ხელსაყრელი ვითარებით“.

„მერე?“

„სწორედ მონასტერია ახლა საჭირო. ერს სული უნდა შთავბეროთ, უნდა დავუბრუნოთ რწმენა ღვთისა, უნდა გავანათლოთ“.

„ვითომ ივლიან მონასტერში?“

„როგორ არ ივლიან?! შენ გგონია, ერს სიმართლე არა სწყურია? არავინაა მართლის მთქმელი, თორემ ასეთი კაცი თუ გამოჩნდა, ყურს დაუგდებენ და გაჰყვებიან...“

„არა მგონია“.

„არ დაიჯერო! პატივს სცემენ, იწამებენ...“

დიდება უსმენდა ნიკიფორე ბერს და კარის ღობიდან გასცქეროდა მეწამული ღრუბლების იქით ჩაწურულ მზეს. ქვემოთ მოჩანდა ღვართქაფებისაგან ჩამომზღვლეულ ფლატეებს შორის ჩავარდნილი ქალაქი. ფარეხებში ცხვარი ეყარა. ბომბორა ძაღლები ჩახლეჩილი ხმით ყეფდნენ. მიწიდან ამოხეთქილი ცხელი წყაროებით აორთქლილ ღელეში ნახევრად გაშიშვლებული დედაკაცები სარეცხს რეცხავდნენ. სერზე ალვის ხეები შრიალებდნენ. ცხოვრება მიედინებოდა, ხალხი შრომობდა, ჭამდა, სვამდა, ძინებდა. მეტი რა იყო საჭირო? იქნება, ის, რაც ერთიულებს სწადიათ, სულაც არ არის მისაღები ბრბოსათვის?

„შენ უნდა ააგო ეს მონასტერი. შენს გარდა, ამას კაცი ვერ შეძლებს. მხოლოდ შენ ძალგიძს უანგაროდ მოჰკიდო ამ საქმეს ხელი. ამის გაკეთება აუცილებელია. მამა იოანეს ამ საქმის შემსრულებელი შენს გარდა სხვა არა ვინ ეგულება“. დაკინებით უმეორებდა ნიკიფორე ბერი ერთსა და იმავეს და ბოლოს დიდება დათანხმდა, ირწმუნა, რომ ამ საქმის შესრულება შეიძლებოდა. ეს ისედაც მისი ოცნება გახლდათ, ოცნება, რომლის განხორციელების იმედი თითქმის დაკარგული ჰქონდა. შავი დღისთვის დადანახული ფული ნიკიფორეს განძს დაუმატა და სამ წელიწადში ეკლესია ააგო.

მაგრამ რაოდენი სიმწარე შეხვდა? რამდენჯერ აგინეს, ლანძღეს, თათხეს. ვინ არ უშლიდა ხელს, ვინ არ ერეოდა მის საქმეში. ისეთი ხალხიც კი გამოთქვამდა თავის აზრს, ეკლესიაში რომ არასოდეს ყოფილა. ბევრს მამულიშვილს საჭიროდ არ მიაჩნდა ეკლესიის აგება, რაცა გვაქვს, იმისთვის ვერ მოგვივლიაო, ბევრს ეშინოდა თათრებს გავალიზიანებთო, ბევრი კი უსაგნო ყბედობით თავს ირთობდა, რადგან სხვა გასართობი ამ გაერანებულ ქვეყანაში არ იყო. სხვის გაქირდვაში გაწაფულ ხალხს საკუთარი თავი უცოდველი კრავი ეგონა და ათასგვარ შარს სდებდნენ, ათასნაირ მიზეზს იგონებდნენ, რათა როგორმე ხელი შეეშალათ; თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ საქმეს თანაუგრძნობდნენ, მაგრამ რატომღაც ვითარება იმგვარად იყო აწყობილი ამ ქვეყანაში, რომ კეთილი საქმის მხარდამჭერნი ყოველთვის მარცხდებოდნენ, ხოლო უგნურობის მომხრენი ყოველთვის იმარჯვებდნენ.

დიდება მაინც თავაუღებლივ შრომობდა, დღე და ღამე ხარაჩოზე ატარებდა, მიწყივ მშენებლობაზე დაქირავებულ მუშებსა და ხელოსნებს შორის ტრიალებდა, აქ ცხოვრობდა, აქ ათევდა ღამეს, ჯერ დაუმთავრებელ სამრეკლოს კიბის ქვეშ გაშლილ თივაში იძინებდა, აქ ათენებდა და აქ აღამებდა, ერთხელაც არ ჩასულა ქალაქში გასართობად, თავშესაქცევად, ერთფეროვან შრომაში გადიოდნენ დღეები, თვეები, წლები,

მაგრამ ვინ რა დაუფასა? მშენებლობა რომ დამთავრდა და ეკლესიის სანახაოდ ხალხი მოგროვდა, დიდება იდგა მათ შორის თავშიშველი და ჩამოფლეთილი, ისეთივე ღატაკი და მიუსაფარი, როგორც შორეულ სიყრმეში, გადაბუგული მონასტრიდან გამოქცეულმა პირველად რომ მოაშურა ქალაქს. ახლა თანამგრძნობიც აღარავინ ჰყავდა, პატრი იოანე კარგა ხანია მოკვდა და მისი ღარიბული მიწური ნიკიფორე ბერმა დაიკავა. ლურჯი ეკლესიის ამგებ დიდებას არც სახლი გააჩნდა, არც სახელი, არც სახსარი, მაგრამ იგი მაინც უბედნიერესი კაცი იყო ეკლესიის ირგვლივ შეგროვილ ადამიანთა შორის. სწორედ ამიტომ იღიმებოდა მარტოდმარტო მდგარი, განთავისუფლებული, უდარდო.

იმ ღამეს, შინ რომ ბრუნდებოდა, ვიღაცებმა დაიჭირეს, სცემეს, თავზე ლაფი დაასხეს, მერე აშმორებულ გუბეში ჩააგდეს, ეს რა აგიშენებია, აღარ დაგინახოთ ჩვენს ქალაქში, თორემ მოგკლავთო. ძლივსძლივობით ამოძვრა ლაფდასხმული ხუროთმოძღვარი წუმპედან, ტალახიანი გუბე გამოარღვია და ქალაქიდან გადაიხვეწა.

... ახლა კი მეჩეთს აგებდნენ და ხმას არავინ იღებდა.

●

ეკლესიას უკანა მხრიდან ხეხილის ბაღი ეკრა. ეს ბაღი ბერებმა გააშენეს დიდებას შედგენილ გეგმისამებრ. ხეები გაიზარდნენ, დამშვენდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მოუვლელობისგან გაველურდა ტყერი. ტყეს შეერია აჭაურობა. მონასტერს შეფარებულმა დიდებამ კარგა ხანია შეამჩნია, რომ ამ ტყეში ხშირად იკრიბებოდნენ ვიღაც ჯაბუკები, რომელიმე ხის ძირში სხდებოდნენ და დიდხანს რაღაცაზე ბჭობდნენ. ზოგჯერ მათ ქალებიც ახლდნენ.

დიდებამ არ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი. სალაღობოდ რომ არ მოდიოდნენ აქ, ეს კი ცხადი იყო. უმეტესწილად ჩუმად საუბრობდნენ ხოლმე..

დიდებას გული მიუწევდა მათკენ. მაგრამ როგორ გამოლაპარაკებოდა უცნობებს, ან როგორ ჩარეულიყო იმათ ბაასში?

ბოლო დროს საქმე ცუდად მიუდიოდა. სამიკიტნოში, ჯალათთან საუბრის შემდეგ, ახლოს არავინ იკარებდა. აღარც სამუშაოს აძლევდნენ, აღარც თარჯიმნად აჰყავდათ. ზოგჯერ ენის უცოდინარს იხმარებდნენ და გასამრჯელოსაც უხდიდნენ, დიდებას კი ზედაც არავინ უყურებდა. სულ დაეშვა და დაჩაჩანაგდა. მთელი დღე უქმად დაწანწალებდა ქალაქის ქუჩებში და თათრებს აგინებდა. ერთ ღამეს, როცა მშიერი და გამწარებული მონასტერში დაბრუნდა, კიბის ქვეშ ღამის გასათევად აღარ შეუშვეს. დიდება გაცოფდა, ყვირილი ატეხა, მაგრამ არაფერმა გაჭრა, ბრძანებაა ასეთიო, თავის მხრივ აღრიალდა დარაჯიც.

„რის ბრძანება, რა ბრძანება, ამ ეკლესიის აგებას მთელი ჩემი ჯანი და ქონება შევალიე, ეხლა ღამეს აღარ მათევინებთ?!"

„მე არ ვიცი, შენ ვის რა შეალიე, განკარგულება მოვიდა, მონასტრებში ღამის თევა აიკრძალოსო!..."

„როდის მოვიდა ეგ განკარგულება?"

„დღესა!"

„მერე მამა ნიკიფორემ რა თქვა?"

„რა უნდა ეთქვა? ბრძანება-ბრძანებაა!"

კარგა ხნის ყაყანის შემდეგ, დიდება ლანძღვა-გინებით გაეცალა ეკლესიას. გაგულისებული ტყეში შევიდა. ბოლმა აბრჩობდა, სულს ძლივს ითქვამდა. უცებ მიხვდა, მარტო ის კი არ აღიზიანებდა და აღშფოთებდა, რაც ამ წუთში მოხდა, არამედ ყველაფერი ის, რაც ამ მომენტს წინ უძღოდა. ათასი დამცირება, ათასი მარცხი. მთელი ტანი უცახცახებდა, მაგრამ ტყის მყუდროება უნებურად აწყნარებდა, თითქოს ნელ-ნელა შორდებოდა ყოველდღიურობის სიწვრილმანეს. რაც უფრო ღრმად შე-

ბურაბ გეგეშიძე
დიდება

დიოდა ტყეში, მით უფრო გრძნობდა, რომ სულ სხვა აუცილებლობას უნდა დამორჩილებოდა, ვიდრე იმ ვნებებს, აგრერიგად რომ ზეობდა ერთად შეგროვილ ადამიანთა მრეველში. დრო იყო, სულზე ეზრუნა და უზენაესისაკენ მიემართა მზერა, მაგრამ ისეთი ხელობა ჰქონდა, რომ ხალხს ვერასოდეს მოსწყდებოდა, ჭეშმარიტებას უცხო წიაღში ვერ დაუწყებდა ძებნას. ისევ აფორიაქდა და უცებ, ზურგს უკან ფაჩუნი გაიგონა. თითქოს ვიღაც ფეხაკრეფით მიიპარებოდა სადღაც და შემთხვევით წკნელი გადაუტყდა ფეხქვეშ. სწრაფად მოაბრუნა თავი და თვალი მოჰკრა მოჩვენებას, ხეებს შორის რომ მიციმციმებდა გამჭვირვალე ნისლივით. მშვენიერი ქალის სხეულს ჰგავდა თვალწინ გაელვებული ლანდი და უზომო ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი დიდება უკან მიჰყვა უჩუმარ აჩრდილს. უცნაურმა სირბილემ ერეოლად დაუარა ტანში, სასურველ ქალს ის არასოდეს შეხებია და დალაპარაკება, არასოდეს განუცდია ის ნეტარება, მშვენიერ ასულთან ურთიერთობას რომ მოსდევს. მხოლოდ იაფფასიან მეძავებს იცნობდა. ისე გაიყვანა წუთისოფელი, რომ ქვებისა და აზელილი თიხის ცქერით ამოიღამა თვალები. მეტი მან არაფერი იცოდა და ახლა თითქოს დაკარგულის ანაზღაურება სწყურიოო, აღარ დაგიდევდათ ვინ იყო ეს ტყის ბინადარი, ალი თუ ხორცშესხმული არსება, დაუფიქრებლად მისდევდა მის კვალს იდუმალად მიჩუმებულ ტყეში, ვიდრე ლანდმა ბებერი მუხის ძირას დანთებულ კოცონთან არ მიიყვანა, რომლის ირგვლივ ტყავებში გახვეული ახალგაზრდები ისხდნენ. ერთ-ერთი წამოდგა, კოცონს ფიჩხი დაუმატა და ოქროსფერი ნაპერწკლები ურიცხვი ციცინთელებივით აფრინდნენ ცაში.

დიდება შედგა, ხეს ამოეფარა. ვინ იყო ეს ხალხი? ისინი ადრეც ჰყავდა შემჩნეული, მაგრამ ღამღამობითაც თუ იკრიბებოდნენ, ეს აღარ იცოდა. რატომ ჰქონდათ ამორჩეული ეს ადგილი?

ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ცეცხლის ტკაცუნი ახშობდა სიტყვებს. მაგრამ ამკარა იყო, რაღაცისათვის ემზადებოდნენ, რაღაცას აპირებდნენ საიდუმლოდ. ბოლოს დიდება მიხვდა, ფადიშაის დიდვეზირს უნდა დასხმოდნენ თავს, როცა ის ამ ქალაქში შემოივლიდა ბაღდადის გზაზე დამდგარი, და მასთან ერთად, მისი მხლებლები უნდა ამოეხოცათ.

„ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლის და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მმართველობათა წინააღმდეგ, ხელისუფლების წინააღმდეგ, ამ წუთისოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისკვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ!“

„უმჯობესია, მოკვდეს ერთი ადამიანი ხალხისთვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს!“

ეს ახალგაზრდები წმინდა სახარების სიტყვებით ლაპარაკობდნენ და დიდება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ისინი აჯანყებას აპირებდნენ. როცა წარმოიდგინა თათრების ძლევამოსილება და დაუნდობლობა, გააოცა ამამთა დაუფიქრებელმა თავგანწირვამ, თუმცა მყისვე მოაგონდა ის დრო, როცა თვითონაც შესაძლებლად მიაჩნდა თათრებთან ბრძოლა, ლურჯი მონასტრის აგების შემდეგ ქალაქიდან გადახვეწილმა ისევ თავის შშობლიურ მთებს რომ მიაშურა, სადაც გულთბილად მიიღეს დაკარგული ძე შეცთომილი, უძღები შვილი. დაატრეს, დაასვენეს, მერე ცხვრის ფარა მიანდეს მოსამწყესავად.

მთა-ბარი შემოიარა და გაეცნო ხალხის მდგომარეობას. ყველგან სიღარიბე და უმეცრება ნახა გამეფებული. თათრებს მოლად წაელეკათ და დაექციათ ქვეყანა, და დიდება, იალაღიდან იალაღზე რომ მიერეკებოდა ფარას, თითქოს თეთრად აქოჩრილი ხუჭუჭა ტალღა მიგორავდა მის წინ, — მიყრუებული სოფლებისა და მოზრდილი დაბების

მცხოვრებთა წეს-ჩვეულებებს ეცნობოდა და უკვირდა ამ ხალხის მოთხოვნილებათა სიმდაბლე და წარმოდგენათა სიმწირე. თათრობით შეწუხებული ერი გრძნობდა, რომ საქმე უკან მიუდიოდა, მაგრამ არავინ ცდილობდა გამოსავლის პოვნას, რადგან იმედი გადაწურული ჰქონდათ და ხელი ჩაქნეული. მაშინ დიდებამ ქადაგება დაიწყო. დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას ყველას მოუწოდებდა წინააღმდეგობა გაეწიათ მტრისათვის, არ მიეღოთ თათრის რჯული, ჩაეშალათ ყოველგვარი თათრული წამოწყება, ყოველნაირად შეეწუხებინათ და შეევიწროვებინათ ისინი, რათა არ მიეცათ აქაური მიწაზე დამკვიდრებისა და ამოსუნთქვის საშუალება. მაგრამ ვიღაცამ დაასმინა დიდება და ერთ მშვენიერ დღეს, მაღალი მთებიდან ბარში რომ მოერეკებოდა ცხვარს, ნასყიდას კაცებმა შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს.

ნასყიდა მაშინ უკვე ძალიან დაწინაურებული იყო თათრების სამსახურში. სექბანად დანიშნული გასაქანს არ აძლევდა დიდებასნაირ კაცებს. მაგრამ დიდებამ მაინც მოახერხა დილეგიდან გაქცევა და ისევ მთებს მისცა თავი.

დადიოდა სოფლიდან სოფლად, ბოლოს ერთ შეძლებულ აზნაურს გუთნისდედად დაუდგა. ხნავდა და თესავდა, ისეთ ურმაულს წამოიწყებდა ხოლმე წკრიალა ხმით, რომ მასთან ერთად შრომა ყველას ეხალისებოდა. თუ დრო რჩებოდა, თიხისგან სხვადასხვა ქანდაკებებს ძერწავდა და ხალხს ურიგებდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, აზნაურმა გაიგო ნასყიდას კაცები რომ დასდევდნენ დიდებას და შეშინებულმა დაითხოვა. ამის შემდეგ, ულუმაპურად დარჩენილ დიდებას იქ ალარ დაედგომებოდა და გაეცალა იმ მხარეს. ერთ მიყრუებულ სოფელს მიადგა. სოფლის განაპირას მოტიტვლებული მწვანე გორაკი ხასხასებდა. ამ გორაკზე დიდება საყდრის აგებას შეუდგა. საყდრის აგება მაშინ კანონით აკრძალული ჯერ კიდევ არ იყო და სოფლელ ბალიანი ხალისით ეხმარებოდნენ მშენებელს. დღიური სარჩოც კი გამოუყვეს, მაგრამ მუშაობის დამთავრებას ცოტა რომ უკლდა, ვიღაცამ ისევ გასცა, ბარიდან ნასყიდას კაცები ამოვიდნენ, ცხენის ქურდობა დაუბრალეს და წაიყვანეს.

ისევ დილეგში ჩააგდეს. ნასყიდამ ის საყდარი დანგრევინა და თათრების მადლობა დაიმსახურა. დიდება კი ორ კაცისმჭამელ თათართან იჭდა ხაროში.

ეს თათრები ალაშემორტყმული ციხიდან გამოქცეულიყვნენ, უდაბნო გამოეველოთ, სურსათი და წყალი რომ გამოლეოდათ, ერთი თავიანთი ამხანაგი შეეჭამათ და მერე თავისიანებს შეერთებოდნენ. ამათ კი დილეგში ჩაეყარათ, ციხე-სიმაგრე რად ჩაბარეთ მტერსაო.

„კაცის ხორცი რამ შეგაჭამათ?!“ უკვირდა დიდებას.

„ისე თავს ვერ გავიტანდით!“ პასუხობდნენ ისინი.

დიდებასთვის ძნელი წარმოსადგენი იყო ის დაუძლეველი წყურვილი სიცოცხლისა, რომელიც გაიძულებს ადამიანის შეჭმის ფასად შეინარჩუნო არსებობა. მეტადრე, იგივე თათრები, ამხანაგი რომ შეჭამეს, ახლა მზად იყვნენ ბრძოლაში გაეწირათ თავი დანაშაულის გამოსასყიდად.

რა საიდუმლოა აქ დამალული, რა ჭეშმარიტებაა შეუცნობელი? ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო დიდება და ისევ ებაასებოდა კაცისმჭამელებს, სურდა ბოლომდე ჩასწვდენოდა მათი სულის ფსკერზე დალაქილი იდუმალ გამოცდილებას, როგორც ქვესკნელის ანარეკლს, მაგრამ ვერავითარ იდუმალებას ვერ გრძნობდა და ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ამჩნევდა ამ აბლაყუულ, მოუხეშავ კაცებს, თითქოს სატანური საწყისი ჩვეულებრივ ადამიანურ არსში იყო განხორციელებული, და სულაც არ გეჩვენებოდა ამისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსხვავებულ, განსაკუთრებულ რაობად. ეს თათრები უბრალო კაცებს ჰგავდნენ, რომელთაც სიცოცხლე სწყუროდათ და რომ არ გცოდნოდა, სხვა კაცი შეეპარე, არაფრით მიიქცევდნენ ვინმეს ყურადღებას.

ერთ მშვენიერ დღეს, ისინი დილეგიდან გაიყვანეს, გასამართლეს და თავები მოჰკვეთეს, როგორც ფადიშაჰის მოღალატეებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ციხე დაუთმეს მტერს.

დიდება ერთ ხანს, მარტო დარჩა დილეგში. მერე ვიღაც ნაცემი კაცი შემოუგდეს ორმოში. ძლივს მოასულიერა დიდებამ იგი. გონზე მოსულმა ტუსაღმა ლაპარაკი გაუბა და როცა გაიგო, დიდება ერთ დროს ხუროთმოძღვარი იყო, გულწრფელ რჩევასავით შეაპარა, ფაშა სასაზლეს იგებს და თუ ამ საქმეში ჩაებმები, იქნებ, ციხიდან გამოგიშვანო. დიდება მიხვდა, ვინც იყო ეს კაცი და სურვილი გამოთქვა ამ საქმეში მონაწილეობისა, მაგრამ იქვე ეჭვით დასძინა, ვინ გამომიშვებსო. მეორე დღეს, მედილეგემ ორმოდან ამოიყვანა და იგივე წინადადება გაუმეორა. დიდება უყოყმანოდ დთანხმდა, მაგრამ როგორც კი სატუსაღოს კარი გაუღეს, ისევ გაიქცა და ტყეს შეაფარა თავი.

ამჯერად ვიღაც აბრაგებს გადაეკიდა, ღამღამობით მტერს რომ არბევდნენ. დიდება მათთან დარჩა. აღარც ძერწვა იზიდავდა, აღარც ხატვა, აღარც შენება. ყველაფერზე ხელი ჩაიქნია. იბრძოდა, სხეულზე ჭრილობები ემატებოდა, იღლებოდა, ბერდებოდა. ერთხელ ისე მძიმედ დაიჭრა, რომ რამდენიმე თვით ლოგინად ჩავარდა. ვიღაც ქვრივ-ოხერი, კბილებჩამპალი, გონჯი დედაკაცი უვლიდა, რომელიც, გამოჯანმრთელებულს ხარჭობასაც უწევდა, მაგრამ როგორც კი ძალა მოიკრიბა, მიატოვა დედაკაცი, იმისი იმედებით და რუდუნებით ამოქარგული ბუდე. საქმე მოსწყურდა, ხელები ექავებოდა, ისევ მოენატრა ძერწვა, ხატვა, კეთება. სოფლიდან სოფელში დაეხეტებოდა, ვის არ ზვდებოდა, ვის არ ესაუბრებოდა, ქვეყნის ყანა მოიარა. ყველა უკმაყოფილო იყო, წარჩინებულიც და მდაბიოც, მაგრამ მაინც შეჩვეული და შეგუებული გაუსაძლის ყოფას. განუწყვეტელმა მარცხმა ხალხს ბრძოლაზე ხელი აღებინა. მომრავლდნენ მოლები, ცრუწინასწარმეტყველნი, ინგრეოდა ტაძრები, ეკლესიის აგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო და მაშინ დიდება ერთ დიდ სოფელში დაბინავებული, საფლავის ლოდების კეთებას შეუდგა. ეს საქმე იმით სიამოვნებდა, რომ ლოდებს მშობლიურ ენაზე უკეთებდა წარწერებს და ჩუქურთმითაც თავის გემოზე ამკობდა. ამ ყოფაში მყოფს კვლავ მოაგნეს ნასყიდას კაცებმა, დაიჭირეს და სიკვდილი დადაუწყვიტეს, მაგრამ მერე ჰამადანში მიმავალ ლაშქარს გააყოლეს საომრად, ეგონათ, იქ დაიღუპებაო.

მართლაც, პირველსავე შეტაკებისას, დიდებას შუბი ჩასცეს მხარში და ცოცხალ-მკვდარი დაეცა იგი ბრძოლის ველზე. როცა ხმლების ჩახაჩუხმა, ჯაჭვების ჯვლეთამ და ცხენების ჭიხვინმა გადაიქუხა და მეომართა გვამებით მიმოფენილ მინდორზე ღამემ ბნელი ფარდა დაუშვა, მომაკვდამა თვალი გაახილა. ტკივილი და სისუსტე განძრევის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ ავბედითი წყდიადიდან აღმომავალი ყმუილი აფთრისა აფრთხილებდა, ფხიზლად ყოფილიყო, თვალი არ მოეხუჭა, რათა მხეცებისა და ყვავ-ყორნების კერძად არ ქცეულიყო. ამიტომ ფხიზლობდა განთიადამდე, თავს ძალას ატანდა, რადგან საწუთროზე გულაღრეწილს და სიცოცხლით დაღლილს, მაინც ეშინოდა სიკვდილის.

განთიადისას, გამარჯვებული ლაშქრის ფორანმა ჩაიარა ბრძოლის ველზე. მოთარეშეები იარაღს კრეფდნენ, ზუჩებს, ჩაფხუტებს, ჯავშან-მუზარადს ხდიდნენ დახოცილთ, ხოლო სულთმობრძავთ ხოცავდნენ. მაგრამ ისე ჩაუარეს დიდებას, რომ ვერ შეამჩნიეს და

მეორედ გადაურჩა იგი სიკვდილს. მთელი დღე ეგდო თაკარა მზის ცაზე გახრწნილი გვამების და ცხენთა ლაშების სუნით აყრილებულ მინდორში. გრძნობას რომ ჰკარგავდა, ეგონა, მეძინებაო, გონს რომ მოდიოდა, ეგონა, მეღვიძებაო. საღამო ხანს, შემთხვევით ჩამოვლილმა მენახირემ იპოვა და რძე ჩაასხა პირში. და ვინაიდან ჯერ კიდევ არ ეწერა სიკვდილი, იგი გადარჩა, თუმცა დიდხანს იავადმყოფა.

სწორედ მაშინ იგრძნო პირველად ნამდვილი დაღლა. პირველად მიხვდა, რომ მის ოცნებებს და მიზნებს აღსრულება არ ეწერა. ვერასოდეს ვერ შექმნიდა იმას, რაც ეწადა, ვერ მიაღწევდა სრულქმნილებას და კიდეც რომ მიეღწია, არარაობისკენ მიმავალი გზის ბურუსი წაშლიდა იმის კვალს, რაც აქეთ რჩებოდა. ქედი მოიდრიკა და დაბრუნდა ქალაქში, სადაც აღარავის ახსოვდა და აღარავის სჭირდებოდა, რადგან აქ მხოლოდ მეღროვეებს ულხინდათ და ბედის ჩარხი შემგუებელთა სასარგებლოდ ტრიალებდა, ცხოვრების დაუწერელი კანონების თანახმად.

●

ღამის სიჩუმე ნაკუწებად იქცა. მწერები ფაჩუნობდნენ, ღამურები ფართხალებდნენ ცაში, სადღაც ნადირი აყმუვლდა, ცეცხლთან თავშეყრილი ახალგაზრდები კი ისევ ლაპარაკობდნენ, ისევ თათბირობდნენ.

დიდებას შერცხვა მატოვარივით რომ იყო დამალული სიბნელეში. რა ჰქონდა დასამალავი, შორიდან რად უნდა ეთვალთვალა ამ ახალგაზრდებისათვის, განა ისინი მისიანები არ იყვნენ?

საფარიდან გამოვიდა და ცეცხლისკენ გაემართა. აქ მყოფი ერთადერთი ქალიშვილი წამოდგა და წარმოთქვა:

"შეეგიმოსოთ ღმერთის სრული საჭურვლით, რათა შეეძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას!"

ამ სიტყვებთან ერთად, დანარჩენებს ჯატარა ხატები დაურიგა.

დიდება ცეცხლს მიუახლოვდა და უცემ, ყველანი მისკენ შემობრუნდნენ. გაშტერებული უცქერდნენ, იარაღზე ედოთ ხელი, ნაზი ქალიშვილიც კი ავად და უნდობლად იმზირებოდა.

„მე დიდება ვარ, ყმაწვილებო, ნუ გეშინიათ!"

„ვინა?"

„ლუარი მონასტრის ამშენებელი!"

„აკი მაგ მონასტრის ამშენებელი მოკლესო!" ეჭვიანად თქვა ერთმა.

„არ მოვუკლივარ, მე ვარ! — წამოიძახა დიდებამ. — თქვენს ლაპარაკს ყური მოვკარი და იმიტომ მოვედი. თქვენთან მინდა ყოფნა!"

„მაინც, რას მოჰკარი ყური?"

„დიდვეზირს რომ თავდასხმას უპირებთ..."

„ვინ გითხრა, საიდან მოიტანე?"

„ეს კაცი ქალაქში მე არ შემხვედრია..."

„ვინ გამოგაგზავნა?"

„მე კი მეცნობა. ერთხელ სიკვდილა-ჯალათთან ერთად პურს ჭამდა დუქანში".

„აბა, თქვი ეხლავე, ვინა ხარ და აქ რა გინდა?.."

„დიდება ვარ, ყმაწვილებო, ხუროთმოძღვარი, თქვენი გამარჯვება მინდა..."

დიდებას ხელი დასტაცეს, ტყის სიღრმეში შეათრიეს და ხეზე მიაბეს. მერე ცეცხლი ჩააქრეს, ნაღვერდალი მიმოაბნიეს, ფეხებით გთელეს, მიწა მიაყარეს და სასწრაფოდ დაიშალნენ, დაიფანტნენ აქეთ-იქით ღამის წყვდიადში.

დიდება დარჩა ხეზე მიბმული.

●

მთელი ღამე ღრღნიდა თოკს. განთიადისას, როცა ძალა გამოელია და დაძაბისაგან სასტიკად ასტკივდა კისერი, მიხვდა, ამაოდ ირჯებოდა. ტანთ შემოხვეული ერთი ნახევევი რომ გადაეხოა კიდეც, დანარჩენებს რას უზამდა? ხელებს მაინც ვერ გაითავისუფლებდა. არავითარი საშუალება არ არსებობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დახსნისა. უიმედობამ გული შეუკუმშა, წყვიდიდი სულს უბნელებდა, ძარღვებში სისხლი ეყინებოდა. რამდენ ხანს უნდა ყოფილიყო ასე, რას უპირებდნენ, რა ელოდა? უცებ, განწირული ხმით დაიღრიალა, იქნებ ვინმე იყოს ახლომახლო კეთილი ან უკეთური, ან მონასტრამდე მივაწვდინო ხმაო. შორეულმა ექმა ავად დაიგუგუნა ტყეში და დიდებას თვითვე შეეშინდა თავის ამოძახილის. მოეშვა და მინებდა უმწეო ტყვეობას, სასოწარკვეთილი და ავი ფიქრებით შეპყრობილი. აღარც კი ახსოვდა, რამდენ ხანს იჯდა ასე. სიცივე სხეულს უხვრიტავდა და შიგ ტანში უძვრებოდა, ნემსივით წვრილი და მწვავე მტკივნეული.

ოდნავ რომ ინთა, თავი ასწია და შორს, ნისლში მცურავ ხეებს შორის, მისკენ მომავალი მოჩვენებები დაინახა. შავი ლანდები ავბედითად აბუზულიყვნენ, ყოველ ხეს და ბუჩქს ჩხრეკდნენ, ზვერავდნენ, უჩუმრად მოდიოდნენ, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდნენ ბოროტი სულებივით მოფრენილნი საიდანღაც, ხოლო ერთი ყველაზე ახმახი და საშინელი, ტახსაცმელშემფლეთილ, თოკებით ხელებშეკრულ ქალიშვილს მოათრევდა აქეთ. საბელმოდებული ქალიშვილი ტორტმანით მორბოდა, ზოგჯერ ეცემოდა, მაშინ წელში მოხრილი ახმახი ჩერდებოდა, ორივე ხელით მძლავრად ქაჩავდა თოკს, წამოაგდებდა თავის მსხვერპლს და ისევ მოათრევდა. დანარჩენები შორიახლო მოსდევდნენ მათ. როცა მოახლოვდნენ, დიდებამ იცნო ისინი. ახმახი — ჯალათი სიკვდილი იყო, ხოლო ხელებშეკრული ქალიშვილი — ის ასული, რომლის მჩვენიერებამ გაუაზრებელი სიხარული გაუღვიძა გულში წუხელ და აქეთკენ წამოიყვანა. იმ ბიჭებს რაღა ბედი ეწიათ? შეშფოთდა დიდება და აწრიალდა. ამასობაში ყველანი ნაცეცხლართან შეიკრიბნენ, გადაქექეს იქაურობა, მაგრამ დიდებას ჯერ ვერ ამჩნევდნენ. არც დიდება იღებდა ხმას. ქალიშვილი ისევ დაეცა და ამჯერად ჯალათს აღარ წამოუყენია ზეზე.

„აქ იკრიბებოდით?“ დაიღრიალა მან. ძალაგამოცლილი ქალიშვილი ხმას არ იღებდა.

უცებ, ერთი ჩაფარი დიდებას წააწყდა, სახესთან მაშხალა მიანთა და ყვირილი მორთო. ყველანი მოცვივდნენ და ხეზე მიბმულ კაცს მიაჩერდნენ.

„ვინ ხარ?“ დაუყვირა ჩაფარმა.

სიკვდილაც მოახლოვდა, თან მიწაზე მოაჩოჩილებდა თავის მსხვერპლს, წამოდგომის საშუალებას არ აძლევდა. მან იცნო დიდება. რატომღაც სრულებით არ გაჰკვირვებია მისი აქ დანახვა. მხოლოდ წარბები აზიდა და დაცინვით შემოხედა.

„სალამი, ბატონო დიდება, ვინ მიგაბათ ხეზე?“

„არავინ!“

„თქვენ თვითონ ხომ არ მიებით?“

„ჰო“.

სიკვდილამ სახე დამანჭა და თვალი უყო თავის რაზმელებს, ვითომ, უყურეთ ამას, რა მოხერხებული ვინმე ყოფილაო. იმათ თავშეუკავებელი ხარხარი აუვარდათ. მუცელზე ხელს იჭერდნენ, ქანაობდნენ, ვერ აყუჩებდნენ სხეულის სიღრმიდან ამოვარდნილ ხვიხვინს. სიკვდილმა ერთ ჩაფარს რაღაცა ანიშნა, ისიც მიუახლოვდა დიდებას, თოკები ჩაჭრა და გაათავისუფლა, მაგრამ დიდება არ წამომდგარა, ისევ მუხლებზე იდგა თავჩაქნდრული და მხრებჩამოყრილი.

„მაშ, შენ თვითონ მიები?“

დიდება ხმას არ იღებდა.

„ყოჩაღ, ბატონო დიდება, აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას“, და უცაბედ ხმა შეეცვალა: „ყური მიგდე, შე ყეყეჩო, ამ ქალს იცნობ?“

„პირველად ვხედავ.“

„ვინ იყვენ აქა, და რამდენი იყვნენ?“

„მე არავინ მინახავს“.

„მაშ, შენ თვითონ მიები — გაუმეორა კითხვა ჯალათმა და მთრახი მოიქ-

ნია. — შენ თუ კაი კაცი ხარ, რად მიგაგეს ხეზე? ან ამათთან რა გინდოდა?“

„არავისთანაც არა ვყოფილვარ. მე ჩემთვისა ვარ!“

„რამდენნი იყვნენ-მეთქი, აქა?“ ისევ დაიზუზუნა მათრახმა.

გამწარებულმა დიდებამ თავი ასწია და ქალიშვილის თვალებს წაეწყდა, დაჟინებით რომ მისჩერებოდნენ, გაშეშებული, გაფართოებულნი, აბრიალებული. ისიც მუხლებზე იდგა ნახევრად გაშიშვლებული, თმაგაწეწილი, მაგრამ მაინც უმანკო, მომხიბლავი, მოსალოდნელი შეურაცხყოფის თუ სასჯელის მოლოდინით გაოგნებული.

„ამ გოგონას რას უპირებთ?“ წამოიძახა დიდებამ.

ნეტავ, სულ არ გადაყროდა წუხელ მას და გაჰყოლოდა თავის გზას, ათასჯერ გატკეპნილს და ერთფეროვანს, სადაც არც მშვენიერი ქალები შეხვედრია არასოდეს და არც მათ გამო მღელვარება განუცდია.

ჯალთმა გაიცინა.

„რაც სხვებს, ისიც ამას!“

„სხვებს რაღა უყავით!“ ისევ იყვირა დიდებამ.

„დავიჭირეთ და ხეებზე ჩამოკიდეთ, მაშა! ქანაობენ ეხლა იქა!“ ენა მოიჩლიქა სიკვდილმამ, ვითომ ბავშვს ეფერებაო.

„ეს გოგონა დამნაშავე არ არის, ეს იმათთან არ ყოფილა, ეს...“ აცახცახებულ დიდებას ხმა ჩაუწყდა.

„გმადლობთ, ბატონო დიდება, გმადლობთ, ყველაფერი გვჯერა, რასაც გვეუბნები!“ ზიზღნარევი ღიმილით წარმოთქვა სიკვდილმამ და მდაბლად დაუკრა თავი.

უცებ, დიდება ქალიშვილის მზერას წაეწყდა და გაოცდა. იგი ზიზღით უმზერდა მას, როგორც გამცემს, როგორც მოღალატეს. ცხადი იყო, არ ენდობოდა, მისი არც ერთი სიტყვა არ სჯეროდა. შეიძლება, ეს ყველაფერი, რაც ახლა აქ ხდებოდა, წინასწარ მოფიქრებული თამაში ეგონა.

დიდებამ ამოიღმუვლა და მიწაზე დაემხო. როგორ დაერწმუნებინა, ეროვნული ბიბლიოთეკა გამწარებული ასული, რომ მოღალატე არ იყო და მათ დაღუპვაში ხელი არ ერია?

აღარ ღირდა სიცოცხლე! აღარავისთვის იყო საჭირო! თანამედროვენი ჩაქოლვას უპირებდნენ, მომავალნი არ იცნობდნენ! ვიღასთვის იღეწოდა, რისთვის არსებობდა? სწორედ იმათ, ვიზეც იმედს ამყარებდა, შემოგზავნილ დამსმენად მიიჩნიეს და ხეზე მიაბეს, უკაცრიელ ტყეში დატოვეს ნადირთა კერძად. ვერც რჩევით გამოადგა მათ, ვერც საქმით უშველა. იმ ჭაბუკების თვალში სამუდამოდ შერცხვენილ კაცად დარჩა, სინდისგარეცხილ მოღალატედ. ეს უბედური გოგონა რომ როგორმე დაეხსნა მტრავლთა კლანჭებიდან, მაგრამ როგორ, რანაირად? სავსებით ცხადად იგრძნო თავისი დამარცხება და უძლურება და მწარედ ატირდა დიდება, უხმოდ, უცრემლოდ.

თავი რომ აწია, მარტო იყო. მოჩვენებები გაუჩინარებულიყვნენ, თითქოს რომელიღაც ხის ფუღუროში შეძვრნენ და გაქრნენ. ქარმა დაუბერა და ხეები ააშრიალა, მაგრამ ვერ გაიგებდი, საიდან ქროდა იგი და სად მიდიოდა.

დიდება წამოდგა. ძლივს გამოაგნო გზა ტყიდან. ძლივს მოდიოდა. საიდანღაც მამლის ყივილი მოესმა. ინათა. ფერდობზე მკრთალად გამოისახა ლურჯი მონასტრის კოტეური, მაგრამ დიდებას იქით არ აუხედია, ქალაქისკენ დაეშვა, რომლის ჩაბნელებულ და ჩაშვებულ ქუჩებში მაწანწალა ძაღლები ყმუოდნენ.

ტყეში ღამენათევს, მთელ ტანში სტეხდა, ამტვრევდა. პირველსავე ნანგრევს მიაშურა, რომელიც ნაგვით იყო სავსე, და კუთხეში ჩაჯდა, მოიკუნტა. სიცივისაგან აძაგძაგებდა და მყრალი სუნიც აწუხებდა, რომელიც აქ იდგა. ცუდ დღეში იყო ჩავარდნილი, მაგრამ ეს რა სახსენებელი იყო იმ ახალგაზრდების ბედთან შედარებით, რომლებ-

თანაც მისვლა გულით ეწადა?! რატომ გაიმეტეს სასიკვდილოდ თავი, რომ შთაავგონა მათ ეს უაზრო საქმე, ან ვინღა დააფასებდა მათ თავგანწირვას? ახლა ისინი გიჟებად გამოჩნდებოდნენ ხალხის თვალში და მართლაც იყო რაღაც გაუმართლებელი იმათ საქციელში. განა შეიძლება შიშველი ხელებით ებრძოლო პირსისხლიან ურჩხულს, ვით წმინდა გიორგი გველეშაპს, როცა წინასწარვე ჩანს, რომ განწირული ხარ? ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, მაგრამ სულ გაცლამ, დათმობამ და მოთმენამ ბოლოს და ბოლოს შეიძლება საკუთარი ბუდიდან გადაგხვეწოს!

ვიღაცამ ხომ უნდა გამოიდოს თავი, ვიღაცამ ხომ უნდა ამოიღოს ხმა, სასოწარკვეთით გაიფიქრა დიდებამ და მიხვდა, რომ საშველი არ ჩანდა. სიცივის არტახებით შეკოჭილმა ნაგავი გადაქექა, ღრმად ჩაძვრა შიგ, რომ ოდნავ გამთბარიყო. ყელამდე ძინძღში ჩაფლულმა ცოტა შვება იგრძნო, კიდურებში სისხლი აუმძრავდა. უფრო ღრმად ჩაძვრა ნაგავში, ძინძგლი თავზეც დაიფარა. არაფერს გრძნობდა უსაზღვრო დაღლილობის გარდა. სიცარიელედ და უაზრობად განთქვიფა ყოველი, რაც აქამდე აწუხებდა და აღელვებდა, ამოქმედებდა და ასულდგმულებდა. ქარი ნანგრევის ღიობებში თავისუფლად ნავარდობდა და მომაბეზრებლად ზუზუნებდა. ზოგჯერ ძლიერი მონაბერი ბრეს ააფრიალებდა და ძუძგნი განაბული დიდება თავისდა უნებურად ღიზიანდებოდა. მაგრამ აღარ ცახცახებდა, აღარც ფიქრობდა და ისე ჩასთვლიმა, რომ არ გაუგონია ბუკი და ნაღარა, დიდი ვეზირის მობრძანებას რომ აუწყებდა ქალაქს...

●

გალავნის კარიბჭესთან ნასყიდა-ეფენდი-ფაშა და მისი ამალა დახვდნენ დიდებულ სტუმრებს. ცხენებზე ამხედრებული იანიჩრები ქალაქში შემოვიდნენ. მათ წინ მოუძღვებოდა ქვეყნის მმართველი ფადიშაჰის დიდი ვეზირი. დანარჩენი ჯარი ქალაქის ირგვლივ გაშლილ კარვებში იყო დაბანაკებული. ქალაქის მოსახლეობა, წესისამებრ, ახლაც ქუჩებში იყო გამოყვანილი.

დიდი ვეზირი და დიდებულები სასახლეში მიბრძანდნენ, ხოლო იანიჩრები წინასწარ გამზადებულ ფუნდუკებში გაანაწილეს. მცირე ხნის დასვენების შემდეგ, დიდებული სტუმარი გოგირდის აბანოში მიაბრძანეს. ეს აბანო დიდებას აგებული იყო. ფართო და ნათელი ოთახების ფირუზისფერი კედლები ზურმუხტითა და სადაფით იყო დამშვენებული, იატაკი ლალითა და იაგუნდით დაფენილი. დიდვეზირს მოეწონა აქაურობა, ტანთ გაიხადა და ნასყიდა-ეფენდი-ფაშას თანხლებით საბანაო დარბაზს მიაშურა, რომლის შუაგულში, მარმარილოსაგან გაკეთებული ფართო აუზი ცხელი წყლით იყო გალიცლიცებული. ბროლის შუშებით შემკული მოლურჯო გუმბათი მკრთალ შუქს უშვებდა ზემოდან. ხის ქოშებიანი მექისეები და დალაქები კედელთან ატუზულიყვნენ. დიდვეზირი მარმარილოს კიბით ჩავიდა აუზში და დიდად ეამა გოგირდოვანი წყალი. შადრევნები საამოდ ჩუხჩუხებდნენ, ფერადი მარმარილოსგან გაკეთებულ გველეშაპებისა და ლომების თავებს დაღებული ხახიდან ცხელი წყლის ღვარი გადმოსდიოდათ.

„მშვენიერი აბანოა, ვისი აგებულია?“ ჰკითხა დიდვეზირმა ნასყიდა-ეფენდი-ფაშას და სიამოვნებისგან მკერდზე ხელი მოისვა.

„ხუროთმოძღვარ დიდებასი“. უხალისოდ მიუგო ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ.

დიდვეზირმა გემრიელად იბანავა. მექისეებს თვით ნასყიდა-ეფენდი-ფაშა ეცილებოდა მაღალი სტუმრის განბანვაში.

„შესანიშნავი მექისეობა გცოდნია!“ შეაქო სტუმარმა კმაყოფილი მასპინძელი.

ბანაობისა და გაპარსვის შემდეგ, დიდ-ვეზირის იქვე, მოსასვენებელ ოთახში მოართვეს საუზმე. ფაფუკ ზეწარში გახვეული, ნოხდაფენილ ტახტზე წამოწოლილი სიამოვნებით მიირთმევდა ნახლილისფერ შარბათს, სხვადასხვა ტკბილეულობას, ჰალვას და ხილს. იგი ტკბილად ებაასებოდა ნასყიდა-ეფენდი-ფაშას. ამ გულითადი საუბრის დროს თავისი ჯარისთვის სანოვაგე მოსთხოვა და ფადიშაჰის ბრძანებაც შეახსენა, ყოველწლიურად ასი საპალნე აბრეშუმის სათათრეთში გაგზავნისა.

„შესრულებულ იქნება ქვეყნის მპყრობელ ფადიშაჰის ბრძანება!“ თავი დახარა და მკერდზე ხელი მიიდო ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ.

აბანოს შემდეგ დიდვეზირს და მის ამალას ქალაქის ღირშესანიშნაობანი დაათვალიერებინეს. ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ სტუმრები მდინარის პირას გაკაფულ ტყესთან მიიყვანა და აუწყა მათ, რომ ამ ადგილზე მეჩეთი აიგებოდა. დიდვეზირმა მოიწონა ეს განზრახვა. ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ ამცნო მას, რომ წმინდა ტყე შეგნებულად გაიჩეხინა, რათა ხალხს დავიწყებოდა თავისი ძველი ადათი, მალე გადასულიყო ახალ რჯულზე. ეს განზრახვაც მოიწონა დიდვეზირმა. ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ თავისი საყვარელი ხუროთმოძღვარი გლახუნა იხმო, რომელიც გაბრწყინებული თვალებით შესცქეროდა სპასტიო სტუმარს და მოწიწებით უხსნიდა მომავალი მეჩეთის გეგმას. დიდვეზირი ამთქნარებდა და თავს უქნევდა.

ამის შემდეგ გადახურული ბაზარი დაათვალიერეს. დიდვეზირს იგი ბნელი და ვიწრო მოეჩვენა და ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ აღუთქვა, რომ ამ ნაკლს გამოასწორებდა. მერე ლაზარეთში შეიარეს. დიდვეზირს აქ ხმა არ ამოუღია. ბოლოს დიდებას აგებულ ფუნდუკს მიადგნენ. ეს იყო ციხესავით მტკიცედ ნაგები რკინისკარიანი ოთკუთხედი შენობა, რომლის ლამაზად მოკირწყლულ ეზოს დიდი აუზი და ჩუქურთმებით შემკობილი შადრევანი ამშვენებდა. შორეულ კუთხეში მორაგდა აქლემების სადგომი, თაღლა, საჯინიბო. დიდვეზირმა ორივე სართულზე განლაგებული მოსასვენებელი ოთახებიც დათვალიერა და კმაყოფილი დარჩა.

„ვისი აგებულია ეს ქარვასლა?“ იკითხა მან.

„ხუროთმოძღვარ გლახუნასი!“ უყოყმანოდ იცრუა ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ და თვალი თვალში გაუსწორა.

„კარგია!“ თქვა დიდვეზირმა, მხარზე ხელი დაადო ნასყიდა-ეფენდი-ფაშას და კარში რომ გამოდიოდნენ, სხვათა შორის უთხრა:

„მართლა, ბაღდადში სალაშქროდ ხუთი ათასი მეომარი მჭირდება და უნდა გამატანო!“

„შესრულებულ იქნება თქვენი ბრძანება!“ მდაბლად დაუკრა თავი ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ.

ისინი სასახლეში დაბრუნდნენ მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით, სადაც დიდი მეჯლისი გაიმართა. უხვად ისმეოდა შარბათი, გემრიელი ფლავი, ქებაბი, შამფურზე შემწვარი ცხვრები და შვლები, ხაშლამა და ნაირ-ნაირი თევზეული ერომანეთს ცვლიდა. როცა მოცეკვავე ქალიშვილები შემოიყვანეს დარბაზში, სუფრა სხვადასხვანაირმა ხილეულმა და ტკბილეულმა დაამშვენა. თვალწარმტაცი ასულები ნარნარად როკავდნენ და გამხიარულებულმა დიდვეზირმა ღიმილით გადაულაპარაკა ნასყიდა-ეფენდი-ფაშას:

„ასიოდე ასეთ ტურფა მხევალს რომ გაუგზავნიდე დიდებულ ფადიშაჰს, ჩინებული საჩუქარი იქნებოდა!“

„შესრულებულ იქნება!“

ბოლოს ნადიმიც დამთავრდა. დიდვეზირი და მისი მხლებლები სასახლიდან გამოვიდნენ. ცხენებზე ამხედრებული იანიჩარები ქუჩის პირას ჩამწკრივებულიყვნენ და დიდვეზირის გამოჩენას ელოდნენ. იმათ უკან შეგროვილ ბრბოს სტუმრების ნახვა ეწადა. დიდვეზირს ოქრო-ვერცხლით მორახტული შავი ცხენი მოართვეს. იგი ამხე-

დრდა, ბედაური ყალყზე შეაყენა და დაძრა. ნასყიდა-ეფენდი-ფაშა გვერდით მიჰყვა საპატიო სტუმარს. ქუჩებში გამოფენილი ხალხი ჩუმად უმზერდა ძლიერთ ამა ქვეყნისა, ისინი კი ნელა მიაქეზეზებდნენ ცხენებს, ფლოქვების თქარუნი ქალაქის ყველა უბანს სწვდებოდა.

გალავნის კარიბჭესთან დიდვეზირმა ცხენი შეაჩერა და მაღლა, ფერდობისკენ აიხედა, სადაც ტევრში მდგარი ლურჯი მონასტერი მოჩანდა, მთელ ქალაქზე ამაღლებული, საღამოს ბინდით გაიდუმალებული, არაამქვეყნიური დიადი სიმშვიდის გადმომფენელი მის ფერხთით გაშლილ მიდამოზე. დიდვეზირმა დიდხანს უმზერა ეკლესიას. იგი წარმოშობით ბერძენი იყო, ათი წლის ასაკში მოწყვეტილი საკუთარ კუთხეს. ვინ უწყის, იქნება, ახლა ბუნდოვნად წარმოუდგა. ალაგ-ალაგ ზეთისხილის ხეებით დფარული, კირქვით შეფეთქილი ლილისფერი ხრიოკი გორაკები, მისი მშობლიური ხსოვნიდან რომ ჩანდა მიწყივ? ერთ-ერთ გორაკზე მრგვალგუმბათიანი ეკლესია იდგა. იქნებ, მოაგონდა მშობელი დედის კალთა, ცხოვრების ორომტრიალში და ამქვეყნიური დიდებისათვის ბრძოლაში გადავიწყებული, მაგრამ მაინც მეხსიერების რომელიღაც შორეულ კუნჭულში სათუთად შემონახული? ბუკი და ნაღარა ქალაქს ბრწყინვალე სტუმრების წასვლას აუწყებდა და უცებ, დიდვეზირი გამოერკვა, ლურჯ მონასტერს თვალი მოსწყვიტა და მოღუშული სახით შეხედა ნასყიდა-ეფენდი-ფაშას.

„ვისი აგებულია ეს ეკლესია?“

ნასყიდა-ეფენდი-ფაშას შიშისგან გული გადაუქანდა. დიდვეზირის ჩახლეჩილი ხმა ავისმომასწავებლად მოეჩვენა. ხომ შეიძლებოდა, გაბრაზებულიყო დიდვეზირი, რატომ აქამდე არ დაანგრიეთ ურჯულოების სახლიო? თვითონაც არ იცოდა, რატომ არ გაეკეთა ეს საქმე ამდენ ხანს და ვერ მოესაზრებინა, რით ემართლა თავი. მხოლოდ ეს კი იყო, რომ გულში გადაწყვიტა, თუ ახლა საყვედურს გადავრჩი, ხვალვე დავანგრევო. საშინელი ბრაზი დაეტეზი-ზელი იგრძნო ამ ტაძრის ამგებნ მიმართ.

„ხუროთმოძღვარ დიდებასი!“ თრთოლვით თქვა მან.

„დიდებული ნაგებობაა!!“ — ჩუმად ჩაილაპარაკა დიდმა ვეზირმა, — ჭეშმარიტი ოსტატის ხელი ეტყობა, კარგი იქნება, მეჩეთად გადაკეთდებოდეს!“ და ცხენი დაძრა.

„აუცილებლად გადავაკეთებთ, დიდი ხანია განზრახული მაქვს!“ წარმოსთქვა ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ და შვებით ამოისუნთქა.

ისინი გასცდნენ ქალაქის კარიბჭეს. ველზე განლაგებულ ჯარს ცეცხლი დანთო ირგვლივ და ეს ურიცხვი სინათლეები თითქოს ყოველნაირ საზღვრებს შლიდნენ და აერთიანებდნენ ცისქვეშეთს. ყველანი ამ ქვეყნიერებას ეკუთვნოდნენ, დაპყრობილნიც და დამპყრობელნიც, ყველანი ერთნი იყვნენ წარმავალ წუთისოფელში და თვით სამშობლოც კი კარგავდა თავის მნიშვნელობას უზენაესი რაობის წინაშე. მხოლოდ ღმერთი იყო ერთადერთი ჭეშმარიტება, ერთადერთი მისწრაფება, რომლის წიაღში აღარც დაჩაგრული არსებობდა და აღარც მჩაგვრელი, არამედ მხოლოდ კეთილი სული, მრავალტანჯული, მრავალვნებაგადატანილი, ნუგეშისმცემელი სული ჭეშმარიტი, რომლის მიღება არ შეეძლო ქვეყნიერებას, რადგან არ იცნობდა და ვერ ხედავდა მას. ამიტომაც არავის ძალუძდა ქვეყნიერების განსჯა და გამართლება, მხოლოდ მისი ხსნა და გადარჩენა იყო საჭირო.

წყვდიადი თანდათან ჰნთქავდა სიფრცეს და უჩინარდებოდა ყოველივე ირგვლივ ნელ-ნელა. ბანაკს მიახლოებულმა დიდვეზირმა კიდევ ერთხელ შეაჩერა ცხენი. გულთბილი მასპინძლობისათვის მადლობა მოახსენა ნასყიდა-ეფენდი-ფაშას და საჩუქრად ძვირფასი ხალათი გადასცა. მდაბლად თავდახრილ ნასყიდა-ეფენდი--ფაშას მადლიერებისა და სიხარულისაგან თვალზე ცრემლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგა. მოწიწებით ჩამოართვა საჩუქარი და კალთაზე ეამბორა. სწორედ ამ დროს ხურჯინგადაკიდებული ორი ვირი მოჰგვარეს. ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ მორიდებით მიმართა დიდვეზირს.

„ამ ხურჯინში ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვლებია, მეუფეო! მიიღეთ როგორც მცირედი რამ საჩუქარი ჩვენი მადლიერი ერისაგან. მეორე ხურჯინში ოქროთი და ალმასით შემკული ხატები და ჯვრებია, ამ ხალხის ძველი რწმენის ნაშთი. მე ეს განძი მათ ჩამოვართვი და მსურს დიდებული ფადიშაჰის სალაროს შეემატოს იგი!“

დიდმა ვეზირმა მადლობა გადაუხადა, თვალი ჩაუკრა და ღიმილით უთხრა:

„ყოველივეს მოვახსენებ მის ბრწყინვალება ფადიშაჰს. იმედი მაქვს, მალე სატახტო ქალაქში გიხილო დივანის წევრად და ნაზირ-ვეზირად, ან თუნდაც სახელმწიფოს მთავარ კაფუდინ-ფაშად!“

ნასყიდა-ეფენდი-ფაშას ზღვა თვალით არ ენახა, მაგრამ დიდვეზირის დაპირებამ საფადიშაჰოს ზღვაოსნობის გამგებლად დანიშვნაზე, გული მღელვარებით აუძგერა.

დადგა განშორების ჟამი. დიდვეზირმა მამაშვილურად დაარიგა, უკანასკნელად შეახსენა მისი ვალდებულებანი და ბოლოს დასძინა:

„დიდებულმა ფადიშაჰმა ბრძანა, რაკი შენი ხალხი ჯერ კიდევ არ გათათრებულა მთლიანად, საზღვრებიდან და ზღვისპირეთიდან ყველა სოფლები აყარონ და იმათ ადგილზე თათრები ჩამოასახლონ!“

„დაუყოვნებლივ აღსრულებული იქნება მაღალღირსეული ფადიშაჰის სურვილი!“ მსწრაფლ მიუგო ნასყიდა-ეფენდი-ფაშამ.

ამის შემდეგ დიდვეზირმა ცხენი შეატრიალა და ბანაკისაკენ გასწია. ამალა უკან მიჰყვა. იანიჩარების აღმაც დასძრა თავისი რაზმი. მომეტებული მადლიერებისგან გულაჩუყებული ნასყიდა-ეფენდი-ფაშა დიდხანს იდგა გორაკზე და თავბრუდამხვევი იმედებით აღსავსე გასცქეროდა ძვირფას სტუმრებს, სანამ ისინი არ გაუჩინარდნენ უსასრულოდ გაშიმული ველზე ჩამოწოლილ ბინდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურსაჰირი. ადგილის დედა

იპარავ — იცის.
ღალატობ — იცის.
სიტყვას ტეხ — იცის.
როცა სილაჩრის ოფლი ჟონავს შუბლიდან —
იცის.
...პაპამ მითხრა და ეს ნათქვამი სხეულში ჩამრჩა
არაგვის ჭალას არაგვი რომ ატყვია, ისე:
— ისე უნდა იცოცხლო და იცხოვრო —
ადგილის დედის სული არ შეწუხდესო.
...დაცარიელდა ბურსაჰირი.
ყველა წავიდა.
წავიდა და... გადასხვაფერდა,
შუბლზე არ ადგას ა, იმ დიდი პაპების შუქი.
მე ზოგჯერ ვფიქრობ:
ამ კანონებს ხომ არ გაუსხლტნენ,
ადგილის დედის შემოხედვას ხომ არ გაექცნენ?..
ჭიუხის წვერებს არწივი დაჰფრენს.
— მანდ ილივლივე, ქვევით-ქვევით არ დაიწიო
და მძორის ჭამას არ დაეჩვიო.
შენი ჭირიმე,
მანდ იფრინე, ჭიუხის შვილო.

გემის ჩაძირვა

აქ ჩაიძირა გემი.
ალუბლებით გაჩახჩახებული გაზაფხული
წავიდა ფსკერისკენ.
დიდი გლოვა იყო.
ტიროდნენ მთვარე და ვარსკვლავები,
გრიალებდნენ ღრუბლები.
გემზე ორნი იყვნენ —
გოგო და ბიჭი
და მშივდად შეხვდნენ კატასტროფას —
თითქოს ელოდნენ.

ბიჩინაგა ყორიაული

აი, იმ იფნზე მინდა გითხრათ —
ერთ მხარეს წყალი ჩამოუდის,
მეორეზე — გზა.
მესამე, მდინარე, არ ჩანს —
ის ჟამია.
მდინარეს ძირი გამოუთხრია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაკარგულ მიწას ამაოდ ეძებენ წყალში მოტივტივე ფესვები.
გზა კი... —
ცულიც ბევრჯერ აჩქამებულა მის ტოტებში
და ხერხსაც ბევრჯერ გაუვლია.
ერთხელ სამიზნედაც ამოირჩიეს —
ათასი ტყვია შეაყარეს.
ლურსმნებსაც ვერ დაითვლი —
ხეზე ჰკიდებდნენ ლურსმნებით
ხან ბაირაღებს,
ხან აფიშებს
და ხან სურათებს...
ერთხელ მგზავრებმა ცეცხლიც დაანთეს
და ცალი გვერდი გამოუბუგეს.
ბედია —
ზოგი ხე ისე მოკვდება
ცულის, ხერხის, ცეცხლის არსებობასაც ვერ გაიგებს.
..
აი, ამ კაცზე მინდა გითხრათ —
ბიჩინაგა ყორიაულზე.
ის ხე ამ კაცმა გამახსენა.
შარშანწინ მოკვდა ბიჩინაგა.
არც კვნესა ვინმეს გაუგია, არც საჩივარი
და სიკვდილამდე სულ ფეხზე იდგა.

ისევ იქიდან უნდა დავიწყოთ

გამშრალა სისხლი ციხეებთან.
სამრეკლო სდუმს და აღარ ახსოვს აქ აღარავის
უკანასკნელად ვინ დარეკა ზარი,
უკანასკნელად ვინ ამართა ხმალი
და ვინ თქვა:
— წავალ.
გამოაცილა დედაკაცმა.
გუბდებოდა და გუბდებოდა ცრემლი თვალებთან.
როცა იგრძნო, რომ ვეღარ შეძლებდა
გამკლავებოდა ცრემლის ნიაღვარს,
ქალი შედგა და ა, იმ ცრემლებში
ამოვლებული ღიმილით უთხრა:
— ხელ მოგემართოს,
წუხელ კარგი სიზმარი ვნახე,
დაჭრილი იყავ,
თავს ყორნები დაგტრიალებდნენ
და ყორნებს შენზე არ უშვებდა ადგილის დედა.
უკანასკნელად ვინ დაწერა ეს წმინდა ტექსტი:
— წავალ...
— ხელ მოგემართოს...
ჩვენ იმათ შემდეგ სულ ტყუილად ვიხეტიალეთ,
უნდა დავბრუნდეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოვნახოთ ისინი,
იმათი წესით უნდა ვიცხოვროთ.
ისევ იქიდან უნდა დავიწყოთ.

რატომ მოვიდა ეს სიყვარული...

რატომ მოვიდა ეს სიყვარული.
უცხო მგზავრივით გზად მიმავალმა
სულ ერთი წამით შემოიარა
თუ აქ აპირებს დარჩენას და ჩამოსახლებას.
რა უდევს გულში?
უნდა აადუღოს ზღვები,
უნდა გადაადნოს ქვები,
უნდა აადიდოს მდინარეები,
უნდა აგრგვინოს ღრუბლები?..
თუ ისე წავა,
როგორც ქარი დაჰქროლებს ხოლმე —
ხეს გადაღუნავს,
მწვანე ტოტებს ააფრიალებს
და ტანის გრეხვით გაფრინდება სხვა ხეებისკენ.
რატომ მოვიდა ეს სიყვარული?

მევენახის სიკვდილი

გარდაიცვალა მევენახე.
რძალმა სამხარი რომ მიუტანა
ვაზებში იწვა ისე მშვიდად, ისე ლამაზად,
თითქოს შვილების გვერდით ეძინა
და შაბიამნის ლურჯი ზღვები ესიზმრებოდა.
— შენდობა ჰქონდეს,
ვისი სულიც, ვისი ნამუსიც
ამ მიწას მოსდევს და აცოცხლებს დასაბამიდან,
ვისი ოფლიც კი გაქონილა ვაზის ძირებში —
ასე იცოდა თქმა,
ვენახში პურს რომ გატეხდა,
თოხის პირზე რომ შუადღის მზე თავს იწონებდა.
სამხრის დასასრულს პატარა ყანწს კვლავ გაავსებდა:
— ღმერთო მაღალო,
არ დაუკარგო ჩვენს სიტყვას ფასი,
არ დაუკარგო ჩვენს სიტყვას ძალა, —
მოქნეული ხმლის, ვენახებში ამართულ თოხის,
ბელტებში დინჯად მიმავალი ხარ-გუთნის ძალა.
ახლა ვეღარ თქვა —
დაეძინა უსაზღვრო ძილით
და შაბიამნის ლურჯი ზღვები ესიზმრებოდა.
ის გადავიდა,
ის ჩავიდა,
მაჯრამ არ ჩაქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ჩაიძირა ვენახების ოკეანეში
და მე ვხედავდი —
მისი თმები იქცნენ ფესვებად.
მისი თვალები გადაიქცნენ ყურძნის კუმპლებად.
მე დავინახე, როგორ იქცნენ ვაზის ფოთლებად
მისი ხელები.
მისი ტანი კი ველურ ვაზს გავდა, —
ვაზიდან ჩვენი წინაპრები ჯვრებს აკეთებდნენ
და ეკლესიის კარებს თლიდნენ.
ის ჩადიოდა ძალიან ღრმად,
უხვედრ ფენებში,
იმ უსაარსულო წიაღებში ჩაჰქონდა ფესვი,
სადაც მტრის ხელი,
მტრის წერაქვი ვერ ჩასწვდებოდა.
ის ჩადიოდა,
როგორც ღუზა, რომ მგრგვინავ ქარებს
არ მოეგლიჯათ ხომალდი და არ დაემსხვრიათ.
ის ჩადიოდა ძალიან ღრმად,
რომ გაზაფხულებს
ახალ უმძლავრეს სიმღერებად ამოეტყორცნათ.
ის ჩადიოდა,
რომ ამ მიწის აღგილის დედას
დედის მანდილის დამცველებად ამოეგზავნა.
მან ჩაიტანა ისტორია იმ ღრმა ფენებში,
როგორც რისხვა და როგორც მიზანი,
როგორც იმედი და როგორც ცეცხლი,
როგორც მეხი და როგორც გრიგალი,
როგორც ლოცვა და როგორც სანთელი.
არც შვილები და არც სხვა ხალხი —
მკვდარ მევენახეს
ეს კახეთის მზე,
ეს ალაზნის ცისფერი ველი,
ალაზნის ველზე მოელვარე ცისფერი ზღვები
ასაფლავებდნენ —
თავის დაღლილ შვილს ისტუმრებდნენ
და უკანასკნელ სადღეგრძელოს ეუბნებოდნენ.
უკანასკნელად გაიხედა ისტორიისკენ
და დაინახა ამირანი კლდეზე დაბმული.
მან გაიგონა ყორნის ფრთების შავი შრიალი
უერთდებოდა ამირანის სისხლიან კვნესას.
ის კვნესა მთიდან დაგორებულ ლოდის ხმას ჰგავდა.
მან გაიხედა გამოვლილ გზისკენ
და დაინახა აიეტის სამეფო კარზე
გადაშხივლა მრისხანებამ, როგორც კომეტამ
და წამოვარდა ვეშაპივით მძინარე ქარი.

ეთერ თათარაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

კა ყმან თავს ყმად მიდებდეს,
უშლელ ციხეს მიგებდეს,
დარდის კოშკებს მილეწდეს,
სისხლით ფიცთ წიგნს მიწერდეს,
ფეჭქვეშ ფარდაგს მიფენდეს,
წყლულში ლურჯ ბრძამს მიფევდეს,
შურ-მტერიანთ მიცელდეს,
ზამთრის ყურძენს მიწევდეს,
ხოხობ-კაკაბს მიჭერდეს,
მთვარესად′ მზეს მირწევდეს,
დალალ-კვიებს მიგრეხდეს,
ცად სავალ ჯაჭვს მიწნევდეს,
ანგელოზსთან ნათქვამ ფიცს
ვერცრაგვერ ვერ მირყევდეს, —
ლექსნ ერთ წუთს არ მაცლიდეს,
სადარბაზოდ მიწევდეს.

●

თავის ცა-ღურბლის მონატურო,
მღუღარე ცრემლებ მონაწურო,
ზურმუხტ წყალ-ჭალა′ გაწირულო,
შხამიან პირით დაკმილულო,
გულს გლოვის მანდილ დახურულო,
ხალიზ დაჯურულ-დაწურულო,
სულს გმინვა-ჩივილ აჩენილო,
დარდის ტარებად გაჩენილო.
დედულიდ′ მამულ მონაწყურო,
ცხვათ მიწას ცრემლად მონაპკურო.

●

ა, ის ღრუბელნი მიყვარან, ბოროლზე რო დიანო...

ხალხური

მე ა, ის ღურბელნ მიყვარან,
სპეროზის თავ რო სცრიანო,
ა, ის წყარონი მიყვარან,
წელფერდს რო ჩამოსჭრიანო.
მე ა, ის მზის სხივნ მიყვარან,
ნისლებს რო ამოღგლიანო,
ა, ის ქარ-ბორბალნ მიყვარან,
ხეებს ფესვამდ რო ხრიანო.
ა, ის ჭევის წყალნ მიყვარან,
საზღვრებს რო კმილით სთხრიანო,
ა, ის სათიბენ მიყვარან,
ჭილტა′ებ ყურს რო სჭრიანო.
ა, ის ღურბლის ჯარნ მომწონან,
ხანდხან მეხთაც რო ხყრიანო,
მე ა, ის ნისლებ მაცოცხლებს,
სპეროზის თავ რო სცრიანო.

●

მორეხის წყალ მოვ, მორეხელსავით
შუ′მპუარიდ′ მართალ,
ნაწვეთ მღერის წკაპა-წკუპით
ბანელდაის კართან.
წართხალ თეთრად შებერებულ,
ცირცელ ღვივის სახლთავ,
ბინდდებ, სოფელ იმალების,
დგას ძაღლების წკავ-წკავ.

---

* ჭილტა — კალია
*შუმპუარიდ — შეუპოვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

არწივის მკარ-ბეჭ ხქონდავ,
ჭარ-ირმის ყვირილივ,
შურთხის თვალებ ხქონდავ,
შელის ნუკრის ტირილივ.

●

ღურბლებ ი'წეწავენ ჩამონარცხილ თმებს,
გამა'ხედვენ* მთელ ზამთრ ნაწუხ, სულშეხეთულ მთებს,
ზვავის ნაჯურნ გი'კვალავენ თავქვია'ისკ გზებს,
ჩახკრეფს თავია უბე-ჭორჩხში** ალაზან ცივ წყლებს,
ბუბუნა'ებ მიხქ-მოხქარგვენ ფარდაგებით გზებს,
ხეებ ნელა შა'ცხროებენ ფოთოლმღერით ტყეს,
ხავერდ ჩე'ცმებ მობიბინეჲ ჩამოშაულ მთებს,
გუ'ჩინდების საგურგურა გულის მიჯნურ მწყრებს.

---

* გამახედვენ — გამოახედებენ.
** ჭოჩხი — ყალთა.

ციკლიდან „თუში ქალის ნათქვამი"

●

საქიოს გზაიავ
ყვავილებით ნაქარგივ,
საქიო არისავ
ყველა დარდის საკარგივ,
საქიოს მთაიავ

წვერნაწვდენივ ცათამდივ...
წე'დივ, წე'დივ, — მაქეზებდ,
სამზეოსად გათავდივ...
ფეკს უკვენ ვზდგმოდ, ვჩიფჩიფებდ:
ჲაქავ ვიყოვ ნატანჯივ.

●

არ, არ, თქვენ სულს დავენაცვლ,
თქვენ ლეგ-ლუგა ქათიბებს,
თქვენ დაგვალულ შუბლებსა-დ
თქვენ ნათესარ-ნათიბებს,
თქვენ ჭრელ-ჭრელა წინდაებს,
თქვენ თავსაყარ საფიხვნეს,

თქვენ ნაცვეთარ ბილიკებს,
თქვენ გადამრჩენ ნაციხრებს,
თქვენ კმალ-ხანჯარს, თავჩაჩქნებს,
ყანის სამკალ სათითრებს...
ჰო, ჰო, თქვენ სულს დავენაცვლ,
საფერაო-საფიცრებს.

ანა მხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, შაბათი და „გამოტოვებული“

მოთხრობა

მე ამ მოთხრობას ხელმეორედ ვწერ. ცდის სახეს მივცემ ამ საქმეს. დავწერ ხელმეორედ მოთხრობას სათაურით — „პარასკევი, შაბათი და „გამოტოვებული“ და შევადარებ პირველ, ამავე სათაურის მქონე მოთხრობას, რომელსაც. მზის სინათლე რომ ეხილა, შეეძლო უმოკლესი გზა გაეკაფა ჩემთვის მკითხველთა წარმოსახვითი გილოტინისაკენ.

ასეთი მოთხრობები საკმარისზე მეტი მაქვს. ისე მიწყვია, როგორც კონსერვის ხუფწამბერილი ქილები — გადაყრაც მენანება, მოწამვლისაც მეშინია. მაგრამ ამ ბოლო მოთხრობასთან ახლოსაც ვერ მოვა ვერც ერთი. წაკითხვა და გაოგნება ერთია. სამად სამ დღეში მომხდარი, მეტად ჩვეულებრივი ამბავი ისე გავბერე და გავაბაქიბუქე, ისეთი დრამატული ბუღი დავაყენე, გახსენებაც მომძძიმს.

მაშინ პირობა დავდე, არაფრის და არავის გულისთვის...

სულ ერთია, მაინც მკითხავენ, რას ნიშნავსო „არაფრის და არავის გულისთვის“, ამიტომ აჯობებს, ახლავე ავხსნა, თუ რამ მიბიძგა ასეთი სამარცხვინო ნაბიჯისკენ.

ერთხელ, მეგობრების ვიწრო წრეში, პირობა დამიდვია, აღარ ვიზარმაცებ და ვიმუშავებ-მეთქი. მაიძულებდნენ, ნებით ამას ვერ ვიზამდი. მარტო ეს რომ ყოფილიყო, კიდევ არაფერი. მაგრამ თურმე ამ პირობის დადებისას უკიდურესად სანდომიანი გამოხედვა მქონია და მათ ეს რამდენიმეჯერ უსინდისოდ შემახსენეს.

ჩემს ტკბილ მეგობრებს ეგონათ, რომ მე მათი თხოვნით შევქმნიდი უზადო ქმნილებას სათაურით „პარასკევი, შაბათი და „გამოტოვებული“ და ისინი, თვითონ არაფრისმაქნისები, იამაყებდნენ ჩემით. ამიტომ და კიდევ იმიტომ, რომ სიტყვა მივეცი, თავს ძალა დავატანე და აღვწერე ქვემოთ მოცემული ამბავი.

წარუმატებლობამ დიდი სამსახური გამიწია. მე მივხვდი იმას, რაც აქამდეც უნდა მცოდნოდა: ყველაზე ძვირფასი ადამიანის სიყვარულისთვისაც კი ვერ გავაკეთებ ვერაფერს, თუ თავს დავინდობ და ჩემს ნაწილს არ ჩავაყოლებ სტრიქონებს.

ცდის არსიც ამაში მდგომარეობს — დროებით, მხოლოდ დროებით გადავიწყებ მეგობრებს და ამჯერად ვიქცევი ახალგაზრდა ექიმ ქალად და სახელად ლიზას დავირქმევ.

●

სალამი, შენდა, მუზა, მაწანწალა დედაკაცო!

თქმა რად გინდა, ისედაც ვიცი, გეჩქარება, ბევრი გელოდება, მაგრამ თუ მაგ მკერდში ნამდვილი მუზის გული გიძგერს, დამიჯექი ცოტა ხანს და სხვებთან შენი ორეულები გააგზავნე. დამიჯექი თუნდაც იმიტომ, რომ ერთთავად მამაკაცებთან დადიხარ და მეტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულუხვი ხარ მათ მიმართ. რას კარგავ. ხომ უკვდავი ხარ, ყელამდე დრო ვაქვს და ხანდახან ჩვენც დაგეხედე, იქნებ შენი სათუთი ნერგებისთვის არც ჩვენ დაგახვედროთ მწირი ნიადაგი.

გადამფრიალე თავზე ეგ შენი სიფრიფანა ფრთა, ამიშალე ერთფეროვნებისაგან მაგრად ჩაწნეხილი სიტყვათა და აზრთა ბრაგი და ისე ოსტატურად ამაწყობინე, ბევრი, ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი გამიჩნდეს.

უმადური არ ვიქნები — თაყვანისმცემელთა მეოთხედს შენ დაგითმობ. კარგი, მესამედი იყოს. არც ერთითი მეტი! ბოლოს და ბოლოს არავითარ ხარჯებს შენ არ სწევ, მხოლოდ ფრთის აქნევა დაგჭირდება და ეს გარგებს კიდევაც. ამ ბოლო დროს ისედაც გასუქდი, დამძიმდი და გატლანქდი.

რა შუაშია აქ ვაჭრული სული?! ნუთუ შენ უარყოფ იმას, რომ საბოლოო ჯამში კეთილსინდისიერი, ურთიერთშეთანხმებული გარიგება საუცხოო რამაა?

ამასთან, ვაჭრული სული რომ მქონოდა, ასეთ წინადადებას კი არ შემოგთავაზებდი, გეტყოდი, თაყვანისმცემლები შენ, ფული მე-მეთქი, მაგრამ არ გაკადრე, ჩემმა შეგნებამ არ დამრთო ამის ნება. ამასაც რომ თავი გავანებოთ, ფულს, მოგეხსენება, ხუთი ფუნქცია გააჩნია და არც ერთ მათგანს შენთან ხელი არა აქვს. იმიტომაც ხარ უკვდავი. მე კი, საცოდავ მოკვდავს, ფული მჭირდება თუნდაც იმისთვის, რომ შენ — ასერიგად ნანატრ სტუმარს, პირგამეხებული და აგზნებული არ დაგხვდე.

ხომ ხედავ, რა ფართოა ჩემი აზროვნებისა და სურვილების ჰორიზონტები, ამიტომ იყავ კეთილი, მომწყვიტე ყოველდღიურ ცხოვრებას, ამიყვანე სხვებზე მაღლა მათთვისვე სასარგებლოდ და მაწერინე და მაწერინე ტყუილი და მართალი.

წინაღმდეგი თუ არ იქნები, პირველი მოთხრობიდან, რომლის შექმნის დროს შენ, ეშმაკმა იცის, სად დაძვრებოდი, სათაურს დავტოვებ.

როგორც ჩემი თანაავტორი, თავს ვალდებულად ვთვლი, ჩაგაყენო საქმის ვითარებაში: „პარასკევი, შაბათი და „გამოტოვებული“ ნიშნავს სამ დღეს — პარასკევს, შაბათს და კვირას.

დღეები ჩემს წარმოსახვაში მეხსიერებამ სკოლის დღიურში ჩაწერილი ცხრილის მიხედვით ჩაბეჭდა. ორშაბათი — პირველი გვერდის პირველი დანაყოფი, სამშაბათი — პირველი გვერდის მეორე დანაყოფი და ასე შემდეგ. მხოლოდ კვირაა გამოტოვებული, კვირა არ ჩანს არსად. ამის გამო დღემდე კვირა ჩემთვის საერთო განრიგიდან ამოვარდნილი, ფურცლის შიგნით ჩაკარგული, თითქმის ცარიელი დღეა.

მიუხედავად ამისა, კვირადღე ჩემთვის იგივეა, რაც ბავშვებისათვის ზაფხულის არდადეგები, მაგრამ არც ისე შინაარსიანი.

მახსოვს, პირველი მეოთხედის დასაწყისში დამრიგებელმა ასე გვითხრა, ეს მეოთხედი თქვენი ცოდნის საფუძვლის ჩამყრელია და, ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანიო. აბა, თქვენ იცით, კარგად ისწავლეთო.

შემდეგ გამოირკვა, რომ ყველაზე მოკლე მეორე მეოთხედი არაფრით ნაკლები არ ყოფილა პირველზე. ამას მოჰყვა ხანგრძლივობით გამორჩეული მესამე მეოთხედი, რომლის უდიდეს მნიშვნელობას, გიჟი თუ არ იყო, ყველა მიხვდებოდა. მეოთხე მეოთხედზე რაც ითქმებოდა, თავისთავად ცხადია.

ასე რომ დავიბენით. გუმანი გვკარნახობდა, რომ ლამაზად გაგვაცურეს, მაგრამ, კერძოდ, როდის, ამას ვერ მივხვდით.

ბოლოს საკუთარი აზრი დაგვებადა — ყველაზე მნიშვნელოვანი ყოფილა არდადეგები, კარგი დასვენება და ძალის მოკრება, რათა ყველაფერი ეს თავიდან მოგვესმინა.

დაახლოებით ასეთია ჩემთვის ახლა კვირადღე: მსუბუქი საქმე, შუადღის

ძილი, გასართობი წიგნები და პირადი ჰიგიენა.

ხსენებული „გამოტოვებული“ ბევრად არ განსხვავდებოდა სხვა კვირადღეებისაგან. მაგრამ სჯობს თანმიმდევრობით, დღიურის მეორე გვერდის მეორე დანაყოფით დავიწყოთ.

პარასკევი გათენდა უქარო, ოდნავ ნისლიანი, მაგრამ თბილი და ეს უკვე კმაროდა იმის მიზეზად, რომ სახლიდან მშვენიერ ხასიათზე გამოვსულიყავი.

უჩვეულო სიმსუბუქით მივაბიჯებდი ქუჩაში. სხეულის არც ერთი ნაწილი ნათხოვარი არ მეჩვენებოდა, ნამდვილად ჩემი იყო და ადვილად ვიმორჩილებდი.

არავისთვის არასდროს მიკითხავს, როგორ აგვარებენ საქმეს თავის სხეულთან. უმრავლესობას, ალბათ, სისულელედ მიაჩნია ამაზე ფიქრი, მე კი „ხელები სად წავიდო“-ს საკითხმა სიცოცხლე გამიმწარა.

რამდენჯერ მიოცნებია მსახიობობაზე, მაგრამ როცა წარმოვიდგენდი რომ ვიღაცის სურვილით უნდა გამევლო ამ წერტილიდან იმ წერტილამდე და ეს სრულიად ბუნებრივად უნდა გამეკეთებინა, სწრაფადვე ვიღებდი ხელს განზრახვაზე.

ერთხელაც, აღმოჩენა გავაკეთე. სიარულისას მუსიკის ხმას თუ გავივონებდი, დაძაბულობა იმწამსვე მეხსნებოდა და რიტმს აყოლილი ბუმბულივით მსუბუქი ვხდებოდი.

უცნაური ხასიათის გამო არ გავამხილე ეს საიდუმლო — მინდოდა სხვებს აღმოვაჩინე, თვითონვე ამოეცნოთ ჩემი ეს თავისებურება და მერე მე ვიცოდი.

უქმად მაინც არ ჩაუვლია ამ სიახლეს. თუ მუსიკის ხმა არსაიდან ისმის, ჩუმად ვღიღინებ და ასეთი გზით ვაღწევ საკუთარი სხეულის ფლობით გამოწვეულ სიამოვნებას.

მგონი, ისეთი შთაბეჭდილება შევქმენი, თითქოს ზედმეტი წონა მაწუხებდეს და ძლივს დავათრევდე სხეულს. პირიქით, ჩემი სიგამხდრე ნაცნობების საყვარელ სახუმარო თემად ჩაეფუძნა, მაგრამ მე ეს იოტისოდენადაც არ მწყინს. ამას ხომ უამრავი დადებითი მხარე ახლავს.

მაგალითისათვის, ვზიავარ მეტროს ვაგონში. ვზიავარ ფეხი ფეხზე გადადებული, თვალებმინაბული. ბუზს არ ვაფრენ. ამ დროს შემოდის ფაშფაშა ქალი, პირდაპირ ჩემკენ იღებს გეზს, თვალში ვეპატარავები. გამწევს ხელით და უბოდიშოდ მაჯდება ბარძაყზე. ბედის კმაყოფილია, თავს არხეინად გრძნობს. შემდეგ გაჩერებაზე ვაგონში ასეთივე ჩასუქებული ქალი შემოგოგდება და მაინდამაინც მე დამადგამს თვალს. იმ პირველი ქალის ქვეშ რომ არ ვიყო ამოდებული, ესეც . უყოყმანოდ იგივეს ჩაიდენდა. ამ დროს მე — თავაზიანობის განსახიერება — მკვირცხლად ვდგები და ადგილს ვუთმობ ახლად შემოსულს. იმ ადგილს, რომელზედაც ნორმალურად განვითარებული ორი წლის ბავშვიც ძლივს დაეტეოდა. ძნელია იმის წარმოდგენა, რა ნეტარებას განვიცდი ამ ორი ქალის შემხედვარე, დაბნეულები რომ შეაცქერიან ერთმანეთს. ვალმოხდილი სახით შორიახლოს ვდგები და მოქმედების განვითარებას ვადევნებ თვალს. უფრო ხშირად ახლად შემოსული ისეთ სახეს იღებს, თითქოს ჯდომა სასტიკად ჰქონდეს აკრძალული.

ეი, ქალბატონო მუზა, რა ცელქობის გუნებაზე დამდგარხარ?! ახლავე დამაბრუნე ჩემს სჯთქმელთან და აღარც შეეცადო ჩემს გასულელებას!

ამრიგად, მსახიობი ჩემგან არ გამოვიდა და იმ პარასკევ დილით ღიღინით მივდიოდი სამსახურში. ჩრდილის მოხდენილობით გაოცებული და ნასიამოვნები იმას ვფიქრობდი, სიცოცხლის რამდენი წელიც არ უნდა ერგუნებინა ბედს ჩემთვის, მაინც უსამართლო იქნებოდა ჩემს მიმართ. სულ რამდენიმე დღის წინ თვითმკვლელობაზე რომ ვფიქრობდი, უთუოდ სიგიჟესთან ახ-

ლოს ვიყავი. თვალი არ მეცალა, ჯანმრთელი ვარ, ჩემი საქმე მომშენილ, სიყვარულის უნარი ჯერ არ დამიკარგავს და, რა ჯანდაბა უნდა მინდოდეს იმ მოსაწყენ სამარეში? გულშიც აღარ გავიკვლევ ასეთ ცოდვას.

პოლიკლინიკა, სადაც მე ვმუშაობ, ქალაქის გარეუბანში იმყოფება. ამ ძველ, ორსართულიან შენობას უკვე დიდი ხანია აღებას უპირებენ, მაგრამ თანამშრომლები, რომლებიც ახლომახლო ცხოვრობენ, ვერა და ვერ მოაცილებენ ფეხი ადგილიდან.

შენობა გორაკზე, მისასვლელად ძალზე მოუხერხებელ ადგილზე იდგა და პაციენტებს, თუ მაინცდამაინც დიდი გაჭირვება არ ადგათ, ეზარებოდათ იქ ამოსვლა. ამიტომ საქმე ცოტა გვქონდა და ვმუშაობდით წყნარად და შეხმატკბილებულად.

პირველ სართულზე, რეგისტრატურასა და ლაბორატორიაში, ძირითადად ახალგაზრდა გოგონები მუშაობდნენ. მათ თავიანთი წრე ჰქონდათ, უფრო მხიარული და მეგობრული. მეორე სართულს შედარებით სოლიდური იერი ჰქონდა. საქმიანი გამომეტყველებით ვისხედით ყველანი, რათა მომსვლელთა რიდი და პატივისცემა დაგვემსახურებინა. ეს აუცილებელი პირობა იყო პოლიკლინიკის პრესტიჟის დასაცავად, მას ხომ უზარმაზარი ნაკლი ჰქონდა — დერეფნებში წამლების სუნი არ იდგა. წამლებს ცოტა გვქონდა და ისიც ისეთები, სუნი რომ არ ასდიოდათ. ამიტომ, ჩვენი არსებობის საჭირობა რომ დაგვემტკიცებინა, შეძლებისდაგვარად მკაცრები ვიყავით.

როგორც კი მივუახლოვდი შენობას, ჩრდილთან თამაშს თავი დავანებე. თავდაჭერილად მივესალმე გოგოებს, ავედი კიბეზე, ჩავუარე ჩემს კაბინეტს, შევაღე კარი წარწერით „მთავარი ექიმი“ და გამეღიმა.

აგერ, უკვე მეათე დღეა, ამ ოთახში ვმუშაობ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შევეგუე აქაურობას. სხვისი ტანსაცმლის სუნი, სხვისი ხელით ნაწერი ეტიკეტები, სხვისი გემოვნებით მოოფილი კედლები — ყველაფერი სხვისი. უცხო ნივთებს ვერ შევეგუე, თანანმდებობა კი ადვილად შევიფერე. ერთდროულად კეთილი, მომთხოვნი და სამართლიანი ვიყავი თანამშრომელებთან. თავაზიანი მომსვლელებთან. არაჩვეულებრივი აქ არაფერი იყო, ეს ხომ ჩემი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობდა. ასე მჯერდა მე, მაგრამ ზოგჯერ გამიელვებდა აზრი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთავარი ექიმის ადგილი საბოლოოდ განთავისუფდებოდა და ჩემგან ნაფერები ხალხი სიტყვას შემაწევდა ამ თანამდებობის დასაკავებლად. გულის კუნჭულში ისე თბილად გაიფაჩუნებდა ეს იმედი, ისე ნაზად ესალბუნებოდა ჩემს თურმე არსებულ პატივმოყვარეობას, რომ პატარ-პატარა ანგარებებს ადვილად ვპატიებდი ჩემს თავს.

ვუხელმძღვანელებდი ორიოდ ათეულ ადამიანს და ამით ცოტათი მაინც მოვადუნებდი საკუთარი თავისადმი სიბრალულის შეგრძნებას, ასე რომ მიღრღნიდა გულს.

დღის ბოლომდე მონდომებით ვიმუშავე, ყველაფერი მოვაწესრიგე და ისის იყო წამოსვლას ვაპირებდი, რომ ოთახში ახალგაზრდა ბიჭი შემოვიდა. სწორი, მოხდენილი ცხვირი და ლამაზი ტუჩები ჰქონდა. გამხდარი იყო და ისეთი სხარტი, რატომღაც, თავი ვალდებულად ჩავთვალე, დაუყონებლივ მეპასუხა ყველა მის შეკითხვაზე.

— მთავარი ექიმი მინდა, — თქვა შემოსვლისას.

— შვებულებაშია. მე ვცვლი.

ამა, ღმერთი ჩემს მხარეზე ყოფილაო, ჩაილაპარაკა, სკამი მაგიდასთან მოიდგა, დაჯდა და თითები ერთმანეთს გადააჭდო.

— ბიულეტენი უნდა მომცეთ, — გადაჭრით მითხრა.

— გეტყობა, ჩემო მეგობარო, პირველად ხარ ავად, — ირონიით ვუპასუხე.

— ავად თქვენი მტერი იყოს. კაჟივით ვარ.

— მაშ, როგორ მოგცეთ ბიულეტენი? — ვკითხე.

— ნაცნობობით.

მომკალით და ასეთი ხალხისადმი გულგრილი ვერ დავრჩები.

გამეცინა, მერე შეწუხებული სახე მივიღე:

— რა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდე, რომ იცოდე. ეს საქმე ხომ უბნის ექიმს ეკალება.

— ვიყავი უბნის ექიმთან, — მიპასუხა სწრაფად. — საშინელი ვინმეა. მიკვირს, როგორ აჩერებთ თქვენთან. ერთი ამბავი ამიტეხა და გამომაგდო. თანაც, უზრდელი ხარო, ასე მითხრა.

თანაგრძნობის იმედით შემომხედა და როცა მე წარბები ზემოთ ამეზიდა, კმაყოფილმა განაგრძო:

— ჩემი ზრდილობა აბუჩად ჯერ არავის აუგდია. ისეთი გადაყრუებულია, თავისი ახალგაზრდობა აღარც ეხსომება და მე რას გამიგებდა. აი, თქვენ სულ სხვანაირი ხართ.

თვალებში თაფლი ჩაიღვარა და მზის სხივები ჩაიყენა.

— შენ, ეგეტყობა, ეშმაკსაც ამოსდებდი ლაგამს, — ვუთხარი. — ალბათ, ცოტა გაცხარდი და კარგად ვერ აუხსენი შენი გასაჭირი.

— ნახევარ საათს ვუხსნიდი, — ხელები აიქნია. — გულახდილად, ადამიანურად ვუთხარი, გოგო მიყვარს, ესტონელი. ახლა დედამისთან ერთად ჩამოვიდა, ბიჭვინთაში არიან და რომ არ ვნახო, ავად მაშინ გავხდები. ან გავგიჟდები, ან სულაც მოვკვდები. ეს ურჩევნია იმ ქალს?

— არა მგონია, აქ არავინ გვყავს ასეთი მახინჯი სულის პატრონი. შენ ესეც უთხარი, დაამშინე შენი ჯანმრთელობის შერყევით?

— კი.

— მაინც უარზეა?

— ყურიც არ შეიბერტყა.

— სწორად მოქცეულა. ყალბი საბუთების შედგენისათვის ჩვენთან მკაცრად ისჯებიან.

ბიჭი ერთხანს გაოცებული მიყურებდა, მერე მე კი არა, უფრო თავისთვის შესძახა:

— კი მაგრამ, იცით რამდენი ჩვენებური ბიჭია ახლა იქ? ენე კი ისეთი ლამაზია!

და დაწვრილებით ამიწერა ენე. ისეთი სურათი დამიხატა, ცოცხალ ადამიანს ჯერ არ უშობია.

სიტყვა არ გავაწყვეტინე. პირიქით, მინდოდა დიდხანს ელაპარაკა და გაეხანგრძლივებინა ჩემთვის უცნაური სევდის შეგრძნება.

ვუყურებდი ბიჭს. უცებ, როგორც არაერთხელ დამმართნია, მომეჩვენა, რომ ეს ოდესღაც უკვე იყო. ვისხედით მე და ეს ბიჭი ერთმანეთის პირისპირ და მე ვნატრობდი, დიდხანს გაგრძელებულიყო ასე. მერე ოთახში ვიღაც უნდა შემოსულიყო და ჩვენი მყუდრობება დაერღვია. არ მახსოვს, მომსვლელი თვითონ იყო შავბნელი და არასასიამოვნო პირი, თუ ცუდი ამბის მომტანი უნდა ყოფილიყო.

ისე ვიყავი ამაში დაჯერებული, რომ მოლოდინით მივაჩერდი კარს, მაგრამ არავინ შემოსულა. ალბათ, მოვლენები მაშინ სხვაგვარად წარიმართა.

ერთი რამ მაოცებდა ყოველთვის. ნუთუ ბუნებას, ასეთ დიდ გამომგონებელს, უფრო ახლისა და უკეთესის მოფიქრება არ შეუძლია და მაინცდამაინც ვიღაცისაგან ნასესხები სული უნდა შთაგვბეროს? ეჭვი მეპარება. ამ ამბავსაც სიზმარში ვნახავდი, უეჭველად სიზმარში ვნახავდი და აღარ მახსოვს. წესით, ამ ბიჭს იშვიათი სახელი უნდა ერქვას.

— რა გქვია? — შევეკითხე.

— ანდრო.

— სად მუშაობ?

— მოზაიკების ასაწყობ საამქროში. ძალიან კმაყოფილი ვარ სამსახურით, მაგრამ ახალი მისული ვარ და შვებულება არ მეკუთვნის. ფულის საკითხი

სრულებით არ მადარდებს, ადგილის დაკარგვა კი ნამდვილად არ მინდა. ხომ გესმით? მიშველეთ, რა! — ბავშვივით შემომეხვეწა.

— მომისმინე, ანდრო. თხუთმეტი წლის ბიჭი მყავს. მისთვის დედაც მე ვარ და მამაც. აქედან გამომდინარე, ადგილის დაკარგვა არც მე მაწყობს.

ანდროს ხმა აღარ ამოუღია, მხოლოდ ტუჩები გამობერა. ან ბედს ურიგდებოდა, ან სხვა გამოსავალს ეძებდა.

უცებ, რაღაც ეშმაკად, თავი დამნაშავედ ვიგრძენი.

— რომ შეგვამოწმონ? — ვკითხე, თუმცა ვიცოდი, ამაზე ვერაფერს მიპასუხებდა.

წამოდექი და ფანჯარასთან მივედი. პილიკლინიკის ულიანდაგო ეზოში მატარებელი შემოვიდა, სკვა შეანელა და ბოლოს გაჩერდა. მეზავრებს შორის ხელად გამოვარჩიე ანდრო, რომელიც მოხერხებულად იკვალავდა ხალხში გზას და სადღაც მიიჩქაროდა.

შემოვბრუნდი, ავიღე ფურცელი, კალმისტარი და ანდროს გავუწოდე:

— დაწერე შენი ვინაობა, მისამართი, წლოვანება და სამუშაო ადგილი. სამი დღე გეყოფა?

— ხუთი! — წამითაც არ დაფიქრებული, ისე მიპასუხა.

მიხვდა, რომ მმხიბლა. სწრაფად დაწერა, რაც ვუთხარი, მადლობა მომიხადა და გარეთ გავარდა.

ფურცელი ავიღე და მის ქვეშ გაკეცილი ორმოცდაათმანეთიანი დავინახე. ფულს ხელი დავავლე და ანდროს გავეკიდე. კიბეზე ჩარბოდა.

— ანდრო! — დავუძახე.

ამოიხედა.

— ეს რა არის?

გაიცინა, მადლიერების ნიშნად მკერდზე მიიდო ხელი და გზა განაგრძო. ჩემთვის ჩავიბურტყუნე, ამდენი მაინც რა საჭირო იყო-მეთქი და ოთახში შემოვბრუნდი.

კარი შიგნიდან ჩავრაზე და მთელი ტანით ავეკარი. ყელიდან და ყურებიდან სიმხურვალე წამოვიდა და პირსახეზე მომედო.

ვითომ არ შემიმჩნევია, ანდრომ ფურცლის ქვეშ ფული რომ ამოსდო, რა გაოცებული და აღშფოთებულიც კი დავრჩი!

ეტყობა, იმ დროს ჩემი შინაგანი დამცველები ამოქმედნენ. ადამიანის — ამ შემოხვევაში კი ჩემი — სული ხომ სათბურის ყვავილივით ნაზია და ეს გონიერული მოწყობილობა რომ არ გვაცავდეს ასეთი დედობრივი მზრუნველობით, უეჭველად ყველანი ტკაცატკუცით გადავიწვებოდით.

ამავე დროს ვიღაც უცნობი დაეინებით ცდილობდა ჩემს გამოტეხვას, რომ ვითვალთმაქცე. დაე, ასე იყოს, შევამჩნიე! მაგრამ თხოვნით მე არაფერი მითხოვნია და ანდროსმაგვარი სულელები თუ არსებობენ, რა ჩემი დანაშაულია.

ფული მაგიდაზე დავაგდე. ოთახში სიარულს მოვყევი, მერე სკამზე ჩამოვჯექი, მუშტი მუშტს დავადგი და ზედ ჩამოვდე ნიკაპი.

ეს მწვანე პპელა ასე იოლად და უსირცხვილოდ ჩემთან პირველად შემოფრინდა. ვერც გავერკვიე, როგორ უნდა დავხვედროდი. რაღაც გარდატეხა უნდა მომხდარიყო ჩემში, თითქოს მწვერვალს მივაღწიე და სულის შებერვაზე ერთ-ერთ მხარეს უნდა დავქანებულიყავი. წინასწარ ვიცოდი, საიდანაც დაუბერავდა სიო და არც წინააღმდეგობის გაწევას ვაპირებდი, მაგრამ გული მაინც მეორე მხარეს მრჩებოდა. იქ, სადაც რჩებოდა ჩემი ახალგაზრდობა, უშუალობა და ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი — უდარდელობა მწერთა ამ ნაირსახეობის მიმართ.

ფულთან მე ჩემებური, ბევრისაგან განსხვავებული დამოკიდებულება მქონდა. უდარდელობა თავიდან იყო — სიყმაწვილეში. მერე გამიჩნდა აზრი, რომ ჩემი სილამაზე ისედაც მაძლევდა ნებას სადა კაბაშიც მოხდენილი ვყო-

ფილიყავი, სახის ცოცხალ ფერს ვერაფერს დააკლებდა მორიდებული სადილი, ხოლო იმისათვის, რომ ბევრი მენახა და გამეგო, უცხო ქვეყნებში წიგნებით მოგზაურობაც კმაროდა. შემდეგში, შეჩვენებული ვიყო, თუ მახსოვდეს, როდის და რატომ, ფულთან გაჯიბრების დიდი ჟინი გამიჩნდა.

გაუგონარი თამაში წამოვიწყე. ცაცნობებს თავს ვაწონებდი. რას აღარ ვაკეთებდი, ვხუმრობდი, ვცრუობდი, ვიგონებდი ათასნაირ გასართობს და მეტად ემოციურად გადმოვცემდი პირად განცდებს იმ იმედით, რომ ჩავითრევდი თუნდაც ერთ ადამიანს, ვინც სარფიან საქმეზე წასვლას ჩემთან ყოფნას ამჯობინებდა.

ბევრი ეთანხმებოდა ფულზე ჩემს დამცინავ შეხედულებას. მეთანხმებოდნენ, არ უარყოფდნენ, მაგრამ როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, თავდაიწყებით მისდევდნენ ხსენებულ ჭრელ ჰეპლებს და პირწმინდად ვავიწყდებოდი მეც. ესეც და ისიც.

მიამიტობისათვის მხოლოდ ბავშვები არ ისჯებიან და ასეთ შემთხვევებში მე ისე დამცირებულად, ისე ეულად ვგრძნობდი თავს, თითქოს ჩემს პირად და ძლიერ, მაგრამ ულირს მეტოქეზე გამცვალეს. მოჩვენებითობის გარეშე მწყინდა.

ამიტომ ვიყავი იმ პარასკევს ასეთ გაურკვევლობაში, არ ვიცოდი, რას მიქადდა შემდეგი საფეხური.

შესაძლებელია, უფრო პრაქტიკული, უფრო საღად მოაზროვნე გავხდარიყავი, მაგრამ როცა კარადის სარკეში ეზოში მდგარი ახლად ამწკანებული ხე დავინახე, ჩემთან მსგავსება ვერ ვიპოვნე და ყელში ბოღმა მომაწვა.

ქუჩაში რომ გამოვედი, უკვე შებინდებული იყო. შევეცადე არავის შევხვედროდი. საკუთარ თავს ღალატზე შევასწარი და მისი განადგურება მსურდა. ეჭვიც არ მეპარება, ანდროს მაგივრად ვიღაც გარეშარი რომ შემხვედროდა, ასე არ მომეწამლებოდა გუნება, მაგრამ მე პირველად სწორედ ეს შეყვარებული ბიჭი გავყვალიფეს.

სამუშაო დღე დამთავრდა, ხალხს შინ მიეჩქარებოდა, ათასი საფიქრალი და საზრუნავი ჰქონდა ყველას, მიწიერი და გამართლებული.

ანდრო გამგზავრების სამზადისში იქნებოდა და, ალბათ, როგორ განცვიფრდებოდა, იმ წუთას ჩემს გულში რომ ჩაეხედა. ახლომახლო ბაღი რომ ყოფილიყო, შევიდოდი, მივიმალებოდი ბუჩქებში და ვიტირებდი.

მთავარ ქუჩაზე გავუხვიე. ტელეფონის ჯიხური დავინახე, შევედი და ნომერი აკრიფე.

— ჯერ არ წასულხარ? — შევეკითხე.

— საიდან მირეკავ, უკვე მიხვედი შინ? — გახარებული ჩანდა, აღარ ელოდა ჩემს ზარს.

— არა, ქუჩიდან გირეკავ. რომელ საათზე მიდიხარ?

— ცხრის ნახევარზე. რაღაც ხმა არ მომწონს შენი.

— გეჩვენება, — ვუთხარი. — მარტო რომ მიდიოდე, გაგაცილებდი.

ხმა არ გამცა.

— მენატრები, — სიტყვა ყელში გამეჩხირა.

— მითხარი, რა დაგემართა? ხომ ვატყობ.

— უსიამოვნება შემემთხვა, — ვთქვი და გამეცინა. — სისულელეა. როგორც ყოველთვის, ვაზვიადებ.

— აღარ იტყვი? — ჩამაცივდა.

— ახლა არა. რომ ჩამოხვალ გიამბობ.

— ვერ მოვისვენებ.

— ხომ გითხარი, მნიშვნელოვანი არაფერია, — იქით დამჭირდა მისი დაწყნარება, — მასხრად ამიგდებ, როცა გეტყვი.

რაღაცას ფიქრობდა, მერე უეცრად სრულიად სერიოზულად მითხრა:

— ღილით მღვდელი შემხვდა. ცუდად მაქვს დაცდილი. მაშინვე ვიფიქრე, ეიფბლო დღე მელის-მეთქი.

— ცრუმორწმუნეც გახდი, საყვარელო?

—როდის არ ვიყავი. არ მითქვამს შენთვის?

— არა.

ასანთმა გაიჩხაკუნა ყურმილში.

—იქნებ როგორმე მიმახვედრო, — მითხრა მცირე ხნის შემდეგ. — შემიძლია დაგეხმარო?

— კი.

— თქვი მერე, რას მაწვალებ! რა გინდა?

— შენთან მინდა, — ვუთხარი ხმადაბლა.

თვალები დავხუჭე. ნესტოებზე მისი თბილი და მიმზიდველი სუნთქვა ჩემსას შეერია და სული შემეხუთა. ტუჩები ჩემი ნებართვის გარეშე დასცილდნენ ერთმანეთს.

— მაკოცე? — მკითხა მოულოდნელად.

უპასუხოდ დავტოვე, ხელს მიწლიდა ოცნებაში.

— მისმინე, — მოისმა ყურმილში, — მე შემიძლია დავრჩე.

— შეგიძლია, როგორ არა, მაგრამ არ დარჩები.

— ქვეყანა არ დაიქცევა.

— არა, წახვალ, — საბოლოოდ გამოვეფხიზლდი. — მე გავიქეცი ახლა.

— მოიცადე! — შემაჩერა. — ძალიან გთხოვ, გაიმეორე.

— რა გავიმეორო?

— ერთხელაც მაკოცე.

გამეცინა, არ მიყვარს ქარაფშუტა ხალხი-მეთქი, ჩავძახე და ყურმილი ჩამოვკიდე.

ამასობაში ჩემი სევდა სადღაც გაპარულა და აღარც მიცდია მისი დაბრუნება.

ვერ მოვითმინე, იქვე გადავთვალე მთელი ჩემი ავლადიდება. სულ ოთხმოცდაცამეტი მანეთი მქონდა. ამ თანხით მე შემეძლო ერთი საჭირო ნივთის შეძენა, მაგრამ იმდენი რამ მჭირდებოდა, ერთის ამორჩევა გამიჭირდა.

ხალხით გაჭედილ ავტობუსში ვიდექი, გლეხისა და ქილა ერბოს ოცვალ რომ გამახსენდა და ხელჩანთა ეჭიდა, როდ მივიკარი გვერდზე. ამ მარშრუტის ავტობუსებს ხომ გამორჩეულად ეტანებოდნენ ხელმრუდეები. სულ ჭედვა იყო, სულ ერთმანეთს ვაწყდებოდით და ძნელი ხდებოდა იმის გარჩევა, ვინ მოგეკრო განგებ და ვინ — შემთხვევით.

ერთხელ, ამ ორიოდე წლის წინ, სწორედ ამ გზით მივემგზავრებოდი. უკანა ბაქანზე ვიდექი. შუაში ერთი ხნიერი კაცი იდგა, ხელი ზემოთა სახელურისთვის ჩაევლო. გახსნილი პალტოს ჯიბიდან მანეთიანი ამოსჩროდა, ცოტაც და ამოუვარდებოდა.

მე ჩემს საფიქრალს ვფიქრობდი და ანგარიშმიუცემლად ვუყურებდი ამ კაცის ჯიბეს.

ზამთარი იდგა, ყველას მუქი ფერის ტანსაცმელი ეცვა და ამ ფონზე უცებ კარგად გამოიკვეთა ვიღაცის ბავშვური ხელი, რომელიც გაუბედავად გაცოცდა ჯიბისკენ. მერე ისევ უკან შეიწია. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ ხელსაყრელი შემთხვევის მოლოდინში.

გვერდზე გადავიწიე და ბავშვს შევხედე. პატარა ხელის პატრონი ჩემი შვილი აღმოჩნდა.

მუხლები მომეკვეთა, მაგრამ თავს ძალა დავატანე, ხალხში გზა გავიკვლიე და გოგას სწორედ იმ წუთში ამოვუდექი გვერდით, დაჭმუჭნილ მანეთიანს ჯიბისკენ რომ მიაქანებდა. მაჯაზე ხელი წავავლე.

ამომხედა. თვალები ჩასწითლებოდა, მძიმედ სუნთქავდა. დრო დასჭირდა იმისთვის, რომ მიმხვდარიყო, ვინ ვიყავი. საბოლოოდ დაიბნა.

ხელი მოვუჭირე. იქამდე ვუმატებდი ძალას, სანამ ფრჩხილები ხორცში არ ჩაესო. ტკივილისაგან სახე მოეღრიცა და ბოლოს გახსნა მუჭა.

თვალებით ვანიშნე, დაგდებული ფული პატრონისთვის დაებრუნებინა. არ უნდოდა, უჭირდა ამის გათამაშება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ისე ვუყურებდი, უარის თქმა ვეღარ გბედა.

სახლამდე ჩუმად ვიარეთ. გუნებაში ვწონიდი, რა მეთქვა მისთვის, უფრო მწარედ როგორ დამესაჯა. მოვიფიქრე კიდეც სათქმელი, მაგრამ მერე სხვა გზა ვარჩიე — გამანადგურებელი სიჩუმის გარდა, არაფერი ვაღირსე.

გოგა ელოდა, ელოდა ჩემს ლანძღვას. მაგრამ მე ცივად ვუვლიდი გვერდს. გული გასკდომაზე მქონდა, ნაცემი ძაღლივით რომ მდევდა უკან, ხან რას მეკითხებოდა, ხან რას, მე მაინც არ ვტყდებოდი — თითქმის ერთი კვირა ვაწვალე ასე.

ბოლოს, როცა ჩავთვალე, რომ საკმარისად დავსაჯე, დიდი თავშეკავებით შევუტრიგდი. მას მერე ვუთვალთვალებ, განგებ ვუწყობ მაცდუნებელ გამოცდებს, მაგრამ აღარაფერი მსგავსი არ შემინიშნავს.

ჩემთვის კი ამ შემთხვევას სულ სხვა გაგრძელება ჰქონდა.

თანაბარ შუალედში, დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ, ერთი და იგივე სიზმრებს ვნახულობდი. დაწოლისას წინასწარ მაკანკალებდა ამ სიზმრების მოლოდინში. მუდამ საღდაც ვსეირნობდი, მივდიოდი მარტოდმარტო და მუდამ გოგა გამომეხტებოდა ცხვირწინ. მერე გაიქცეოდა გოგა და მე უკან მივდევდი. დაუღალავად მივდევდი, ვეწეოდი, ცალი ხელით მაგრად ვიჭერდი, მეორეთი კი ვცემდი. ვცემდი და როგორ! გამეტებით ვურტყამდი სახეში, ვიდრე ცხვირ-პირიდან სისხლი არ წამოუვდოდა, მერე ძირს დავახეთქებდი და წინლებს ვუშენდი მის მომჩვარულ სხეულს. გოგა უხმოდ იკრუნჩხებოდა და მხოლოდ დროდადრო დამძახებდა.

მე ვიცოდი, რომ ეს გოგა იყო, ჩემი ბიჭი, სიბრალულისგან გული მერეოდა, ენატრობდი, ძალა გამომლეოდა და უსულოდ წავქცეულიყავი, მაგრამ ამის მაგივრად, თმებში ვწვდებოდი გოგას და მიწაზე ვახლეკინებდი თავს.

არაქათგამოცლილი, ოფლად დაღვრილი ვიღვიძებდი, საზიზღარი შეგრძნების მოსაშორებლად ცივი წყლიანი ვანდი პირს, დასამშვიდებელ წამალს ვყლაპავდი და ისევ ვწვებოდი გოგას გვერდით. ფრთხილად, რომ არ გამეღვიძებინა, საბნის ქვეშ მის მხარს ვეხებოდი და პატიებას ვთხოვდი ჩემი არაადამიანური სიზმრებისათვის.

გოგა მშვიდად, თანაბრად სუნთქავდა. მისთვის ხომ ეს ამბავი დიდი ხნის ჩაბარებული იყო წარსულს. ვერც კი მიხვდებოდა, რას ვერჩოდი, როცა მის ცხოვრებაში ახლა პირველხარისხოვანი, მეორეხარისხოვანი და საღდაც მეთვრამეტეხარისხოვანიც მისი პირველი სიყვარული იყო.

როგორც მოველოდი, შინ მისულს ორივე ადგილზე დამხვდა. ორშაბათი და პარასკევი საღამოები ეკას თავისუფალი აქვს და გოგასთან ერთად ესპანურ ენას სწავლობენ. გოგას გაცილებით ურჩევნია გართობა, მაგრამ ეკას ხათრით არათუ ესპანურს, უცხოპლანეტელთა ენასაც ხელად აითვისებს. საბედნიეროდ, ეკას ასეთი სურვილი არ ებადება.

მიყვარს ეკა. ვიდრე ეს სუფთათვალება გოგო გვერდით ეყოლება ჩემს ბიჭს, შემიძლია მშვიდად ვიყო.

სირცხვილია, მაგრამ უნდა ვთქვა: რამდენჯერ ჩუმად შემოვპარულვარ ოთახში და უცაბედად წამოვდგომივარ თავზე, მაგრამ არც ერთს წარბიც არ შეუხრია, სიტყვაც არ შეუწყვეტიათ.

ამჯერადაც ასე იყო. შევიპარე, შევხედე და უკვე მერამდენედ გავიფიქრე, რომ ეს მე ვიყავი ცოდვილი და მატყუარა.

ამ ერთი დღის განმავლობაში სიყვარულის სამი სურათი ვნახე: გოგასი, ანდროსი და ჩემი. პირველმა ჯერ არ იცის, რა უნდა, მეორემ — ძალიან კარგად იცის, მე კი აღარ მახსოვს. არც მე, არც მას არ გვახსოვს, რას მოვითხოვთ ერთმანეთისგან.

ეკა და გოგა სამზარეულოში არ გამოვიდნენ, ამიტომ ჟურნალების მაგი-

დაზე გავუშალე სუფრა და ახლოს მივუჩოჩე. სხვა დროს მე სამზარეულოში ვეწყობოდი, გაზეთს დავიდებდი წინ და ისე ვსადილობდი, მაგრამ ახლა მათთან მომინდა ყოფნა. რაღაც მიხაროდა და ვერ მიმხვდარიყავი. ჯანსაღი კბილებით გემრიელად კბეჩდნენ ხორცს, ლამაზად ჭამდნენ და მსიამოვნებდა. მე პატარა ნაჭრებად ვაქუცმაცებდი ხორცს და ფრთხილად ვღეჭავდი.

— დედ! — მითხრა გოგამ, — ზეგ ბეთანიაში მიდიან ბავშვები. ხომ გამიშვებ?

— როგორ არა! — ვუპასუხე, — ჩამოხვალ იქიდან ენაგადმოგდებული და მაშინვე ლოგინში შეძვრები. არ ვიცი შენი ამბავი? შენს გაკვეთილებს მე ვისწავლი.

— გაკვეთილებს ხვალ მოვამზადებ. პირობას გაძლევ!

დაცინვით შევხედე.

— ჩავბარები, — მითხრა გოგამ.

— ერთად ვისწავლით, — შეეშველა ეკა.

— შენც მიდიხარ? — ვკითხე ეკას.

— დიახ.

— უფროსი მოგყვებათ?

— დათოს, მამა, ავტობუსით წაგვიყვანს.

ეკა ვედრებით მიყურებდა.

— რა გაგატანოთ? — დავფიქრდი. — ქათამი მაქვს, შევწვავ, ნამცხვარს გამოვაცხობ, ხილსაც ვიყიდი.

გოგა წამოხტა და მომეხვია:

— ზიზი, შენ ყველაზე კეთილი და ლამაზი ქალი ხარ! არა, ეკა? ვინმემ რომ მითხრას, დედაჩემი დედაშენს სჯობიაო, ცხვირს დავუნაყავ!

— ნუ მეძახი ზიზის, რამდენჯერ გითხარი, — ვუყვირე გოგას. — თანაც ეს სულელური კილო! ვისგან გადმოიღე? რა სწრაფად ითვისებ ყოველგვარ სისაძაგლეს!

— არავისგანაც არ გადმომიღია, გული მთხოვს შენი სიკეთის შექებას.

— მომშყდი თავიდან, — სიცილით მოვიშორე გოგა.

ეკა სუფრის ალაგებაში მომეხმარა. წიგნები წამოკრიბა და დამემშვიდობა. კარამდე მივაცილე. გოგა უკან გაჰყვა.

სწორი და ძლიერი ფეხები აქვს გოგას, მყარად დაადგიჯებს. ასე მითხრეს, ეს იმის ნიშანია, კარგი მამაკაცი დადგებაო. ჩემმა მეგობარმა მითხრა, თან ეშმაკურად ჩაიცინა.

მე არ გამცინებია, პირიქით, იმედით ჩავებღაუჭე ამ აზრს. თუ ეს ნამდვილად ასეა და თუ გოგას სხვა მისაყურებელი ან მიმზიდველი მხარეები არ აღმოაჩნდა, ეს იქნება თავისებური წინამძღვარი იმისა, რომ იგი ეყვარებათ. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს არა მარტო გოგას ბედნიერებას, არამედ იმასაც, რომ თვით გოგა იქნება კარგი ადამიანი. რაღაზე არ მიხდება ფიქრი...

კვლავ გოგას ვუყურებდი. ფეხები კი აქვს ჩამოქნილი, მაგრამ შარვალი ძლივს უფარავს კოჭებს. გადაწყდა, ხვალვე ვყიდულობ შარვალს გოგასთვის. თუ ვერ ვიშოვი კარგ შარვალს, მაშინ შეკერინებ. სხვა ყველაფერი მოიცდის.

ოთახში ცეკვით დავბრუნდი რა საქმესაც არ მოვკიდე ხელი, უმალვე მივატოვე. შეუცნობელი სიხარული ხელს მიშლიდა მუშაობაში.

ბოლოს სავარძელში ჩავეშვი, ფეხები ამოვიკეცე და ჟურნალის წაკითხვა დავაპირე. ასევე დამრჩა თვალები ერთ სტრიქონზე მიშტერებული.

როგორ მითხრა... მღვდელი შემხვდაო. მხოლოდ ახლა გამინათდა გონება. მღვდელი მას შეხვდა, უსიამოვნება — მე. მაგრამ მან გაათანაბრა ეს ორი შემთხვევა, ჩემი გასაჭირი თავისად მიიღო. და ეს ისე დაუფიქრებლად, ისე ბუნებრივად იყო ნათქვამი, როგორც თავისთავად ცხადი. ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ველოდი.

უცებ, როგორც არასოდეს, ისე მომინდა მისთვის სიკეთის გაკეთება. საკუთარ უნიათობაზე თანდათან ბრაზი მემატებოდა. დასწყეველოს ღმერთმა, რა დავიბადე ასე არაფრისმაქნისი —

კარგი ექიმი ვყოფილიყავი, ან დალაქი. თუნდაც ქსოვა მცოდნოდა. ჩემი ხელით მოვუქსოვდი შავ პულოვერს, მკერდზე აცდენილი ზოლებით.

რით აღარ ვცადე ჩემი სინაზის გამოხატვა და ბოლოს დავასკვენი, რომ მე მისთვის მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შემიძლია — არასოდეს არ ვინანებ მის სიყვარულს. სულ ეს არის, მაგრამ ვიცი, მას არ ეცოტავება.

იშვიათად მძინებია ასე ტკბილად და უდარდელად, როგორც იმ ღამეს.

შაბათი გათენდა. გოგა სკოლიდან დროზე დაბრუნდა, ეჩქარებოდა შარვლის ყიდვა.

და აი, მე და გოგა უნივერმაღის შენობაში შევდივართ. ჰიტველ სართულზე, პარფიუმერიის განყოფილებასთან გოგა შევაჩერე.

მაღაზიებში სიარულის დიდი მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ თუ შევედი, ამ განყოფილებას გულგრილად გვერდს ვერ ვუქცევ. ხარბად ვისუნთქავ სუნამოების, საპნის, პომადის არეულ სურნელს. მიყვარს ნელ-საცხებლების რეკლამების კითხვა და წამით მათი სასწაულმოქმედი ძალის დაჯერება.

ახალი და ყურადსაღები არაფერი იყო. მხოლოდ ინის ყიდვა დავაპირე. გამყიდველი ქალი გრძელი დახლის ბოლოში იდგა და ქალსა და კაცს ელაპარაკებოდა. დაველოდე, მაგრამ რაკი აღარ მომხედა, დავუძახე:

— ერთი წუთით!

არც გაუგონია, ისე იყო გართული. კიდევ დაველოდე. ყველაფერი ხელმეორედ გადავთვალიერე, ცარიელი კოლოფები ავიღე, წავიკითხე, მერე საყვედურით სავსე თვალები მივაპყარი გამყიდველს, იქნებ შერცხვეს-მეთქი, მაგრამ უშედეგოდ. ისევ ყურადღება მოლიანად მიეკაჭვა დიდ სპორტულ ჩანთას, კაცს რომ ეკავა. კაცმა გახსნა ჩანთა, იქიდან შეკვრა ამოიღო და გამყიდველს გაუწოდა.

ვიღაც დადის ტყეში, მთაზე, მინდორში, აგროვებს ბალახს, მერე რეცხავს, ახმობს. ვიღაცა ამ ბალახისგან ფაფალებს ამზადებს, ვიღაც ტკირთავს, ვიღაც ყიდის, მე კი ამდენი ხალხის ნაშრომი ჭიქაში უნდა ჩავაწყვიო და გადავკრა, რათა ამ ერთი გაჩინკული ქალის უტიფრობისგან გული არ გამისკდეს.

ყველაზე სამართლიანი იქნებოდა, დამეძახა ამ ქალბატონის უფროსებისათვის და მეჩივნებინა, დღისით — მზისით როგორ ევაჭრება უცხოელებს, მაგრამ მე ფეხი არ მომიცვლია. შევინაცვლე მხოლოდ — ხან მარჯვენა, ხან მარცხენა. სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ ჩემი სული, ვიდრე ვინმე უბედურს ჩაუსახლდება, კარგად უნდა გაიფილტროს.

ამასობაში გამყიდველმა გახსნა შეკვრა, რომელშიც სხვადასხვა ფერის ქალის ქვედა საცვლები იყო. ერთი ცალი გაწელა და ტანზე მიიზომა. ფასი კითხა.

— ოცდათხუთმეტი, — დამტკრეული რუსულით უპასუხა ქალმა.

—ამდენი არ მინდა, ცალ-ცალკე გაყიდოს, — შესთავაზა გამყიდველმა.

ქალი კაცს გამოელაპარაკა და მერე უარის ნიშნად თავი გაიქნია.

გამყიდველმა თავის ამხანაგს დაუძახა. ახლა მან დაიწყო საცვლების ტრიალი, მოითათბირეს, სანახევროდ ვიყიდოთო, მაგრამ ვინაიდან კვირის შვიდ დღეზე გათვალისწინებული საცვლები ორზე უნაშთოდ არ იყოფოდა, ერთი ოც მანეთს სდებდა, მეორე თხუთმეტს.

უცხოელს ფული მიუთვალეს. დამადგა საშველი, ახლა მაინც გამისტუმრებენ-მეთქი, მაგრამ შევცდი, პირწმინდად დავიწყნოდათ თავიანთი მოვალეობა. კიდევ რა გაქვთო, ანიშნეს.

გაბრაზებულმა გოგას ჩავავლე ხელი და ის-ის იყო უნდა წავსულიყავი, რომ უცხოელის ხელში ფრანგული სუნამოს ლუჯი კოლოფი დავინახე და ადგილზე გავშეშდი. სულის წარწყმედაც ამას ერქვა!

წარწერა კოლოფზე თანდათან გაი-

ზარდა, ალაპლაპდა და ათასნაირ ფერებად გაიშალა. თვალი მომეპრა. დაძაბულობისაგან პირზე მომდგარი ნერწყვი ხმაურით ჩავყლაპე.

— გოგა, შეხედე! — წავიჩურჩულე.

გოგა შემობრუნდა.

— ეს ისეთი არ არის, ადრე რომ გქონდა? — მკითხა გოგამ.

— ჰო, ის არის. სხვანაირებიც ხომ მქონია, მაგრამ ამას ვერც ერთი ვერ შეედრება. სხვებს მძაფრი სუნი აქვთ, ზოგჯერ თავსაც აგატკივებს, ეს კი ძალიან ნაზია, — ისე ვუხსნიდი გოგას, თითქოს ხვალ ამ თემაზე საკონტროლო უნდა დაეწერა და ძალიან გამოადგებოდა.

— მერე, იყიდე თუ მოგწონს, — მითხრა გოგამ.

— რას ამბობ, სამოცდახუთი მანეთი ღირს! — ვუთხარი, მაგრამ ადგილიდან არ დავძრულვარ.

— ხომ გაქვს მაგდენი? — მკითხა გოგამ.

შეეხედე. გოგა მიხვდა, რა დიდი ცდუნების წინაშე ვიდექი და იღიმებოდა.

— შარვალი? — ეკითხე უმწეოდ.

— სხვა დროს მიყიდე. მე რომ მინდა, ისეთი მაინც არ შეგვხვდება.

ერთხანს ვფიქრობდი.

— არა, არა. წავიდეთ! — რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ისევ მოვტრიალდი.

— იყიდე, ზიზი, იყიდე, — ხელი წამკრა გოგამ.

— ჰა? ვიყიდო?

— ჩქარა, თორემ დაგასწრებენ!

ფული ნელა გადავთვალე, იქნებ მართლა დამასწროს ვინმემ და მდგომარეობიდან გამომიყვანოს-მეთქი. მერე გოგას მივაჩერე, მაგრამ ისევ გამოვართვი და მე თვითონ მივედი უცხოელთან. კოლოფი ჩანთაში ჩავმალე და სწრაფად გავეცალეთ იქაურობას.

ქუჩაში რომ გამოვედით, გოგას მკლავი გავუყარე და მივეხუტე. რატომღაც მომინდა, პატარა ყოფილიყო, ქვისთვის ფეხი წამოეკრა, წაქცეულიყო და ატირებული ხელში ამეყვანა. კისერში მისი თბილი ცრემლები ჩამღვროდა.

ვგონებ, გოგას მოსწონდა ასე სიარული, რადგან მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მკითხა:

— საით მივდივართ?

გოგას დაუკითხავად შევუხვიე სანაყინეში. გოგა ნაყინის რიგში ჩადგა, მე კი ცარიელ მაგიდას მივუჯექი. ხელით სუნამოს კოლოფი მოვსინჯე.

ხვალ დილიდან სახლს დავალაგებ, სარეცხს დავრეცხავ, საღამოს ვიბანავებ. გამშრალ თმაზე თუ რამდენიმე წვეთ სუნამოს დავიპკურებ და თმას კეფაზე სარჭით დავიმაგრებ, ზეგ დილით, თმას რომ გავიშლი, საუცხოო სურნელს დავაფრქვევ. ცოტათი შეიძლება კაბის ბოლოებიც დავნამო, ყურის ძირებში კი ალარ წავისვამ ზედმეტი იქნება.

რაგინდ სულელურადაც უნდა ჩანდეს, შინიდან უფრო თვითდაჯერებული გამოვალ. გამელელ-გამომელელები, იკრავენ თუ არა ამ ნაზ სუნს, აუცილებლად გამომხედავენ. გაურკვეველ სიამოვნებით გაბრუებული მგზავრებიც უფრო ზრდილობიანად მომექცევიან. ცხადია, მასაც მოეწონება.

გოგამ ნაყინი მოიტანა, ათმანეთიანის ხურდა მაგიდაზე დამიდო და კოვზების მოსატანად წავიდა. როცა გოგა დაბრუნდა, ფული მისკენ გავაცურე და ვუთხარი:

— ეს შენ გქონდეს.

ნაყინს გულმოდგინედ ჩიჩქნა დაეუწყე, ავთქვიფე, ნელ-ნელა ვლოკავდი კოვზს, ოღონდ თვალები ზემოთ არ ამეწია.

უგულოდ ვუსმენდი გოგას მონათხრობს რომელიღაც მასწავლებელზე, რომელსაც, თურმე, განურჩევლად წელიწადის დროისა, მუდამ ყველაფერი მწვანე ეცვა. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და საყურეები — სულ მწვანე. თვითონ ეს ძალიან ართობდა ბავშვებს, მა-

გრამ მალე მობეზრდათ და ახლა თურმე აღიზიანებთ კიდეც. ცდილობენ, თვალი აარიდონ. ასე თქვა გოგამ.

„როგორც კი თავისუფალ დროს ვიხელთებ, მივალ იმ ქალთან და საიდუმლოდ გავუმხელ, რომ მიკოსკოპის ლუპის ქვეშ ვართ ამოდებულები და ფრთხილად იყოს.

ერთი სული მქონდა, გოგას საზოგადოებისთვის თავი დამეღწია, მივსულიყავი შინ და ეკასთვის გადმეცეცა იგი. მიუხედავად ამისა, მორიგი სისულელე ჩავიდინე — ძლიქნელურად დავპატიჟე კინოში.

საათახეკრის განმავლობაში წამდაუწუმ გოგასკენ ვიხრებოდი და ფილმის შინაარსს ვუხსნიდი. რამდენიმეჯერ შენიშვნა მომცეს, გოგამაც მთხოვა, გაჩუმდიო, მაგრამ მე თავს ვალდებულად ვთვლიდი ამეხსნა, რომ ფილმის გმირი არც ისე ცუდი იყო, თუ მის საქციელს სხვა მხრიდან განვიხილავდით.

ფილმის გმირმა კარიერისთვის საყვარელი ქალი თავიდან მოიშორა, სასმელში საწამლავი ჩაუყარა.

ნეტავ ის რას იზამს, წინსვლაში ხელს რომ ვუშლიდე? ამის ჩამდენი ის არ არის, მაგრამ ბედის გამოცდა არ მიყვარს, სჯობს, არ შევუშალო ხელი.

კინოთეატრიდან გამოსულს ლაპარაკის ხალისი დამეკარგა. ვაკვირდებოდი გამვლელებს და მათი ვინაობის გამოცნობას ვცდილობდი. ერთი კაცი არ მომეწონა. გავიფიქრე, ალბათ ძაღლებს იჭერს ქუჩაში-მეთქი. გოგასაც ვუთხარი. საიდან იცით, მკითხა. ვიცნობმეთქი. გოგამ კაცს ისეთივე თვალებით შეხედა, როგორითაც მე ვუყურებდი ძაღლებზე მინდორიებს ბავშვობაში. ამან დამაახლოვა გოგასთან. ახლა მეც მძულდა ის კაცი. იმიტომ მძულდა, რომ მჭირდებოდა ასე.

შინ მისულმა გოგას შარვალი გავახდევინე, ტოტების ბოლოები ჩამოვშალე, შიგნიდან სხვა ნაჭერი დავაკერე და გავრეცხე. ოთახში ისე არ გამვლია, თაროზე შემოდებული სუნამოსთვის არ შემეხედა და ხელი არ შემეხო. თაროზე კი სუნამო მაშინ დავდგა, როცა ეკა ჩვენგან წავიდა.

„გამოტოვებული“ დღე, ჩვეულებისამებრ, რეცხვა-დალაგებას მოვანდომე. საღამოს ვიბანავე, თმა გავიშშრალე და საზეიმო განწყობით მივადექი სუნამოს. გამჭვირვალე ქაღალდი ფრთხილად შემოვაცალე.

გახსნილი კოლოფიდან პატარა, ოთხკუთხა ქაღალდი ჩამოვარდა. გულმოდგინედ, რამდენიმეჯერ წავიკითხე. ორიოდე სიტყვა გავარჩიე: „გარანტია“, „პროდუქტი“ და ბოლოს, მისამართი.

გენდობით-მეთქი, ჩავილაპარაკე და ქაღალდი გვერდზე გადავდე.

ცისფერ ხავერდში ლამაზად ჩასმული ბოთლს საცობის მოძრობა დავუპირე, მაგრამ ისე მჭიდროდ ჰქონდა დაცობილი, ძვრა ვერ ვუყავი. ცხვირსახოცი მოვახვიე და ისე ვცადე ბედი, მაინც უშედეგოდ. მერე გამახსენდა, როგორ გადაუტყდა ერთ ჩემს ნაცნობს საცობი და სანამ ბოთლს ყელი არ წაატეხა, ვერაფერს გახდა.

მახათი მოვიშველიე, საცობის ძირი ამოვჭიჩქნე, მაგრამ არც ამან მიშველა.

გოგას დაბრუნების დრო მოსულიყო და ავჩქარდი. რატომღაც არ მინდოდა ასეთ შესანიშნავ წუთებში მოწმე მყოლოდა.

მაკრატელი მოვიმარჯვე, გავშალე და საცობს ამოვდე, ნელ-ნელა ამოვწიე. სანახეკროდ რომ გაკხსენი, უცებ მაკრატელი ამისხლტა, ბოთლის გატეხვის შიშით სიფრთხილე დავკარგე და მაკრატლის წვერი მარცხენა მაჯაში ვიტაკე.

ტკივილისაგან დავიკრუნჩხე, ჩემივე ხმა ვერ ვიცანი.

როცა თვალში სინათლე დამიბრუნდა, დავინახე წითელი წინწკლებით დაფარული მაგიდა, სკამები, კაბა, იატაკი.

ჭრილობა ღრმა უნდა ყოფილიყო, თუმცა მე ამას ვერ ვხედავდი — თქრიალით მდიოდა სისხლი. ჭრილობა მოვიბანე, გავიწმინდე და შევიხვიე. სის-

ხლის წვეთები სველი ტილოთი მოვწმინდე.

აუტანელი ტკივილის მიუხედავად, ისევ სუნამოს მივუბრუნდი. საცობი ადვილად მოვხსენი და დავყნოსე. ერთხელ, მეორედ, მესამედ. თითი დავისველე და ნესტოების ქვეშ წავისვი.

უეცრად მთელი სხეულით მოვეშვი. ისეთი გულგრილობა დამეუფლა, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, თვალს არ დავახამხამებდი. შშვიდად დავახურე ბოთლს საცობი და კარადაში შევინახე.

ერთხანს უაზროდ ვიჯექი. მერე სიარულს მოვყევი, თითქოს რაღაცას ვეძებდი, მაგრამ ბოლოს მიეხვდი, რომ არაფერი არ მინდოდა.

ადარც მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი აბაზანის კიდეზე ჩამომჯდარი. თუ არ ვცდები, ტკივილის გასაყუჩებლად მტკივან მაჯას ოდნავ ვიზელდი.

გოგას შემოსვლა არ გამიგია. აქ რას აკეთებო, მკითხა და შეხვეული მაჯა რომ დამინახა, თვალები გაუფართოვდა:

— რა დაგემართა?

— გავიჭერი.

— მაგრად?

— ჰო.

გოგა რომ არ მოსულიყო, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მაგრამ ის ისეთი დაბნეული იდგა, ისეთი უმწეო თანაგრძნობით მიყურებდა, რომ თავი ვეღარ შევიკავე, ტუჩები მომღრიცა.

— ძალიან გტკივა?

— ჰო, ძალიან, — თავი ხელებში ჩავრგე და მოურიდებლად ავტირდი.

რა მოხდებოდა, რა მოხდებოდა გოგა ასეთი იდიოტი არა მყოლოდა, სხვა ნორმალური ბავშვებივით მოეთხოვა ჩემგან, ეჩხუბა, თავი შეებრალებინა ჩემთვის წუწუნით. ეს კი ყველაფერზე თანახმაა, ვერ ხვდება, რომ ყველაზე ძნელი გასაძლები სწორედ მისი მორჩილებაა.

ამასობაში გოგა ადგილზე წრიალებს, დამამშვიდებელ სიტყვებს ეძებს:

— არა უშავს, გაგივლის.

— ჰო, გამივლის. — გავუღიმე გოგას. — რომ იცოდე, ისე აღარ მტკივა. ახლა გადი, პირი უნდა დავიბანინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგამ ვახშამი გაამზადა.

ძილის წამალი დავლიე, რამდენიმე სიტყვით გამოვკიხეს გოგას ცგზავრობის ამბები და დასაძინებლად დავწექით. შევეცადე, კარგი რამ გამეხსენებინა.

„უდაბნოში, წყურვილისგან რომ ვკვდებოდეთ, წყლის უკანასკნელ წვეთს შენ დაგითმობდი“.

ძილ-ბურანში გამეღიმა. სად წამიკითხავს ეს სიტყვები?

უდაბნოშია.

უდაბნო რის უდაბნოა, თუ არ ცხელა. უდაბნოში ცხელა. ჩემს ოთახშიც ცხელა.

ოთახის ფანჯარას სარკმელი აქვს, მაგრამ იგი უსასრულოდ მაღლაა. თავის სიმაღლეზე კედელი უნდა გამოვთხარო, შევდგე იმ დგილზე, მერე ისევ გამოვთხარო ოთხჯერ თუ ხუთჯერ, რომ იმ სარკმელს მივწვდე. სად შემწევს ამდენი ძალა, მაგრამ ასე წოლა გაგუდვით სიკვდილს უდრის.

ვდგები და ფეხშიშველა მივდივარ. უდაბნოს ცხელი ქვიშა ფეხისგულებს მითუთქავს. დადგმულ ტერფს სწრაფადვე ვიკეცავ და თითქმის მივრბივარ.

აუტანელი სიცხეა.

ენას გარეთ ვაგდებ. ასე იქცევიან სიცხეში ცხოველები და იქნებ მეც მიშველოს-მეთქი. ენის წვერზე დაგროვილი ნერწყვი ძირს ეცემა და შიშხინს იწყებს.

სადღაც ვცდები. ამ დროს, ალბათ, სუნთქვის სხვა ხერხი არსებობს, უნდა ვისუნთქო პირით და რიტმულად.

პირით უფრო მეტი ცხელი ჰაერი შევისუნთქე და თითქმის ამოგწურე სხეულის სინოტივის მთელი მარაგი. რომ წავიქეცი და მოვკვდე, არც დაღლები, გამხმარი ფოთოლივით ამაფრიალებს ქარი. მე კი არ მომწონს ამ უკიდეგანო სივრცეში ფარფატი, თანაც ქარის ნებაზე.

ახლა ისიც აქ რომ იყოს, ჩემს გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, ჩემსავით რომ ხმებოდეს და მე უცებ წვეთი წყალი გამიჩნდეს, დავუთმობდი?

ამაზე დიდი თვითგვემა არც გამიგონია.

და, მაინც, რომ იყოს?

არ არის და რატომ უნდა იყოს?! ღმერთმა ნუ ამყოფოს!

მაინც?

არა, ვერ დავთმობდი. ხელი ან ფეხი რომ დასჭირვებოდა, დაუფიქრებლად მოვიკვეთავდი, უკანასკნელ ლუკმას მივაწვდიდი, მაგრამ ზედმეტს ნუ მომთხოვენ.

ჯერ წვეთი წყალი მიყვარს, მერე იგი.

გრილმა სიომ დაჰქროლა. გახურებული შუბლი მისკენ მივაბრუნე და შორს მოკირწყლული ბილიკი დავინახე. ბილიკი შუაგულ უდაბნოში იწყებოდა. ხრეში გრილი იყო და ამატომ ფეხისგულებზე ჩხვლეტა ადვილად ავიტანე. შეგონა, ბილიკი ისევე მოულოდნელად შეწყდებოდა, როგორც დაიწყო, მაგრამ ცოტა ხანში გზაზე ჯიხური დავინახე.

მივუახლოვდი. ჯიხურში თეთრწინსაფრიანი ქალი იდგა და გაზიან წყალს ყიდდა. ანაფორის ფართო ჯიბეში ხურდა მოვჩხრიკე და რიგში ჩავდექი. სულ ხუთი-ექვსი კაცი იდგა ჩემს წინ.

ონკანიდან მოჩხრიალე წყლის დანახვას მოთმინებიდან რომ არ გამოვეყვანე, ზურგისკენ შევბრუნდი და ყურები თითებით დავიცე. დაახლოებით გამოვიანგარიშე, რამდენ ხანში უნდა დამდგარიყო ჩემი ჯერი და შემოვბრუნდი.

წინ მდგომთა რაოდენობა გაორკეცებულიყო. კბილი კბილს დავაჭირე და ჯიუტად ჩავაცქერდი მიწას. ისევ გამოვთვალე დრო, მაგრამ თვალები რომ ავწიე, რიგი კიდევ უფრო გაზრდილი მეჩვენა.

გაოცებულმა მიმოვიხედე. ქვეყნის ოთხივე მხრიდან და ამ ოთხი მხრის კიდეე ოთხი მხრიდან ჯიხურისაკენ ადამიანები მოემართებოდნენ. ეტყობა, მათგანს თავისი ჭიქა ეკავა ხელში და ისეთი მოწყურებული სახეებით მოდიოდნენ, წინ რომ გადავდგომოდი, ფეხქვეშ გამთელავდნენ.

ცაზე შვეულმფრენი გამოჩნდა. ჯიხურის ზემოთ გაჩერდა, იქიდან კიბე ჩამოუშვეს და ზღვა ხალხმა იწყო დენა.

სანამ ზემოთ ვიყურებოდი, მიწას პირი გაუხსნია და უამრავი პატარ-პატარა გვირაბებიდანაც ჭიქიანები გამოცვივდნენ. ყველა თავისებურად მილტვოდა მიზნისაკენ, ყოველგვარ მისაღებ და მიუღებელ ღონეს ხმარობდნენ.

რამდენიმე ისეთიც აღმოჩნდა, რიგში ჩადგომა რომ იკადრა, მაგრამ ისე, მთლად ბოლო რომ არ ყოფილიყო.

მე თანდათან უკან ვიხევდი. თანდაყოლილი უსუსურობის გამო მხოლოდ ვბუტბუტებდი სპორტსტენო სიტყვებს. ამავე დროს თვალს ვერ ვაცილებდი პირთან მიტანილ გამჭვირვალე ჭიქებს. ვხედავდი, რა თავდავიწყებით ეკვროდნენ გაპობილი ტუჩები ჭიქის კიდეს, როგორ გამომწვევად მოძრაობდა ხორხი, მესმოდა შუშაზე კბილების ზომიერი რაწკუნი და მუხლები მეკვეთებოდა.

მოწოლილი ნერწყვი ხმაურით გადამეყლაპა. რიგიდან გამოვედი და გზას გავუდექი. გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და შემოვტრიალდი.

კარგად იყავით, რიგში წინგამძვრალები და ურიგოებო! მე თქვენთან არა ვარ.

თუ სადმე წყაროს წავაწყდი, ხომ კარგი, თუ არადა, თქვენთან მაინც არ დავბრუნდები. სულაც არ მოვიწყურვილებ. ვიტყვი, რომ არ მწყურია. სულ ვიმეორებ და ვიმეორებ, რომ არ მწყურია. ათასჯერ ვიტყვი: არ მწყურია, არ მწყურია, არ მწყურია! სრულებით არ მწყურია!

აი, უკვე აღარ მწყურია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცალეობის ჟამი

რომ მთელი ჩემი ცხოვრება
ფუჭმა ფიქრებმა გალია...
ვაჟა-ფშაველა

1. ტრასა № 47

გულში მაგრა ვაგინებთ ერთმანეთს:
მე იმის გამო,
რომ არ მაძლევენ გადასწრების საშუალებას,
რომ მთელი ძალით ერეკებიან
და სწორედ მაშინ,
როცა უკვე უნდა გავცდე და გადავასწრო,
ისინიც მკვეთრად უმატებენ ხოლმე სიჩქარეს
და ამ მიხვეულ-მოხვეულ გზაზე
ლამის მანქანა დამამტვრევინონ:
რამდენჯერაც კი .საბიფათო მოსახვევში გავყავი თავი,
მუდამ შემხვედრს გადავეყარე.

ისინიც მაგრა მაგინებენ:
იმიტომ რომ ოთხნი არიან,
ხორცით გავსილნი, მანქანაში ძლივს ეტევიან
და მოზარდების რძეშეუმშრალ ბაგის ღიმილით
სისხლი სწყურიათ, ელანდებათ ლეწვა და მტვრევა.
ამიტომაც მაქეზებენ, მეტ რისკსა მთხოვენ,
და ბრაზობენ და მაგინებენ სიფრთხილისათვის.
ეს გზა ჩემია,
ესენი კი ვინ არიან,
ამ გზაზე მაქვს ჭიპი მოჭრილი
და აქეთაც და იქითაც სულ მეჩქარება,
რომ, როცა მივალ, მივხვდე ხოლმე გაწბილებული,
სულ ტყუილი რომ ყოფილა ჩემი სიჩქარე.

მშვიდობით, დედამიწის ყველა გზავ და ყველა კუნჭულო,
მშვიდობით, ყველა ქალაქო, რომლებსაც ვერ განახავთ!
მშვიდობით, ნიუ-იორკო, პარიზო, პრაღავ,
რომო, რომელსაც გეწოდება მარადიული!
ჩემამდე ხომ მშვენივრად გასძელ,
ჩემს შემდეგაც მარად იყავი.
მშვიდობით, რადგან ვერ შევხვდებით სულ უბრალო მიზეზის გამო:
ყოველ პარასკევს მე დავდივარ ჩემს ძველ სოფელში,
კვირა საღამოს კი დაღლილი ქალაქს ვბრუნდები,
(რომელსაც ჩვენში თბილისს ეძახიან).

ბოლო მოსახვევში,
ვიდრე გზა, თითქოს ამოსუნთქვისთვის,

სულ ცოტა ხნით გასწორდებოდა,
კიდევ ერთხელ შევეცადე, რომ გადამესწრო,
მაგრამ წინ თვითმცლელს შევასწარ თვალი
და კვლავ შევფერხდი.
ისინი კი დამცინინან,
უკვე ერთმანეთს არ ვუმალავთ ჩვენს გულის ნადებს...
— იდიოტებო! მე იმიტომ კი არ გასწრებთ, რომ გეჯიბრებით,
იმიტომ, რომ მომდევენ და ვერ გავქცევივარ...
მომდევს სოფელი დუქნებითა და ტალახებით,.
მოუნელებელ სიყვარულით, მოგონებებით,
მომდევს წარსული, მომდევს აწმყო, და მომავალი
და ასე ვივლით ქალაქამდის მდევარ-დევნილი,
ვიდრე ტრამვაის რელსებიდან არეკლილ შუქით
არ დაფრთხება და გაბრუნდება თვალებამწვარი.

გზა რომ გასწორდა, სულ გადაირივნენ,
მაგრამ მე ახლა ყველაფერი ფეხებზე მეკიდა,
მომბეზრებოდა ეს თამაშიც და ეს განცდებიც,
მე ზუსტად ვიცოდი, ორ კილომეტრში წყარო რომ იყო
და ეს მოზარდები ცდუნებას რომ ვერ გაუძლებდნენ,
ესეც ვიცოდი...
სოფლიდან რომ გამაძღრები ბრუნდებოდნენ, ესეც ვიცოდი,
და რომ სისულელე იყო ჩემი სიჩქარე — ესეც ვიცოდი
და იქ, სადაც არასდროს გამეჩერებინა მანქანა, გავჩერდი.

— როდემდის უნდა ვიცხოვრო ასე?!
ვკითხე მე ჩემს თავს, პირველივე ჩრდილში დამჯდარმა.
მომწამვლელი რიტორიკაა!..
ამ სიტყვების მთქმელს მშვიდი სიმარტოვე ესაჭიროება,
არაჩვეულებრივი დრო სულიერი ცხოვრებისა,
რომლისკენაც ბილიკი ვერ გაუკვალია,
რადგანაც იგი თავის თავთან არ დადის სტუმრად
და ამის გამო იმის სულსაც ობი მოსდებია
და დაყრუებული,
როგორც გამოუყენებელი და გაუქმებული სამეზობლო კარი.
რადგან ამქვეყნად ფიქრის გარდა ყველაფერი იცის ცოტ-ცოტა,
მოცალეობის ყამი არის იმისი მტერი —
მესამე ხელი, რომლისთვისაც ადგილი ვერ გამოუნახავს
და რომელიც თავის ორ ძმას ცხოვრებას უშლის.
რადგან, აჰა, მას მოცალება! აჰა, სიმშვიდე!
რას იფიქრებს, სად ჩამოჯდება?
ისევ და ისევ ნანახსა და განცდილს იცოხნის
და გვერდს მიწოლილ კოკასავით ნელ-ნელ იცლება.
ყოველ გაზაფხულს, ყოველ ზაფხულს და შემოდგომას
რომ არ უწევდეს თავის მიწისთვის დამღლელი შრომა,
რომ ყველაფერი იყოს მოთავებულ-მოკრიალებული,
რომ ყველა ღობე იყოს მთელი და უცვეთელი
და სარეველებიც თავისით ქრებოდნენ,
ასე რომ არ აღელვებდეს სეტყვა და ქარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ დაჯდებოდა...
დიახ, მშვენიერი ბილიკით მივიდოდა
თვით ზეცის გულზე აღმართულ სკამამდე
და რაზე იფიქრებდა ზედ გადაწოლილი?
ნუთუ სიყვარულზე და ნუთუ სიკვდილზე?
ნუთუ სამყაროზე,
რომელსაც ვერ გამარგლავ და ვერც შეაკეთებ?

აქ კი რა არის. ცხოვრებაში, რაშიცა ვდგავართ
და სუფთად რომ გამოვიდეთ, იმასა ვცდილობთ?
შიში და იმედი ერთმანეთს მისდევენ
თავჩაქინდრული კამეჩებივით,
ხან ერთის ჩრდილი დაგვეცემა, ხან მეორესი.

მხოლოდ უძრავი აჩერებს მოძრავს.
და, ვისაც უნდა, დაუძვრეს ცხოვრებას — უნდა იცხოვროს.
განა უკეთესი არ არის ცხოვრება, როდესაც ელი?
უცებ რომ მოგადგება, უცებ რომ დასჭირდები,
შენ კი უგუნებოდ ხარ, ანდა წასასვლელი...
ვიდრე მიწა შეჯამს ადამიანს, მანამ ჯამს ცხოვრება
და თუ ვინმემ მოაბერხა იმისთვის დასხლტომა — მარტოოდენ ცხოვრებით
უნდა იცხოვრო ცხოვრების ჯიბრით,
ხოლო როდესაც გაგიჭირდება — უნდა მიაწვე!
ისე მიაწვე, რომ ანჯამებიდან ჩამოიღო ცხოვრების კარი.
განა იმიტომ არ ვაქებთ კაცობას, რომ ჩვენც გვინდა კაცები ვიყოთ?
წყვილად ვიდინოთ, თორემ აბა ცალი ხელით ტაშს ვინ დაუკრავს!
ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ შიმშილი მახსოვს ტკბილად,
როცა გავძეხი და ვთქვი გულში — კარგადა ვარო,
სწორედ მაშინ მეტირა დედა!
აბა რად გინდა, მშიერი იყო და მაძღარი გერქვას,
მაძღარი იყო და მშიერად იწოდებოდე?!
როგორ შეიძლება, რომ ის იყო, რაც შენ არა ხარ!

ყოველთვის, როცა გაგიჭირდება — მიმართე ანტიპოდს.
რადგანაც: როგორიცაა შენი ანტიპოდი, ისეთი ხარ შენ!
თუ შენა ხარ ნაყარი მიწა,
რომლის წვერზედაც სათავისოს დაეძებენ ხარბი ქათმები,
შენი ანტიპოდი სალი კლდე იქნება,
რომელზეც, ბოდიშიდა, ვეღარ აფორთხდება ვერცერთი დედალი.
და არც მამალს გაუწევს გული.
ასე რომ, გახსოვდეს:
— უნდა ითამაშო შენი ანტიპოდი!

ეს იყო დაჭრილი თუ მომაკვდავი კალია,
რომელსაც ჩაცუცქული თავზე დავყურებდი.
ჭიანჭველები მიათრევდნენ — ეს კი ფეხს იქნევდა,
კამეჩის ბარკლის ხელას — ჭიანჭველებისთვის.
ამათაც არ ჰქონდათ მარტივი ცხოვრება:
ბალახებს ედებოდა კალიის სხეული
და ჭიანჭველები ოფლად იღვრებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მე შემეძლო ყველაფრის მოსპობა,
მაგრამ ყურება მერჩია ამათი წვალების:
არასდროს მენახა დაჭრილი კალია —
მე ის მუდამ მახსოვდა გამსხლტარი, ასხლეტილი,
როგორც დამცხრალ ცეცხლიდან თავახსნილი ნაპერწკალი.
ახლა კი უმწეოდ იქნევდა კიდურებს.
არაფერს ნიშნავდა ჩემთვის მათი განცდები
და რამდენიც არ უნდა მეფილოსოფოსა,
ადამიანები არ იყვნენ ესენი.
მე თვალწინ დამიდგა, შორეულ ინგლისში
ექვსასი წლის წინათ ტორფში ჩამარხული
და როგორც ეწერა „მშვენივრად შენახული“
მამაკაცის გვამი:
ხარის ნაწლავის თოკით იყოო დამხრჩვალი,
პირქვე დაგდებული, ნაგვემი, დაჩეხილი,
ასსამოცდათხუთმეტი სანტიმეტრი ყოფილა,
წითელი ჭქონია თმაცა და წვერიც...
ორი თითით დავწვდი გატანჯულ კალიას
და ხარების ნატოპ ჭანჭრობში ვისროლე.
სულ ცოტათი შეილახა ბუნების კანონი,
სულ ცოტათი გაერია სინდისი კაცისა,
სულ ცოტა ხნით აირია მოქმედების ადგილი,
გაირწა-გამოირწა და ისევ დალაგდა,
როგორც გაზმორებული წამიერად გველი...
და ექვსასი წლის შემდეგი დროის კაცისათვის
კალია სიცოცხლემოუწყინარ ტალახს ჩაეკირა.

აბა, რა გითხრა,
გამოდის, რომ უნდა იცხოვრო!
ავადმყოფ გულით, ავადმყოფ ნაღველით
სხვის წამლებზე უნდა ირბინო.
არასწორად გაეჩერო აფთიაქთან მანქანა,
აჩქარებულ გულით სულსწრაფად შეევარდე,
მეაფთიაქე გოგონას სხივები ესროლო,
დიდი მადლიერებით გამოართვა კოლოფი
და აჩქარებულ გულით სწრაფად გამოვარდე
და ამაყად შეხედო ამკრძალავ ნიშანს,
რომელიც არც პირველია და არც უკანასკნელი.
აბა, რა გითხრა,
გამოდის, რომ უნდა იცხოვრო,
კვლავაც დრო მოიპარო და ძველ მეგობართან
ალიო ყავა — ძველისძველ გემოთი.
და სიყმოვნებები კვლავაც უნდა დამალო,
კვლავაც უნდა იცხოვრო, კვლავაც ითამაშო,
სხვის წამლებზე ირბინო, სხვის ბედზე იცინო,
სხვის სისულელეზე, სხვის უაზრობაზე...
შენი კი დამალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცა კვნესის ჩემს მანქანაში,
კვნესის თავისთვის და უნებურად,
არც შველას ითხოვა, არც დახმარებას,
კვნესის თავისთვის და უნებურად.
სწორედ ისეთ დროს, როცა ყოველი
მიჩუმებული და ტკბილი ხდება,
რაღაცა კვნესის ჩემს მანქანაში,
კვნესის თავისთვის და უნებურად.

2. და გარგოდა დილა გილიკზე...

გამარჯვება, დილავ,
როცა უფრო გრილა,
როცა ჯერ არ ცხელა
და ვვარჯიშობთ ყველა.
ერთიორისამი,
ბალახს შვენის ნამი,
ძაღლებს, მეძაღლეებს
რისხვა ჩვენი, წყეულა,
თვალს ვარიდებთ ყველა,
ფეხს ვარიდებთ ყველა.
ეს ვინ მეძაღლეა,

გამოჭრილი ველად,
ორაგველიძეა,
კოტე, ჩვენი გელა,
აამბურზე შეუბამს
რკინის ბურბუშელა
და მისდევენ ორნივ
წარმოსახულ მელას...
ძაღლებს, მეძაღლეებს
რისხვა ჩვენი, წყეულა,
თვალს ვარიდებთ ყველა,
ფეხს ვარიდებთ ყველა.

სუყველას ამათ — ხაწშიშესულთ, მობერებულებს,
ზედ ეტყობათ, თუ რა ფასი ადევთ ოჯახში.
დამოკიდებულებები, ურთიერთობები,
ასეთი გაფუყული და მნიშვნელოვანი ცნებები,
მოკრძალებულადაა აღბეჭდილი ამათ ტანსაცმელზე,
რადგანაც დილა
მხოლოდ ბალიშებიდან გამოყოლილი ნაოჭები როდია,
ის ა ბ რ ა გ ა ნ ი ა,
როგორც ხეებით სუნგაკეთილშობილებული ქალაქის პარკი
მხოლოდ ჯანმრთელობის ბილიკებით დაქსელილი სამოთხე როდია,
ის თ ა ვ შ ე ა ფ ა რ ი ა...
შეხედეთ ამ ორს (აქ სიმარტოვე არ არსებობს),
ჰაერშიც რომ იყვნენ შეგმულნი
იმასაც კი ოდნავადაც ვერ გასძაბავდნენ...
შეხედეთ ამ ორს —
როგორ მშვიდობიანად დაასრულეს თავიანთი მარათონი სკამიდან სკამამდე
და ახლა დაფუშული დუნდულებით ძირს ეშვებიან.
დაცალეთ!.. დაცალეთ!..
უფრო აქტიურნი, რომლებსაც ძარღვებში
წვენთა მოძრაობა არ შეჰყოვნებიათ,
თუმცა კი ხტუნავენ და დაცანცარებენ,
კი მხიარულობენ და კი იცინიან,
რაც უნდა ლომებად და მგლებად გადიქცნენ,
მიბრუნდნენ, მობრუნდნენ და სახე იცვალონ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც, მაინც ეტყობათ თუ რა ფასი ადევთ
თავიანთ ოჯახში — იმ ლამაზ ცოლშვილში.

გახეულს ეძახიან გარღვეულს,
ჭუჭყიანს ეძახიან გასარეცხს.

ხოლო ეს ქალი — ჯანმრთელობის ბილიკის მეფე,
სუნაყოლილი ამძუნებულ მურა დათვივით
ასაკისათვის შეუსატყვის ავხორცულ სახით,
მეგობარს თვისას თვალს მოჰკრავს და ბოხად გასძახებს:
— ერთი წრე მაქვს დარჩენილი ჩემო შურობჩკა,
ვერ გავჩერდები,
მერე შევიდეთ კაფეში და ვიჭუკჭუკოთო.
ვაი ამის ქმარს,
ეს ქალი რომ ჯანმრთელი იყოს,
გულის მანკი რომ არ ჰქონდეს, ვაი ამის ქმარს!

3. პანაშვიდი: ორი ქალი

ჩვენს ცხოვრებაში როდისა ვართ ყველაზე მშვიდნი?
— სხვის პანაშვიდზე.
როდის ვიცლით, რომ ვიბაასოთ ჩვენს დამპალ ღვიძლზე?
— სხვის პანაშვიდზე.
როდის ვჭორაობთ, როდის ვანცობთ, როდის ვიცინით?
— სხვის პანაშვიდზე.
როდის ვნახულობთ, ასი წელი ვინც არ გვინახავს?
— სხვის პანაშვიდზე.
სად ვიგებთ ხოლმე, ვინ მომტყდარა, ვინ კარგად არის?
— სხვის პანაშვიდზე.
სად ვიგებთ ხოლმე, თუ ვინ მოხსნეს, თუ ვინ დანიშნეს?
— სხვის პანაშვიდზე.
სად ვნახე მეც ორი ძველი ნაცნობი ქალი?
— სხვის პანაშვიდზე.

გინდათ, ვიქნები გულუბრყვილო სოციოლოგი
და გეტყვით მიზეზს, რად დავდივართ სხვის პანაშვიდზე?
— იმიტომ, რომ თეატრებში გაღარიბდა რეპერტუარი
და ვიდრე სახლში მივალთ ხოლმე და გადავიცვამთ,
უკვე ვიღლებით.

როცა ახალგაზრდა იყო და როცა ლამაზი,
მიეჩვია — ამ ორთა ღირსებათა გამო,
სხვებზე მაღლა ეგრძნო თავი ღრუბლებამდე.
მის პატივმოყვარეობას (კლოუნია ბუნება)
მეუღლის რეპუტაციაც უმაგრებდა ზურგსა,
მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა ამის ტივტივიც
(აკი ვთქვი: ბუნება კლოუნია-მეთქი),
თავისივე გაზრდილებმა წყალქვეშა ჩაძირეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიც, მიუხედავად გარეგნული სიმხნევისა,
ფერუმარილიანობისა და უზრუნველობისა —
სინამდვილეში აბა როგორ იქნებოდა უზრუნველი,
როცა პატივმოყვარეობით იაეთ რამეს ენაბრა,
რაც ცვალებადია და რაც მეანაბრისგან
განუწყვეტელ ზრუნვას და სულის ბერვას მოითხოვს.
ჰოდა აკი მოტყდა, ნერვიული შეიქნა,
თან ქმრისთვის ღალატიც აღარ შეჰფეროდა
და ვნებებია ჩასაკლავად კთარაისებს მიჰმართა.
ქმარმა ქალიაგან სიცოცხლეგატანჯულმა
ახლა მოულოდნელად ხელი გამოიღო
და ხმაც აიმაღლა, დამცინავიც შეიქნა
და ქალი ნელ-ნელა მარტოდმარტო დარჩა.
ე რ თ ს (გითხარით, ბუნება კლოუნია-მეთქი).
მთელი სიცოცხლე მოსწონდა ის ქალი
მაგრამ იაეთი უმნიშვნელო იყო,
ქალის კაბია კალთაც კი არ შეჰხებია.
ახლა კი რა უჭირს ადგილი ეჭირა
და ქალს შეუტია. უკეთ: ქალის ნარჩენებს.
მაგრამ როგორც კი ე რ თ მ ა ეს იფიქრა,
ქალმა უეცარი ნახტომი მოასწრო:
ღვთისმოსავი შეიქნა, ცხარე, აქტიური
და ე რ თ ი ს ვიზიტები კიდეკაც მოსწონდა,
რადგანაც ჟინს იკლავდა იმისი დამოძღვრით.

პანაშვიდის სადარბაზოს კიბის საფეხურებზე
მე სამჯერ მირქნია ი მ ი ს ცოლის მკერდმა.
მიცვალებული გვიცდიდა მეხუთე სართულზე,
მაგრამ საინტერესო მისი შვილი იყო,
ამიტომ სადარბაზოდან მიცვალებულამდე
ხალხით იყო ასხმული საცოდავი კიბე
და რამდენჯერაც კი რიგი შედგა და შეტოკდა,
მე ბეჭებზე მრქენდა ი მ ი ს ცოლის მკერდი,
დიდი და მოვლილი, საიმედოდ დაბმული.
აი, სულ ეს იყო ჩემი შურისძიება —
ი მ ა ს ვუყურებდი, აქეთ-იქით მზირალს,
მიმსალმებელს, მჭვრეტელს, ცრუ იმედით აღვსილს.

4. ნავაზუმევის ვნებები

— რა მოაქვს კითხვას კაცისათვის,
აი, ამ კაცისთვის, ამ კონკრეტულისთვის?
რომელიც ცდილობს
რომ ამგვარად გამოჰგლიჯოს თავი სინამდვილეს.
პირველ რიგში ტექსტს მიჰყვება
(მიყოლა არ გაუჭირდება),
მერე ასცდება და მარქაფად შებმულ ცხენივით
ტყუილადღა მისდევს სტრიქონებს.
შემდეგ წიგნს მთლად გასცდება და გაეთიშება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაუტევს საკუთარი ლიანდაგებით —
თავის ფიქრებში, ვიდრე რამეს არ წაეწყდება
და არ მიხვდება, რომ წაკითხულის არაფერი არ გაუგია.
ისევ კითხულობს,
ახლა უფრო ყურადღებით და დაძაბულად...
ისევ ასცდება,
წიგნის ფრაზები და იმისი ჭრელი ფიქრები
მორევივით ერთ ადგილზე ატრიალებენ,
ვიდრე რაიმე რეალურს არ მოეჭიდება,
ან ტელეფონი არ დარეკავს,
ან ვიღაც არ დაიხმაურებს.

ძილი!.. ძილი!..

უცებ გახსენდება, რომ იგი არსებობს.
უებარი წამალი და განმკურნებელი,
როდესაც გინდა, რომ დრო გაიყვანო:
„გავიღვიძებ, ერთ ყავას დავლევ
და ისიც ჩამოვა“...
„დავიძინებ, და რომ გავიღვიძებ, უკვე იქ ვიქნები“.
ან: „არასაინტერესო ადგილი მექნება გავლილი“.
ძილი!.. ძილი!..
იადონი, ბეღურა... მაგრამ მე არ მიზის იგი წამწამებზე...

არ მახსოვს, ვისგან გამიგონია,
მრავალჯერ კი შეიძლება ასეთი რამ რომ მომხდარიყო
(ყველა ამ დროს ბავშვი ვიყავი)...

ფარდაგჩამოფარებულ ურემს გვერდით რომ მივყვებოდი,
ხატობაში რომ მივდიოდით... და იქ ვიღაცამ დაიჩურჩულა...

მორზე რომ ისხდნენ მოფიხვნე ქალები
და გულიდან რომ გადავარდათ ჩემი იქ ყოფნა
და თავისდაუნებურად საიდუმლოს რომ მაზიარეს...

რომ უმტკიცა და უმტკიცა და რომ ვერაფრით ვერ დაუმტკიცა
თავის სიმართლე,
როცა უკვე თქვა ყველა სიტყვა, რაც კი იცოდა
და მაინც იმას ვერაფერი გააგებინა,
გამწარებულმა გულს დაიდო ორივე ხელი
და მაშინა თქვა...

მთვარიან ღამით
აკუჩებული რომ მოვყავდი საწყალ ბებოჩემს,
სხვა სოფლიდან რომ მოვდიოდით,
ჯერ რომ ჭალის გასწვრივ იარა,
ჯერ მეც მიწას რომ დავყურებდი,
მერე რომ წყალი დაგვიხვდა და ახლა ის ტოპა
და მე მთვარე მდინარიდან რომ მეძახოდა,
მერე რომ მშრალზე გავიდა და კვლავ ფეხთ ჩაიცვა
და ერთი წამით მეც ტერფებით ბალახს შევეხე,
მერე რომ გზას დავყურებდი ძილმორეული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აღარავის როლში უკვე აღარ ვიყავი
და მთარახად ხელონაჭერი წკეპლაც ჩამვარდა,
გზით რომ ვიცანი ჩვენი სოფლის მოახლოვება,
რომ დავმშვიდდი და,
ჩანს, კმაყოფილს წამით ჩამთვლიმა,
უცებ რომ შედგა ბებოჩემი,
მეც რომ შევტოკდი
და ჩემიანად რაც შეეძლო შორს გადიხარა,
გადიხარა და მთელი ძალით გადაეფურთხა...
მერე „ბარგი“ შეისწორა, კარგად მომირგო
და ვიდრე ნაბიჯს საბოლოოდ გაიმგელებდა,
თავი ასწია ამაყად და მთვარეს გახედა
და... ამან უთხრა მთვარეს რამე,
თუ ის მთვარის პასუხი იყო,
ასეთნაირი სიტყვები მე არა მსმენოდა...

არ მახსოვს, ვისგან გამიგონია...
მრავალჯერ კი შეიძლება ასეთი რამ რომ მომხდარიყო —
მახსოვს ადგილი და დრო მახსოვს,
სუნიც კი მახსოვს
იმ ჰაერის, იმ წუთებისა,
მაგრამ არ მახსოვს ის სიტყვები და იმ აზრსაც ვეღარ ვიხსენებ
იმ ერთადერთი სიტყვებით რომ გამოითქმოდა.

ამიტომ და იმიტომ, იმიტომ და ამიტომ,
მოდით მე ისევ ჩემს ხიჭვზე ვიფიქრებ.
თუ როგორ შემესო, იმას არ მოვყვები,
მე იმას გიამბობთ, თუ როგორ ვეძებდით:
— ვეძებეთ, ვეძებეთ, მაგრამ არსად იყო,
ჯანაბასო! — ვთქვით და თავი დავანებეთ.
მაგრამ ერთ კვირაში ისევ შემაწუხა
და ისევ გავხსენით ძველი ნაჭვარი.
ისევ ვეძებეთ და ისევ არაფერი
და ჩვენც ძველებურად თავი დავანებეთ.
მერე კიდევ ისევ... და ისევ გავხსენით,
ალზემოტარებული ნემსით კვლავ ვეძებეთ,
ისევ არაფერი... და ისევ მოვეშვით.
მერე ერთ კვირაში იმ ჩვენმა ნაჩიჩქნმა
თავი გაიმაგრა და კანი გაიხმო
და მეც ფრთხილად, მიპარვით ფრჩხილით ავიციცქნე,
ორი თითი მოვუჭირე მერე შესიებულს
და არ ამოფრინდა დამალული ხიჭვი!
ორმოსავით დამრჩა იმისი ნამყოფი,
წელია გასული და ახლაც მეტყობა.
ხიჭვი უამრავჯერ შემსობია, მაგრამ
ასეთი ამბავი არ გამიგონია.
სად იყო, ნეტავი, რაც ჩვენ ის ვეძებეთ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია არჩვაძე

●

დღის დასაწყისზე იფიქრე მუდამ,
დასასრული კი დადგება ისეც,
გადაათვრებს პატარა გუნდა
შენს ათრთოლებულ მხრებსა და
კისერს.
ასჯერ ტკივილის ტოლი და სწორი,
ნუ შეჩერდები, წადი, იარე,
ამოათავე აღმართი მალე,
საცაა უნდა გაბრწყინდეს მოლი,
რომ არ მოაკლდეს ცეცხლი შენს
თვალებს.
გულს კი — იმედი, იმედი ყოვლის.

●

როდესაც მიჭირს აზრის მიგნება,
როცა აღარ ჩანს ჩემი სავალი,
როცა მიქრება და არც მიქრება
მრავალში — ერთი ერთში — მრავალი.
როდესაც ღმერთო, შენი სანთელი
ხელს მიწვავს როგორც მდუღარე
ცრემლი,
მაშინ იმედად ერთი ქართველიც
მე საქართველო მგონია მთელი.
როცა მიქრება ყელში სათქმელი,
იმის ნაცვლად რომ სიმღერად ენთოს,
გვედრებ, იმედად ერთი ქართველიც
შენ საქართველოდ მიქციე ღმერთო!

●

შენ ღამეების ცისფერ სიზმრიდან
მიახლოვდები, ფიქრო მიმქრალო,
ანდამატივით მსუსხავ, მიზიდავ,
ტანჯვით ნაპოვნო, თეთრო ფიქალო.
და აღარ ვიცი, თუ რა გიწოდო,
სევდიანია ოდნავ კვეტარი,
სევდიანია და წმინდანივით
არის მშვიდი და არის ნეტარი.

●

ნაძვის ტოტები, გრილი, სოველი,
გამოდარებულ დღის ფონზე შრება
და მე ტკივილს ისე მოველი,
ვით განწირული მოელის შვებას.
ვინ მელოდება, ვინ არის ნეტავ,
მაბრუნებს თქვენსკენ სიმწრის
სოფელი
და მოგონებებს ფიქრებით ვკეტავ
და ვხედავ ფოთლებს ყვითლად
მოფენილს.
ვპოვე მამული, სიტყვა დავძარი,
თუმცა სიტყვის თქმა ძალზე მიჭირდა,
ამოიზარდა თეთრი ტაძარი
ჩემი სიცხადის ტანჯულ სიზმრიდან.
ტკბილ-მწარე დღენი ერთად გუბდება,
მიდის საუფლო თავისი წესით
და მე ვბრუნდები, ისე ბრუნდება
მკერდში გული და მიწაში თესლი.

●

ერთი სხივივით როცა დამაკლდი
ცრემლო, ტკივილის დიდო მალამო,
მე მიგაცილე ხელის კანკალით
და ჩაგაბარე ფრთხილად საღამოს.
საღამო იდგა მეწამულ ფერში
და მის მკლავებში წვიმა წვალობდა,
გადმოდიოდა თანდათან ჩემში
მერე ფიქრად და ჩიტის გალობად.

თამაზ ჯიბლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირილების ველზე დამარხული სიზმარი

მოთხრობა

1.

სტეპს იქით, თიხნარ მაღლობზე ჩამავალ მზეს შავი კვამლი ფარავდა. გორაკებიდან გამშმაგებით მოვარდნილი ცხელი ქარი რუს ღრუბლებს მოერეკებოდა და ზედ სოფლის თავზე მორეკვივით აბრიალებდა. დროდადრო წყნარად ცრიდა, მერე ქარი ისევ შეუწყვეტდა სისინს, აიჭრებოდა მაღლა, გადაუქროლებდა ტყეს, გორაკებს, უზარმაზარ ველ-მინდორს და ზორს მიჰქონდა წვიმაც, მაგრამ გავიდოდა ერთი-ორი წუთი და სადღაც ისევ შემზარავად და გამეტებით დაიგრუხუნებდა, წუთით მიჩუმებულ სამყაროში დედამიწა, წყალი და ჰაერი, ყველაფერი, რითაც სავსეა ეს უკიდეგანო სამყარო, — დანდგარებდა, იძვროდა.

ეკლესიასთან გამალებით მოკრძალდნენ ტანკები, დაფეთებით მითუხთუხებდნენ თავქვე და მტვრის კორიანტელში მინდორზე იშლებოდნენ. თვითმფრინავები გამაყრუებელი გრუხუნით ეშვებოდნენ ძირს, მერე ისარივით იჭრებოდნენ ჰაერში. დედამიწაზე მეტფრინვით სწრაფად, წივილით ცვიოდა ბომბები, ფეთქდებოდა, კვამლის ბუღში ინთქმებოდა ყველაფერი. სროლის ხმა ხან მიეუჭდებოდა. ხან ისევ ახალი ძალით იფეთქებდა. ჰაუბიცებისა და ქვემეხების ზათქს ყურთასმენა მიჰქონდა...

ერთ საათში ბრძოლამ ტყის სიღრმეში გადაინაცვალა. სიკვდილგადავლილ სოფელსა და ტრიალ მინდორში საღამის სიჩუმემ და სიგრილემ დაისადგურა.

გზის გადაღმა ბინდბუნდში მწუხრისფერად მოჩანდა სოფელი. ირგვლივ დამწვარი ტანკები, გარუჯული ქვემეხები, მანქანები და მწყობრიდან გამოსული სამხედრო აღჭურვილობა ეყარა.

დადამდა, მაგრამ სინათლე არსად ანთებულა. ეგ იყო, მთვარემ ჯერ შიშნეულად ჩამოხედა სივრცეში მიკრაგულ სოფელს, მერე ღრუბელ-ღრუბელ წამოვიდა, ზედ მიწისა და ცის შესაყართან — ეკლესიის ოქროსფერი გუმბათის თავზე დაჯდა, გაიღერსა და ასე დარჩა დიდხანს.

სწორედ ამ დროს გზის პირას, თხრილში დაჭრილმა თვალი გაახილა. ირგვლივ სიჩუმეა. ოდნავი ჩქამიც კი მკაფიოდ გაისმის დაცარიელებულ, კვამლით ახრჩოლებულ მინდორში. დროდადრო აჭა-იქ თუ გაიკვნესებს რომელიმე ჯარისკაცი, ჯერ კიდევ რომ შერჩენია სული. ირგვლივ აღარაფერი მოძრაობს, აღარაფერი ისმის. შორეთში იკარგება ბრძოლის შემდეგ დამცხრალი ყიჟინა, თანდათანობით ქრება ცეცხლი, წელან მთელ მინდორს რომ მოსდებოდა. კვამლის მრუმე ბურუსი მაჯალჯუნასავით დასწოლია დედამიწას. დაჭრილი კვნესის, ბორგავს, უნდა გაერკვეს, სად მოხვდა ტყეია, რა აწუხებს ან ჭრილობა როგორია — ძმიმე, მსუბუქი თუ მომაკვდინებელი. უცებ თავში საშინელი ტკივილი იგრძნო, თვალთ დაუბნელდა, პირი გაუშრა, წყურია, საცაა, ცნობიერებასაც დაკარგავს, მაგრამ არა, ჯერ ჯერობით გადარჩა, სისხლიან ქორრთან ხელი მიიტანა, ჭრილობა მოისინჯა — ტყვიას მხოლოდ კანი გაუკაწრავს, ძვალი კი სალი და მრთელი უნდა ჰქონდეს. მარცხენა იდაყვზე წამოიწია, მაგრამ ტკივილმა ისევ მიწას ჩაკარა. გოსს რომ მოეგო, შარვალი ჩაიწია, ჭრილობა გაისინჯა. რის ვაი-ვაგლახით შეიხვია და შეისვენა. დიდხანს იყო გაუუჩუმებული, თუმცა ტკივილი უფრო და უფრო ტანჯავდა. თქმიზე თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა, სისხლით სავსე ჩექმაში ფეხი რუმბივით ედო. ტკივილი ოდნავ ,რომ დაუცხრებოდა და წამოფარფატებულ ფიქრებს თავს მოუყრიდა, ის შემზარავი წუთი აგონდებოდა, — თვალწინ დაუდგებოდა მაღალი, ახმახი, ფიცარივით გამხდარი ოფიცერი, რომელმაც ზედიზედ ესროლა, მერე რა მოსდა, აღარაფერი ახსოვს...

ძალი მოიკრიბა, ხელ ფეხზე გადაგორდა, ეკლესიის გუმბათზე გარინდულ მთვარეს თვალი გაუსწორა. რის ვაი-ვაგლახით ამოოფოფდა თხრილიდან. დიდხანს და შეუსვენებლივ მიფოფხა-

ვდა. ბოლოს, ახზინდამოდებულ თხრილს რომ მიადგა, შეჩერდა, ქარი ამოიღო. უკან მოიხედა, დამსცდარი ტუჩები ხელისგულით გაიწმინდა და კვლავ გაფოფხდა. მარცხენა ფეხი უსაშველოდ სტკიოდა, ზოგჯერ კი ისეთი ცეცხლით წვავდა, იძულებული იყო, კარგა ხნით შეჩერებულიყო და დაეცადა, როდის მოუუნჯებოდა.

მზით გარეჯულ, გამხდარსა და მტვერში ამოგანგლულ ჯარისკაცს გულისრევის მწველი შეგრძნება არაკაი გამოაცალა. ცალკე სიცხემ გაასაკვა და ცალკე ტკივილმა შეუუბოა სული, მაგრამ ალი არ დაუკარგავს. წამებ-წამებით ჩაღოღდა წვიმებით ჩარეცხილ, ჩახრამულ ღარანტეზე. ფერფლსა და გაუთიბავ მდელოებს მთავრე უკვე დლესავით ანათებდა. ჯაგებში აკვა-ია ამოზრდილი, ფერდაკარგული ბალახი უნიათოდ ლაპარაკებდა. აქედან უკვე კარგად მოჩანდა სოფელი. სულ ახლოს, სოფლის ბოლოში, ალიზის სახლი იდგა. ერთ ფანჯარაში სინათლემ გაიელვა, მაგრამ ისევ სწრაფად ჩაქრა. იმ სახლის გადაღმა, სწორ ადგილზე, ციცაცხლეჩაგაკრავი ქოხები მიმოფანტულიყო. ციცაბონაპირნის ხეეს აქეთ შამბარით დაფარული კარგა მოზრდილი გუბურა ლაპლაპებდა. ნეკიბისგან ჩამორეცხილი ვიწრო ბილიკი სწორედ ამ გუბურასაკენ მიემართებოდა. დაჭრილი თხემლის ბუჩქებისკენ გახოხდა. აქ, იმის შიშით, ხეზე ირა კ გადავიჩეხოო, ერთხანს შეისვენა, ძალა მოიკრიბა და ნელი დაიძრა. ენის წვერით ისევლებდა დამსცდარ ტუჩებს — პირი უხურდა და წყურვილი ახრჩობდა. ირგვლივ სიჩუმე იდგა, მხოლოდ სადღაც შორიდან მოისმოდა მაჩვანის თუ მოტოციკლის ხმა და ჰაერიცეკის გრუხუნი. ძეხორციელი არსად ჭაკვნებდა. ცოტა ხნის შემდეგ შორიახლოს ძალლმა დაიყეფა და მერე ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

დაჭრილი მოეკნაცა. ახლა უფრო ხშირ-ხშირად ისვენებდა, კბილების ღრჭიალით გასცქეროდა ცას, სადაც დროდადრო ინთებოდა და ქრებოდა მკრთალი ვარსკვლავი. დასაღამოთდან მძიმე ჩაქუფრული ღრუბლები გამდალნი მოიწევდნენ წინ და ზედ სოფლის თავზე შემოჯარულ ღრუბლებს უერთდებოდნენ.

ჩაქუფრული ცა თანდათან დაბლა ეშვებოდა. ბნელდებოდა. უცებ შორეული ტრამალიდან გაგიგებთ მოვარდა ქარი და მთელი ძალით ეძგერა ტყეს. ტყე ერთი პირობა შეეპარა, გამაგრდა, მაგრამ ვერ გაუძლო — ახმაურდა; მერე ქარი უკან გაქანდა, ჩახუკებულ გორაკებს მიეტყლაშუნა და ზუზუნით გადაუარა ყორღანს, ისევ ხაშნელი სიმლერით წამოუქროლა და აგორებული ღრუბლის ყომრალიდან წვეთ-წვეთად წამოიყოლა წვიმა. გორაკების თავზე ისეთი ძალით იელვა, რომ ირგვლივ ყველაფერი განათდა და წვიმა თქეშად წამოვიდა. დაჭრილმა გახუკებული ზუბლი წვიმას მიუშვირა, ღრმად შეისუნთქა ნოტიო, გრილი ჰაერი და იქით გიხედა, სადაც წეღან მთავრე ჩანდა.

2.

შუადამისას გამოიღვიძა. წვიმას ბადაელო. დაჭრილმა გალუმპული, ტალახში ამოგანგლული, ქაბრიდან ამოჩაჩული გიმნასტიკა გაისწორა, ჭრილობას თითები ფრთხილად შეახო და ნერწყვი გადაყლაპა — უწყლობა ტანჯავდა. წყურვილმა პირი გაუშრო და გამოფიტა.

უცებ პროექტორის ძლიერმა შუქმა მინდორზე გადაირბინა და ტყის ზოლი გაანათა. მინდერად სიკვდილის ხამკაულებივით ეყარა ქვემეხების ნამსხვრევები. დამწვარი ტანკები, ნაღმტყორცნები, მანქანები, დახოცილი ადამიანები...

მკვდრებს არ აცვიათ შავი კოსტიუმები, არც გალაკვნი ფეხსაცმელები. მკვდრებს გულზე არ აქვთ ხელები დაკრეფილი, კუბოში არ წვანან, ისე ყრიან მიწაზე. მათ თავთით არ სხედან ჭირისუფლები, არაგნ ტირის. მკერდგაღეღილი ბიეები ყრიან მიწაზე და თითქოს... იცინიან.

ცოტა ხნის შემდეგ ცამ ისევ დაადო ხახა, დაიგრუხუნა და გაიელვა. დაჭრილი მარჯვენა მხარეს გადაწვა და გაბობდა. ხელ მიწაზე ხოხვა უფრო გაუკირდა. ხსლტებოდა, ცურავდა. სიბნელეში აღარაფერი ჩანდა...

დაჭრილს დროდადრო ძალა ელეოდა და სული ეხუთებოდა, მაგრამ თავს არ ზოგავდა, რაც შეეძლო სწრაფად მოძრაობდა. ხანამ გერმანელები ტყეს და მინდორს გაწმენდნენ, იქაურობას უნდა გასცლოდა. ამიტომ ჩქარობდა. გადატკეცვებული მუხლისთავებიდან სისხლი სდიოდა. ყოველი მოძრაობა ჭოჭოხეთურ ტკივილს აყენებდა. იდაყვები სულმთლად გადეეცვლოდა. პირმოუფული გასცქეროდა ჩახნილებულ სოფელს. ალმარაზე რომ მიფოფხავდა, რამდენჯერმე ძირს ჩაცურდა. გული ამოუჯდა, ქანცი გაუწყდა — სულშეხუთულმა მაინც მოახერხა ამობღენა. ერთგან თხრილთან შეჩერდა და ხელ მიწაზე, როგორც ბალიშზე, მშვიდად მიდო თავი. დაისვენა, სიმწრის ოფლით დანამული თვალები გიმნასტიორის სახელოთი ამოიმშრალა და იქვე ახლოს თხრილს დაუშტერდა. თხრილში მკვდარი ჯარისკაცი ეგდო. მუზარადის ლაპლაპზე იცნო გერმანელი, რომელსაც ფართოდ გახელილ თვალებში მთვარის ყვითელი შუქი ეღვრებოდა. დაჭრილმა კბილები გაახრჩიალა და გახოხდა.

ორი საათი კიდევ იბობღა. გათენებისას ძალა გამოეცალა და ღონემიხდილი მიეხვეოდა. თვალი რომ გაახილა, თეთრად შეღებილი მესერი, თეთრი ჯვარი და არყის ხეები გაარჩია. მესერს იქით სასაფლაო ჩანდა.

3.

თბილი მოწმენდილი დილა იდგა. გორაკებიდან წამოსული ნიოს თან მოჰქონდა სველი ბალახისა და მიწის სურნელი. შორიახლო ცხენმა დაიფრუტუნა. თაფლისფერი კოკები ყირგიზეფი ძმისეფი, გაჭირვებით მოაორევდა მარხილს, რომელზეც ახალგაზრდა ქალი იჯდა. ცხენს, ეტყობოდა, უმირდა ტკივრთის ზიდვა. კისერი და მთელი ტანი ოფლისგან უბზინავდა, დაღლილობისგან დაბერილი ჩიჩვრის მაღლა-მაღლა სწევდა და თავს ძალას ატანდა, არ წყაცეულიყო.

მარხილი სასაფლაოთან გაჩერდა. იქიდან ქალი გადმოვიდა, ცხენი მესერზე აღვირით მიაბა. თავსაფარი მოიძრო, წამოწითლებულ, ოფლიან სახეზე მოისვა და გაწეწილი თმა შეიწორა. ცხენმა წინა ფეხები აიბაკუნა.. ყურებდაცქვეტილმა ჭრელმა ლეკვმა მარხილის შემოორბინა და ცხენის ფეხებთან ჩაცუღქდა. ქალმა მარხილიდან წერაქვი და ნიჩაბი გადმოიღო, სასაფლაო მოათვალიერა და განაპირა ადგილას, იქ, სადაც არყის ხის ჩრდილი ეცემოდა, მიწის თხრა დაიწყო. მზე თითქოს ტაიდან ამოდიოდა და სველ ტევრს აბრწყინებდა. ხოფლის გზატეკილზე გერმანელთა ტანკები გუგუნებდნენ. შეაგუდო შარაზე გახირული მანქანის ძარაზე ჯარისკაცები ხორხოცებდნენ. ფრონტიდან სანიტარული მანქანების გრძელი კოლონა მოდიოდა. გზაჯვარედინზე გერმანელი ჯარისკაცი კოლონას მიმართულებას აძლევდა.

ქალი სამარეს თხრიდა. დროდადრო ჩერდებოდა, ღაბალუბით ჩამოსულ ცრემლებს მჭიღებით იშშრალებდა და მზუბარედ დასცქეროდა მიწას, რომელიც წერაქვის ყოველ დარტყმაზე ურუ ხმას გამოსცემდა. ისეთი დღე იდგა, კაცს სიცოცხლეს რომ მოანატრებს. მზე უხვად ილვრებოდა, უფრო აბრწყინებდა და აკაშკაშებდა ისედაც მოკრიალებულ ცას. ქალი ღონეგრად უნაცვლებდა წერაქვს.

გუშინ მოუკლეს უნტერმა მოხუცი მამა.

დილაადრიან ბერიკაცი — გამოთაყვანებული, დაყრუებული, გამხდარი და წელში მოკაკული — ეზოში გამოფრატუნდა. სიცხით დახრეულელ, გადაკვეთილებულ ბალახში შევიდა, აკანკალებული დიდხანს უსინჯავდა ცხენს ნატკენ ფეხს. ცხენი ფრუტუნებდა. სწორედ ამ დროს დაიკრიალა კუტაკარმა, მოხუცი ძლივს წამოიკაკვა და ბეცი თვალები ეზოში შემოსულ მაღალ-მაღალ გრძელკისერა გერმანელ ოფიცრს მიაპყრო. ოფიცარს მკერდზე ავტომატჩამოკიდებული ჯარისკაცები შემოპკუნენ. მოხუცმა უკან დაიხია, ხეს მიეყრდნო და პირჯვარი გადაიწერა. გერმანელმა რაღაც დაიყვირა. მოხუცმა ვერაფერი გაიგო. იმიტომ კი არა, გერმანულად რომ დაუყვირეს — მის დავსილ ყურებს არაფერი ესმოდა. ოფიცერმა კიდევ რაღაც დაიყვირა. ჯარისკაცებმა ავტომატები მოიმარჯვეს. მოხუცი გახევდა, აცახცახებული ხელი ჯაერში გაუშვეფდა. ოფიცერმა ახლა უფრო ხმამაღლა დაიყვირა, სანამ მოხუცი გიხს მოვიდოდა, რევოლვერი ამოიღო, ცისფერი, ცბიერი თვალები მოკუტა, ჯერ ჰაერში გაისროლა და, როცა დაინახა — შიშისგან ფერწასულ და აცახცახებულ მოხუცს გული გასცდომაზე ჰქონდა, ორჯერ ზედიზედ ესროლა. ყველას გახაკვირად, სიბერისგან დაუძლურებული ბერიკაცი უცებ არ წაკეცულა. ჯერ ჩაიმუხლა, მერე, გეგონებოდა, სავარძელში ჩაეშვაო, თხემლის ძირი ჩაჯდა. გოოცებული თვალებით შეხედა უნტერს: „რატომ?" და სანამ სული ამოუვიდოდა, ერთხელ კიდევ გაისმა გასროლის ხმა. ტკვიამ მოხუცს შუბლი შეუნგრია. არ დაუკვნესია. მხლლიდ ღიად დარჩენილ სვედიან თვალებში გაკვირვება აღმებეკდა. იმავე წუთში სარეჩიდან გამოვარდა მოხუცის ქალიშვილი. კიბეზე შეჩერდა, ეზოში გაიხედა და თხემლის ძირას გულაღმა გაშოტილი მამისკენ კიბელით გაკანდა.

უნტერმა რევოლვერი ბუდეში ჩადო, აწიოვლებულ ქალს ალმაცერად გახედა და ეზოდან გავიდა.

4.

ქალი გაშმაგებით, თავგანწირვით თხრიდა. ხელისგულები სულმთლად გადაეკვლიფა, მკლავები დაეღალა, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. თვალწინ ედგა მოხუცი მამის ღიად დარჩენილი, გაკვირვებული თვალები. ტრიალისგან გაშშრალი და გამოფიტული, შეუსვენებლივ თხრიდა, რათა მზის ჩასვლამდე მოესწრო მამის დამარხვა. წერაქვს ნიჩაბს უნაცვლებდა. მთელი ძალით ურტყამდა. მიწა ყრუდ გუგუნებდა. გუგუნი სადღაც სილრმეში იკარგებოდა.

უცებ ლეკვმა ყურები აქვიტა, დაიწკავწკავა და ვიღაცას თუ რაღაცას შეუუეფა. ქალმა

ნინაბი დაადგა და მიწაყრილზე ჩამოჯდა. ლეკვი წამოხტა, უეფოთ გაირბინ-გამოირბინა და კა-ლთან მივიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაიეფეფა, კუდი აპრიხა, სადღაც გაიქცა. იქ ერთ ადგილას ატრიალა, ბრეკე უკანვე გამოკენადი და კალს კალთაზე შეეხტა. კალმა თავზე ხელი გადუსვა. ლეკვმა დაიეფეფა, კბილ კალთაში კბილები ჩაავლო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაეჭიმა. კალი მოეფერა, კალთაში ჩაისვა, ლეკვი კი ისევ წყმუტუნებდა, კალთიდან გადაუხტა და სადღაც გაიქცა.

კალი თავშიშველი იჯდა. ნიავი უწეწავდა თმას, უფრიალებდა კაბას, ნელა, შეუმჩნეველად უშრობდა ოფლს სახეზე, ყელზე. მკლავებზე. შრიალებდნენ არაყის დიდრონი ხეები, სასფლაოზე მძიმედ ირხეოდა ბალას-ბუღალბი. თეთრი, ქათქათა ღრუბლები, აკა-იქ იასამნისფრად რომ შეფერადებულიყვნენ, ზანდად, უდარდელად მიცურავდნენ დასავლეთისკენ. შუადღის მზე მტანჯველად, ჯოჯოხეთურად აცხუნებდა, ნაღვერდალივით ცახცახებდა და სადაც იყო, გადაიხრეოდა კიდეკი. კალმა აწკაწკავებული ლეკვი ისევ კალთაში ჩაისვა, ორივე ხელი შემოხვია და აწითლებული, გახურებული ლოყა მიადო ბანჯგვლიან თავზე. ლეკვი გაიტრუნა, სულმთლად გაილურსა, მერე ერთიანად აუელა ხელები და სახე.

კალმა ლეკვი მიწაყრილზე დასვა, წამოდგა და თხრა განაგრძო. თხრიდა დიდხანს და გაშმაგებით. მზისგულზე მიწასაც ცეცხლი მოსდებოდა, გამობარიყო, ნოტიო ხუნს გამოსცემდა. ძალლი ყეფით იკლებდა იქაურობას, ყურადღებას ითხოვდა. კალმა ნაჩაბი დაადგო და ძალლს შეეხეო. ლეკვმა უფრო თამამად შეუყეფა, ეკან-ეკან წავიდა, კალს მივარდა, ფეხსაცმელში კბილები ჩაასო და ღრენას მოპყეკა.

— რა ამბავია, რა დაგემართა? — კალი გაქცეულ ძალლს გაჰყვა.

მეხეოს იქით, დიდ მიწაყრილთან დაკრილი იწვა. ერთი ხელი თავზე ედო, მეორე ენ გაეშვირა. კალმა ჯერ უკან დაიხია, მერე შიში დათრგუნა და ჯარისკაცს მიუახლოვდა. დაკრილი მძიმედ სუნთქავდა. გაშვებული, დახეოქილი ტუჩები მაგრად მოეკუმა, დაკაწრულ, გაუპარსავ ლოყებზე სისხლი შეშმბოდა.

კალმა აქეთ-იქით გაიხედა-გამოიხედა, მერე დაიჩოქა, მდუმარედ დაიკქარდა. დაკრილმა, ეტყობა, იგრძნო, რომ მის ახლოს ადამიანი იყო. ჯერ ცალი წარბი აზიდა, მერე ულინოდ, სისხლიანი მარჯვენა ხელი ოდნავ მოიშუშტა და რაღაც ენაჩურჩულა.

კალმ: ვერ გიგიო, რა თქვი ჯარისკაცმა, დაიხარა და სახეში ჩაიკქერდა. დაკრილს სიცხისაგან ალმფერი ასდიოდა, გავარვარებული შუბლი და ტუჩები ოფლით ჰქონდა დაცვარული.

— რაო, რა თქვი, წყალი გინდა?

დაკრილმა ამოიგმინა და გადადტოიალება სცადა. ჯერ ერთი თვალი გაახილა, მერე მეორე. მხედველობა დაუბრუნდა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია.

— რა გინდა, წყალი? რომ არა მაქვს. ღმერთო ჩემო, იქნებ დაიცადო, ჰა? ჰო, ჰო, უნდა დაიცადო, გაუძელი, გიგიე?

დაკრილმა კვლავ ამოიგმინა. კალმა ცხვირსახოცით შუბლიდან ოფლი მოსწმინდა და წამოდგა.

ბ.

მზე გორაკების მიეფარა. დაკრილი კვნესოდა და დროდადრო ტკივილისგან გონს ჰკარგავდა. სასაფლაოს გადასწვრივ სათიბში, ჭალიშვილი ბალახს ყრიდა.

„ოღონდ გერმანელებმა არ დამინახონ, ოღონდ... ოღონდ...“ — ფიქრობდა და ბალახს მარხილში ბღუჯა-ბღუჯა ისროდა.

საკმეხ რომ მორჩა, მარხილი დაკრილთან მიაყენა. უტრიალა, უტრიალა, ვერაფერი გაახერხა. ბოლოს ჯარისკაცს ილიღებში მკლავები ამოსდო. დაკრილმა დაიგმინა.

„აბა, შენც, შენ თვითონაც მომეხმარე..“ — ჩურჩულებდა ჭალიშვილი და დაკრილს მარხილისკენ მიათრევდა.

„ცოცხალი ადამიანი უფრო მძიმე ყოფილა... ცოცხალი მოძრაობს, ძლიერია...“

ერთი მარხილზე დააწვინოს, მერე ყველაფერი ადვილია. მთავარია მარხილზე დააწვინოს, მაგრამ დაკრილი ძალზე მძიმეა, ჭალს არაკმაი ალარა აქვს — მკლავები მოეშმაგარა და მუხლებიც ეკეცებნ.

შორიდან ავტომაქანის გუგუნი ისმის, შარაგზაზე ადამიანის ჩრდილები მოჩანს. „ვერმაწილები არიან. სოფელში პატრულებით დაძრწიან“, — ჭალიშვილს გული ეკუშშება, ცივი ოფლი ასხამს, მაგრამ მოგონილი სიმშვიდით მიერეკება კოჯელ ცხენს. ეკლესიასთან, რიეეზე მარხილი აჭაკჭაკედა. მაღალი გუმბათის ჩრდილი სოფლის სალაყბოს ეცემა. ომის დაწყებამდე აქ დედაკაცები ისხდნენ ხოლმე; დაქალიშვილებული გოგონები გათენებამდე აკანკუნებდნენ მზესუმზირას და სასიყვარულო თავგადასავლებს ჰყვებოდნენ. ყოველ საღამოს წელავდნენ გარმონს და გულიდან ამოსული სიმღერებს მღეროდნენ. ბაბისტვინა, ეკეკერი ბიბები ჭურდულად,

ზურგს უკან უსაფრთხებოდნენ გოგონებს, ყურს უგდებდნენ მათ ლაპარაკს და როცა რომელიღაც ცქვიტი გოგო თვალს მოკრავდა, ყველანი ერთად დაიდეკნებოდნენ ცნობისმოყვარეობისაგან. ამ ფანდურ ბიჭებს, ეტყობა, ეაყვარებდნენ, ბანაობელ ბიჭებს ეაძრობდნენ და საცალ ბისაბარ ბიჭებს გაუშვებდნენ. მთელი სოფელი მზიარულობდა. ახლა კი ირგვლივ სიკვდილის ჩრდილი ძრწოდა. ამბობენებულ ყანებსა და ხათიბს ნამგლისა და ცელის ნაცვლად, გულლაგულ ანადგურებდა მტრის ბომბები, იბრუკებოდა მინდორი.

ორლობეში ჩრდილები გამოჩნდა. ქალს შიშისაგან გაეურეოლა. ცხენმა დაიფრუტუნა და ლაგამი გაღეკა.

— ’ხდეკ! — გაისმა მკაფიო შეძახილი.

ქალმა ცხენს სადავე დაუჭირა. ცხენმა ფეხები აბაკუნა და დაიფრუტუნა.

გერმანელები იარაღის ყალრნით გამოკანდნენ.

— დედაკაცია, — გერმანულად დაიყვირა პოლიციელმა.

ქალმა თანასაფლელი სტენკა ბლინოვი იცნო. იგი ფეხებგაჩაჩხული, გაფხორილი იდგა და მარხილს ათვალიერებდა.

— შენა ხარ, ულიანა?

— მე ვარ, — ყურად უპასუხა ქალმა.

— ჩვენ კი პარტიზანი გვეგონე, — გაიცინა სტენკა.

— პარტიზანი რომ ვიყო, რაღა მიჭირს — ვერ გიცნობდი, მგლის ქურქში ხარ გამოწყობილი.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, — შუბლი შეიკრა სტენკამ. — მაგ სიტყვისთვის სხვას ცხელ ტყვიას დავახლიდი. შენ კი გაფრთხილდი და ჭკუა მოიკრიბე...

— გამაკარე!

სტენკამ უყურა, უყურა, მერე მარხილს დაადგა თვალი და, ბოლოს, როგორც იქნა, გვერდზე მიდგა. მარხილმა ჭრიალით ჩაუარა.

ომამდე ბლინოვი ერთი უსაქმური, შფოთისთავი, მარხუბარა იყო. გოგოებს მოსვენებას არ აძლევდა, ყველას ეტორტლიალებოდა, სიყვარულს ეფიცებოდა. ამისთვის ბევრჯერ დაუყვეთ სოფელელ ბიჭებს. ომი დაიწყო თუ არა, გადაიკარგა. ამბობდნენ, ტყეზე ჩახარდა და გერმანელებს ემსახურებაო. აი, გამოჩნდა კიდეც...

ულიანამ ცხენი აარჭარა. მარხილმა ჩალისსახურავიან ქოხებს ჩაუარა და მარჭვნივ, უშველებელ ეზოში ჩაუხვია. ულიანა სწრაფად გადმოხტა, ცხენს ალვირში მიხვდა და მარხილი ბოსელთან მიაყენა. მერე მოტრიალდა, ბეშკართან მიირბინა, მიაყურადა და გაიქცა, მეზობელთან გარბოდა, ბოსტან-ბოსტან ჭრიდა გზას და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

— ნასტასია ფეოდოროვნა, ნასტასია ფეოდოროვნა! — ულიანამ ფანჯარაზე დაკაკუნა და დაუცადა. გული გამალებით უბაგუნებდა, ტანზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

— რომელი ხარ? — ჩურჩულით იკითხეს სიბნელიდან.

— მე ვარ, ულიანა.

— ა?!.

— ნანტასია ფეოდოროვნა, ულიანა ვარ, ულიანა!

— რა მოხდა? ღმერთო ჩემო...

— ჩაიცვიდ და გამომყევით.

ნასტასია ფეოდოროვნა კარებში გამოჩნდა. იგი ზედატანს იცვამდა.

— რა მოხდა?

— იქ... დაჭრილი ვიპოვე, დაჭრილი... ჩვენიანია.

— უფალო!..

საბძელთან ცხენი მიწას ტორავდა და ლაგამს ღრღნიდა. ნასტასია ფეოდოროვნამ მარხილს შემოუარა, ბალახი გადაქექ-გადმოქექა და დაჭრილს თავთით დაუდგა. ულიანამ ფეხებით ასწია. ჯარისკაცმა სიმწრისაგან ამოიგმინა და რაღაცა წაიბულბულა.

— აბა, მოისვენე, მოისვენე, — ნასტასია ფეოდოროვნა დაჭრილს უკვე ტანსაცმელს ხდიდა. — ხედავ, ულიანა, ბარძაყში ყოფილა დაჭრილი. დახე, მეორეც სად აქვს მოხვედრილი...

— თავიც სისხლიანი აქვს, ღმერთო ჩემო, სულ სისხლით არის მოსცრილი, — დაიკვნესა ულიანამ.

— აბა, ლამაზ კარგად მომინათე. ვნახოთ, რა ხდება. ჰოო-ო, ჩემო კარგო, დაჭრილი კია, მაგრამ მაგათ რომ ნებავთ, ისე არა. გაიქე, წყალი მომირბენინე...

სიცხისაგან გათანგული, ტკივილებისგან დათსებული ჯარისკაცი ბოსელში თივაზე იწვა, მუზლებზე ჩაჩოქილი ნასტასია ფეოდოროვნა ყურადღებით უსინჯავდა იარებს. შინაურ წამლებს აღებდა. შეხვევის დროს ჯარისკაცი ხმამაღლა გმინავდა და კბილებს აღრჭიალებდა.

— სისხლი ბლომად დაუკარგავს, — თქვა მოხუცმა, როცა ბრილობების შეხვევას მორჩა. — ეს საცოდავი შეიერიც იქნება. ქვაბში ამ დილით მოდუღებული რძის ფაფა მიდგას,

სწორედ მისწრებია ამისთვის. წვალ, მოვუტან. შენ კი, ჩემო კარგო, შუბლზე სველი ტილო დადე, ტუჩები წყლით დაუხველე.

ულიანამ თვალები დახარა, ცხვირსახოცი ცივი წყლით დასველა და ჯარისკაცს შუბლზე დაადინა.

— აბა, ერთი მიმიშვი, მიმიშვი, — ნასტასია ფეოდოროვნა დადარუნდა და ილლიაში ამოჩრილი ფუთა ფულთან მიაწოდა. — გამომართვი, ჩემი კაცის ნაკონია. სკივრში მქონდა შენახული. ტანზე გამოუცვალოთ. მერე გიიკეცი და სამხედრო ტანსაცმელი ეზოში დამარხე.

ნასტასია ფეოდოროვნამ წელანდელივით მუხლებზე ჩაიჩოქა, კაბა ფეხქვეშ ამოიკეცა, ქვაბიდან ხის კოვზით ფაფა ამოიღო და ჯარისკაცს პირთან მიუტანა.

— აბა, ჩემო მშვენიერო, ერთი თვალი გაახილე. ჰო, ჰო, ასე, ასე, აბა მიდი...

მაგრამ ნასტასია ფეოდოროვნა ტუფილად იძახდა მიდი, მიდიო, ჯარისკაცი მთლად მოეშვა და ცნობიერებაც დაკარგა. ულიანა გაფთრდა, აკანკანებული ხელები პირზე აიფარა და მოხუცს შეაკერდა. ნასტასია ფეოდოროვნა დიდხანს ცდილობდა ჯარისკაცისთვის როგორმე კრიჭა გიეხსნა, კარგა ხანს იწვალა. ჯარისკაცს სიცოცხლის ნიშნებსაც ალარ ეტყობოდა. გაბზარებული სუნთქვა შეფუყდა, მიტკლისფერი სახე ჯერ აუბერილდა, მერე აქა-იქ მტლე დაედო და სულ გალურჯდა. ნასტასია ფეოდოროვნამ ერთი გულითადად შეიკუთხა, ჯიბიდან რკინის კოვზი ამოიღო და წვალებ-წვალებით ავადმყოფს კბილებშუა ჩასჩარა.

— აბა, მარდად, წყალი მომაწოდე! — მოხუცი ულიანას მიუბრუნდა.

წყლის ჭვეთი გადასცდა თუ არა, ჯარისკაცს ხველა აუვარდა. წამით უნიათოდ გაახილა თვალი, დახეთქილი ტუჩები ოდნავ აიცმაცუნა და ისევ დაკარგა გონება. ნასტასია ფეოდოროვნამ კვლავ ჩაიჭვეთა წყალი.

6.

მესამე დილა თენდებოდა. ულიანა საბძლის კარის ღრეჩოდან სოფლის შარას გასცქეროდა. სოფლისაბკოს დიდ ეზოში გერმანელები ფუსფუსებდნენ. დილის რიღრაღს ტყიდან თხელი ნისლი მოჰქონდა. ნისლივით ბრუნავდა ულიანას ფიქრიც. სიბნელეში ჯარისკაცის ყრუ ვმენვა გაისმა. ნასტასია ფეოდოროვნამ თვალი გაახილა, წამოიწია და დაჯრილს გამოელაპარაკა.

— წყალი... — დაიბრიალა ჯარისკაცმა.

ულიანამ თვალებით ჰკითხა მოხუცს, რა ვქნაო და, როცა თანხმობა მიიღო, ჯარისკაცს თავი წამოუწია და წყალი დაალევინა. ცოტა ხნის შემდეგ ჯარისკაცს სუნთქვა მოუბრუნდა; ისევაც მოკანკასული, გატანჯული სახე უფრო მოელრიცა. ნასტასია ფეოდოროვნამ კუშტი, ბებრული თვალებით შეხედა და მიხვდა, რომ ტკივილის ეს სანინელი შემოტევა მარტო სიცოცხლის ნიშნები კი არა, სიკვდილზე გამარჯვებაც იყო.

ულიანა დუმდა, შეშფოთებით აღევნებდა თვალს მოხუცის ხელების მოძრაობას, სახის გამომეტყველებას, ხოლო როცა ნასტასია ფეოდოროვნამ კუშტი წარბები გახსნა და ტუჩის კუთხეებშიც მკაცრი ნაოჭები გაეშალა, ქალიშვილი მიხვდა, რომ რაღაც სასიკეთო მოხდა. შიში, რომელიც გუფში ჩაბუდებოდა ერთბაშად გაუქრა.

— წადი, დაისვენე, — უთხრა ნასტასია ფეოდოროვნამ ულიანას, — ბიჭს ალარა უჭირს რა, ჩვენია უკვე. შენ კი ცოდო ხარ.

— თქვენ უფრო ჭირდებით დასვენება. მე აქაც კარგად მოვეწყობი.

— რად მაბრაზე, ჩემო კარგო. ფიქრობდა ბებერი ფიქრობდა. ჩემისთანა ბებერი ყველაფერს იოლად აიტანს, შენ კი ნორჩი ხარ, ადვილად მოტყდები.

ულიანა დიდხანს იჯდა კუთხეში მიუუფლენ. ბოლოს, როცა ნასტასია ფეოდოროვნამ უბრძანა, უსმოდ წამოდგა. ეზოში გავიდა, ცხენს წყალი დაალევინა და ჩაბნელებული კოხის კარი შეაღო. იქ ყველაფერი ძველებურად ეწყო — კაჩაზე მამის გახუნებული, გაქუცული ხიფთანი და ტოტებგადმობრუნებული შარავალი ეკიდა; გრძელი, განიერ რუსულ ღუმელზე ხვადა_კაკა თვლიდა; შუაგულ ოთახში ახალთახალ მუშამბაგადაფარებულ მაგიდაზე ყვავილების იაფფასიან ლარნაკში ფოთლის ნაფლეთი ტივტივებდა; გაზეთებით აჭრელებულ კედელზე ულიანას მშობლების ახალგაზრდობის სურათი ეკიდა.

ულიანა საწოლზე ჩამოჯდა, თმა ჩამოიშალა, დაკანიებული მხრები ჩამოუშვა და გაირინდა. დიდხანს იჯდა ასე, მერე რული მოერია. ძილში მამა ესიზმრა, მერე სანლში უზარმაზარი ურჩხული შემოვიდა, ჰაერი დაეწოსა, პირიდან ცეცხლი ამოფრქვია, დაიწივლა და გაქრა.

ულიანა შიშმა გამოაღვიძა.

სწორედ ამ დროს კარზე ჯერ ფრთხილი, შემდეგ კარგა გვარიანი ბრახუნი გაისმა. ულიანა სწრაფად წამოდგა. სიზმარში გადადანილი შიშისაგან აკანკალებული ხელებით გახსნილი საკინძე შეიკრა და კარისკენ გაემართა.

— ვინ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვარ, სტენკა, — მოისმა ყრუ, მოგუდული ხმა.

ულიანამ იგრძნო, როგორ დაუდგა თმა ყალეზე, როგორ გაუჩირდა წამით გული და რა ურუნტალემ: დაუარა სხეულში. სანამ პასუხს გასცემდა, სტენკამ კიდევ დაკაკუნა.

— რისთვის მოხვედი, რა გინდა?

— ხომ გითხარი, მოვალ-მეთქი. ერთი წუთით გამიღე კარი!

— შენი გზით წადი, თორემ ქვეყანას შევარ!..

— ეგ რომელი ქვეყანა გინდა შეაყარო? — ბოროტად ჩაიქირქილა სტენკამ. — ერთი წუთით შემომშვი, თვალს შეგავლებ და მერე მართლა ჩემი გზით წავალ.

სტენკამ კარს ხელი ჭკრა. კარი გაიღო. კაცი ბარბაცით შემოვიდა და იქაურობა არეის სუნით აკქოთა. ულიანა კედელს აეკრა, ხელები მკერდზე აიფარა და სული შეუგუბდა. სტენკა ვერ ხედავდა კარს უკან დამალულ გაფითრებულ, აცახცახებულ ქალს. როცა თვალი მოჭკრა, კარი მიხურა და წინ დაუდგა.

— არ მომეკარო! — კბილებში გამოსცარა ქალმა.

— განა ამისთვის მოვედი, რომ გული გაგიხეთქო. შენცა ხარ რაღა, — ბუტბუტებდა სტენკა და ფეხდფეხ დასდევდა ულიანას, რომელიც მაგიდას გარშემო უელიდა. — მომისმინე, ულიანა, მე შენთან სიყვარულმა მომიყვანა, შენ კი... ეგ ვითომ რაღა საჭიროა?

— არ მომეკარო, ხელი, ხელი-მეთქი, გაიგე...

— მოდი, ჩემი მტრედო, დადექ, ერთი, დაიცა...

ულიანამ ორჭეკ შემოურბინა მაგიდას, სკამი აიტაცა და შეჩერდა.

— არ მომეკარო-მეთქი, მოღალატეე!..

სტენკა გაფითრდა, ნერვების მთელი ფაძანავით შეიკავა თავი, მწარე ღიმილით გადადგა ქალისკენ ნაბიჯი.

— დადგი სკამი, ულიანა, რატომ ყვარი? მე შენთან კარგი საქმისთვის მოვსულვარ, შინაურულად მინდა მოგელაპარაკო. მოდამ იმას ვფიქრობდი, ულიანას შევიჭირავ, სიამტკბილობით ვიცხოვრებთ, ერთმანეთი გვეყვარება-მეთქი, შენ კი, შენ შიგ გულში მირტყამ, არც მეკითხები და ისე მირტყამ.

— წადი აქედან!

— შენ მე აქ მოსცლას ნუ დამიშლი, — შუბლი შეიკრა სტენკამ, მაღალყელიან, პრიალა ჩექმებზე დაიხედა და მკლავზე შემოხვეული სვასტიკიანი ნაკერი გაისწორა. — ჭირს წაღელი ყველფერი — ეგრმანელებიც, ბოლშევიკებიც. ყველას დედა... ოღონდ ჩვენ ვიყოთ კარგად!..

— არ მომეკარო! — ულიანამ სკამი აღმართა.

— აბა, მითხარი, რისთვის ყვარი, ძვირფასო? დღეს იქნება თუ ხვალ, მაინც ჩემი უნდა გახდე, — სტენკამ მოსსწრო სკამის გამოგლეჯა, მაჯაში ჩაებღაუჯა, მკერდზე მიიკრა. — ო, ო, რა კარგი ხარ, რა ტკბილი. გაჩუმდი და ხელები მომხვიე. ჩემო გეშრიელო, ჩემო სიცოცხლეე!

გამძვინვარებული ქალი უკან-უკან იხევდა, ხელს ჭკრავდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყვიროდა:

— არაშზადავ, მრუშო, მოღალატეე!

— ნუ ყვარი, ნუ ყვარი, მე ხომ შენთვის სიკეთე მინდა. განა სიყვარულისთვის ასე სჯიან? გაჩუმდი-მეთქი, გეუბნები! — ბუტბუტებდა სტენკა და ქალის გაბუსხული, აკანკალებული ტუჩებისკენ მიიწევდა.

— ხელი გამიშვი, შე მაწანწალავ, შენა! — შეჯავლა ულიანამ და კბილებით ლოყაში ჩაფრინდა. სტენკამ შეჭყვარა და სიმწრისგან გოგანებულმა ქალს ხელი უშვა.

ულიანა უკან-უკან წავიდა. მაგიდიდან წყლით სავსე ლარნაკი აიღო და შემართა. კბილებდაკრეჭილმა, გაცოფებულმა სტენკამ ლოყაზე ხელი აიფარა.

— ეს-ს რატომ? იმისთვის, რომ მიყვარხარ? მე ხომ შემიძლია მოგკლა?

— მომკალი!

სტენკას, ეტყობა, ტკივილმა ცოტა გაუარა, რევოლვერისკენ წაღებული ხელი ჩამოუშვა.

— გავწამდი. შენ კი სულელი ხარ. სიყვარულისთვის აი, რა დღეში ჩამიგდე. წასვლით წავალ, მაგრამ იცოდე, კიდევ დავბრუნდები. — მერე ბრძანებით დააყოლა: — რაც უნდა მოხდეს, მაინც დავბრუნდები!

მძიმე ნაბიჯით მაგიდას შემოუარა, ერთხანს შეჩერდა. ძალდატანებითი სიმშვიდით შეხედა ულიანას, ლოყაზე ერთხელაც მოისვა ხელი და კარი გაიჯახუნა. ქალიშვილი დიდხანს იდგა აკანკალებული. ყურს უგდებდა სტენკას ნაბიჯების ხმას, მერე, როცა ყველაფერი მიწუნარდა, ლოგინზე დაემხო. ციებიანივით აცახცახდა და ქვითინი ამოუშვა.

ჯარისკაცი ფაფას ჭამდა. კარის გასწვრივ, თივაზე მოკუნტული იქდა ულიანა ფეფელი ცისფერი ქვედაბანის ქვეშ შეემალა. დროდადრო ჯარისკაცი თავს მაღლა სწევდა, ნაღვლიან, დიდრონ შავ თვალებს ულიანას მიაპყრობდა და იღიმებოდა. ულიანაც მორცხვად უღიმოდა.

ბოლო დროს ჯარისკაცმა საგრძნობლად მოიკეთა. ძალა მიეცა და ფერი მოუვიდა.

გახარებული ნასტასია ფეოდოროვნა ამბობდა: თვალი დაუდგეთ გერმანელებს. ჩვენი ბიჭი კვლავ ჯანმრთელი და სალსალამათია. მალე ბუეს ავაზმიანებთ!

— ბუეი რაღა შუაშია? — ეკითხებოდა ულიანა და თვალს დაჭრილისკენ აპარებდა.

— გერმანელებს რომ გავეუფავო, ბუეს ავაზმიანებთ, აბა, რა იქნება!

აი, ახლაც, ნასტასია ფეოდოროვნა შემოვიდა. კალათით მოცხარი და ფუმფულა პური მოიტანა.

— მეგონა, მოგისწრებდი, შენ კი, ჩემო კარგო, ფაფა უკვე გაგითავებია. ღმერთმა შეგარგოს!

დაჭრილმა გაიღიმა, ტუჩები ხელისგულით მოიწმინდა და თეფში განზე გასწია.

— გესმით, როგორ ზანზარებს მიწა? — ნასტია ფეოდოროვნა მოცხარს თიხის ქილაში ჩაერთო. — მოდიან ეგ გასაწყვეტები. ალარ გათავდნენ. მთელი დღეა ტანკებს მოაგრუხუნებენ... მოცხარი მოგართვი ჩაისთვის, სურნელოვანია და სასარგებლო, — ნასტასია ფეოდოროვნა გაჩუდა, პირი მოკუმა და ძლივგასაგონად დაუმატა — გუშინ ფაშისტებმა მაკარ ტიხონიჩი ჩამოახრჩეს.

ულიანამ ელდანაკრავივით წამოიწია.

— ეგ როგორ, მაკარ ტიხონიჩი ხომ პარტიზანებთან იყო?

— ეჰ, ჩემო კარგო, განა ყველა, ვინც რუსად არის დაბადებული, რუსია?! იმ არამზადა სტენკას გუშინ დილით ყანაში დაუნახავს მაკარი და დაუბეზღებია.. — ნასტასია ფეოდოროვნა ხვნეშით წამოდგა, თეფშები გასარეცხად წაიღო.

დაჭრილმა გვერდი იცვალა, ულიანას ხელს შეეხო.

— ულიანა, ვინ იყო ეგ მაკარ ტიხონიჩი?

— ჩვენი სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, — ყრუდ მიუგო ქალმა.

ჯარისკაცმა თვალები დახუჭა, კარგა ხანს ხმა ალარ ამოუღიათ. ულიანა მოღებულ კარში იყურებოდა. ბოსტნის ბოლოს ბიგიზე წამოცმული საფრთხობელა ქანაობდა. ღობის ძირას ოროვანდი და ჭინჭარი მომრავლებულიყო. უყურებდა ცხელი ზაფხულის ნეტარება და მოფუალლობით გავიერანებულ ბოსტანს თვალწინ დაუდგა თხმელის ჩრდილში გულალმა გაშოტილი, თვალლიად დარჩენილი მამა, პატარა, ჩია მოხუცი, რომელსაც მის სიცოცხლეში არაფერი დაუშვებია, ხმამაღალ სიტყვაც არავისთვის უკადრებია და, ვიღაც გადამთიელმა მხეცმა, კაცმა რომ არ იცის, რატომ ან რისთვის, ტყვიით შუბლი გაუხვრიტა. ულიანას თვალები ცრემლით ავსო. ჯარისკაცის ხმამ გამოაფიზლა:

— ულიანა!

— გინდათ რამე?

— არაფერი.

— აბა, რატომ დამიძახეთ?

დაჭრილმა თვალები გაახილა და ისევ დახუჭა.

— შინ წადი, აქ კოლოები არ მოგასვენებენ.

— დაძინება თუ მინდა, კოლოები რას დამაკლებენ. ცოტა ხანს კი წავალ, ნასტასია ფეოდოროვნას მარილს გამოვართმევ.

— ხასხასებლად მიდიხარ?

— ჰო, ცოტას ვისესხებ.

— საქართველოში მარილს არ სესხულობენ. ხალხი ამბობს, მარილის სესხება არ ვარგაო.

„საქართველოში... ქართველი ყოფილა...“ — გაუელვა ულიანას. ერთხანს იყურა, მერე ჰკითხა:

— რატომ არის ცუდის ნიშანი მარილის სესხება?

— არ ვიცი, ასე კი ამბობენ.

მესამე დღეს ულიანა მაინც წავიდა მარილის სასესხებლად. ის იყო, ეზოდან გავიდა, რომ არემარე შეზანზარდა, დაიქუხა ერთხელ, მეორედ და სოფლის ბოლოს, გუბურასთან, სადაც გერმანელთა ორი ასეული იდგა, შავი კვამლი ავარდა. ჰაერში ატყორცნილი მიწა და ნაღმის ნამსხვრევები შორს გაიშალა. ულიანას შიშისგან გაყარყოლა. როგორც იქნა, მეზობლის სახლამდე მიირბინა და დახურულ დარაბაზე დაეკაკუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნასტასია ფეოდოროვნა!

— ა?

— მე ვარ, დეიდა ნასტასია, მარილზე მოვედი.

— რაზე მოვედით?

— მარილი მინდა, იქნება ცოტა მომცეთ.

— ა-ა, მარილი... დაიცა, დაიცა.

ულიანამ კედელს აეკრა და იქით გაიხედა, საიდანაც წელან აფეთქების ხმა მოისმა.

— როგორ არის? — ფანჯარა გამოაღო მოხუცმა.

— კარგად. რაგომ არ გამოჩნდით?

ნასტასია ფეოდოროვნამ ტუჩები თეთრი თავსაფრის ბოლოთი მოიწმინდა, აქეთ-იქით მიმოიხედა და ჩურჩულით თქვა:

— მე იქ, პარტიზანებთან ვიყავი, ცოტაოდენი ხურსათი წავიღე.

ულიანამ ტოპრაკს ხელისგული შეუშვირა.

— იქ... ჩვენსაზე არაფერი გითქვამთ?

— ვფთხარი. იმ არამზადას სტენკას ამბავიც მოვახსენე.

— ეთქოს მკერდიდან მძიმე ტვირთი მოხსნესო, ულიანამ მოულოდნელად სულიერი სიმშვიდე იგრძნო.

8.

მზით გადახრუკული ეზოში სოფლისაბჭოს შენობისაკენ, სადაც გერმანელების კომენდატურა მოეთავსებინათო, ზურგშექცევით იდგა პური მაღაზია. აქ ყოველდღე ორი ავტომატიანი ჯარისკაცი წინ და უკან დადიოდა და თვალს არ აშორებდა გამვლელ-გამომვლელთ. პური მომლოდინე ხალხი ყოველ დილით მაღაზიის წინ გროვდებოდა. უმთავრესად მოხუცები და ქალები იყვნენ. აი, მოფრატუნდა სოფლის უხუცესი, ყველასგან პატივცემული დოსიფეი ივანიჩი, სიბერისაგან დაჩაჩანაკებული და დაყრუებული ბერიკაცი. მშვიდობიანობის დროს სოფელში გამოჩნდებოდა ხოლმე თუ არა, ყველანი ქუდს უხდიდნენ და თავს მდაბლად უკრავდნენ. კაი ხანი იყო, მოხუცი აღარავის ენახა და თვალი რომ მოჰკრეს, მდუმარედ დახარეს თავები. მოდიოდა ნელი, ბებრული ნაბიჯით. ქუდი არ ეხურა და რაღაცით მიცვალებულს ჩამოჰგავდა. ბევრს დოსიფეი ივანიჩი ცოცხალიც აღარ ეგონა. გაუხარდათ მისი დანახვა და პატივისცემით დაუთმეს გზა. დოსიფეი ივანიჩი პარმალთან მივიდა, იტრიალა, იტრიალა და, როგორც იქნა, კიბეზე მოეწყო.

კარმა გაიბრიალა. გამოჩნდა პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი სტენკა.

— დღეს პური არ იქნებაᲐ — გერმანულად თქვა მან.

ხალხმა ერთმანეთს გადახედა.

— რაო? — ყურზე ხელი მიიდო დოსიფეი ივანიჩმა.

— პური არ იქნებაᲐ — გაიმეორა სტენკამ და გოროზად გადახედა ცალ მხარეს შეგროვილ ქალებს.

— შენ რაო, რუსული დაგავიწყდა? — დაუყვირა ნასტასია ფეოდოროვნამ. — ერთი ამ გერმანელს დამიხედეთ, როგორ იბღინძება.

— აბა, აბა, მოკეტე! — დაიღრიალა სტენკამ. — აქ კოლმეურნეობა არ გეგონოს. თუ ტკეცეთ არ იქნებით, მთლად მშივრები დარჩებით ..

— მეხი კი დაგაყარე მაგ გერმანულ თავზე, აჰა!

— ენას მოუკლეთ და შინ გასწეთ!

— შენგან კარგს მაინც არ მოველოდით. პირწავარდნილი მამაშენი ხარ! — ნასტასია ფეოდოროვნამ კაბის კალთები ისე აიკეცა, გეგონებოდათ, გუბურაზე უნდა გადახტესო. — რაც იმას მოუვიდა, შენც იმას დაიჭერ.

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. ავტომატიანმა ჯარისკაცმა დედაკაცები კომენდატურის წინ არ გაატარა . სტენკამ მოახერხა და ულიანა დიმარტოხელა.

— პური გინდა? გიშოვი.

ულიანამ ნაბიჯს აუჩქარა. სტენკა დაედევნა.

— ახლავე გიშოვი. ამბობენ, კარგი ხანს აღარ იქნებაო, მე კი გიშოვი. დაიცა, სად გარბიხარ! ნახე, რა მიქენი მაშინ...

— თავი დამანებე.

— შიმშილით მოკვდები!

— ეგ შენი საქმე არ არის!

— რატომ ჭიუტობ. აბა, გაიხედ-გამოიხედე, რა ხდება ირგვლივ.

— უსირცხვილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ იმედი გაქვს, რომ წითლები ისევ მოვლენ. არარა-ა, ისინი ველარასოდეს დაბრუნდებიან, მათი მზე უკვე ჩაესვენა. სჯობს, ჭკუა მოიკრიბო და არსებულ ხელისუფლებას...

— მომწყედი თავიდან, გამიფფველო!

— გუშინ გერმანელებმა მოსკოვი აიღეს. ყველას სახრჩობელაზე ჩამოჭიდებენ. საბური ცწოვრება გვეკნება.

ულიანას გულზე ცეცხლი ედებოდა და ყელში საშინლად უჭერდა. ნაბიჯიც კი შეენელა, რომ შებრუნებულიყო და ერთი მაგარი ეთხლიშა.

— ფიურერის ბრძანება მივიღეთ...

ულიანა შეცბა, როგორც მანქანას დაამუხრუჭებენ ხოლმე, ისე ერთბაშად შეჩერდა. თვალები მოჭუტა, სტენკა პოლიციელის ზიზღით შეხედა და გაშმაგებით მიახალა:

— წადი ერთი შენცა და შენი ფიურერიც!

შიშისგან დამფრთხალმა სტენკამ აქეთ-იქით მიმოიხედა, ერთ ადგილას გაშეშდა.

— რაებს როშავ, სულელო, გენმის, რას ლაპარაკობ?!

— გასწი აქედან, თავი დამანებე!

— თავი როგორ დგანებო, როცა უშენოდ ჩემთვის არც დღეა და არც ღამე. განა შენთვის ცუდი გამიკეთებია ოდესმე, ეკრე რატომ მექცევი? ყველგან იმას გიძახიან, ამათი დღე დათვლილიაო. საკუთარი თვალითაც ხომ ხედავ, კურდღლებივით გარბიან.

— შენ რატომ არ გაიქეცი?

სტენკამ ღვარძლიანად გაიღიმა:

— რომელი კომუნისტი მე ვიყავი, რომ გავქცეულიყავი! მამაჩემიც შორს იდგა ამათგან.

ულიანამ ბოროტად დაკვეცა თვალები და სწრაფად წავიდა.

— დაიცა, რა მიგარბენინებს, თავს ტუჯულუბრალოდ იღუპავ? ომი მალე დამთავრდება, დავშვიდდებით, ახალ ცხოვრებას დავიწყებთ, გერმანელები ცუდი ხალხი როდია, ერთად ვიცხოვრებთ. სიამტკბილობა მაშინ ნახე.

ულიანა თითქმის სირბილით გაშორდა. ეზოში ისე შევარდა, უკან აღარ მოუხედავს. კიბეზე ჩამოჯდა, თავი ველარ შეიკავა, ცრემლი წასდა.

ირგვლივ სიჩუმე იყო. ბინდდებოდა. შორს, ზედ მორიზონტზე, როგორც ზღვაზე იცის ხოლმე, მომწვანო-მოყვითალო დასალიერი გამოჩნდა, სოფლისაკენ კი გულმოდგინედ მოეშურებოდნენ შავი ღრუბლები და თან გვიანი ზაფხულის სიგრილე და სინოტივე მოჰქონდათ...

9.

ჰაერში მტვრისა და სიცხის ბული რომ იდგა, თანდათან დაიწმინდა. ზაფხულის მცხუნვარე, შფოთიანი დღეები ნელ-ნელა შეიცვალა და ღამ-ღამობით აგრილდა კიდეც. ქარი სვეინებ-სვეენებით, მაგრამ გულმოდგინედ უბერავდა და ხეებიდან გაუკაილებულ ფოთლებს წუვეტდა. ისედაც დაბეჩავებულ სოფელს შემოდგომის ნაღველი ედებოდა.

ჯარისკაცს იარები მოუშუშდა, ტკივილებიც დაუცხრა, მოღონიერდა და ლოგინზე წამოჯდომაც შეძლო. ულიანას მამის ნაჭონი სამართებლით წვერი გაიპარსა და ერთბაშად გალამაზდა, ბინდბუნდში, როცა ყველაფერი მიწყნარდა, როცა ქარი წიგასა და ფიჩხში წივილით დაიღალა, ულიანამ ფრთხილად შეაღო სამბჟოს კარი. ჯარისკაცმა მხრებზე გლეხური ხიფთანი გაისწორა და ზღურბლზე შემდგარ ქალს შეხედა.

— როგორა ხართ? — ჩურჩულით ჰკითხა ულიანამ.

— კარგად. გარეთ რა ისმის?

— გერმანელები ხმას ავრცელებენ, მოსკოვი ავიღეთო.

— არ დაიჯერო, — ხელი ჩაჭნია ჯარისკაცმა. — ხალხს ატყუებენ.

სადღაც ძაღლმა დაიყეფა. ულიანას გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა, ნელა გააღო კარი და გაიხედა. მთვარით განათებულ ეზოში ტენკას ლანდი შემოდიოდა. იგი ფრთხილად, ქურდულად მოაბიჯებდა და იქაურობას ზვერავდა. ულიანას შიშისგან გული გადაუკანდა, კარი მჭიდროდ გადარაზა.

— რა მოხდა? — ყრუ ხრინწიანი ხმით იკითხა ჯარისკაცმა.

ულიანამ აცახცახებული ხელები მკერდზე აიფარა, ათრთოლებული მიბრუნდა ჯარისკაცისკენ და გაიღრუნა.

— რამ შეგაშინა, გერმანელები ხომ არ მოვიდნენ?

სახლის კარმიღწი რაღაც გარაზუნდა. ცოტა ხანში ძმიმე ნაბიჯების ხმა გაისმა და ბოლოს მიწყდა. კუტიკარმა გაიჭრიალა. ორლობეში უილაჯოდ დაიყმუვლა ძაღლმა და სიჩუმე ჩამოწვა.

— ვინ იყო? — ჩურჩულით იკითხა ჯარისკაცმა.

ქალიშვილმა: „ცახცახებული მხრები ჩამოუშვა. ჯარისკაცმა მიიზიდა, თმაში თითები შეუცურა. გრძნობდა, როგორ უსველებდა ლოყას ქალის თბილი და მლაშე ცრემლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.

ნასტასია ფეოდოროვნამ უბიდან კონსერვის ორი ქილა ამოაძვრინა, მერე ქვედა კაბა აიკეცა და ჯიბიდან შარის ნატეხები ამოიღო.

— პარტიზანებმა გამომაკანონეს, — თქვა და უკბილო პირით გაიღიმა. — აი, როგორი ცხოვრება დაგვიდგა. განა ეგრე ვხდებოდით სტუმარს? ბელელიც სავსე გვქონდა, მარტო ანტონ ივანიჩს ათი სული ნეზვი დაუდიოდა; ჩემ ბებერსაც ებადა სარჩო, ამ გასაწყვეტლებმა კი სანნინძეულიც არ დაგვიტოვეს, მაგრამ არა უშავს, ჯერ კიდევ ვნახავთ... კვლავაც ჩაიცმევენ ჩვენი კაცები ნალით მოჭედილ ჩექმებსს! — სიჩუმე ჩამოვარდა. ნასტასია ფეოდოროვნამ ორცხობილები გადმოიყარა. — პარტიზანები შენს ამბავს კითხულობენ, მეც ყველაფერი ვუთამე.

— ჩემი წასვლის დროც დადგა, — თქვა ჯარისკაცმა.

— წასვლას რატომ ჩქარობ? — სხაპასხუპით დაიწყო მოხუცმა. — ღვთის წყალობით არა გიშავს რა, მაგრამ, შენ რომ გგონია, არც ისეა საქმე. ცოტაც დაიცადე, სულ მთლად გამომჭინინდები და მერე სადაც გინდა, იქით წახვალ.

— ფიქრი ნუ გაქვთ. უკვე კარგად ვარ, პარტიზანებამდე მივალწევ.

— ისინი ძალიან შორს არიან. სიარული გაგიჭირდება. ჭრილობებს ნუ ეხუმრები, ძალას თუ დაკარგავ, გაგიმიზეზდება და მერე ნახვამდის.

— არა მგონია, — დაბეჯითებით თქვა ჯარისკაცმა და ულიანას შეხედა. ულიანა თმას იწნავდა და მათ ლაპარაკს ყურს უგდებდა. ჩალის სახურავზე ჯერ ნელა აშარშურდა ქარი, მერე წვიმამ დასცხო და აცივდა. ულიანამ მატყლის სამანი მოიტანა. დილით ავდრიან მორიგზოანტზე ისეე გამოჩნდა მზე, ალუბლის გაძარცვულ ტოტებს დაკერა სხივი და შუადღემდე გვარიანად აცხუნებდა. სამზრობისას დასავლეთიდან მთებივით წამოიმართნენ შავი ღრუბლები, აირ-დაირეულნენ, რაეეკარაეეთი წამოვიდნენ და თან ბობოქარი ნიავვარი წამოიღეს. ღრუბლებში ჩანთქმული ცა მომრგვალდა, სულ ერთნაირად დაპატარავდა. წვიმამ გაშმაგებით დასცხო. ღამით შფოთიანი, აშარი ქარი აწუდებოდა სახლებს, წივილ-კივილით უვლიდა ორღობეებს და ძირფესვიანად გლეჯავდა ყველაფერს.

მესამე დღეს ერთბაშად გამოიდარა. ნაშუადღეევს ღრუბლებიდან გამოძვრა მზე. მინაველული ნაღვერდალი რომ გაძლიერდება ხოლმე, ცოტა ხანში ისე აენთო, აელვარდა ტაგნობი. ამის შემხედვარე შავი ღრუბლები გაიშალ-გამოიშალნენ, გაიკრიბნენ და ლაჟვარდი ანახჩახდა.

— დღეის სწორის წავალ, — თქვა ჯარისკაცმა.

ულიანამ ქუთუთოები მოკანცულად ასწია, იგრძნო, როგორ გადაუარა ცხელმა ტალღამ, როგორ შეუქანდა ჩკერდში რაღაცა და სხეული მოუდუნდა. მოეჩვენა, რომ ყველაზე ცუდი, რასაც ელოდა, უკვე მოხდა; რომ მის გაუხარელ გულს ერთხელ კიდევ ჩაესო შხამიანი ისარი და ახლა გაბრძოლებას აზრი აღარ ჰქონდა.

ღამით ჯარისკაცი ბორგავდა, ძილში რაღაც წამოიყვარა. ულიანა იმწამსვე წამოჯდა, გადაიხარა და სახეში ჩააკვერდა. ჯარისკაცი ილიმებოდა. მერე, როცა ყველაფერი მიწყნარდა, თავჩაქინდრული, გაშტერებული ქალი შეტოკდა, მხრებზე ჩამოშლილი თმა გადაიწია, მოკუნტული, დაბუეებული ფეხები გაშალა და გადაწვა. მოფარფლავებულ ჭერში სულ ერთი წამით გამოჩნდა წყლის წვეთივით მოკამკამე ვარსკვლავი, რამდენჯერმე დახუჭა და გაახილა ნემსის წვერივით ერთი ციცქნა თვალი და მერე ცახცახით გაჭრა.

— ულიანა, გძინავს?

— თქვენ რატომ არ გძინავთ?

— სიზმარმა გამომაღვიძა.

— სიზმარმა?

— ჰო, შენ გნახე სიზმარში.

— მე-ე?

— გვირილების ველზე მოდიოდი, თეთრი კაბა გეცვა, საქორწინო თეთრი თავსაბურავიი გქონდა თავი შემკული. შუა მინდორში დგაგწევე, ხელში გიიეკვენე. ახე ამაბეტეული მიმეკვედი, მერე ქარი მოვარდა და გაგიტაცა. ვხედავდი, როგორ მიფრინავდი მაღლა-მაღლა, როგორ შეუერთდი თეთრ, რძისფერ ღრუბლებს თვითონაც თეთრი და მერე გაუჩინარდი. ცოტა ხნის შემდეგ იმ ადგილას, სადაც ბოლო ჟამს თვალი მოგკარი, წვიმა წამოვიდა, ძლიერი ხოშკაკალი და გავილუმპე.

ულიანა ყურადღებით უსმენდა. თვალები ხან გაუბრწყინდებოდა, ხან სევდით ეფენებოდა.

— მერე სიზმარი გაქრა და ახლა ორივენი ცხადში ვართ.

დილით მზემ ოქროსფერად შეღება ერთმანეთს ჩახუტებული გორაკები. საბძელში იწყნენენ ქალი და კაცი. ორივეს ღრმა ძილით ეძინა, ირგვლივ სიჩუმე სუფევდა და ამ მდუმარებაში ვიღის გატაკნული. დაღლილ სახეს პეპელასავით დაფფიფინებდა შავი ჩრდილი, ხოლო ქალის გაშიშვლებულ, მარმარილოსავით თეთრ ყელს კარის ღრიჭოში შემოჭრილი მზის დიდი მორთულ-მოკაზმული სხივი აბრეშუმივით აბრწყინებდა. ამ მზეზემე ძილ-ღვიძილში გვიინლებით მოფენილ უშველებელ მიდლორზე მიდიოდა ქალიშვილი. მის ფეხთით მზის ათი ათასი სხივით გაბრწყინებული სივრცეში თოვლივით თეთრი ტანსაცმელით მოსილი იდგა ოქროსფერთმიანი ღვთისმშობელი, ხელში სანუკვარი ძე ეჭირა და თვალები ზეციისკენ ჰქონდა აპყრობილი. ქალიშვილი შედგა, დაიჩოქა და კიბაზე ემთხვია. სწორედ ამ დროს სადღაც შორიდან მთელი სიძლიერით მოიჭრნენ ცეცხლის ალები, გააფთრებით ეკვეთნენ ქანდაკებად ქცეულ ღვთისმშობელს და გააჭრეს.

11.

ჯარისკაცმა თამბაკო შეაბვია და კართან მიჭდარმა ნაფაზი დაარტყა. აქედან კარგად მოჩანდა ბაღი, იქით, დაბლობზე კი — ნახევარი სოფელი. ჯარისკაცი ათვალიერებდა ხევის პირას მდგარ ბეღლებს, სიიდნაც, როგორც ულიანამ აუხსნა, ტყისკენ მიმავალი ბილიკი იწყებოდა. ეს მზარე კარგა მოშორებით იყო სოფლის შუაგულიდან, ამიტომ წასვლაც სწორედ ამ გზით ირჩიეს. ნასტასია ფეოდოროვნა ამბობდა, რაღაც ხდება, გერმანელები ან შევსებას ელიან, ან ძალა გამოეცალათ და ჩვენები ტყვის აძრობენ, თორემ, ოფიცრებიდან მოყოლებული, ყველა ჯარისკაცი არაყში იბრჩობა. სოფელი დღისით დუმდა, ღამღამობით კი ზმირად სროლის ხმა ისმოდა. ნასტასია ფეოდოროვნა, ეს გულად ქალი, სროლის ხმაზე უნებურად ცახცახებდა, უცბალო პირს აწკლაპუნებდა და ლოცულობდა.

— მაშ, ამაღამ წავხალ? — ჰკითხა ნასტასია ფეოდოროვნამ. — მოგეცადა კიდევ, ცოტა ჯანზე მოსულიყავი.

— დროა უკვე, დედილო, — გაიღიმა ჯარისკაცმა, — დიდი მადლობა ყველაფრისათვის. თუ ცოცხალი დავრჩი, იქნებ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს.

— მოიცა ერთი, თუ ღმერთი გწამს. რას ჰქვია, თუ ცოცხალი დარჩი, მოხუცებს თქვენი იმედი გვაქვს, ჩემო კარგო, მტერს ცხვირიდან ძმარი უნდა ადინოთ.

კარგა მაგრად ჩამიბნელდა. ცაზე მხოლოდ ის ადგილი იყო ოდნავ გამტრედისფერებული, სადაც მთვარეს უნდა ამოეყო თავი. ალაჩე მთვარის ამოსვლამდე დარჩენილიყო დიდი დრო. როგორც საათის ისარი მოძრაობს ხოლმე ნელა, შეუმჩნეველად, გორაკებს იქით ქურდულად, მოპარვით მოცურავდა ოქროსფერი დისკო. ჯერ ნახევრად გამოჩნდა, გაანათა, მერე სულმოლად ამოყეულელვდა.

— წავალ, ტომსიკას გავაშაადებ, — თქვა ულიანამ.

ჯარისკაცმა პაპიროსს მოუკიდა და ფიქრებს მიეცა. უმალ თვალწინ დაუდგა ალაზნის ჭალებს გადამშრალ ცოგამმბორის მთებზე შეფენილი შუბლილიური სოფელი, ირბის გასწვრივ ლურჯად მოხასხასე ვენახები; მზიან ამინდში მობდღვრიალე კაკაბისონი, ხოლო სულ ახლოს წმინდა გიორგის ეკლესიის-მწვანე ეზოში ჩაფუთნულ პატარა სასფლაზე შაე მარმარილოს ქვაში ჩასმული დედის ახალგაზრდობის სურათი. მერე დანჯრეული საბარგო მატარებელი, მკოვანა, მოთუხთუხე ორთქლმავალი, ომის საშინელებანი...

ულიანა შემოვიდა. ჯარისკაცი წამოდგა, ჩალის ქვეშ მიწა გადაქექა, ნაჭრებში გახვეული რეკოლვერი ამოიღო. სწორედ ამ დროს გაიჭრიალა კარმა.

ულიანა გაშშდა. კარში სტენკა იდგა. იგი ქალისკენ წამოვიდა. სწრაფი ნაბიჯით მომაჯალი ვერ ხედავდა ჯარისკაცს, რომელიც უკან, სიბნელეში იდგა.

— რამ შეგაშინა? — ჩაახვეთა სტენკამ. — საბძელში ვის ემალები? კარკი ადგილი აგირჩევია, ღმერთმანი, ჭკვიანი ხარ.

— არ მომეკარო! — ქალის ჩუმმა, რისხვით აღსავსე ხმამ სტენკა ვერ შეაშინა.

— ახლა, როცა ნამდვილად ჩაბივარდი ხელში, რატომ არ უნდა მოგეკარო.

ხელში! სწვდა, მაგრად ჩაბღაჯა. მერე მეორე ხელიც დაუპირა — და ისე ჩაიკრა, ქალს ძვლებმა ტკაცუნი დაეწყო. ულიანა გაუძალიანდა. როგორც იქნა ჯერ ერთი ხელი გაითავისუფლა, მერე მეორე. მაგრამ სტენკამ ისევ გადაუგრიხა ხელები და ზურგსუკან მოუკცია.

— ახლა ჩემი ხარ, — ხვნეშოდა ის და ტანზე ხელებს უფათურებდა.

ულიანამ ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ ძალა არ ეყო. წაიქცა.

ჯარისკაცმა თოკზე ჩამოკიდებული ნაჯახი დინჯად ჩამოხსნა, მაგრამ ჩაბღუჯა და სტენკას თავში ჩასცხო. სტენკა ერთი გაიბიმა და გვერდზე გადაგორდა.

ჯარისკაცმა ნაჯახი თავზე მიაგდო, სტენკას იარაღი აართვა და ულიანას აკანკალებული ხელი მოძებნა სიბნელეში.

— დრო, წავიდეთ!

ულიანა წამოდგომისას წაკვნდა, ჯარისკაცს მხარზე მიეყრდნო და ოდნავ გონს რომ მოვიდა, ბარბაცით გაჰყვა. ეზო სწრაფად გადავრეს, ნასტასია ფეოდოროვნას სახლთან ალუბლებს ჩაუარეს. მთავარ ღრუბლებში შემალულიყო. ისეთი სიბნელე იყო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. სოფლის გადაღმა გზა ყანებისკენ უქცევდა, ირგვლივ შიშისმომგვრელი, ამაზრზენი სიჩუმე იდგა. შიშისგან დფეთებული, გულამოყვრდნილი ქალი წინ მიდიოდა და წამდაუწუმ უკან იხედებოდა. ჯარისკაცი ფეხდაფეხ მისდევდა. დროდადრო ჩერდებოდნენ, თვალს ავლებდნენ ჩაშავებულ სივრცეს, დაიაურებდნენ და ისევ სწრაფად აგრძელებდნენ გზას. მოლუშული, ჯანლიანი ცა უფრო და უფრო მუქდებოდა, საავდრად გამზადებული ღრუბლები შავრიხიანი მოჭიდავეებივით ჩახვეოდნენ ერთმანეთს. ძაძგილოობდნენ, იბრძოდნენ. შუაღამე მოახლოვდა თუ არა, ქარმა ერთი მძლავრად დაუბერა და ღრუბლები ერთმანეთს გაჰყარა.

ქალი დაიღალა. დაჯდა, ფეხები კბილ ქვეშ შეიკეცა და ჯარისკაცს ანიშნა, დაისვენეო.

ზურგზე გადაწოლილი ქალ-ვაჟი ცას შესცქეროდა. პაწაწკინტელა, ერთი ციცქნა ვარსკლავები, წეღან ძლივს რომ ჩანდნენ ცაზე, ახლა უფრო გულმოდგინეენ აჭიატდნენ. ზოგიერთი მათგანი დროდადრო ქრებოდა, მაგრამ ძნელი გასარჩევი იყო, რომელი ხუჭავდა თვალს, რადგან მათ ნაცვლად უმალ სხვა იწყებდა კიაფს.

დაღლილი ულიანა მძიმედ სუნთქავდა. სიამოვნებდა გრილი მიწა და ნამიანი ბალახი, ხელებსა და სახეზე რომ ელამუნებოდა. რატომღაც თანასოფლელი, ქლეკიანი მაწანწალა ქალმეფის ქუჩები ენახლე ეგორიკა მოაგონდა, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ ამ ადგილებში რომ მოკვდა. თვალწინ დაუდგა კაფანდარა, ფერმკრთალი, ავადმყოფსახიანი ყეყეტი, მთელს სოფელში არავის რომ არ უყვარდა, მაგრამ მისმა სიკვდილმა მაინც ყველას დაწუხვეტა გული. ულიანას მოეჩვენა, ეგორიკა სწრაფად ამ ადგილის ნახეს ჩკვდარო და გაფაფრულა. უნებურად გაიფიქრა, რომ შეიძლებოდა მასაც ეგორიკას ბედი სწვეოდა— მომკვდარიყო აქ, ამ ადგილის, ყველასგან დაუტირებელი და უპატრონო.

ოქვე, მის ვეებრთო ჯარისკაცი იწვა. თავქვეშ ხელი ამოედო და, კაცმა არ იცის, ეძინა თუ ისე იყო გაფუჩრებული. ამან უფრო შეაკრთო.

ღრუბლებმა ნელა, ზლაზვნით იბრუნეს პირი დასავლეთისაკენ, მაღლა-მაღლა გადაიარეს. საიდანღაც გორკი-გორკნით წამოვიდა მთვარე.

არემარეს ჭერ სილუეტე შეეპარა, მერე მტრედისფრად ინათა. ღამის სიჩუმეში ჩაფლულ მინდორს მოაბლიოტეული დღის სიყოჩაღე დაეტყო...

სადღაც შორს ძაღლმა წამოიყეფა... მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ძაღლმა ისევ დაიყეფა. მას ავად და შურისნაღვა გამოეპასუხა მეორე და მთელ ძინდორს მოედო გაფთრებული ყეფა. ულიანამ თავი ფრთხილად წამოსწია და მერე ელდანაკრავივით წამოხტა. სამი გერმანელი ფანტფულად მოდიოდა, რაღაცას ლაპარაკობდნენ. განაპირას მდგომი ძაღლები მოჰყვებოდათ. შეაწი ახმახი, გრძელკისერა ოფიცერი მოიბიჯებდა. ულიანამ ჯარისკაცს ხელი წაჰკრა, ჯარისკაცი, წამოდგა, ბუჩქებს ზემოდან ბახედა მათკენ მომავალ გერმანელებს. გერმანელების შეძახილი სრულის ხმამ დაფარა. ულიანამ თვალი მოჰკრა სისხლს, რომელიც ჯარისკაცს ხელიდან მოსჩქეფდა. ნელნელ ზახრილი ჯარისკაცი სწრაფად ჯიბეში. ულიანაც მიჰყვა. ავტომატის ჯერი შეუსვენებლად კაკანებდა.

ჯარისკაცი შედგა. სახეზე სისხლიანი ხელი მოისვა. ორჯერ ზედიზედ გაისროლა. ძაღლი ბიერში გადაჭრიალდა. მეორეზე, უფრო ღიდმა და ღონიერმა, კამარა შეჰკრა. ტკვინის წუოული ჭერ ისევ ისმოდა, მერე ძაღლიც გულალმა რომ დაეცა, ჯარისკაცმა თავისი რევოლვერი ულიანას მიაჩეჩა, თვითონ სტენკას პარაბელუმი ამოიღო და წინ წამოსულ გერმანელს ეს-როლა. გერმანელი შეტრიალდა, რაღაც დაიღრიალა, მერე ეზა ჩამოუვარდა და ისე ხახადაფრენილი დასაკვდა მიწას. გაიზუზუნა ერთმა, ორმა, სამმა ტკვინმ. ულიანამ დაინახა წელში წაკუზულიკ ახმახი ოფიცერი, გაიგონა მისი ბამყინავი ხმა... იარაღმომარჯვებული ოფიცერი ქალისკენ წამოვიდა. ულიანამ ზურგს უკან დამალული რევოლვერი ორივე ხელში ჩაბღუჯა და ოფიცერს ზედიზედ ესროლა. ოფიცერმა ხელი მუცელზე იტაცა. თითქოს რაღაცამ გააოცაო, მრგვალი, გადმოკარკლული თვალები გადაატრიალა და უმიზნოდ ისროლა. ტკვინმ ბიერში გაიზუზუნა. ულიანამ დაინახა, ტკივილისგან ცბილებდაკრეტილ ოფიცერს პირიდან როგორ წასცდა სისხლი. მესამე გერმანელისა და ჯარისკაცის ტკვინებმა თითქმის ერთდროულად გაიზუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზუნეს პაერში. გერმანელი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, სიმწრისგან ირწეოდა, თავს ძალას ატანდა, რომ არ წაქცეულიყო. ბოლოს ჩამოგდებული მხრები გაშალა, შედმუვლა და წაიქცა. ულიანამ კიდევ გაისროლა და ჯარისკაცისკენ გაიქცა. სახეგაფითრებული, სისხლში მოსვრილი ჯარისკაცი გულალმა ეგდო, ტყვიას საფეთქელი გაეხვრიტა. ულიანამ რევოლვერი დაადგო და ჯარისკაცის გვერდით ჩაიჩოქა. თავგადაგდებულ ჯარისკაცს პირზე სისხლი შეხმობოდა, ნატყვიარიდან ჯერ ისევ მოეთნავდა მუქი-ალუბლისფერი სითხე. ულიანამ აკანკალებული ხელით თავი წამოუწია და ჭრილობას ოდნავ შეეხო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, ყველაფერი გათავებული იყო. ჯარისკაცის თბილი სხეული თანდათან ცივდებოდა. ქალს ორივე ხელით ეჭირა მისი უღონო, სისხლიანი თავი. უაზროდ დასცქეროდა ჯარისკაცის უკვე ჩაფერფლილ, ჩაშავებულ თვალებს და ვერ მოეფიქრებინა, რა ექნა. ცოტა ხნის შემდეგ თითებით მოხვეტა მიწა და ბალიშივით ამოუგო თავქვეშ...

მზე ტყის მაღალ კენწეროებს დანათოდა. ულიანა მიწას ხვეტავდა. დაღლილობისგან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ლამაზი, თეთრი ხელებიდან სისხლი მოთქრიალებდა. მზე ჯერ ისევ შუბის ტარზე იდგა, ჯარისკაცი საფლავში რომ ჩაეწვინა. შავგვრემანი, უღონო ხელები გულზე დაუკრიფა, სახეზე თეთრი ბატისტის ცხვირსახოცი გადააფარა და მიწა მიაყარა. მიწა უხმაუროდ ეყრებოდა ჯარისკაცის სხეულს, შავგვრემან, სიკვდილისგან გაშეშებულ სახეს და თანდათანობით საშინელ კუზს იკეთებდა.

ოფლში გაწუწული ულიანა აღარ ტიროდა. დაღლილ-დაჭანცული, შეძრწუნებული მუხლმოყრილი იდგა საფლავთან.

ძერე ნელა წამოდგა, შებრუნდა. მის წინ გადაშლილ სივრცეს გახედა. შორს, მიმქრალ სიცარიელეში მკვდრის მზე ოქროსფერ ალმურში ხვევდა მშობლიური სოფლის გორაკებს, ბებერი ალვის ხეების კენწეროებსა და ეკლესიის გუმბათს.

ჭიაკოკონა

მთვარე უკიდებს თეთრ ცეცხლს
მინდორზე
გათიბულ ბალახს,
შეკრულს კონ-კონად.
მე კვლავ ავანთე ბავშვობის ღამე,
ავალაპლაპე ჭიაკოკონა.
გადავახტები,
რომ შემომაწვას
აბობღებული სულზე ჭინკები.
იმ ცეცხლის ალებს თან გაჰყოლიათ
ყრმობის ჩიტები ნაჭიკჭიკები.
მე ვინღა მაქცევს იმ ჩიტად ახლა,
ან იმ ღადარში ჩაკრულ კოკორად.
. . . .
ვეღარ ერევა ავსულებს ჩემსას
ბავშვობის ღამის ჭიაკოკონა.

●

ამოვარდა ცისკრის ქარი,
ტყე და ხევი წამოთელა.
მუხის რტოებს შეეფაროთ,
მო, იფანო!
წამო, თელა!
გადამიჯეგს საწყალ ბუჩქებს
ყვითელ-ყვითლებს,
წითელ-წითლებს.
დამიშინებს ბუდეებში
ვაჟას პეშვზე დაზრდილ ჩიტებს.
. . . .
ბუდეებსაც წავეფაროთ,
მო, იფანო,
წამო, თელა!

იმ მთას იქით

იმ მთას იქით მთები არი,
იმ მთას იქით ველებია.
განა უცხო ტომებია
და გადამთიელებია.
იქაც ჩემი მამულია,
იქაც მუდამ მიმელიან.
იმ მთას აქეთ
ამერია,
იმ მთას იქით
იმერია.
ერთხელ რიხით რომ შევძახო,
მყისვე მომეშველებიან.
. . . .
იმ მთას იქით მთები არი,
იმ მთას იქით ველებია.

დაღლილი ფრთა

დაღლილი ფრთა შენმა ქარმა
შემიქანა-შემინძრია.
ახლა, სულე, მე აფრენა
მთვარისაკენაც შემიძლია.
მომენდევი,
ვიგატარებ
ვარსკვლავსა და ვარსკვლავს შუა.
ჭორის თავთან,
ბილ ახლოს
დამრჩა ჩემი ოშოშუა.
მიწა მიხნავს,
ურყეველა
კლდის ბოძებიც შემიძვრია.
რაკი დაღლილ ფრთას შეეხე,
აწ გაფრენაც შემიძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული ძეგლების დამცველ-რესტავრატორებს

ნუ დააშენებ,
ეს ძველი ციხე
ჟამთა მთხრობელი და გზის
მკვლევია.

ტაძარი ძველი
საინტერესო
არის იმიტომ, რომ ნანგრევია.
რაც დარჩა, იგი შემოინახე...
აქეთ იყალთო...
იქით გრემია...
გვიხმობს ბაგრატის ტაძრის კედლები,
რადგანაც ახლა ის ნანგრევია.
წარსულის მძლავრი ნაფეხურები
არ გადაფარო ქვებით თლილებით.
ხასხასა ხავსით მკერდშემთბარია
ხან ნათოვლარი,
ხან ნათრთვილები.
კემსავენ ნაფხრეწ ჯაჭვის პერანგებს
ზედ წინაპართა ჯმუხა ლანდები,
მაგ ახალ ქვებში გაითელება
იმ აჩრდილების ჯაჭვ-პერანგები.
ნანგრევი გვიხმობს,
ნანგრევი გვზარავს,
ის საბუთია სულის ქართულის.
გადაარჩინე, რაც დარჩა, იგი,
რაც ნარჩენებზე აქვს მიხატული.
ნუ დააშენებ ზედ ლოდებს ახალს,
პირვანდელ სახით ნუღა აღადგენ,
ამგვარად უფრო ცხადად მეტყველებს,
ამგვარად უფრო ლაღად ღაღადებს.
უსმინე იმ ძველ დაფდაფ-ნაღარას,
ნუ მიაშველებ ახალ ფანფარებს.
დრომ უფრო მეტად რომ არ დაშალოს,
ოქრო თაღები გადაფარე.

სიზმარი

წუხელ გამყეკი იმ ქვეყანაში,
უსიყვარულოდ საცა ბორგავენ.
გაოცებული თვალით უცქერდი
გამმპარ ხეების მიმრგავ-მომრგავებს.
არც ბულბულები გალობდნენ დილით,
არც ნავარდობდნენ ტყეში ნუკრები.
„— ნუ ქრები, მზეო!“ —
შენ ჩურჩულებდი,
შენ მუდარებდი:
„— მთვარევ, ნუ ქრები!“
მაგრამ იქ მზე და მთვარე ვერა ძლებს,
და, რა თქმა უნდა, შენც ვერ გაძლებ.
წინ დაგვხვდა შავი გამოქვაბული,
სხვა გზა არ იყო და ძლივს გავ[illegible]
გადანახარიყო მინდორ-ველები,
ვერაგულ ბადეს ქსოვდნენ ქალები.
შურით და მტრობით გახელებული
ეხეთქებოდა კოშკებს ქარები.
ზოგი უდაბნოს ჩაფიცხებია
და თხრის საფლავებს ცხელ-ცხელ
სილაში...
იქ არა გრძნობენ ნესტანის წერილს
და ტარიელის ცრემლის სიმლაშეს.
არც ცაში ფრენენ
და აღარც ფეხი
უდგათ ტანჯულ და ცოდვილ მიწაზე...
. . . .
ჩამავლე ხელი
და იმ ქვეყნიდან
ოთვაოის ღრუბლისკენ გამომიტაცე.

●

შენ არ იყავ ჩემი ხვედრი,
ჩემი წუთისოფლის წალი.
ჩემი ბრძოლის ველებს ძრავდა
სხვა დაფი და სხვა წინწილი.
მე უღმერთოდ მძარცვეს გზებზე,
ჩემ გომურთან დავრჩი მწირი.
ჭირვარამი ბევრი ვზიდე,
არ მიზიდავს შენი ჭირი.
შენ რად გინდა ჩემი ღამე
და ღრუბელი დაწეწილი?!
მარყუჟივით განასკვულა
ჩემი ელვა და წრეწირი.
. . . .
მაინც გახდი ჩემი ხვედრი,
ჩემი წუთისოფლის წალი.

მირიან მირნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბეა — დია ჩქიმი,
თუთა — მუმა ჩქიმი,
ხვიჩა — ხვიჩა მურიცხეფი —
და დო ჯიმა ჩქიმი“.

ო, მშობლიურო მიწაო — დედავ,
წყაროვ და დარო ჩემი მამულის:
ვინ დაიმღერა პირველად, ნეტა,
ეს საოცრება და სასწაული? —

გუგუნებს თითქოს მაღალი ქორო:
„რად მიჰქონდაო ცა გულთან ახლოს?“
— იქნება მართლა იმიტომ მხოლოდ:
ყველა ოცნება ზეცაში სახლობს;

ანდა იმიტომ — ლაღად გაშლილი
ტოტივით — ფრთონვით, თრთოლვით,
ხალისით
თავის სიცოცხლეს იწყებს ცაშივე
წვიმაც, ლაყვარდიც, აის — დაისიც;

იქნებ აკკურა სისხლი წვეთ-წვეთად
სიმტკიცეს — ციხის ქვათა და კირთა
და ბედის ვარსკვლავს ცაში ეძებდა,
რადგან მიწაზე ცხოვრება ჭირდა;

ვაშლს ეძიებდა იქნებ ედემის —
დაცვარულს უცხო ნამით, მანანით,
და კიდევ — მარად ბრძენი ღმერთების
და უკვდავების ჭვრეტდა სავანეს?..

კვნესოდა იგი... იდგა წყვდიადი...
ცას შეჰყურებდა ღამენთევი
და, ვით ციური ცრემლის ციაგი,
სულში იმედის წვეთდა სანთელი.

მღეროდა მყოვარ, რადგან სიმღერით
შრტება პატრუქი ყველა წუხილის
და უფრო კარგი, უფრო ცისფერი
იღვიძებს დილა — მზე რომ უღიმის...

ჯავარიანო მიწაო — დედავ,
წყაროვ და დარო ჩემი მამულის:
ვინ დაიმღერა პირველად, ნეტა,
ეს საოცრება და სასწაული.

●

თუმც მაქვს საკუთარ თავთან
ჭიდილი, —
დრო გადის — მჩუქნის ახალ
ჭრილობას
და პირველყოფილ გულუბრყვილობას
ნელ-ნელა ვკარგავ ყრმობის
ჩრდილივით.

რა ბედნიერი ვიყავ — ვედრებით
ვხმობდი როდესაც ტყიდან წიწკანებს,
როცა ბალახის მწამდა სიმწვანე
და მის სიყვითლეს არ ვიჯერებდი.

უბიწოება მშურდა ყვავილის,
ფოთლებზე ნამის ნელი კანკალი,
ბრწყინვალე ჩემი წყაარო კამკამა
ზეკნის ღრუბელში ჩასმულ
თვალივით.

ღამეს არ ღრნიდა თაგვი ეშვების
და არც ჭრიალი ქარში ანძების,
მაგრამ თანდათან, ვაგლახ დავბრძენდი,
და წყალში იკლო ელვამ კენჭების.

და ვხედავ, ვხედავ — სოფლისმეიერის
მიადგილდება ჩხიბვა ავ-კარგის:
ვხდები უძლური იმის დაკარგვით,
რითაც ვიყავი დღემდე ძლიერი.

ვიტყვი (ობი ცოტას მოითმენს):
თურმე რა ცუდად — დღემდე —
გიცნობდი:
რაც უფრო ვწვდები, ხეო სიცოცხლის,
შენი სინორჩის პალეოლითებს,
გული სიღრმეებს რაც უფრო
ითხოვს, —
უფრო და უფრო ვშიშვლდები
თითქოს...

ლევან სანიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ათონელი

რომანი

სულ იმას ნატრობდა, ყოველ ძილის წინ, ღმერთო საქართველო დამასიზმრეო, ამ ღამით მაინც.

და ესიზმრა: თეთრ ცხენზე იჯდა თეთრი ქალი, რეცა, ირმის რძეში ნავლევი, მოღიმარი, კბილებალმასა.

ჰაერეთს იდგა, უხილავსა ჰაერწნულზე დამყარებული.

„ვინ ხარ შენ?“ — უნდოდა ეკითხა მძინარე მწირს, მაგრამ ვერც ბაგე შეატოკა, ვერცა სიტყვა დასძრა, სიტყვა სულში უტყვად მდებარე, რადგან სიტყვას ფუძე მოშლოდა.

„შენ გინდა მკითხო, ვინა ვარ მე?“ — გადაიკისკისა ქალმა, მზის სხივთა წკარუნით და შეატოკა შიშველი მკერდი ორივე ნუკრით.

„ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი მარჩბივნი ქურციკისანი“, — უნდოდა ეთქვა გიორგის, მაგრამ ვერა თქვა, რადგან ფუძე დასწვოდა სიტყვას.

„მე რომ მოგიკვდი, რატომ მაშინვე არ წამომყევი?“ — ჰკითხა ქალმა.

და უცებ ქალი აღარ იყო შიშველი, არამედ ემოსა კვართი თეთრი, ქათქათა, მონაქსოვი და უკერველი, გულზე ჯვარით ამონაქარგი.

„დედა! ანამაისა!“ — აღმოხდა გიორგის.

„და მიმიღო დედამან შენმან და შემიყვარა, ვითარცა სასძლო მისი“, — სთქვა ქალმა, მზის სხივთა წკარუნით.

„ანამაისა, ჩემო უმანკოებავ, ჩემო, ჩემო...“

„ესსუუ, ნუ იტყვი, რადგან არ არსებობს უმანკოება, არცა უცოდველობა, რადგან მეც, ვითარცა ყოველმა სულდგმულმა განვლე ჭუჭყიანი გზა ქმნადობისა და დაბადებისა. ხოლო უმანკო და უცოდველი მხოლოდ ჯერ უქმნადია“.

„მაგრამ შენი მშვენიერება“?

„მშვენიერება უმანკოების გამორიცხვაა, რადგან ყოველი მშვენიერი მხოლოდ უმანკოების რღვევის შვილია. მეც ასე გავჩნდი — უმანკო ბუნების მანკიერი და მშვენიერი გამონაყოფი და გამონაშთი. ხოლო, ვინათგან ვიქმენ, უცილობელ იყო უკუქმნაც. და მას შემდგომ, რაც მე შენთან ვიყავ ბედნიერ, მე იმ დღესვე უკუვიქმენ და მიწიერი ყოფნისაგან დავუბრუნდი არყოფნას ანუ მარადიულ ყოფიერებას.

„ანამაისა, ეს შენა ხარ“?

„მე ვარ, სწორედ მე, ხოლო შენ როდისღა დაადგები გზასა უკუქმნადობასსა? როდისღა იხსნი სულს სხეულისგან? თუ შენს მძლავრ სულსაც თავზარს სცემს სიტყვა „სიკვდილი“? გახსოვდეს, ჩემო, სიკვდილი სხეულისგან სულის დაბადებაა, სხვა არაფერი“.

„ანამაისა, ანამაისა, როგორ გაზრდილხარ?“

„ მე არ გავზრდილვარ, მე ისევ ის ვარ, ისევ ის პატარა გოგო, ყაყაჩოების ყანაში რომ შეგხვდა ერთხელ, მხოლოდ ერთხელ და მეტჯერ არასდროს. ხოლო ის, რაც ახლა ჩემს გაზრდად და ჩემს სიმწიფედ მიგიჩნევია, იგი მე არ

გაგრ ელება. დასაწყისი, იხ. „ცისკარი“ № 3, 4, 5, 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარ, არამედ იგი შენახარ, შენ რომ ჩემში ხარ, შენი სული ჩემში გაზრდილი და დამწიფებულ-დამწვანებული, შენი ფიქრი ჩემში დაწმენდილი და დაბრძენებული“.

„მეც მალე სრულად წამოვალ შენთან და მარადისად ვიქნებით ერთად. წამოვალ, რადგან მე არ მაშინებს სიკვდილი, ანუ სულის დაბადება სხეულისაგან“.

„მალე წამოხვალ? „მალე!“ როდის არს „მალე“?

„მაშინვე როცა მოვიძიებ, რასაც ვეძიებ“.

„რას ეძიებ?“

„ჭეშმარიტებას“.

ამის თქმა და დაიწკრიალეს მზის სხივებმა:

„რაი არს ჭეშმარიტებაი?“

დიდხანს იცინოდა ქალი, თეთრი და თეთრტანჭოსანი.

(„რაი არს ჭეშმარიტებაო“, და სადღაც შორს პილატე პონტოელის უშვერი და უგვანი ხარხარიც გაისმა თითქოს).

„ჭეშმარიტებას ვეძებო? მაშ, შენ შავ კატას ეძებ შავ ღამეში“, დაასრულა ქალმა ნიშგებით.

„მე მხოლოდ ის ჭეშმარიტება ვიგულისხმე, რაისთვისაც ღმერთმა აზრი მისცა ჩემს ცხოვრებას დედამიწაზე“, — წყენით თქვა გიორგიმ.

„და რაი არს სახელი მაგ შენი მიწიერი ჭეშმარიტებისა?“ — არ მოეშვა ქალი.

„სახელი მისი — საქართველო!“ — მხურვალედ შესძახა გიორგიმ.

„საქართველო?!“ — აღმოხდა ქალს. აღმოხდა და დადუმდა. ისე იდგა უტყვად და უძრავად ერთ ხანს. მერე ცხენი დასძრა, ახლოს მოვიდა და დაუშტერდა გიორგის სახეს.

„ჰო, შენ ხომ შუბლი ხარ საქართველოსი, ისე ვითარცა — კავკასიონი შუბლი სრულიად დედამიწისა!“

„შენ ეგ ვინ გითხრა?“

„ვინც შენ გითხრა“.

„წმინდამან ნინო!“

„სწორედ“.

„შენ ის იხილე?“

„ვიხილე და ვისმინე მისგან: შუბლი საქართველოსი — გიორგი ათონელი; მკლავი საქართველოსი — არსუკისძე თვალშვენიერი“.

გაოგნდა გიორგი, გაოგნდა და გაშეთდა.

„თვალშვენიერ არსუკისძე, აღმშენებელი სვეტიცხოვლისა — მკლავი საქართველოსი! დიდებულია, დიდებული... მაგრამ მე „ათონელი?“ ალბათ, სიზმარში უნდა ვიყო, თორემ მე „ათონელი“, როგორ? როცა ათონს ჯერ ჩემი არც ფეხი შეჰხებია და არც თვალი“.

„მალე იქნები, ძალიან მალე!“ — ჩაურთო ქალმა.

„ათონელი?“

„ათონელი და მთაწმიდელი“.

„მთაწმიდელი?!“

„სწორედ, სწორედ, შუბლო საქართველოისა!“

„ღმერთო, ღმერთო, დამიხსენ და მეოხ მეყავ! დამარწმუნე, რომ სიზმარია ყოველივე, ძილისშორისი და სხვა არაფერი...“

„არა, არ არის სიზმარი და ყოველივე არის სიცხადე — ამბობდა ქალი — ცხადივ არს, რომ მე შენგან წავედი და შენ მე არ გამომყევი, ვინათგან ჩემთან ყოფნას საქართველოსთან ყოფნა არჩიე. მე ვერ შევძელი დამეძლია შუბლი საქართველოისა, მაგრამ ევნიკია უეჭველ დასძლევს მკლავსა საქართველოისასა“.

— „?!“

„ამინ გეტყვი შენ: ევნიკია მოინელებს საქართველოს მკლავს“ — გაიმეორა ქალმა.

„ვინაი არს ევნიკია?“ — ალმური წვავდა გიორგის.

„ევნიკია ბელზებულია, დედალი ეშმაკი“.

„ღმერთო, სახიერო!“

„ევნიკია ცხრა წლისა იყო, როცა

პირველად გაუღვიდა კვერცხი მძუნაობისა და სისხლი წიდოვანებისა, და პირველად რომ ძუძუ ამოეწვერა. ხოლო, თორმეტი წლიდან ევნიკიას ოცდათორმეტივე ჩაღრმავებულში ბელზებული ჩაუსახლდა. მაგრამ ყველაზე მძლავრი ძუ ეშმაკი მაინც მარცხენა ძუძუში ჰყავს — ორგზის ძუ, ძუ-ძუ.“

„და ის ძუ-ძუ...“ ბოდავდა გიორგი.

„და ის ძუძუ შეიწირავს არსუკიძის მკლავს“.

„ანუ?“

„ანუ საქართველოს მკლავს“, — დასრულა ქალმა.

„ღმერთო, ღმერთო, უკეთუ სიზმარია, გამაღვიძე, ღმერთო, ხოლო უკეთუ სიცხადე, ეს სიცხადე სიზმრად მიქციე!“

შფოთავდა, იძვროდა, იბრძოდა გიორგი, ლამის საგულედან ამოვარდნოდა გული, ლამის სისხლის ცემისგან გასკდომოდა ძარღვი კათოლიკე.

ქალს თვალი მოსწყვიტა, იქნებ გამეღვიძოსო — და ცას აჰხედა.

და მოეჩვენა: ცას უთვალავი ცეცხლოვანი ძუძუ აესხა.

მაგრამ ვინ გაარჩიოს ძუძუ ანამაისასი, თუ ევნიკიასი?!

ალბათ — ალაგ ანამაისასი, ალაგ ევნიკიასი!

და უცებ რეცა, ვარსკვლავები გაუშავდა ცას.

და ცვივოდნენ შავი ვარსკვლავნი, ხმელნი და მსხვრევადნი, ვითარცა კეცნი.

ცას შეუშინდა და ისევ ანამაისას ჰკიდა თვალი — ქალსა თეთრსა და თეთროსან-ტაიჭოსანსა.

„ანამაისა, ანამაისა, სულო ჩემო!“

„რაი გსურს, სურვიელო ჩემო?“

„მწყურია და მარწყუელი, ჩემო!“

„რაითა გარწყულო, ჩემო?“

„ცრემლითა ნამტირალევითა ქართულისა ვაზისათა“.

„აჰა ესერა, იგემე და იღმერთე იგი ცრემლი ნაყური ქართული ვაზისა!“

და მოიღო ქალმა თეთროსანმა, თეთრი ხელით, თეთრი ვერცხლის კუმკუმა, და ტუჩი მისი ირმისტუჩა დაუსისწორა, ტუჩსა სატრფოსასა, და გადმოუშვა წვრილად, წვრილად, ვერცხლის აბქვით, მოკამკამე სითხე, ფერად ვაზის ცრემლის ფერისა, მაგრამ სითხე იგი ოდენ ხელის მტევნის დადებაზე ეშვებოდა და უმალვე ცხელი ქარისძვრა მიაქანებდა სადღაც შორს, შორს, სივრცესა უსივრცოსა, უზღვრისა და უნიგთოსა. ხოლო გიორგი ამაოდ ელოდა, პირით გვემული, ცხოველმყოფელ ცრემლსა მერწყულსა, თავისი ფერი რომ ჰქონდა, ფერი მხოლოდშობილი — ფერი ვაზის ცრემლისა და თავისი გემო რომ ჰქონდა, გემოც მხოლოდშობილი — გემო ვაზის ცრემლისა, — მაგრამ ამაოდ წვალობდა, ამაოდ ჯახირობდა, რადგან სითხე იგი მიჰქონდა ქარს, — ქარსა უხილავსა და უძერელსა.

და მხოლოდ ახლა შენიშნა უცნაური სიზმრით ბორგნეულმა კაცმა, რომ ქალი ცხენზე ვაჟურად იჯდა, ჩვეულებრივ, ვაჟივით გადალაჯული.

„ანამაისა, ცხენზე როგორ შემჯდარხარ, ანამაისა?“

„მაშ, როგორ ვიჯდე?“

„ქალი ხარ და ქალურად, — მარცხნივ ორივე ფეხის გადმორთხმითო“.

„ბავშვობისას ცისარტყელაზე გადახტომას მივესწრაფოდი, — იქნებ ბიჭად გადვიქცე-მეთქი, და გავბობდი თავდავიწყებით ცისარტყელასკენ. მაგრამ მუდამ ამაოდ — რადგან თვითონ მზით და წვიმით აწყობილი ცის მშვილდი უფრო სწრაფად გარბოდა ჩემგან. და მეტი რაღა დამრჩენია — ცხენზედ მაინც ვიჯდე ვაჟურად.“

„არა, არა, ნება არა გაქვს, ქრისტიანი ხარ, ქრისტიანი!“ — ახრიალდა გიორგი.

„?!“

„აკი ქრისტიანებს სარკინოზთა ხელმწიფისაგან აკრძალული აქვთ იერუსალიმს გაიარონ მმაკაცურ მხედრულად ამხედრებულთა?“

„მაგრამ მე ქრისტიანს გარდა ვარ ქართველი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უცებ ქალმა ცხენს ქუსლი ჰკრა, გაატრიალა, გაფრინდა და შეერია სივრცესა უსივრცოსა.

მაგრამ გიორგიმ მაინც მოასწრო თვალის მიწვდენა: თეთროსან მხედარს ზურგიდან სისხლი მოსჩქეფდა.

ბეჭს და ბეჭს შუა, სახამხამეში დაეკრათ შუბი, თითქოს...

და გიორგიმ იგრძნო, ვიღაც ანჯღრევდა.

— გაიღვიძე, ქართველო, გაიღვიძე-მეთქი!

— ჰაა?! — თვალი გაახილა გიორგიმ.

— ქართველი მოჰკლეს!

გველნაგერაოვით წამოიჭრა გიორგი ფეხზე.

ცივ ეკალს მოეცვა სხეული მისი.

— რაო?!

— ქართველი მოჰკლეს-მეთქი, ქართველო კაცო!

— შენ ვინ ხარ? — ისევ სიზმარში ეგონა თავი გიორგიმს.

— აღარ გახსოვარ?

— ჰო, როგორ არა!

და, უკვე ჩამომდგარი ცისკრის ნაშუქზე, გიორგიმ იცნო ის სომეხი, გეთსამანიის ბაღში რომ შეხვდა პირველ მოსვლის ჟამს.

— ჰოო, ძმობილო! — გაეხარდა გიორგის და გული შეიჯერა, იქნებ აქამდე ყველაფერი სიზმარი იყოს და მათ შორის ის საშინელი ნათქვამიც — „ქართველი მოკლესო“.

მაგრამ ეს კი აღარ ყოფილა სიზმარი.

— ქართველი მოკლეს, ძმაო, ვაი რომ მოკლეს! — გაიმეორა სომეხმა, უსაზღვრო წუხილით მოცულმა და დაქანცულმა.

— კარგად გამაგებინე, რა მოხდა, ძმაო? — იკითხა გიორგიმ, თვითონ შეძრულმა, შეძრწუნებულმა და გატეხილმა.

— ნუღარ ვაყოვნებთ, მკვდარი მაინც არ შეგვიგინონ და გზაზე გიამბობ ყოველივეს! — მიაყარა სომეხმა ქართველს, მკლავში ხელი მოაგლო, გაიქცა და გაიყოლია.

გარბოდნენ და უამბობდა სომეხი გულამომჯდარი: თურმე ცხენზე ვაკურად გადამჯდარი შედიოდა ახალგაზრდა ქართველი კაცი იერუსალიმში, ოქროს კარებით, მაგრამ სარკინოზ მცველებს არ შეუშვიათ — ან ცხენიდან დაქვეითდი, ან ცხენზე დიაცურად შეჯექ და მას უკან შეგიშვებთ ქალაქშიო. ეს იუკადრისა თურმე ქართველმა, დიაცები თქვენში მოიკითხეთო და გულდაგულ მოუშვია სადავე და მოუძგერებია ცხენი სარკინოზთა კორომისათვის. შემოხვევიან სარკინოზნი ხმლითა და ლახვრით. ქართველმაც წამსვე იწვადა ხმალი, გადაჰკრა და მხარიღლივ გადაჰკვეთა მეწინავე არაბი, გადაჰკვეთა და ის იყო მომდევნოს მისწვდა, რომ უკნიდან ბეჭსა და ბეჭს შუა აძგერა იდუმალ მოვარდნილმა არაბმა ლახვარი. მეც სწორედ მაშინ აღმოვჩნდი იქ, „ვაი, დედა“ რომ შემომესმა, და მივხვდი, ქართველი იყო ის უბედური. სისხლი შეაფერთხა მკვლელებს. თვითონ ცხენიდან გადმოეშვა. ხელები შეეაშველე. მკვლელები მოკლული ქრისტიანის სისხლში ჩალმების ამოვლებას აპირებდნენ, მაგრამ მივაყვირე — მალე ქართველები აქ გაჩნდებიან-მეთქი; ამის გაგონება და უმალვე გაიფანტნენ მკვლელნი ქართველისა. ხალხიც, აქამდე თვალსასეიროდ შემდგარი და შედედებული, ისევ თავის გზით დაძრულიყო, უფლის ადგილთა სახილველად, სალოცავად და გულის საოხად. ოღონდ ამნაირ გასიტყვებას მოვკარი ყური: „ვინ არის ეს კაცი, ასე სულელურად რომ კვდება?“, — „ვინ იქნება ქართველის მეტი!“ მე კი მიცვალებული ვიტვირთე და როგორც იქნა გზას მოვაცილე, მლოცველებს რომ არ გადაეთქერათ.

მდუმარედ მისდევდა ქართველი სომეხს. გულში ამას ნატრობდა, ნეტავ ესეც სიზმარი აღმოჩნდესო. მაგრამ არ აღმოჩნდა სიზმარი.

ქალაქის შესასვლელიდან ხელმარცხნივ ორასი ნაბიჯის დაშორებით, განკერძოებით მდგარი ზეთისხილის ხის ქვეშ ესვენა მკვდარი ქართველი.

ჯვარად გაშლილი იწვა, მხრებდახრილი, ქართული ჯვარივით.

პირველი, რაითაც მისი ქართველობა მტკიცდებოდა, იყო ქართული „ვაი, დედა!“

მეორეც — მისი „სულელური“ სიკვდილი“: როცა გეუბნებიან, ცხენის ზურგზე მარჯვენა ფეხს თუ მარცხნივ გადაალაჯებ, უბატონოდ ხმასაც არავინ გაგცემს და ბუზსაც არავინ აგიფრენს, ხოლო თუ იგივე ფეხს მარჯვნივ დაიჭერ სიკვდილი არ აგცდებიო, — რა ახირებაა, ეს უმარტივესი შესასმენარი არ შეისმინო და ისე გაჯიუტდე და „გასულელდე“, რომ ის მარჯვენა ფეხი, სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე მაინცა და მაინც სიკვდილის პინაზე დაბჯენო?!

და ვის ესმის, ქართველო კაცო, შენი ღვთაებრივი სიმაყისა დედამიწაზე. სამყაროს ამ, ქვეშის, შლამის და თვითგანავალის შლეგიან ნამეცეზე?! ანუ — მკვლელობის ამ ბოროტ სარეწაოზე?!

ოო, წმიდათაწმიდა სიმაყეევ ქართველი კაცისა!

— შეხედე, შეხედე, რა დიდებული სახე აქვს, ადამიანო, ამ ადამიანს! — შესძახა სომეხმა და ხელი მიუშვირა მიცვალებულის სახეს.

გამოერკვა გიორგი მძიმე ფიქრთაგან.

მართლაც რა სიდიადე აღბეჭდოდა სახეზე ამ კაცს, სხეულებრივი ანაგებით საარაკოდ სრულქმნილს. არავითარი ნატამალი სიკვდილის შიშისა, ანუ საამქვეყნო სიცოცხლისათვის გულისწყვეტისა. ნუთუ. სიცოცხლეშიც ასეთი სიამაყე, ვეკაკაცური გზნება და ჭაბუკური გაზაფხულობა ეფინა ამ კაცისეულის სახეზე?

— ჰო, რა დედამ ჰშობაო, იტყვიან ჩვენში ასეთ შობილზე, — სთქვა გიორგიმ და მადლიერი მზერით შეხედა სომეხს.

და ისევ დადუმდნენ უცხო კაცის უცხო ჭირისუფალნი, ქართველი და სომეხი, ახლა ჭირისუფლობით ერთად მყოფელნი.

ვინ იყო ეს ახალგაზრდა კაცი, თვინიერ მისი ქართველობისა? რისთვის მოსულიყო საქართველოდან პალესტინას? იძულება იყო საქართველოდან მისი წამოსვლა? („იძულებას“ რა გამოლევს საქართველოში!). თუ პირადი წადნიერება? („წადნიერებასაც“ რა გამოლევს საქართველოში!). თუ სამოგავლო იღბლის ძიება? (რა მოკლე ყოფილა მისი იღბალი!). თუ ისიც შავ კატას ეძებდა შავსა ღამეში? (და ნასიზმრევი ანამაისას ნთქვამი გაახსენდა გიორგის).

სახიდან მარჯვენა ხელზე ჩამოუტარა მზერა მიცვალებულს გიორგიმ.

კვლავ ხელთ ეპყრა ხმალი მკვდარ ქართველს, რეცა, რაღაც გამორჩეული სიმკვრივით და სიკერპით ჩაებღუჯა ვადა.

სისხლი სინგურისფრად შეშრობოდა ფოლადს.

სომეხმა ქართველის მზერას თვითონაც თვალი გაადევნა და თქვა:

—ვერასდიდებით ხმალი ხელიდან ვერ გამოვართვი.

ისევ სდუმდა გიორგი.

მზე ამოვიდა და დააკქერდა მკვდარსა და ცოცხლებს.

მკვდრის სახეზე სხივი შეუჩერდა ახალნაშობ მზეს, თითქოს იქ სანათესავო სხივი ეპოვნოს.

ხმალიაც გაიზმორა, ზმორვითა ლაჟვარდოვანითა.

— წავიდეთ, ძმაო! — თქვა სომეხმა.

— ჰო... საით? — გამოერკვა ქართველი.

— მიწას მივაბაროთ ეს უბედური.

— სწორედ, უნდა მივაბაროთ... მაგრამ სად?

— იქ, სადაც ასაფლავებენ ქართველებს.

— მერე, სად ასაფლავებენ ქართველებს, მე რომ არ ვიცი? — უმწეოდ თქვა ქართველმა.

— სამაგიეროდ მე ვიცი, — მხნედ უთხრა სომეხმა და მიცვალებულთან მივიდა, თავი წამოუწია, იღლიებიდან ხელები შეუყარა, წამოუბიძგა, და წამოჯდა მიცვალებული.

და, მოდი, მომშველეო, ანიშნა სომეხმა გიორგის.

მივიდა გიორგი, ხელები გულზე დაუკრიფა, ხმალიც გაუსწორა და მერე ფერხთით ჩაუდგა თვისტომს.

და ასწიეს.

და წაიყვანეს (თუ წაასვენეს).

ერთად, ერთძალოვნებით და ერთგულოვნებით, ვითარცა ხარნი ყეკარნი, შებმოდნენ ქართველი და სომეხი მკვდარი ქართველის ვეებრა ცხედარს.

ფეხაწყობილნი ვიდოდნენ.

და ცოცხალთა ფეხანაწყობზე თანაირწყოდა მკვდარი.

მდუმარედ ვიდოდნენ, სამივენი.

უმძიმდათ ცოცხლებს, მძიმე ტვირთით დამაშვრალთ.

ხოლო მკვდარი — უტვირთოდ, უშფოთველად, ტანმსუბუქად მიირწყოდა.

მზე გახელდა და გამძვინვარდა.

და ცოცხლებს მზე ყელში ამოსვლოდათ.

ხოლო მკვდარი — თავდავიწყებულ მწყურვალებით ისრუტავდა უკანასკნელ მზიურ საგზალს და საგზნებელს.

მიაღწიეს. მივიდნენ. შევიდნენ.

ნაწყვეტი მიწისა, რომელსაც ედგა სურნელი სიკვდილისა და სახელად ერქვა ქართველთა სამარტვილე-საგოდებელი.

ცოცხლებმა მკვდარი მიწაზე დაასვენეს და საფლავად მოსათხრელი ადგილის ძებნას შეუდგნენ.

დადიოდნენ და ეძებდნენ ერთი ქართველის სამუდამო სამკვიდრებელს ქართული ჯვრების, ქართულად ნაჩუქურთმევ და ქართული ეპიტაფიებით აჭრელებულ ქვათა ტყე-მაღნარში.

და მოიძიეს ადგილი იგი, ორი ქართველის საწოლთა შორის: მარჯვნივ ჯიშო ჯიმარდისძე იწვა, მარცხნივ ქუფფუა შერვენებული.

„ვაი შენ ჩემო საქართველო, ქართველმა მომკლა შენს ნატერასა შინა. წამკითხველო გთხოვ შენდობასა“ — ეწერა ჯიშოს ქვასა ზედა.

„აღვესრულე ქრისტესთვის და საქართველოსთვის. ოხრად დამრჩა სახლი მუხისაი, ბეღელი ხერხული, ჭური ნავაოძული, ჩაბალახი გუდამაყრული, ხმალი გველისპირული. ჩემსა გახსენებაზედა შესანდობლად სულისა ჩემისა დიდროანი მოხეული ჭიქაი ჩაივლებოდეს“ — ეწერა ქუფფუას ქვასა ზედა.

და მოასვენეს ქართველმა და სომეხმა უცნობი ქართველი უკვე „ნაცნობ ქართველთა“ შორის დასაბინავებლად.

საფლავი იყო, მაგრამ მესაფლავე არ იყო და თვითონ უნდა ყოფილიყვნენ მესაფლავენი.

საფლავის გასაჭრელი იარაღი არ იყო, და ახლა მკვდარი უნდა მიშველებოდა ცოცხლებს: მას ხომ ხმალი ეჭირა ხელში.

და ცოცხლებმა მკვდარს ძლივს გაუმართეს ხელის მტევანი და გამოართვეს ხმალი.

და გიორგიმ ჯერ მიცვალებული გაზომა მისივე ხმლით, მას უკან მისი ზომით მოთარგა და მოხაზა საფლავი და ხმალიც პირველმა აძგერა მიწას.

მიწა ფიცები და ფხვიერი აღმოჩნდა.

ჭრიდა და თხრიდა ქართველი ქართველის საფლავს. შუა წვივამდე რომ დავიდა, სომეხი შეენაცვლა.

რეცა უფრო სწრაფად და ხერხიანად თხრიდა სომეხი.

და უცდიდა მკვდარი ცოცხლებს, როგორ ენაცვლებოდნენ ისინი ერთმანეთს, როგორ ჭრიდნენ, ასუფთავებდნენ და აკოხტავებდნენ მისთვის მარადიული საცხოვრისსა და სამკვიდრებელს.

და ის იყო, ცოცხალი კაცის წელამ-

ლევან სანიკიძე
გიორგი ათონელი

დე დავიდა საფლავი, როცა სომეხი ქართველს შეეცაცვლა, ხმალი გამოართვა, თხრა განაგრძო და უცებ... ხმალი შუა გადატყდა! კაცის შეუმჩნევლად ხმალი უჩინარ ქვათა შორის მოქცეულიყო, კაცმა, აქამდე ფხვიერ მიწას მინდობილმა, ხმალი გულდანდობილად გადასწია და... გადაიმსხვრა, ავი ზრაალითი.

მკვდარზე უფრო მკვდრის ფერი დაედო სახეზე სომეხს.

არაფერიაო, მაშინვე ანუგეშა გიორგიმ, ისედაც უკვე საკმარისად მოიჭრა მიწაო. მაგრამ გიორგიმ რა იცოდა რა ცეცხლი დაუტრიალდა გულში ამ საოცარ მოყვასს: რაღა მე, სომეხს, გამიტყდა ხელში ქართველის ხმალიო...

საფლავი კი უკვე მზად იყო.

ძლივსღა იდგნენ ფეხზე „მესაფლავენი".

მიდი და აუგე წესი თქვენებურადო, როგორც იქნა უთხრა სომეხმა ქართველს და თვითონ განაპირდა.

მივიდა გიორგი, ამოიღო უბიდან ჯვარი ნაძღვნევი არსუკისძისა, მიცვალებულს ჯვარი გარდასახა და მიუფინა ლოცვა აღსრულებულისა:

„მოიხსენე, უფალო, სული გარდაცვალებულისა (სახელი არ იცოდა და) ქართველისა მონისა შენისა და მკვდრეთით აღდგომასა და საუკუნოსა ცხოვრებასა ზედა მიუტევე მას ყოველივე შეცოდებანი მისნი, და მიეც მას საუკუნო ხსენება..."

წესის აგება დაასრულა გიორგიმ.

და ცოცხლები მიცვალებულისადმი უკანასკნელი სამსახურის მიგებას შეუდგნენ.

საფლავში ჩაასვენეს.

გიორგიმ ხმლის ნამსხვრევები ერთმანეთს მიატყუპა და ხმალი, რეცა ისე გამთლიანდა, დადანატეხი უწვრილეს ბეწვადაც აღარ ეტყობოდა.

და დაადო ხმალი გულზე გიორგიმ მიცვალებულს, მაგრამ ხელი უშვა თუ არა, უმალვე ისევ განცალკევებული ხმლის ნამსხვრევნი უსულოდ მდებარე პატრონის მკერდიდან ეგრევე ცალ-ცალკე დაცურდნენ და დაცვივდნენ მიწაზე.

და მაშინ ჩასძახა მუდარის ხმით სომეხმა ქართველს: ნუ ჩააყოლებ საფლავში ჩემის ხელით გატეხილ ხმალსო.

გიორგიმ ხმლის ორივე ნატეხი ზემოთ ამოაწყო და მარჯვენა ხელიც ამოიწვდინა. სომეხი მარჯვენითვე ჩაეჭიდა და სრულის ძალით ამოიქნია და ამოიყვანა ქართველი.

მკვდარი მარტო დარჩა.

ცოცხლებმა ჯერ თითო მუჭა მიწა მიაყარეს, მიწა ხარ და მიწად იქეცეო, — წაიჩურჩულეს და მერე აყარეს მიწა...

მიწა მიწას აყარეს.

და ამოიზარდა კაცის სიგრძეზე კაცზედა მიწა.

(რეცა, კაცის ცხოვრების აზრიც ოდენ ეს იყოს: მიწიდან მიწის ამოყრა, მიწაში მიწის ჩაყრა).

ბოლოს ჯვარი უნდა აღმართულიყო ქრისტიანის საფლავზე.

მაგრამ ხის ნატამალიც არსად ჩანდა თვალის საწვდომზე.

მაშინ მოიღო ქართველმა ქაჩაბური თვისი და დასდო მაღლივად.

მაშინ მოიღო სომეხმა არგანი თვისი და დასდო განივად.

და შეკრეს ჯვარი ქართველმა და სომეხმა მაღლივ-განივით, ვითარცა ზენაშანი ზენასოფლურისა და ქვენასოფლურისა, ანუ ღვთაებრივისა და ადამიანურის მთლიანობისა.

და დასვეს ჯვარი იგი ახალთახალ საფლავის თავთით.

პირჯვარი ისახეს და გამოტრიალდნენ.

გიორგიმ ხმლის ნამსხვრევები აიღო ხელში.

— აჰა, ძმაო, ხმალი ესე, მე და შენ მისგან ნახსოვარ ხმლად ავიღოთ და შუა გავიყოთ, — ჯერ საფლავისკენ იქცია პირი გიორგიმ და მერე გადანატეხი ხმლის პირი გაუწოდა სომეხს.

სახე გადაედარბაზა სომეხს, ჩამოარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვა, ეამბორა და ბურნუსის შიგნით, საკვერთხელში ჩაიტანია ნაამბორევი ხმლის ნატეხი.

ხოლო, ხმლის ნატეხი ჯვარსახოვანი ვადით გიორგიმ თვითონ დაინარჩუნა.

— ქართველები და სომხები ოდესღაც ამ ხმალივით მთლიანი და განუყოფელი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ სადღაც, მიმორხეადი დროისა და სივრცის რომელიღაც ნაკვეთში, ავ ბედისწერას მათი მთლიანობა ამ ხმალივით გადუმსხვრევია, — ამბობდა ქართველი.

— და მას შემდგომ, ამ ხმლის ნატეხებივით, მტერთა ჩვენთა სასიხარულოდ, ცალცალკე დარჩენილან სომხები და ქართველები, — ჩამოართვა სომეხმა.

ჩქარი ნაბიჯით მოდიოდნენ.

სასაფლაო უკვე შორს ჩამოეტოვებინათ.

— და, შეიძლება, ოდესმე ამ ხმლის ნატეხებმა ისევ მოიყარონ თავი, — ამბობდა გიორგი.

— და ჩვენც თავი მოვიყაროთ უკვე არა საგლოვრად, არამედ სალხინოდ, საძმოდ, სამოყვრობდ, — სიტყვა გადაუბა სომეხმა ქართველს.

— და ვინ იცის, იქნებ ქ ა რ თ ვ ე ლ-სომეხთა მთლიანობაც ოდესმე აღსდგეს, — თქვა ქართველმა.

— ჰო, ს ო მ ე ხ-ქართველთა მთლიანობა, — დაეზუსტა სომეხმა.

იერუსალიმს მიუახლოვდნენ.

— დღეს მაინც შევიდეთ ერთად ქალაქში, — თქვა ქართველმა.

— შევიდეთ, ერთად შევიდეთ! — გაიხარა სომეხმა.

— ოქროს კარებით შევიდეთ, — თქვა ქართველმა.

— არა ცხვრის კარით, — დაიჩემა სომეხმა.

(და არც ერთს არ გაუგონია, როგორ გადიხარხარა მაშინ მათმა მდეკარმა ბედისწერამ — ბედისწერამ, თუ ბედისწყევლამ).

— რა გქვია, ძმაო შენ! — უცებ ჰკითხა ქართველმა.

— რაიც შენ გქვია, ძმაო, — უცებ-ვე უპასუხა სომეხმა.

— მე გიორგი მქვია.

—მეც — გეორგი მქვია.

— მაშ, გამარჯვება, ძმაო გეორგ!

— მაშ, გამარჯვება, გიორგი — და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— მაშ, ერთად შევდივართ იერუსალიმში, ძმაო ჩემო!

— ერთად, ერთად, ძმაო საყვარელო!

— მაშ, ოქროს კარებით!

— არა, ცხვრების კარებით!

და მიდიოდნენ ისევ ცალცალკე.

თავ-თავისთვის მიდიოდნენ.

თავ-თავისთვის ფიქრობდნენ.

„მოიყრიან თავს ოდესმე ხმლის ნატეხები?“

„გამთლიანდება ოდესმე ხმალი ესე?“

„უკეთუ ოდესმე მოგვესწრება ქ ა რ თ ვ ე ლ-სომეხთა ერთიანობა...“

„უკეთუ ოდესმე მოგვესწრება ს ო მ ე ხ-ქართველთა ერთიანობა...“

და სიცილით კვდებოდა ბედისწერა (თუ ბედისწყევლა), რადგან ნანატრი და ნაოცნებარი „ერთიანობის“ წარმოსახვის ჟამს ქართველი ასე ფიქრობდა — „ქ ა რ თ ვ ე ლ-სომეხთაო“, ხოლო სომეხი — „ს ო მ ე ხ-ქართველთაო“.

და, ამ შემთხვევაში, „პირველობას“, არამცთუ სომეხი, არამედ ქართველიც კი აღარ ცვლიდა ოსპის ნახარშში...

ოქროს კარებში რომ შედიოდა, გიორგიმ იქ მოკლული თანასისხლიერის დაქცეული და დამიწებული სისხლის სუნი შეიგრძნო. შეიგრძნო და ისე მოუნდა ბღავილი, როგორც ხარი აბღავლდება ამაზრზენი ხმით ხარის ნასისხლარზე.

და ძლივს გადაასწრო აუბღავლებლად იმ ნაკვდავ ადგილს. გადაასწრო და თამამი ნაბიჯით გაერია მლოცველთა ლაშქარს.

უკვე აღარ ეშინოდა და აღარ ეფიქრებოდა გიორგის, ვაი თუ დიაცურად

ამხედრებული ქართველი შემომხვდესო. ამიტომ თამამი იყო და ამაყი იგი.

უთვალავი ხალხით გაჭედილიყო იერუსალიმი.

მსოფლიოს ხრწნადი ოხშივარი ასდიოდა მსოფლიოს სამლოცველო ქალაქს.

ისევ მივიდა გოლგოთაზე, მორიონზე — ადგილსა სიმწარისასა. ისევ მივიდა ქართულ სალოცავში და ისევ მიბრუნა სული საქართველოს სურნელით.

მომდევნო დღეს ჯვარის მონასტერში მივიდა გიორგი — ქართველთა მთავარ ლავრას და სავანეს.

გიორგის მისვლამდე, შვიდასი წლის ქართული სუნთქვით სუნთქავდა ეს ადგილი.

ახლად გაქრისტიანებული ქართლის ხელმწიფეს, თვითონ ახლად მონათლულ მირიან მეფეს ძღვნად მიუღია ეს მიწა მისი „ძმისა და მეგობრისა“, კონსტანტინე კეისრისაგან.

და აღეშენა ეკლესია ხეივანში, სადაც სამასი წლით ადრე მოიჭრა ის ხე, რომლისგანაც შეიკრა ჯვარი ქრისტეს ვნებისა.

მირიანის შემდგომ ასი წლის თავზე მოვიდა დიდი ქართველი ხელმწიფე ვახტანგ გორგასალი და ახალი სივრცით, ახალი ბრწყინვალებით აღაშენა ჯვარი.

ვახტანგ გორგასლიდან გავიდა კიდევ ხუთასი წელიწადი და ახლა სრულიად საქართველოს დიდებულმა გვირგვინოსანმა ბაგრატ მესამემ ითავა ჯვრის მონასტრის მესამე ფერისცვალება — ხელახალი, კვლავ უფრო სრულქმნილი და აღზევებული აღმშენებლობა.

ჯვრის მესამე განახლების მოთავეობა ბაგრატ მეფემ მიანდო შავშეთელ პროხორეს, ერისკაცობაში გიორგი-ყოფილს.

მესამედ შენდებოდა ჯვრის მონასტერი. ვერც ბაგრატ მესამე და ვერც გიორგი პირველი ვერ მოესწრნენ მის დასრულებას. ახლა ბაგრატ მეოთხე და დედამისი მარიამი ზრუნავდნენ, ფრიადი ზრუნვით, რათა სრულიად დასრულებულიყო მშენებლობა და მორთვა-მოკაზმვა ახალი ჯვრისა.

და იღვწოდა თავგამოდებით პროხორე.

იგი სიხარულით და სიყვარულით შეხვდა გიორგი მწირს.

შენი წმიდა ცხოვრების ამბავმა ჩემ ბებერ ყურამდეც მოაღწია და გამახარა სიხარულითა ფრიადითაო — უთხრა მან ბერსა შუბლჯვაროსანსა.

ოთხმოცამდე ქართველი მოწესე, მწიგნობარი, გადამწერი და მთარგმნელი შემოეყარა თავის გარშემო პროხორეს. ყველანი შეახვედრა და გააცნო გიორგის. ყველა დიდის წადნიერებით შეხვდა „დიდი საქართველოდან“ ჩამოსულ თანამემამულეს. ყველა ისწრაფოდა მის ახლო ყოფნას, იქნებ მცირედი ზიარებთ ზიარებულიყო საქართველოდან მოყოლილ სურნელს.

(ნეტავ ასეთი სიყვარული საქართველოს წიაღში შერჩენოდეთ ქართველებსო — უკორტნდა ფიქრი გონებას).

ყოველივე მოიხილა და მოილოცა გიორგიმ.

წამოსვლის წინ მონასტერს თავისი ხელით გადაწერილი სახარება შესწირა, ყველას დაემშვიდობა და წამოვიდა.

მერე საბაწმიდის ლავრის საწვევად წარემართა გიორგი. სავანე იგი, გიორგის მისვლამდე ხუთასი წლის წინათ დაეარსებინა საბა განწმენდილს, კაპადოკიელ ქართველს, უფრო მართებულად — გაბერძნებულ ქართველყოფილს, იერუსალიმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნახევარი დღის სავალზე, იოსაფატის ხევში. ხოლო ხევი იოსაფატისა ორივე მხრივ მაღალ, ფრიალო კლდეთა შორის მიიკლაკნება. კლდეთა უბეებიდან ერთიმეორეზე მიჯრილი ნაპრალნი, მღვიმენი და ქარანძავნი იმზირებიან. აქ, ერთ მღვიმეში მარტოსულად იდგა საბა, რომელმაც აქედან-

ვე იხილა უფლისგან ჩამოშვებული ცეცხლის სვეტი. და სწორედ ამ ღვთისგან მინიშნებულ ადგილზე ააშენა საბამ მთავარი ლავრა. ხოლო, შემდგომად კათოლიკე ლავრისა, აღმშენებლობის საღვთო შურით აღესილი მოღვაწეს აუშენებია სხვა ეკლესიანი, საყდარნი, სენაკნი, ნიშნი, საოცაკვანი, სამწერლობონი, ქსენოდუქსნი და სასნეულონი.

სულ მუდამ მრავალეროვანი იყო სავანე საბაწმიდისა. იყვნენ ბერძენნი, იყვნენ სომეხნი, იყვნენ ასურნი, იყვნენ ქართველნი.

ქართველებს აქ ცალკე ეკლესია და ცალკე საოცაკვი გამოქვაბულიც ჰქონდათ.

ქართველებისა თავიდანვე ეფიქრებოდათ საბაწმიდელებს.

ქართველების სიმძლავრის იმედი ჰქონდათ და ქართველების გამძლავრებისა ეშინოდათ.

დასაწყისშივე, — როცა ორიგენეს მიმდევრები საბაწმიდას მიუტტენ და იქაური ბერმონაზონნი აწროკეს, კათოლიკე ლავრას სარკმელ-სასინათლონი ქვებით დაუღიწეს და შიგ ჩაკეტილი სამღვდელონიც ლამის ქვით განტვინეს — ბეწვზე მოუსწრეს ქართველებმა და დაიფრინეს მომზდურნი. სწორედ მაშინ იყო, რომ ერთმა ქართველმა ბერმა, თეოდულომ, ოდენ ხის ნიჩაბით სამასი ორიგენელი ისე გააქცია, არც ერთისთვის სისხლი არ გაუღენია, სამაგიეროდ კი შორიდან ნატყორცნი ქვა საფეთქელში მოხვედრია თეოდულოს და სულიც დაუღვია, კათოლიკე ძარღვ-შემუსვრილს.

ქართველებს ბედად მოსდგამდათ: მადლისთვის მუდამ უმადურობით უხდიდნენ.

მტერი საერთო გვყავს და მტერთან საბრძოლველად ქართულ ძალას რაღა სჯობსო, მაგრამ ვაი თუ „ამ ძალამ“ ბოლოს და ბოლოს ჩვენზედვე „იძალოსო“ — ეს ეფიქრებოდათ და, ალბათ ამიტომ იყო, რომ ქართველთა მადლს მატლის ტოლადაც ძლივს მიიჩნევდნენ არაქართველნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უადრეს ყოველთა, ქართული ენის გამძლავრებისა და გაბატონებისა ეშინოდათ საბაწმიდელებს. ქართველები თავიანთ საოცაკვებში ქართულად წირავდნენ, ქართულად კითხულობდნენ, ქართულად ლოცულობდნენ, ქართულად გალობდნენ.

ქართული ენის ცხოველმყოფელობას თვითონ საბა განწმენდილიც გვარიანად შეურყევია და შეუშინებია. ვაი, თუ ქართული ენა ქართული ეკლესიიდან კათოლიკე ლავრაშიც შემოიჭრას, იქიდან ბერძნული ენა განდევნოს და მისი ადგილი თვითონ დაიჭიროსო — შფოთავდა მოძღვარი ქართველყოფილი. ამიტომ სიკვდილის წინ ეს ანდერძი დაუტოვებია საბა განწმენდილს: ქართველებს ნება მიეცეთ თავის საოცაკვებში მხოლოდ ჟამნი და სამხრისაი წარსთქვან სამოციქულოდ და სახარებაც ქართულად იკითხონ, მაგრამ ჟამის წირვას აუცილებლად კათოლიკე ეკლესიაში უნდა ისმენდნენ, დანარჩენ „ძმებთან ერთად“, ბერძნულ ენაზეო.

მას შემდგომ მრავალმა ქართველმა იღვაწა საბაწმიდის სავანეში. გიორგის მისვლამდე ორასი წლით ადრე საქართველოდან, დავითგარეჯის სავანიდან აქ, საბაწმიდას მოვიდა დიდი საეკლესიო მოღვაწე ილარიონ ქართველი. იგი შვიდი წელიწადი დარჩა საბაწმიდაში. მერე ისევ დავითგარეჯას გაბრუნდა და კიდევ ცხრა წელიწადი იმოღვაწა იქ. ხელახლა აღაშენა დავითის ეკლესია ფერიცცვალებისა, ხელახლა აკურთხა და დავითის ნეშთი ახალ, საგანგებოდ გაწყობილ ლუსკუმაში ჩასვენა. მას უკან გარეჯის სამივე მთავარი ეკლესია მოახატვინა — დავითის ლავრა, დოდოსრქა და ნათლისმცემელი. ამის შემდგომ ისევ წამოვიდა საქართველოდან ილარიონი. ამჯერად იგი ბითვინიის ულუმბოს მთაზე მივიდა, ქართული მონასტერი ააშენა და იქვე დარჩა სიცოცხლის აღსასრულამდე. ბი-

ზანტიის მაშინდელმა იმპერატორმა ბასილი პირველმა ილარიონსა და მის მოწაფეებს საგანგებო საძალე აღუშენა კონსტანტინოპოლში — ჰრომანას მონასტერი — და აქვე გადმოასვენა იმპერატორმა ნეშთი წმიდა მამისა, ილარიონ ქართველისა. ხოლო უკანასკნელი სიტყვები ეს ყოფილა უცხო მიწაზე ალსრულებული ქართველი კაცისა:

„გრწმენინ ქრისტე!

„გრწმენინ ადამიანი!

„გრწმენინ ერი და სამშობლო შენი, ვინათგან მათში არს ღმერთი!..“

და მივიდა გიორგი საბაწმიდას.

შეხვდა იქაურ ქართველობას.

ერთად მოიხილეს და მოილოცეს იქაურობა.

იყვნენ კათოლიკე ტაძარში. იხილეს და თაყვანი სცეს თვითონ საბა განწმენდილის საფლავს, იქვე — სხვა წმიდა წინამძღვართა სამარტვილებს.

ყველაზე დიდხანს იოანე დამასკელის საფლავთან დადგა გიორგი.

საკმევლის სუნს მოეცა ირგვლივთი.

„ესე არს სურნელება სიბრძნისაი“ — გაუღელვა გიორგის.

ათ ნაბიჯზე წყარო იყო, ერთადერთი წყარო მთელს იმ ხეობაში, და სახელი მისი — საბას წყარო. გარეულმა ვირმა მიასწავლა თურმე საბას ეს წყარო (გარეული ვირებითა და ჯიქებით იყო ავსებული იოსაფატის ხევი).

წყალი დალია გიორგიმ, ცივი და საოცრად გემრიელი. მერე იოანე დამასკელის საცხოვრისის მონახულება მოიწადინა გიორგიმ და მიიყვანეს კიდეც კლდეში ნაკვეთ ერთ ვიწრო ქარანძავში.

აი, ხატი, რომლის წინაშეც ლოცულობდა თურმე დიდი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ამ სამასი წლის წინათ. აი, ამპოლი, რომელშიც ესხა ზეთი და მასზე მთნებარე პატრუქის ქვეშ იწერებოდა სახელგანთქმული „წყარო ცოდნისა“, „კანონები“, „დიალექტიკა“.

„არაფერი ჩემი არ მიყვარს“ — გახახსენდა გიორგის დამასკელის ეს ნათქვამი.

ნეტარძი, საქართველოში თუ გაუგიათ რაიმე იოანე დამასკელისაო, — გაუელვა გიორგის და უმალვე თვითონვე შერცხვა თავისი ნაფიქრალისა. განა, თვითონაც რა იცოდა — ან დამასკელისა, ან ორიგენისა, ან პლატონისა და სხვათა მრავალთა, ვიდრე ბერძნული არ ესწავლა და ბერძნულად არ წაეკითხა ყოველივე საღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო, თვინიერ ძველი ალთქმის, სახარების და სამოციქულო წიგნებისა...

საბაწმიდის სამონასტრო წიგნთსაცავებში სამი მსგეფსი დღეღამსწორებით იმაშვრალა გიორგიმ და განცვიფრდა, როცა უმრავლეს ქართულ ხელნაწერებში „ხანმეტურობა“ აღარსად დახვდა.

და იყო საბაწმინდელ მოღვაწეთა შორის ბერი-გადამწერი, სახელად იოანე დვალი, რომელმაც წამოსვლის წინ გიორგის უძღვნა თავისი ხელით გადაწერილი სახარებანი, „ხანმეტობისგან“ სრულიად განწმენდილნი.

და გიორგიმ ამ სახარებას დაარქვა — „სახარება საბაწმიდისაი“.

საბაწმიდიდან ბეთლემს წავიდა გიორგი.

და მივიდა მღვიმეს, რომელშიც იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მღვიმის თავზე ქრისტეშობის ეკლესია იდგა, მარმარილოს რვა სვეტზე შეყენებული, მარმარილოს ფილებით მოგებული და მოზაიკით მოჭრელებული. დიდი საკურთხევლის ქვეშ, შვიდსაფეხურიანი ჩასასვლელით, გიორგი ჩავიდა თვითონ მღვიმის პირველ კართან, კიდევ შვიდი საფეხური და იგი მიადგა მეორე კარს. ის კარიც გაიარა და... აი, ხელმარცხნივ ადგილი, სადაც დაიბადა უფალი და მაცხოვარი კაცობრიობისა, იესო ქრისტე. ხოლო, ხელმარჯვნივ, შობის ადგილიდან შვიდ ნაბიჯზე, არის ბაგა, რომელშიც ჩააწვინეს ახალნაშობი ჩვილი მაცხოვარი. და აქ ეთაყვანენ

პირველი მოთაყვანენი ახალნაშობ ღმერთს — აღმოსავლეთიდან წამოსული და ვარსკვლავს გამოყოლილი მოგვები.

აქ, ქრისტეშობის ეკლესიაშიც იპოვა გიორგიმ ქართველი ბერ-მონაზონნი.

აქაც იგივე ამცნეს ქართველებმა: ქართველობისთვის ძალიან ანგარიშს გვიწევენო, ყველას, ერთიმეორის წინაღმდეგ ჭიდილსა და ჭინჭყლში, ჩვენი იმედი აქვთო, მერე, ჩვენგან გადარჩენილებს და გამაგრებულებს ჩვენვე ვეეჭვებით და ვეწუნებითო; ორმა ქართველმა რომ ერთად ქართულად დავილაპარაკოთ, მოგვახტებიან და ბერძნულად მოგვაყვირებენ — რაღაცას ჩვენზე ამბობთ საეუბოსო, ანდა, ქართველებმა რომ ცალკე გავიცინოთ, ახლა იმაზე აგვიტყდებიან — რაღაცას, ალბათ, ჩვენ დაგვცინითო. არა, ღმერთი, რჯულით-თქო, მაგრამ ვის ესმის შენი ქართული!

ერთხელ ამაზე შეუჩჩნენ თურმე ქართველებს: სათვალავით რომ აკრე მცირენი ხართ, ეგზომ მრავლის მომთხოვნი რად იქნებითო?! მაშინ კი ვეღარ მოუთმენია ერთ ახალგაზრდა ქართველ ბერს და შეუძახნია:

„ხორცს ნუ ითვლით, სული ასწონეთ...“

შემდგომად ბეთლემისა, კიდევ ოცზე მეტი ქართული სათვისტომო მოიხილა პალესტინის სავანეებსა და სალოცავებში გიორგიმ.

და წარემართა ყველაზე სამხრეთული ქართული ნაკვალევით — სინას მთისაკენ.

სინას მთა!

მთა, რომელზეც მოსე შეხვდა ღმერთს.

შეხედა და მიიღო მისგან ათი მცნება.

მცნებანი, რომელთა მეოხებით ბრბოისაგან უნდ შეიქმნას ხალხი.

უნდა შეიქმნას!
იქმენინ ხალხი!
და იქმნა ხალხი...

(ფიქრობდა გიორგი, სიტყვითა შინა, გაბმდებარითა, სიტყვითა უხმოთა).

ქართველთა „ხალხი“, ბერძენთა „დემოს“, ლათინთა „პოპულუს“.

ქართველთა „ბრბო“, ბერძენთა „ოხლოს“, ლათინთა „ვულგუს“.

„ხალხი“ და „ბრბო“ ერთი მასალაა, ერთი სისხლი და ერთი ხორცი.

რა ადვილია „ხალხის“ გადაქცევა „ბრბოდ“!

რა ძნელია „ბრბოს“ გადაქცევა „ხალხად“!

„ხალხის“ ქცევა „ბრბოდ“ ძალუძს ყოველ ვიგინდარას.

„ბრბოის“ ქცევა „ხალხად“ — ყოველად შეუძლებელია ღვთაებრივი ხელის გარეშე.

დიადმა მოსემაც ვერ შეძლო იეღოვას დახმარების გარეშე „ჯოგიდან“ „ხალხის“ გამოყვანა.

და სწორედ აქ, სინას მთიდან და სინას მთასთან, ღვთაებრივ სულთან მიმთხვევითა და ზიარებით, ჯოგისგან იშვა ხალხი... მხოლოდ ღვთაებასთან მიმთხვევით... მხოლოდ...

სინას მთაზე პირველი ქრისტიანნი გიორგის მისვლამდე რვასი წლით ადრე მივიდნენ და დასახლდნენ. პირველმა ქრისტიანებმა მიიტანეს იქ წმიდა ეკატერინეს ნაწილები და ადგილსაც, სადაც ეს სალოცავი ნაშთები დასვენეს უწოდეს ეკატერინეს მთა. მერე წმიდა ელენემ, კეისარ კონსტანტინე დიდის მშობელმა დედამ ააგებინა აქ მცირე ტაძარი. მას უკან იუსტინიანე კეისარმა ახალი დიდი ტაძარი ააშენა და მანვე აქ საეპისკოპოსო შექმნა, სრულიად დამოუკიდებელი, რომლის ეპისკოპოსი არც ერთ პატრიარქს არ ექვემდებარებოდა. მრავალჯერ ააწიოკეს და სისხლი აქცევინეს მუსლიმანებმა სინას მთის ქრისტიანებს, მაგრამ მაინც განუწყვეტლივ და განიადგებით იზრდებოდა და ფართოვდებოდა აქაური საქრისტიანო საცხოვრისნი, სავანენი და საწირავ-სამლოცველონი. იყვნენ

ბერძენნი, იყვნენ ასურელნი, იყვნენ ქრისტიანი არაბნი, იყვნენ სომეხნი...

და იყვნენ ქართველნი — ბესნი, ანუ ლაზნი, და იბერნი.

და, ოდეს სინელ საქრისტიანო საცხოვრისებს უსჯულო მტერი შემოეყოლოდა, არაქართველ ქრისტიანებს აქაც „ქართველ ქრისტესმიერ ძმათა“ იმედი ჰქონდათ — იმედი ქართული მკლავის მკლავღონივრობისა, ქართული გულის გულუშიშრობისა, ქართული ჭკუის ჭკუაგამჭრიახობისა.

და სინას მთაზეც ისე იყო, ვითარცა პალესტინას, და ყველგან, და ყოველთვის, სადაც და როცა სხვასთან ერთად იყო ქართველიც:

ქართველების სიმძლავრის იმედი ჰქონდათ, ქართველების გამძლავრებისა ეშინოდათ.

იყო სინას მთაზე ადგილი, სახელად— არსელაი, სადაც ყველაზე მრავლად ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ ქართველნი. აქ, გიორგის მოსვლამდე ხუთასი წლის წინ, სახელი გაეთქვათ ქართველ ბერებს — მიქაელსა და ეფსტათის. იზრდებოდა და მტკიცდებოდა სინას ქართველთა სათვისტომო. გიორგის მისვლამდე ასი წლის წინ უკვე პირველობდნენ ქართული ეკლესიები სინას მთაზე. მეწინავეობდნენ ეკლესიანი — წმიდა გიორგისა, იოანე ღვთისმეტყველისა, ღვთისმშობლისა, ილიასი, პეტრე-პავლესი და სევასტიელ მოწამეთა სახელობისა.

იდგნენ ქართველნი სინას მთაზე, მედგრად და მღვიძარედ, იღვწოდნენ, წერდნენ, აზროვნებდნენ და ლოცულობდნენ „ქართლის მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარეშეცევისა, ტყუეთა მოქცევისა, ყამთა დაწყნარებისა და ქრისტეანობისა განმტკიცებისათვის“.

მას ყამსა სინაწმინდას მოღვაწეობდნენ — იოანე კუმურდოელი, თეოდორე წყუდელელი, გრიგოლ მომგებელი, მიქაელ კათამნელი, კვირიკე მინდაელი, ეზრა ქობულეანისძე, მიქაელ ფანასკერტელი, იოანე მინჩხი.

და მათ შორის — იოანე-ზოსიმე, რომელმან შემქმნა „ქებანი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

და, აჰა, ესერა:

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა.

„და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან.

„და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.

„და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს.

„და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი“, —

„და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისსა წილი ზის, რომელ ასოი არს იტყვის ყოვლად ოთხათასსა მარადსა; — და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მამისაითა.

„და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი უმტკივნ სხუათა ენათა ქრისტეის მოსლვითგან დღესამომდე.

„და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისაი“.

და იქვე ანდერძი-მინაწერი:

„ქრისტე, შეიწყალე ყოველნი ქრის-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიანენი და უფროის ყოველთასა ყოველნი ქართველნი “

და მისულიყო გიორგი სინას მთაზე.

და ათოვდა ფიქრი ფიქრს მის გონებაში.

სინას მთა, მშობელი მსოფლიო კაცობრიობისთვის — მოსეს „ათი მცნებისა“.

სინას მთა, მშობელი ქართველთათვის იოანე-ზოსიმეს „ქებაისა“.

იდგა სინას მთაზე გიორგი, ქართველი მწირი, მლოცველი და გზათამლეველი, გასაქცეროდა სამყაროს და ათოვდა ფიქრი ფიქრს მის გონებაში.

შორს, სადღაც აღმოსავლეთით დგას ინდოეთი — მარადისად მჭვრეტელობაში გარინდებული, ხოლო დასავლეთით, უფრო ახლოს, აფრიკა ვარვარებს, უწინარესად ეგვიპტე, პირველი სხოლა სრულიად მსოფლიოისა.

მაგრამ ეგვიპტე ყოველთვის მხოლოდ თავისთვის იყო და დანარჩენი მსოფლიოს სამოძღვროდ არც უფიქრია.

არც საბერძნეთს, სულით უაღრესად ამაღლებულსა და აღზევებულს, არ განეცდებოდა მსოფლიო სული. ისიც თავისთვის იყო ძლიერიც და ამაღლებულც, მისსავე სულსა და სხეულში ჩაკეტილი და ჩარაზული. და მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელმა გაამსოფლიოვა ბერძნული სული. ხმალზე დაილაგა ალექსანდრემ ჰომეროსი, ესქილე, სოკრატე, დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე და განაფინა მთელს მსოფლიოში — საბერძნეთიდან ინდოეთამდე.

მთელი მსოფლიო?!

„მთელი მსოფლიოს“ გააზრება მაშინ მხოლოდ აზიის სამანებში ეტეოდა სრულად.

და სწორედ აზიამ მისცა მსოფლიოს ყველა „მსოფლიო“ მოძღვარი და ზესთასოფლური სინთლის მოციქული დედამიწაზე:

მოსე,

ზარათუშტრა,

ბუდდა,

ლაო-ძი,

კუნ-ძი,

ქრისტე,

მანი,

მაზდაკი,

მუჰამედი.

ყველაზე დიდი წინასწარმეტყველებიც თვითონ წარმოშვა და ყველაზე დიდი ღმერთებიც თვითონ გაიაზრა აზიამ.

აზია... აზია... ცხელი და ცხოველმყოფელი აზია!

მარად ცხოველმყოფელ ვულკანთა ფეხმძიმობით ტვირთული აზია!

აზია!..

და ახლა, რეცა პირველად გაიხსნა გიორგის სულში, რომ თვითონაც აზიელი იყო.

აზიელი!

და იგრძნო სიამაყე... სწორედ სიამაყე.

მაგრამ...

მაგრამ ქართველები ის აზიელები არიან — ერთადერთნი აზიელთაგან, ვინც ევროპელობენ თავგამოდებით.

ევროპელობენ-მეთქი!

მერე, რა დღიდან და რაისთვის ევროპელობენ ეს აზიელნი?

იმ დღიდან, რა დღიდანვე ქრისტეს რჯულს ეზიარნენ.

ქრისტიანობა კი ევროპელობაა.

ასე მოხდა: ქრისიანტნობა აზიამ დაბადა — ყოველი ზესთასოფლურის დამბადებელმა, მარად მღვიძარე ვულკანებით მოთიმთიმე აზიამ — და ევროპამ კი იშვილა.

ღვიძლ შვილად იშვილა!

და ქართველებიც გაჰყვნენ ევროპისკენ მიმავალ ზესთასოფლურ ძეს, თანაზიელს.

და ევროპელობენ მას შემდეგ ქართველნი, ეს აზიელნი... ევროპელობენ.

სული ევროპაში უდგათ ქართველებს, ტანი კი აზიაში — სულით და ტანით განწვალებულებს...

(ფიქრი ფიქრს ათოვდა, განუწყვეტლივ და განიადაგებით, მშრალი სიჩუმით)...

და წამოვიდა გიორგი სინას მთიდან.

წამოვიდა და იქაურ ქართველთა სიხარულის და წუხილის ცრემლი საგზლად მოჰქონდა უკან მობრუნებულს.

მოდიოდა და ეელოგიად მოჰქონდა ნამსხვრევი ხმლისა.

ანტიოქიის გზას შემოუდგა, ისევ შავ მთაზე მოსაბრუნებლად.

და, აჰა ესერა, მოატანა მთასა შავსა, საკვირველსა.

და დახვდა მოძღვარი მისი გიორგი შეყენებული.

დიდი სიხარულით და სიყვარულით შეეგებნენ ერთმანეთს.

თეთრი, ქათქათა წვერი დაუამბორა მოწაფემ მოძღვარს და ერთხელ კიდევ ინატრა ასეთი ფერი თმა-წვერისა, ვითარცა ზენიშანი სიბრძნისა ზენაარისა.

— რაიც იხილე ყოველივე, ვითარ იხილე? — უცებისად ჰკითხა მოძღვარმა, როგორც კი დასხდნენ სასაუბროდ.

— რაიც ვიხილე, ყოველივე ვიხილე სულისა სურვილითა და გონებისა სიმხურვალითა, — უცებითვე მიუგო მოწაფემ.

— ხოლო, რაი იხილე ყოველივეში უწინარესად?

— ყოველივეში უწინარესად მე ვიხილე თავადი იგი, უფალი და მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე.

და შემდგომად ამა კითხვა-პასუხთა, მოძღვარმა გულდასმით ისმინა ყოველივე, რაიც მის მოწაფეს თავს გარდახდომია მგზავრობისას, მიისობას და მოისობას.

უფრორე დაწვრილებით, ქართულ სათვისტომოებზე აკამიერეს სიტყვა.

ქართული სათვისტომოები უცხოეთში პატარა საქართველოებსავით ყოფილა მიმობნეული და ქართველებს ძალიან მისჭირვებიათ მათი მოვლა-დაფარვა — შენარჩუნებაო — წუხილით ამბობდა მოწაფე.

ვაი, რომ მარტო უცხო მიწაზე კი არა, საქართველოს შენახვა თვითონ საქართველოს შიგნითაც, საკუთარ მიწაზეც მისჭირდებათ ხოლმე ქართველებსო — ამოიგმინა მოძღვარმა.

შერე, ქართველები თვითონ საქართველოში ერთიმეორის მტრობით ისე გაერთობიან ხოლმე, ნამდვილი, შიგნით შემოპარული უცხო მტრის შეგრძნებისა და შეცნობის აღღო და გერში ეკარგებათ სრულიად.

და სანამ ქართველები ერთმანეთს სჯამენ, მანამ საქართველოს არხეინად სჯამენ არაქართველნი.

ასე მცირე ერს ამდენი დიდი შვილი ჰყოლოდეს — ასეთი მადლი მხოლოდ ჰელადას მოსწრებია. მაგრამ საქართველოს დიდმა შვილებმა სიდიდე თვისი შინაურ წვრილმან ჭიშპობასა და ჭინჭყლს შეალიეს, ბერძნებმა კი ბერძნული სული ბერძნული ენით ქვეყნიერებას მიმოფინეს.

და, აჰა ესერა, იბადებიან და იმუსრებიან საუკუნენი, და ყოველივე ფასეული ამ ქვეყანაზე იწერება და ვრცელდება მაინც ბერძნულ ენაზე.

ვინც თავისი ქვეყნიდან გავიდა, ყველა ბერძნულ ენას შეერთო, ვისაც რაიმეს დაწერა შეეძლო, ყველა წერს ოდენ ბერძნულ ენაზე.

ქართველად შობილმა და ქართულად ენაამოდგმულმა ბევრმა ტალანტმა ქართული დაიწუნა და ბერძნულად დაწერა ყოველივე.

სრულიად საქრისტიანო სამყაროს ყველაზე დიდი მამანი, მოძღვარნი და მოაზროვნენი — ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი, ევაგრე პონტოელი და პეტრე იბერი — ყველანი ქართველნი, ყველანი მხოლოდ ბერძნულად წერდნენ...

ქართული ენა ბერძნულის სწორფერიაო, უფლისგან კურთხეული და შემ-

კულიაო, ყოველი საიდუმლო მასში დამარხულიაო, დაღაცათუ ახლა ლაზარესავით მკვდარია, მაგრამ დადგება ყამი და ლაზარესავით აღდგება, ხოლო ყამი იგი იქნება მეორედ მოსვლა, როცა თვითონ უფალიც ქართულ ენაზე ალაპარაკდება და ქვეყანასაც ქართულად აალაპარაკებსო, — ამბობს ამას სულკურთხეული იოანე-ზოსიმე და შენც გკერა ესე, შვილო ჩემო, მაგრამ ჩვენ ხომ არ შეგვიძლია გულხელი დავიკრიფოთ და მეორედ მოსვლას დაველოდოთ?! ჩვენ ახლა გვმართებს დღენიადაგ იმაზე ვიზრუნოთ, ყოველივე სულით საფასე ბერძნულიდან ქართულს ენაზე გადმოვიღოთ და მივცეთ ქართველ ერს, ვითარცა საზრდელი სულისა და სამკვიდრებელი არსებისა.

ბევრი თაფლსა სჭამს, დაღაცათუ სასა სიტკბოსა ვერა უგრძნობს, მაგრამ ჩვენ თაფლის მიცემას მაინც ნუ დავიშლით, ვინათგან უგრძნობელ-უცნობელსაც და მგრძნობიარე-მცნობიარესაც, ბოლოს და ბოლოს, თაფლი მაინც თაფლად უნდა შეერგოს.

—სულკურთხეულმა ეფთვიმე ათონელმა იცოდა ეს.

— ეფთვიმე? — უცებ აღმოხდა გიორგი-მოწაფეს.

— სწორედ ეფთვიმე, რომელიც ყოველივეს, სულის მარგებელს, ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოიღებდა და თავის უსუსურ და უმწეო ერს ისე აძლევდა, ვითარცა რძეს მაცოცხლებელს, ანუ — მაგარ ღვინოს წყლით უმსუბუქებდა, ომბალოთი უზავებდა და ისე ასმევდა.

წუთით შედგა და მტკიცედ ნაკვეი სიტყვით მიმართა მოძღვარმა მოწაფეს:

— ხოლო ახლა ერი შენი, უფრო სულმტკიცე და სხეულმაგარი, შენგან უფრო ძლიერ საკვებს ელოდება.

— ჩემგან?! — წამოდგა მოწაფე გაოცებული.

— სწორედ შენგან, ვითარცა ღვთისგან ბოძებული ტალანტით აღსავსე შუბლი.

შუბლიო?!

ისევ გაიღვა ორმა ნასიზმრევმა გიორგის გონებაში.

— ნუღარ აყოვნებ, შენთან არს ღმერთი, რომელიც შენ შეიყვარე და რომელმან შეგიყვარა შენ! — გაიწყვეტინა ფიქრი მოძღვარმა მოწაფეს.

— და, რაი არს ტვირთი ჩემი? — იკითხა მოწაფემ მკრთალი ხმით.

— რაიც იყო სულკურთხეული ეფთვიმე მთაწმიდელი.

— არა ღირს ვარ და არა ძალმიძს! — შეჰკვირა მოწაფემ.

— ძალგიძს, რამეთუ შენთან არს ღმერთი! — მჭახედ შეუტრიალა მოძღვარმა.

— წმიდაო სახიერო — ხმა დაითვინიერა მოწაფემ — დიდი ეფთვიმე, ვითარცა მნათობი, ნათლად და სიხარულად ამოუბრწყინა ღმერთმა ნათესავსა ყოველსა ჩვენსა — აღმოუბრწყინდა დიდებად, გვირგვინად, გონიერმყოფელად და განმაბრძნობელად. მან უმეცრების საბურველი მოსძარცვა გონებასა ჩვენსას. მისი სივრცითა და სიმაღლით ღმრთივთარგმნილმა წმიდა წიგნებმა განაგდო და განწმიენა ნაკლოვანებანი ენისა ჩვენისა. ეფთვიმემდე ჰელინნი ბარბაროსებად გვიხმობდნენ ჩვენ, უმეცართა, ხოლო ეფთვიმეს ღვთაებრივმა მოვლინებამ ივიგე ჰელინნი აიძულა ქართველი კაცი სიბრძნეთა თვისთა თანასწორად წარმოესახათ, ხოლო მე...

— ხოლო შენ — შეაწყვეტინა მოძღვარმა — საქართველოს მწყალობელმა ღმერთმა შენი ერის განმანათლებლად მოგავლინა, ნაცვლად ეფთვიმესი.

— შეუძლებელ არს ჩემგან, მამაო სახიერო, ნაცვალყოფნა სამგზის სანატრელი ეფთვიმე მთაწმიდელისა, რომელმან განანათლა ქართველთა ენაი და ქვეყანაი და რომლისა-იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, — თავისას კერპობდა მოწაფე.

— შვილო ჩემო, ღმერთი იგი, რო-

მელმან სანატრელსა ეფთვიმეს ქართუ-
ელი ენაი განუმარტა, იგივე შეგეწევა
შენც, ვინათგან მას, უფალს და მაცხო-
ვარს, დიდად ეწყალების და უყვარს
ნათესავი ჩვენი ქართველი. და ვეეედ-
როთ თვითონ მამასა ეფთვიმეს, რა-
თა შეგეწიოს და მისგან დაშთომილი
საქმენი შენ სრულჰყო მადლითავე მი-
სითა, ვითარცა პავლემ განაგრძო საქ-
მენი ქრისტესი.

კიდევ დაეპირა რაღაცის თქმა გიორ-
გი-მოწაფემ, მაგრამ აღარ დაანება გი-
ორგი-მოძღვარმა:

— შენ, შვილო ჩემო, ისეთივე გაგ-
რძელება ხარ ეფთვიმესი, ვითარცა:
ისუ — მოსესი, ელიაზარი — აპრონი-
სი, ელიმე — ელიასი, პავლე — ქრის-
ტესი და ტიმოთე — პავლესი.

— და წარვედ ათონს, მთასა წმიდა-
სა, სადაც წინამორბედი შენი, ბრძმე-
დსა გონებისასა ახურვებდა და აწრთო-
ბდა სიტყვათა ღვთაებრივთა!..

გადაწყდა.

გიორგი გაეშურა შავი მთიდან ათო-
ნის მთაზე.

და ათონისკენ მიმავალ გიორგის
მაინც ეს სიტყვა უუამდა ტვინს:

„სანამ ქართველები ერთმანეთს სჭა-
მენ, მანამ საქართველოს არხეინად სჭა-
მენ არაქართველნი...“

კარი მეხუთე

მთაწმიდა

გიორგის მისვლამდე კი — ათონის
თავზე უკვე გადაეკრა მის წილ თავ-
გადასავალს.

აჰა, ესერა: ეგეოსის ზღვის ჩრდილო
კერძზე, ნახევარკუნძული ქალკიდიკი-
სა, სამთითად რომ შეეჭრილა წყლის
სამყაროში. ხოლო, ამა სამთაგან, აღ-
მოსავლეთ შვერილის ძველთაძველი სა-
ხელი — აკტე.

ხოლო, აკტეს უკიდურესი სამხრეთი
გამონაშვერი — მთა ათონისა.

აქაური მიწა, ზღვა, ცა. და ჰაერსაბ-
რუნავი — მშვენიერი, მაამებელი და
მარგებელი ყოველი სულდგმულის
სულისა და სხეულისა.

აკტე და ათონი ჰელინთა უძველეს
მითოსურ სამყაროშია თავდაპირველად
გაეხრებულნი. რეცა, ამ ადგილზე ეხე-
თქებოდნენ ერთმანეთს საომრად აღძ-
რული გიგანტები და ღმერთები. რეცა,
აქ შეებნენ ერთმანეთს გიგანტი ათოს
და ღმერთი პოსეიდონი. და აახეთქა
დედამიწას ათოსმა უზარმაზარი კლდე,
ესროლა ზღვაში ამომართულ პოსეი-
დონს და ჩადგა ზღვაში ხმელეთი, ვი-
თარცა საზღვარი გიგანტთა და ღმერ-
თთა საბრძანებელთა. და იმ გიგანტის
სახელი შერჩა მისგან ნატყორცნ
მთას — ა თ ო ს, ანუ ა თ ო ნ ი.

მერე, გიორგის მისვლამდე ათას ხუ-
თასი წლის წინათ დაარისხა და დაა-
მახსოვრა ქვეყნიერებას თავისი სახელი
წყლისა და ხმელის ამ „ზღვარდამ-
დებმა“: სპარსეთის დიდი ხელმწიფის,
დარიოს პირველის მიერ საბერძნეთის
წასახდენად გამოგზავნილი დიდი საო-
მარი ძალები, სამასი გემი და ოცი ათა-
სი მეომარი, სწორედ აქ, ათონის მთას-
თან შეეწირა ზღვაზე ამოვარდნილ
გრიგალს და ქარიშხალს.

მას შემდგომ, ჰელინურ მითოსს
ქრისტიანობაც შემოერია და ეს თქმუ-
ლებაც შემოემატა: მარიამ ღვთისმშო-
ბელი და იოანე მახარებელი ხომალ-
დით კვიპროსისკენ მიემართებოდნენ.
უცებ ზღვა აიშალა, აზვავდა, ხომალდი
გაიტაცა და მანამ ატარა, სანამ ათონის
კლდოვან ნაპირზე არ გარიყა. დაისვე-
ნა ღვთისმშობელმა, იქაურობა მიმო-
იხილა, ბუნების სიმშვენიერით დიდად
მოიხიბლა და შესთხოვა თავის ღვთა-
ებრივ ძეს, იესო ქრისტეს, ებოძებინა
მისთვის ათონის მთა.

დედის თხოვნა და — წამსვე ჩამო-
ეშვა ცაზედეთიდან ხმა შვილისა:
„ამინ, ადგილი ესე საცხოვრისი შენი,
წალკოტი შენი, სამოთხე და სალხინე-
ბელი!“

და ამიერიდან ეწოდა ათონის მთას — „ათოს ოროს“, „წმიდა მთა“.

და დაიწყო სამონასტრო ცხოვრება ათონის მთაზე.

დაიწყო გიორგის მისვლამდე შვიდასი წლით ადრე. პირველი მონასტრის დამაარსებელი კეისარი კონსტანტინე დიდი, ძე პირველი ქრისტიანი ქალისა, ელენესი.

პირველმა ქრისტიანულმა ტაძარმა ათონზე ოცდაათი წელიწადი ძლივს მოათია: მოვიდა ანტიქრისტე კეისარი, იულიანე განდგომილი და ძირიანად მოთხარა იგი.

მერე, იულიანეს გადავლენიდან ოთხმოცი წლის შემდეგ, ღრმად მორწმუნე და მოღვაწე ქრისტიანმა ბასილევს-ბასილისამ, თეოდოსი მეორემ და პულხერიამ ააშენეს ახალი მონასტერი.

სწრაფად იზრდებოდა სამონასტრო და საასკეტო ცხოვრება ათონის მთაზე. შემდგომ — აზიაში არაბთა გამძლავრებამ და იქაურ ქრისტიანთა სამოღვაწეო-საცხოვრისებზე მათმა მიმძლავრებამ უფრო აღამაღლა ათონის სახელი, ვითარცა ურწმუნოთაგან დევნილი ქრისტიანობის მხსნელისა, შემფარველისა და გადამრჩენელისა.

გამორჩეული ცხოველმყოფელობით ათონის სამონასტრო ცხოვრება აღზევებას იწყებს მაინც მას შემდგომ, რაც აქ სამოღვაწეოდ მოვიდა ათანასე დიდი.

ხოლო, ათანასეს მოღვაწეობა ათონის მთაზე იწყება გიორგის მისვლამდე ოთხმოცი წლით ადრე.

მოვიდა ათანასე წმიდა მთაზე და დაარსა დიდი ლავრა, რომელსაც სასტრიოიდ შერჩა მისივე დამაარსებლის სახელი —ათანასე დიდის ლავრა.

ათანასე მამით ბერძენი იყო, დედით ქართველი, ლაზი. და ალბათ, ამიტომ ქართველები უყვარდა ძალიან, გარდარეულად.

დიდი მეგობრობა ჰქონდა ათანასეს ბიზანტიის აზიურ მხედრობათა მთავარსარდალთან, ნიკიფორე ფოკასთან.

ნიკიფორე ფოკაც წარმომავლობით ქართველი უნდა იყოსო, ფიქრობდა ათანასე, ვინაცთგან ნიკიფორე კაპადოკიის ძველფესვოვანი მკვიდრი იყო. თვითონ ნიკიფორე სასტიკად იკრძალავდა ქართველობის გამხელას, ვაი თუ ქართველობამ ხელი შემიშალოს საომარი და საპოლიტიკო კიბეზე ზეაღვსლაშიო.

აბა, რა მიგავს ქართველსო — თვითონვე მწარედ გაიცინებდა ნიკიფორე — პატრონსა ამნაირი ტანისაო (ტანად ჯუჯა იყო), ამნაირი თავისაო (ძალიან დიდი თავი ჰქონდა), ამნაირი სახისაო (უამური სახე ჰქონდა), ამნაირი ფერისაო (შავ-ყვითელი ფერისა იყო), ამნაირი ენისაო (სიტყვის წარმოთქმის თავი არ ჰქონდა, ოდენ საომარ ბრძანებათა გაცემის დიდოსტატს).

მაგრამ ქართველობის გარეშეც ძლიერი პიროვნება იყო ნიკიფორე ფოკა — ნიჭიერი, მამაცი, გულუურყველი, აზიის ჯარების დომესტიკოსი, ჯარისკაცთა სათაყვანო კერპი, რომელსაც არაბებისთვის წაერთმია და ბიზანტიის სამანებისთვის დაებრუნებია კრეტა, კილიკია და ალეპო.

და გასაოცარი ის იყო, რომ მონაზვნური სულიც უხვად ერია ბიზანტიის პირველი მხედართმთავრის ჯარისკაცულ სულს.

და ჰქონდათ დიდი სულიერი სიახლოვე ნიკიფორე სტრატეგოსს და ათანასე ბერს.

ორივე აზიაში იყვნენ იმყამად. ნიკიფორე, ვითარცა ითქვა, აზიაში მდგარ ბიზანტიურ ჯარებს სარდლობდა, ათანასე კი აზიური ოლიმპის (ულუმბის) მთაზე მისგანვე აშენებულ დიდ მონასტერში მოღვაწეობდა.

მერე, დროის ბორბალმა ერთიმეორის მიყოლებით დაატრიალა ეს ამბები: მოულოდნელად მოკვდა სრულიად ჯანმრთელი და საღსალამათი იმპერატორი რომანოს მეორე. ნიკიფორე ფოკასაც ცოლი მოკვდომოდა. ერთადერთი ვაჟიშვილიც ბრძოლაში დაღუპვო-

და მთავარსარდალს. უკვე აღარაფერი ახარებდა ისედაც მარად შავნაღვლიანს და სახემწუხარეს. სახსნილო სულიად აიკრძალა. ათანასეს შავი კვართი გამოართვა და გაუხდელად ჩაიცვა, გარესამოსელს შიგნით (ეს კვართი ულუმბოს სულიერ მამას, მიქაელ მალეინს ეჩუქნა ათანასესთვის). აღარც ლოგინად დაწოლილა ნიკიფორე ამიერიდან, მხოლოდ მიწაზე, ან შიშველ ფიცარზე თუ დანებდებოდა ძილს, ყოველ ძილის წინ სიკვდილს ნატრული. ათანასეს ათონზე, დიდი ლავრის ბვერიდან, ცალკე სენაკი ააშენებინა, ჩიბეს მინამსგავსი, სადაც მალე თვითონვე უნდა შემძვრალიყო ბერად აღკვეცილი დომესტიკოსი.

მაგრამ იმძლავრა ჭალმა ძლიერმა, სხეულით ლამაზმა და ჭკუით სატანისმიერმა ქვრივმა დედოფალმა თეოფანომ, ანგარიშიანი ბერძენი მედუქნის ასულმა, და იმდენი მოახერხა, მონაზვნობის გზაზე შემდგარი მთავარსარდალი საიმპერატორო ტახტამდე მიითრია და რაკი ტახტზედაც დასვა, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა ღამით სად დაუწვებოდა ამ სისხლგამშრალსა და გულგაყინულ კაცს — ღრუბელივით ფუმფულა სადედოფლო სარეცელზე, თუ ქვასავით ცივსა და მკვრივ იატაკზე.

ჩავიდა ათანასე ბერი ათონიდან კონსტანტინოპოლს, ჩავიდა და მიუხტა იმპერატორს. მიუხტა და აყვედრა სასტიკითა ყვედრებითა: შენნგან რას ვეღლოდი და რა გამოხვედიო; როგორ თუ წმიდა ბერობას ბილწი კეისრობა ამჯობინეო!

ძლივს დაამშვიდა ნიკიფორემ გაწიწმატებული მეგობარი: მე მაინც ბერულად ვცხოვრობ, თეოფანოსთანაც ისე ვარ ვითარცა ძმა დასთანო; საქმეებს რომ მივალაგ-მოვალაგებ და სახელმწიფოს დაწყნარებულად დავიგულებ, მაშინვე უეჭველად წამოვალ და შენთან ერთად გავწევ მონაზვნობასო.

და მთავარი „დამამშვიდებელი“ მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომ ახალი იმპერატორი ათანასეს დაჰპირდა ათონზე ახალი დიდი ლავრის აგებაში სრულ დახმარებას. და იგი კიდევაც შეასრულებს ამ დაპირებას.

გვირგვინოსანი მეგობრის ასეთი აღთქმით და მდიდარი საჩუქრებით დატვირთული დაბრუნდა ათანასე ათონს.

და სწორედ ნიკიფორე ფოკას საიმპერატორო ზეობის ჟამს ავიდა ათონის წმიდა მთაზე ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა გუნდი, უკვე ფრიად სახელმოხვეჭილი იოვანე ბერის მეთაურობით.

ახლა ისევ უნდა მოვინაცვლოთ ფიქრი, იოვანეს ადრინდელი ცხოვრებისათვის, ვინათგან ყოველივე იოვანესა და მისი ძის ეფთვიმეს გარშემო აღწერილია თვითონ ჩვენი მთავარი გმირის, გიორგის კალმით.

 იყო მეფე დავით კურაპალატის კარზე ვარაზვიჩ ჩორდვანელი, ნათესავით ქართველი, დაბადებით ტაოელი, მამაპაპობით დიდებული და წარჩინებული.

იყო იგი საომარ ველზე მხნე და ახოვანი, სპასპეტი გამორჩეული, სახით სახიერი და ტანით ტანოვანი, გონებით ბრძენი და სულით ღვთისნიერი.

ერთ დღეს ვარაზვიჩ ჩორდვანელმა ხელი აიღო საერისკაცო ცხოვრებაზე, ვინათგან ჰქონებოდა „ცეცხლი იგი ქრისტეს სიყვარულისაი გულსა მისსა მძაფრიად აღტყინებული“. სასულიერო სახელად დაირქვა იოვანე, ქონება ყოველივე, რაიც გააჩნდა, ღარიბებს და უპოვართ დაურიგა, ცოლ-შვილი მიატოვა, სქემა შეიმოსა და სადღაც გადაიკარგა. ნაცნობებთან შეხვედრას გაურბოდა და ეკლესიიდან ეკლესიაში ადგილს ინაცვლებდა. ყველაზე დიდხანს „ლავრასა დიდებულსა ოთხსა ეკლესიათასა“ მოათია. იქ მხოლოდ წმიდა მამათა, მოსეს და გელასის გაუმხილა თავისი ვინაობა და მათგანვე მიიღო კურთხევა ბერობისა.

ბოლოს ადგა და სულ წავიდა საქარ-

თველოდან. მივიდა მცირე აზიის დასავლეთ კიდურს ბითვინიას, ულუმბოს მთაზე აღმართულ დიდ მონასტერში, რომელსაც მწყემსმთავრობდა მიქაელ მალეინი.

და დადგა აქ იოვანე ბერი ჯორთა და კარაულთა მომვლელ მეჯინიბედ.

და გაიცნო აქ, დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ათანასე ბერს, თავის კბილასა და თანამოსაკეკს, მამით ბერძენს, დედით ქართველ-ლაზს.

სწორედ იმჟამად ბიზანტიის კეისარმა რომანოს მეორემ დავით კურაპალატს მოსცა „ზემონი ქუეყანანი“ და სამაგიეროდ საქართველოდან კონსტანტინოპოლს მძევლებად წაიყვანა წარჩინებულ ოჯახთა ძენი.

და მძევალთა შორის აღმოჩნდა ძე იოვანესი ეფთვიმე, ყრმაი ხუთისა წლისა.

იოვანეს სიმამრს, აბუჰარბის, და ცოლისძმებს, თავისი შვილები საქართველოში დაეტოვებინათ, ხოლო უდედმამოდ დაგდებული ეფთვიმე უცხო მძევლობისა და ტყვეობისათვის გაემეტებიათ.

იოვანემ ორი წლის შემდგომ სცნო თავისი შვილის ამბავი და მაშინვე ულუმბოდან კონსტანტინოპოლს გაეშურა. ჩასვლისთანავე სიმამრი და ცოლისძმები იხმო და მწარე საყვედური აღუვლინათ:

— რაი არს ესე, განა შვილები თქვენი არა გყავთ? გარნა, ცხადია, საკუთარი არ გაიმეტეთ და მძევლად ჩემი ობოლი გასწირეთ. რა გაეწყობა, — უფალმან შეგინდოთ შეცოდებანი თქვენნი!

უთხრა და ისე, რომ დატუქსულთა პასუხისთვისაც არ დაუცდია, კეისრის სასახლეს მიაშურა. მისი სახელი უკვე სცნობოდათ სასახლის კარზე. ამიტომ კეთილად მიიღეს, თხოვნა მოუსმინეს და შვილი დაუბრუნეს.

მამამ შვილი ულუმბოს მონასტერში მიიყვანა.

ეფთვიმეს იმ ორი წლის მძევლობის ხანაში ქართული ენა სულ დავიწყნოდა და მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობდა.

უსაზღვროდ შეწუხებული და შეძრული იოვანე დღე და ღამ იმის ცდაში იყო, ოროგორმე ისევე ამოედგმევინებია ქართული მეტყვეტელება შვილისთვის.

ათანასე ათონზე წასასვლელად აემზადა და იოვანეს ეზრახა, შენც შენის ძით ჩემთან წამოდიო.

სანამ შვილს ქართულს არ დავუბრუნებ, ცოცხალის თავით აქედან გამსვლელი არა ვარო, თქვა და გაათავა იოვანემ.

ათანასე ათონს წავიდა, მაინც იმ იმედით, რომ ერთხელაც იქნებოდა ქართველი მამა-შვილი მის გზას გაჰყვებოდა.

მცირე ხანიც გამოხდა და ყრმა ეფთვიმე მოულოდნელად რაღაც „მძაფრითა სენითა“ ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. დღე და ღამე ოფლში ცურავდა, სიცხისგან იწვოდა, უსაშველო აღმერისგან სუნთქვა უწყდებოდა. რა ბალახები არ უხარშეს, რა საფენები არ აფინეს, რა სალოცავნი არ ულოცეს აქიმბასა და ჯანაოზობაში გაწაფულმა ულუმბოელმა ბერ-მონაზვნებმა, მაგრამ არაფერმა გაჯრა.

და, როცა შვილი „სიკვდილს მიეახლა“, სასოწარკვეთილი მამა ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, წავიდა ტაძრად, ერთხელ კიდევ დაემხო ღვთისმშობლის ხატის წინაშე და შეჰღაღადა ცრემლითა უმწარესითა:

— ღვთისმშობელო ქალწულო, კურთხეულო, სძალო უსძლოო, მეოხ ეყავ შვილსა ჩემსა, ნუ ინებებ მომიკვდეს იგი ეგზომ ენადავიწყებული; ნუ ჩაუქრობ კიდევ ერთ სანთელს შენს წილხვდომილ საქართველოს, დედაო სახიერო, დედაო ღვთისაო, სძალო უსძლოო!..

ტაძრიდან გამოვიდა მაინც უსახსრო სულით და მღვდელს შეუთვალა, მოდი და სიკვდილის პირს მიმდგარი შვილი მიზიარეო. შეუთვალა და აღარ დაუცდია, ისე გაიქცა მომაკვდავი შვილისკენ.

კარი შეაღო და გაქვავდა კაცი.

ეფთვიმე ლოგინზე იჯდა, მშვიდი, მწყაზარი, რეცა ღრმა ძილისგან ახლახან გაყრილი და გამორჩეული.

— შვილო!

— რა იყო, მამა? — ეს ქართულად თქვა ყმაწვილმა.

ქართულად!

— მითხარი, შვილო! — ლამის შეიშალა იოვანე.

— რა გითხრა, მამა? — რეცა გაკვირვებით იკითხა ყრმამ, ისევ სრული ქართულით.

— შვილო, არაფერი არ გტკივა, არ გელმის, შვილო?

— არა, არაფერი არ მელმის.

— ხოლო, ეს ქართული?..

— იცი, მამა, — რაღაც არაამქვეყნიური ღიმილით დაიწყო ყრმამ — ის იყო სადღაც ტკბილ ბუნაწში ვიძირებოდი, ვიღაცამ ხელი მომკიდა, გამომაბრუნა და გამომაღვიძა. და მე ვიხილე დედოფალი, ცისკროვან სახით, რომელმან მითხრა ქართულითა ენითა: — რაი არს, რაი გელმის, ეფთვიმე? — არ ვიცი, რაი მელმის, ოღონდ ვკვდები, დედოფალო, ვუთხარი მე. — ნუ გეშინინ, რამეთუ ლმობა შენი არს დავიწყება ქართულისა ენისაი; ხოლო ამიერიდან არარაი არს ენებაი შენთანა და აღდეგ, ვითარცა ქართველი ქართულითა ენითაი! — მითხრა და გაუჩინარდა დედოფალი იგი, — დაასრულა ეფთვიმემ და წამოდგა ფეხზე.

დაეცა და მუხლებზე მოეხვია მამა შვილს.

დიღბანს სიზმარში ეგონა თავი.

ისევ შვილმა წამოაყენა ფეხზე.

ერთად შევიდნენ ტაძარში და ერთად დადგნენ ლოცვად წინაშე ღვთისმშობლისა...

ამიერიდან ორივე ენაში დაუცხრომლად სწფავდა მამა შვილს.

და „აღმოუდიოდა პირთაგან ვითარცა წყაროი“ ეფთვიმეს ყმაწვილობითვე ქართული „უწმიდეს ყოველთა ქართველთასა“, და ეგრეეთ — ენა ბერძნული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეუბნებოდა მამა შვილს, ენთანა მედ:

— შვილო ჩემო, ქართველთა ქვეყანა ფრიად ნაკლულოვან არს წიგნთაგან, და მრავალნი წიგნნი აკლიან, და ვხედავ რა ნიჭიც მოუმადლებია შენთვის ღმერთსა მაღალსა. და აწ იღვაწე, რაითა განამრავლო სასყიდელი შენი ღმერთისაგან და შეუვსო დანაკლისი იგი ერსა შენსა მშობელსა.

ამასობაში დიდად განითქვა სახელი თვითონ იოვანესი, რომელსაც, ვითარცა ღვთივშემოსილ ბრძენსა და წმინდანს დიდ პატივს მიუგებდნენ ბერძნებიც, ქართველებიც და სხვანი ყოველნი.

მაგრამ სწორედ სახელოვნებასა და პატივისგებას გაურბოდა იოვანე. და რაკი სწორედ ეგზომი ყურადღებისაგან ულუმბოში უკვე აღარ დაედგომებოდა, ერთ დღეს მან დაავლო ხელი თავის შვილს, კიდევ რამდენიმე მოწაფეც გაიყოლია და მათთან ერთად ულუმბოდან გაუჩინარდა.

და მივიდნენ ათონს, მთასა წმიდასა.

და შეხვდა სიხარულით ათანასე დიდი „ქართველთა საყვარელთა“. შეხვდა, შეიწყნარა და დაამკვიდრა დიდ ლავრაში, რომელიც მას ახლახან დაესრულებინა მისივე მეგობრის, კეისარ ნიკიფორე ფოკას ცხოველი დახმარებით. და იყვნენ მთაწმინდაზე ქართველი მთაწმიდელნი.

ვიდოდა ჟამი.

და ჟამს ემალვოდა იოვანე მთაწმიდელი.

ხოლო, იმავე ჟამის გმირი საქართველოში იყო უფროსი ძმა იოვანესი თორნიკე ჩორდვანელი ერისთავი, სახელოვანი მხედარი და მხედართმთავარი.

და თორნიკეც შესდგომია ძმის გზას. საერო სამოსელი გაუხდია და სამონაზონო სქემით შემოსილა. შემოსილა და წამოსულა იოვანესთან შესახვედრად და მასთან დასამკვიდრებლად

ულუმბოს მთაზე. მაგრამ რაკიღა ვისაც ეძებდა, იქ აღარ დახვდა, გამოიკითხა და შეიტყო სადაც წასულიყო ძმაც და ძმისწულიც.

და ერთ დღეს თორნიკე მივიდა ათონს.

მოვიდა და, „ვინათგან დაფარვაი არღარა ეგებოდა", ძმები „ურთიერთას გამოეცხადნენ და სიყვარულითა სულიერითა შეიტკბნეს".

მთელი ტაძარი სიხარულმა მოიცვა.

ძალიან გაიხარა ათანასემაც, რომელსაც ადრევე სცნობდა თორნიკე ერისთავის „საქმენი, წარჩინებულობა და ახოვნება".

და მონაზონება ძმისა აკურთხა ძმამ.

და ახალ სახელად იმასაც დაერქვა იოვანე.

კიდევ „სვინგელიზი" დაარქვა იოვანემ უფროს ძმას.

და ამიერიდან იყვნენ მთაწმინდაზე ძმანი მთაწმინდელნი, ორი იოვანე — იოვანე-ვარაზვაჩე და იოვანე-თორნიკე.

და ორივენი გაურბოდნენ სახელს და პატივს, მაგრამ ვერარა გაეწყოთ: დიდის პატივით ეგებოდნენ ძმათა წმინდანთა ყოველნი, ბერძენნი თუ ქართველნი.

რა გაეწყობოდა, — აკი „ღირსთა თვისთა ღმერთი გამოაცხადებს და ადიდებს".

და დაიწყო დენა ქართველ საეკლესიოთა და სასულიეროთა ნაკადისა ათონისაკენ.

და გამრავლდნენ ქართველი „მთაწმიდელნი" მთასა წმიდასა.

გამრავლდნენ და ზრახეა ჰყვეს ორივე იოვანეთა: უკვე არა ჯერ არს ჩვენი ყოფნა ისევ ათანასე დიდის ტაძარში, აღარც მასპინძელს ეკადრება ჩვენგან შეწუხება, აღარც ჩვენ გვეკადრება სხვის ბიზნად ყოფნა. ამიტომ დრო დადგა თვითონ ავაშენოთ ქართველებმა ჩვენი ეკლესია, სადგომი და სალოცავიო.

და აღაშენეს ქართველებმა მთასა წმიდასა, ათანასეს ლავრისგან დაშორებით, „უდაბნოსა შვენიერსა" ეკლესია წმიდა იოანე მახარებლის სახელობისა. ეკლესიასთან სხვა სალოცავნი, სენაკნი და სადგომნი გამართეს და დაბინავდნენ იქ ქართველნი და მათი მოძღვარნი — „ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანნი".

დრო კი მიჰქროდა, ფრთათა ქნევით, ძველთა ცვენით და ახალთა აღმოცენებით.

დროს მოჰყავდა და მიჰყავდა მიწის მკერძავნი და მიწის კერძნი.

დედამიწა ისევ ბოროტად დაქცეული სისხლით იბანდა ჭიპს: დედოფალმა თეოფანომ კიდევ ორი ქმარი მოიყელა. ჯერ ნიკიფორე ფოკა შეიძულა და მისი ძმისწული, იოანე ციმისხი შეიყვარა და კუროდ დაისვა.

იოანე ციმისხი ტომით სომეხი იყო, იმპერატორის დისწული (ახლა გაირკვა, რომ ნიკიფორე ქართველი კი არა, სომეხი ყოფილა), ბიძასავით ტანმორჩილი, მაგრამ ლამაზი, მომხიბლავი, თეორი პირისკანით, ცისფერი თვალებით და ალისფერი თმა-წვერით.

და შეითქვნენ საყვარელნი, თეოფანო და ციმისხი, იმპერატორის მოსანელებლად.

და იყო ღამე ზამთრისა. თოვდა. ბოსფორი მღელვარებდა. ქალაქს ეძინა. ეძინა ბუკოლეონის სასახლეში ბასილევს ნიკიფორე ფოკას. არ ეძინა სადედოფლო გინეკეაში ბასილისა თეოფანოს და მასთან ქალის სამოსელში გადაცმულ მკვლელებს. ელოდნენ მხოლოდ მთავარ მგრის. და შეუმჩნეველად მოადგა კიდეც მცირე ნავი ზღვიდან ბუკოლეონის ზღვისპირა კედელს. ნავიდან ტანმორჩილი კაცი გადმოხტა კატის სიმსუბუქით. კედელზე გოდორი ჩამოეშვა, ოოკზე ჩამობმული. ციმისხი ჩახტა გოდორში და შეარხია თოკი. ეს ნიშანი იყო და მაშინვე აზიდეს. კიდევ წუთი და იგი უკვე გინეკეაში იყო.

და შეუშვა დედოფალმა მეფის საძი-

ლევან სანიკიძე
გიორგი ათონელი

ნებელში მკვლელები. ციმისხი ჯერ შეჩქვიფდა, როცა სარეცელი ცარიელი დახვდა, მაგრამ ერთმა შეთქმულმა, შინაურმა ყვერულმა აჩვენა იატაკზე, ჯიქის ტყავზე მწოლარე იმპერატორი.

და მიესვენენ შიშველი მახვილებით.

გაღვიძება მოასწრო ნიკიფორემ.

რომელიღაცამ დაასწრო ციმისხის და თავში უჭირა მახვილი ფეხზე სანახევროდ წამოვარდნილ კეისარს. უჭირა და კინკრიხოდან წარბებამდე ჩაუჭრა ქალა.

— დედაო ღვთისავ, დამიხსენი! — იბღავლა განწირულმა.

უფრო მჭიდროდ მიეხვიენენ მკვლელნი. მომაკვდავი ციმისხისთან მიათრიეს და წინ ფეხებთან დაუგდეს.

დაიხარა ციმისხი, წვერში ხელი ჩაავლო ბიძას და ამოჰგლიჯა ბღუჯად. და მასვე წამს მახვილი ხელმეორედ შემოჰკრა თავში. სხვებმაც მოუნაცვლეს და უკვე ცალცალკე ცურავდნენ სისხლში ნიკიფორე ფოკას თავი და ტანი.

იმპერატორის მცველთა რაზმი მოიჭრა ხმაურზე. მაგრამ იმპერატორის მოკვეთილი თავი რომ დაანახვეს, „დასაცავიც“ რაღა უნდა ჰქონოდათ! მეორე დღეს კი ხალხიც „ჭკუით მოიქცა“, როცა მკვდარს ისევ ცოცხალი ამჯობინა და აღტაცებული ბღავლით სცნო ახალი კეისარი.

ხოლო კეისრის ტახტზე ახლა იჯდა იოანე ციმისხი. და მის თანაგვირგვინოსნად და თანამეცხედრე დედოფლად — ისევ თეოფანო.

პატრიარქმა პოლიევქტმა კი, არამცთუ არ აკურთხა ახალი იმპერატორი, არამედ საერთოდ არ შეუშვა აია სოფიაში, ხელები სისხლით, და თანაც მირონცხებული ნათესავისა და მეუფის სისხლით გაქვს გასვრილიო.

მაშინ ყველასათვის მოულოდნელად იოანე ციმისხმა სულაც უარყო ნიკიფორე ფოკას მკვლელობაში თავისი მონაწილეობა. მე არც მომიკლავს და საერთოდ არც რამ გამიგია ბიძაჩემის მკვლელობის განწირახვისაო, — დაიჩემა ციმისხიმ. მაშ, ვინ მოჰკლა იმპერატორიო, იყვირა პოლიევქტმა. ვინ მოკლა და დედოფალმო, მშვიდად უპასუხა მკვლელმა.

უსირცხვილობა კონსტანტინოპოლში ვის გაკვირვებდა, მაგრამ ციმისხის ურცხვობამ და უტიფრობამ გააოცა ოქროს-ჭიპელნი.

თუმცაღა, უტიფრობას რა ტახტის წაქცევა ან წამოყენება შეეძლო, ნიკიფორეს მკვლელობა მთლიანად თეოფანოს დააბრალეს და კუნძულ პროტიზე გადაასახლეს.

„სუფთა ხელებიანი“ იოანე ციმისხი კი, პატრიარქმა პოლიევქტმა აია სოფიას ტაძარში დიდის ამბით აკურთხა ახალ კეისარ-ბასილევს-ავგუსტუს-ავტოკრატორ-იმპერატორად.

მაგრამ თავისი კეისრული ზეობის მეშვიდე წელს „უცნაური სენი“ შეეყარა იოანე ციმისხის. უცებ ჩამოხმა და... ჩაქრა.

ისევ ასისნდნენ ავი ენები: თეოფანომ იმდენი ჰქნა, საწამლავი შეაყოლებინა უმადური კაცის საჭმელ-სასმელშიო. იყო თუ არა ეს მართალი, აღარც ამას მისცემია რაიმე აზრი. მთავარი ის იყო, რომ ციმისხიც მოკვდა და დედოფლის ტახტზე ისევ მობრუნდა თეოფანო. მობრუნდა და იმპერატორის ტახტზე დასვა ორივე შვილი პირველი ქმრისგან, რომანოს მეორისგან — ბასილი და კონსტანტინე. მაგრამ რაკი ორივე ძმა მცირეწლოვანი იყო, ქვეყნის მმართველობა მაინც თეოფანოს ეპყრა ხელთ.

და სწორედ მას ჟამსა მოხდა, რაიც ადრევე ითქვა ამ წიგნში: ბარდა სკლიაროსი რომ განდგება და აუჯანყდა ყრმა იმპერატორებს. აზიური მიწები სრულად მოეწყვეტა კონსტანტინოპოლისგან და დღე-დღეზე აჯანყებული სარდლის კონსტანტინოპოლზე თავდასხმასაც ელოდა შიშით ატანილი საიმპერატორო სასახლის კარი.

და ითქვა მაშინ მსოფლიო ჭიპზე, ითქვა ხმამაღლა და გადაწყვეტილად, ვითარმედ:

— ჩვენი შემწე დავით კურაპალატის გარდა არავინაა ამ ქვეყანაზე!

— სწორედ, ოდენ ქართულ ხმალს შეუძლია ჩვენი დახსნა.

და დაისაჭიროვეს კაცი, საქართველოში ნიჭიერი კურაპალატთან გასაგზავნად, — ისეთი კაცი, აჯანყებული სკლიაროსისგან შეკრული გზებზე რომ გააღწევდა...

და შეიტყვეს, ასეთი კაცი არის ათონზე — იოვანე თორნიკ-ყოფილი.

გაგზავნეს სასწრაფოდ სევასტოფორი ათონის მთაზე. მივიდა იგი და სამივეს — ათანასეს, იოვანე-ვარაზვაჩეს და იოვანე-თორნიკეს გადასცა მან მეფეთა წერილები, ასევე სამივეს სახელზე დაწერილნი. და სამივეში ეწერა ვითარმედ:

„უღმერთოი სკლიაროსი გაგვიდგა და ხმელით კერძი ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმინდესა თქვენსა, რათა თვინერ ყოვლისა მიზეზისა, იოვანე-თორნიკ მოვიდეს წინაშე მეფობისა ჩვენისა“.

და თხოვნა ესე გამაგრებული იყო მრავალი მუდარით, ქენებით, ხვეწნით.

სამივე მამა ჩავარდა საგონებელს. აკი აღთქმა ჰქონდათ დადებული, არა სახის საერო საქმეს აღარ მიექცეოდნენ სიკვდილის კარამდე.

მაგრამ ბოლოს მაინც გატყდნენ ათანასე და იოვანე და დაუწყეს ვედრება თორნიკეს, უნდა წახვიდე შენ მეფეთა წინაშე კონსტანტინოპოლსო.

შეწუხდა თორნიკე.

— წმინდანო მამანო — მიმართა მან ათანასეს და იოვანეს — მე ჩემი ცოდვების გამო მოვსულვარ ამ წმიდა ადგილს და მეფეთა წინაშე წასვლა ხომ ისევ ცოდვათა გზაზე მიქცევა იქნება ჩემი, რამეთუ ხომ იცით, რაისათვის მიხმობენ მეფენი. მე, ვინათგან ღმერთმა ღირსყო და მონაზვნის სახედ შემმოსა, ამიერითგან აღარც შეხვედრის ნება აღარა მაქვს აღარც მეფეებთან და აღარც სხვა ვინმე ამქვეყნიურ ადამიანებთან. ამიტომ ვევედრები სიწმიდესა თქვენსა, ღმრთის სიყვარულისთვის შემინდვეთ და ნუ მიბრძანებთ სასახლეს წასვლად, რამეთუ უკეთუ წავიდე, ვიცი ისინი ამა ქვეყნის შფოთში ჩამაგდებენ.

მაგრამ არ ეშვებოდნენ ათანასე და იოვანე: უკეთუ ვეუარჩეთ და არ წახველ მეფეებთან, უეჭველად დიდ რისხვას მოვაწევთ ჩვენს თავსაც და ჩვენს ტაძრებსაცო. შენ ოღონდ წადი და მაგის ცოდვა იქნება თუ ბრალი, ყველაფერი ჩვენს კისრად აგვიღიაო.

შვიდი დღე ეხვეწნენ, ემუდარნენ ასე და ბოლოს დაიყოლიეს.

და მივიდა იოვანე-თორნიკე კონსტანტინოპოლს.

და მისვლისთანავე საღვთო კონსისტორიონს შეიყვანა იგი პარაკიმენონმა ბასილიმ.

შემოეგებნენ ბასილისა თეოფანო და ძენი მისნი, ყრმა მეფენი — ბასილი და კონსტანტინე.

ორივე შვილი დაეჩოქა თორნიკეს წინაშე თეოფანომ. დაეჩოქა და შეჰღაღადა:

— წმიდაო მამაო, რაიცა ამ ობოლთა მიმართ წყალობა ჰქმნა, სამაგიერო ღმერთმა მოაგოს სულსა შენსა!

ისევ სცადა წინაღმდეგობის გაწევა თორნიკემ, მაგრამ სული აღარ მოათქმევინა დედოფალმა:

— წმიდაო მამაო, რაიცა მიბრძანოს მეფობამან თქვენმან, თქვენსა ბრძანებასა როგორღა გარდავხდები. ოღონდ ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომა თავს იდევ და, რა გზითაც ვნებავს, წადი დავით კურაპალატთან, წარუდექ და აუწყე ჭირი ჩვენი ყოველივე. და ვევედრები ღმერთს, შენ და შენმა მეფემ ის უღმერთო სკლიაროსი დაამარცხოთ და ჩვენ მაგ ჭირისგან გადაგვარჩინოთ.

კიდევ იბრძოლა თორნიკემ, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გატყდა და უთხრა ავგუსტა-დედოფალს: მე ჩემი ცოდვებისთვის შევიმოსე სახე ესე და ამიტომ სიკვდილზეც უმძიმესია კვლავ საერო საქმისადმი ჩემი მიქცევა, მაგრამ რაი

ვყო არ ვიცი. ალბათ, თქვენს წმიდა მეფობას უარს ვეღარ შევბედავო.

გაიხარეს დედოფალმა და პარაკიმენონმა და ერთხმად შესძახეს: ოღონდ შენ ამ ობლებს უშველე და, რაიცა ბრალი და ცოდვა იყოს, ღმერთმა ჩვენს კისერზე იძიოსო.

და, ვითარცა უკვე ითქვა ზემორეთ, წვიდა თორნიკე საქართველოში, მისცა დავით კურაპალატმა თორმეტი ათასი ქართველი მეომარი, სარდლად უჩინა თვითონვე, და გაანადგურეს ქართველებმა სკლიაროსი ჰალისის პირას, და იხსნეს უეჭველი დაღუპვისაგან ბიზანტიის ყრმა კეისარნი.

ხოლო თორნიკემ ჰალისის ველზე აღებული ალაფი და იავარი ნაწილი თავის მეომრებს დაურიგა, ნაწილიც ათონის მთაზე მიიტანა.

დიდი სიხარულით და ამბორისყოფით შეეგებნენ ძლევამოსილად დაბრუნებულ ძმას ივანე, ათანასე და ყოველი ძმანი მთაწმიდელნი.

კვლავ უფრო იმით გაიხარეს, რომ თორნიკეს ათონზე თან ჩამოჰყვა „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანი მონაზონნი“.

და, რაკი ახლა ჰქონდათ სახსარი ახალი ტაძრის მშენებლობისა, ერთხელ კიდევ იზრახეს და გადაწყვიტეს, ვითარმედ:

„ვინათგან ვართ ქართველნი, კაცნი სახელოვანნი, და კვლავ გვერთვიან ქართველნი და იზრდება სიმრავლე ჩვენი, უკვე აღარც იოანე მახარებელის ეკლესიაა საკმარისი და უნდა ავაშენოთ ახალი დიდი ლავრა ქართული“.

და აღაშენეს ქართველმა ათონელებმა დიდი ქართული ლავრა ღვთისმშობლის სახელობისა მთაწმიდის უმშვენიერეს ადგილზე, თვალისა და სულის მარგებელ გარეშოში.

მაშ, ესერა, აშენდა დიდი ქართული ტაძარი და ისტორიაში დაივანა მისმა სახელმა — „ივერი“, „ივერონ“, „ივერონ“, ანუ „ქართველთა“.

და აღმართეს ივერონის კარიბჭის თავზე სასწაულმოქმედი ხატი ღვთისმშობელი მარიამისა, საკვირველ ბეღლოვნებით მოოქვილი და ცხოველმოსილი. მერე ითქმება, ვითარმედ: ხატთა ჯალათის, თეოფილე კეისრის ქამს ეს ხატი ნიკეაში ერთი ქვრივი დედაკაცის სახლში ესვენა თურმე. ერთხელ მეფის შიკრიკი მისულა იმ სახლში ღამის გასათევად და ის ხატი რომ დაუნახავს, ხატმებრძოლი მეფის კაცს მაშინვე უძგერებია მახვილი. ხატიდან სისხლმა იფეთქა და მის დამშრეულს შეექცა. თავზარდაცემული შიკრიკი გადაიხვეწა, ხოლო დაჭრილი ხატი ი დედაკაცმა ზღვაში ჩაასვენა. და ასორმოცდაათი წელიწადი ატარა ზღვამ ხატი იგი. ატარა და, ბოლოს, ათონზე რომ ივერონი აშენდა, ათონის მთასთან მოცურდა იგი და ხედავდნენ ათონელები, დღისით როგორ ბრწყინავდა და ღამით როგორ ანათებდა ზღვაზე მოვარვარე ხატი. რამდენჯერ სცადეს მიახლოება და ამოსვენება, მაგრამ არავინ არ მიიახლოვა და არავის არ დანებდა იგი. მერე გაბრიელ ხუცესს შეეედრნენ, შენებრ წმინდანი ცხოვრებით ათონზე არავინ ცხოვრობს და იქნებ შენ სცადო ბედიო. გაბრიელ ხუცესი კლდის ნაპრალში იყო დაყუდებული, მხოლოდ წყალს თუ დალევდა და ბალახს მოსძოვდა, სხვა რამ საზრდელს პირს არ დააკარებდა. კიდევ, მისი პირიდან ერთი საერო სიტყვაც არ დაიძვროდა, არამედ ყოველივე მხოლოდ საღმრთოი და სასულიერო ითქმოდა მისგან. და ჩაუშვეს ზღვაში გაბრიელი, მიეახლა ხატს და ხატიც მოეახლა მას. და ამობრძანდა ხატი იგი ზღვიდან ხმელეთზე. ამობრძანდა მთაწმიდელ ქართველთა სამფარველოდ. და აღმართეს იგი და დაამბრძანეს ქართველმა მამებმა ახალი ლავრის შესავლის თავზე და ეწოდა ამიერიდან — კარის ღვთისმშობელი...

ივერონის ახლოს აშენდა კიდევ სხვა ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის სახელობისა. და ამათ გარდა, ქართველ-

ლებმა შეიძინეს „ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და სადაყუდებულნი გარემოის დიდისა მონასტრისა ვიდრე იმიერ ზღვამდე, რომელნი — იგი შვეიცერ არიან და საწადელ და მომზადებულ სულიერთა მონაზონთა საყოფლად“.

ათანასე დიდი ისევ დიდი სიყვარულით სწყალობდა ქართველებს. იოვანე ახალი ტაძრის მწყემსმთავარი რომ გახდა, მაინც არ მოიშორა იგი ათანასემ. მოიშორა კი არა, ივერონი“ რომ დამთავრდა, მისი წინამძღვარი ათანასემ საქვეყნოდ თავისი ლავრის „სულიერ ეპიტროპად“ გამოაცხადა!

ხოლო, ოდეს აღარც მე და აღარც იოვანე ამ ქვეყნად აღარ ვიქნებით, ორივე ლავრის — ქართულისაც და ბერძნულისაც — სულიერი ეპიტროპი ეფთვიმე უნდა იქნესო! — ანდერძით აცხადებდა ათანასე.

„ივერის“ დასრულებიდან ორი წლის თავზე ათანასე გარდაიცვალა.

ხოლო, ყოველი სიმდიდრე, რაიც თორნიკე ერისთავს მთაწმიდაზე ჩამოეტანა, ყოველივე საამშენებლო და საარსებო სახარჯოდ, მთლიანად გადაეცა იოვანესთვის.

თვითონაც, „ეგეგვითარმან განთქმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაი თვისი მოიკვეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა“. არაფრის უფლებას აღარ აძლევდა თავს იოვანეს დაუკითხავად. იოვანეს დაუკითხავად ლამის წყალსაც გემოს არ გაუსინჯავდა, მის უნებართვოდ ერთ ფოლსაც თითს არ დააკარებდა.

და ეუბნებოდა იოვანე-თორნიკე იოვანე-ვარაზვაჩეს, ვითარმედ:

— მამაო, თვით იცი, დიდად ცოდვილ ვარ და სიკვდილი ჩემი მოახლოებულ არს და შენს უნებური არარაი მსურს, არამედ ნებაი ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია; ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი!

დიდ ტვირთად აწვა იოვანეს უფროსი ძმის ეგზომი ქვევრდომილება და მარად იმას მიესწრაფოდა, არაფერი დაჰკლებოდა, მარად მყუდროებასა, პატივსა და კრძალულებაში ჰყოლოდა.

მაინც ვერ იქნა და ვერ ჩაიკლა მეომრული სული დიდმა ზორავარმა წმინდა ბერობით დაშრეტილ სხეულში. უძლური აღმოჩნდა უსასტიკესი ასკეზისი სამშობლოს სამსახურად აღმოხდენილ ხმალთან ბრძოლაში. ვერ იქნა და ვერ მოიშორა ზმანებანი გარდახდილი საომარი თალპიონებისა, მეომართა ყიჟინისა, საჭურველის ზრიალისა, დაჭრილთა რღოლვისა, მომაკვდავთა გმინვისა, ისართა წივილისა, ცხენთა ჭიხვინისა და თქარათქურისა.

ვერა და ვერ მოეწყალა ბერობას თორნიკეობა თორნიკე ერისთავში. ვერა და ვერ მოიშალა თხრობა გარდასული ბრძოლებისა. შემოეხვეოდნენ სმენად ქცეული მოწესენი და ისიც ქარიშხლით შტორმდალეწილი მუხასავით შუაჩამდგარი, ჰყვებოდა თავდავიწყებით, ლეწავდა სიტყვას თვითტკბობით და სხვათა დატკბობით.

ქართველ კაცს სხვათა ყოველ კაცთაგან გამორჩევით, ათგზის უმეტესი დატვირთვით უხდება შრომის ოფლის ღვრაც და საომარი სისხლის დაქცევაცო. ასეა, ვინათგან ყოველი მტერი სწორედ ათგზისი ძალით ერკინება და ემტერება ქართველსო. ქართველებთან საომრად გასვლამდე ყოველმა მტერმა ჯერ თავის თავს უნდა სძლიოს, თავის თავსვე აჯობოს და ქართველთა დასამხობად და დასამეწებლად ისეთი რამ ისიბრძნოს და იხერხოს, რაიც მანამდე სულსა მისსა ლანდადაც არ მოლანდებია.

და მოუთხრობდა იგი ერჟოლამორეულ, ენაჩავარდნილ მსმენელებს, როგორ შეიპყრეს სარკინოზებმა ქართველი მეომარი, როგორ განუპეს ცოცხალს მკერდი, გული ამოართვეს, შუბზე წამოაგეს, ცეცხლზე შესწვეს და მწვადივით დათალეს გული ქართველისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ — როგორ დაჭრეს ცოცხლად ქართველი, საშურდულე ნაწილაკებად როგორ დაკუწეს და შურდულებით ნიშანს ესროდნენ ქართველი კაცის ხორცის ნაჭრეებს.

და ერთხელ, უცებ, ანაზდაითად იკითხა ერთმა ყმაწვილმა ბერმა:

— მაინც რაისთვის, რა ცოდვისთვის სჯის ღმერთი საქართველოს?

— შინამტრობა არის ცოდვა საქართველოსი, — მაშინვე მიუგო თორნიკემ.

სთქვა და ნათქვამი მისი შეერხა სივრცეს, რხევით, რხევით...

თავს წამოადგა იოვანე-ვარაზვაჩე ძმას, იოვანე-თორნიკეს და უთხრა წყნარად, კრძალვით და რეცა წყრომით:

— საყვარელო ძმო, ვხედავ, ღვთის მადლით, კეთილად წარემართები ყოველთა ცნებათა ღმერთისთა და არც მინდა წყენა რაიმე მივაყენო შენს წმიდა სულსა. მაგრამ განა შენსავ სულს არ ავნებს იგი, რასაც ახლა და ამდენ ხანს მოუთხრობ ამ ხალხს? გთხოვ და გემუდარები, საყვარელო ძმო, ეგ საერო ნათხრობნი საეროთა და სოფლიოთა დაიცადე, ხოლო შენ, უკეთუ ვერ დაიშლი, უამმე მხოლოდ ერთს — გაბრიელ ხუცესს.

გაბრიელ ხუცესსო?!

ეს რომ ისმინა, მაშინვე დაემხო თორნიკე იოვანეს ფეხებთან, დაემხო და შეჰღაღადა ცრემლების თხევით:

— რად სდუმდი აქამდე და არ მამხილე, წმიდაო ღმერთშემოსილო მამაო?

მაშინვე წამოაყენა იგი ფეხზე იოვანემ, მოეხვია და უთხრა კეთილად:

— რაც იყო იგი ღმერთმა გაპატიოს, ხოლო ამიერიდან ეკრძალე!

და ეკრძალა ისიც — სამუდამოდ ეკრძალა თორნიკე თორნიკობას.

იგი მიიცალა და... „ღმერთისა მივიდა“.

— ღმერთთან შეუნდვნა ცოდვანი მისნი და საუკუნეს ცხორებასა ღირსყო, — თქვა იოვანემ.

როცა თორნიკეს დასაფლავებასა და მისი „სულის შეძინების“ საქმეებს მორჩა, იოვანემ მოულოდნელად გაამეღვანა განზრახვა, რომელიც ადრიდანვე ჰქონია გულს დაკრძალული და ამდენხანს თურმე თორნიკეს გამო არ გაუმხელია.

ხოლო განზრახვა ესე ყოფილა: მისი ძის ეფთვიმესა და კიდევ რამდენიმე მოწაფის თანხლებით, წასვლა სპანიად. სპანიად?!

სპანიაში მრავლად ყოფილან ნათესავნი ქართველნი, დიდიხნის მკვიდრნი და შვილნი იქაური მოწა-წყალისა.

და გულს ამოეჭრა იოვანე ათონელს წასვლა სპანიად, იქაურ ქართველებთან, ვინათგან თურმე თავიდანვე უფრთხოდა ამ აქაურ ქართველობაში შეღლასა და შფოთს.

(ნეტავ სპანიის ქართველებშიც თუ სუფევს ისეთივე შეღლი და მტრობა, როგორც საქართველოს ქართველობაში?!).

და „ივლტოდის სპანიად“ იოვანე მთაწმიდელი ძითა მისითა ევთვიმეთი და კიდევ „რავდენმე მოწაფითა“.

ჯერ აბიდოსს მივიდნენ, რათა იქ სპანიისკენ მიმავალი ხომალდი დაეგულებინათ და კიდეც გაჰყოლოდნენ მას. სწორედ ამის შესატყობად მივიდა იოვანე აბიდოსის მმართველთან, ძველ ნაცნობთან და მოკეთე მეგობართან. ძალიან გაიხარა აბიდოსელმა სახელოვანი ქართველის ეგზომ მოულოდნელი წვევით, მაგრამ იქვე უაღრესად გაუკვირდა და განაწყენდა, როცა მან სტუმრის განზრახვა შეიტყო.

არასგზით მე შენი გაშვება არ შემიძლიაო, მტკიცედ და გადაჭრით განუცხადა ბერძენმა ქართველს. შენ, წმიდაო მამაო, ძალიან კარგად იცი, როგორი პატივისცემა და სიყვარული აქვთ ჩვენს კეისრებს შენი მაღალი ღირსებისა და ღვაწლმოსილებისაო. ამიტომ, თვითონ განსაჯე, რა სასჯელს დამატეხენ ისინი თავზე, უკეთუ მათ დაუკითხავად გაგიშვებ შენ ჩვენი ქვე-

ყნიდან იმ ქვეყნის დასალიერს სპანიაშიო. მე მხოლოდ ის შემიძლია, მეფეებს მივწერო შენი განზრახვა და, რასაც მიბრძანებენ, მეც იმას ავასრულებო.

სთქვა და ქმნა აბიდოსელმა. სასწრაფოდ წერილი აფრინა კონსტანტინოპოლს. პასუხიც ნასწრაფევად მობრუნდა. ახლავე ჩვენთან წარმოგზავნე იოვანე და მისი მხლებლებიო — ბრძანებდნენ ძმანი კეისარნი.

და მიიყვანეს საღვთო კონსისტორიონს იოვანე და იოვანესნი.

პატივით შეხვდნენ კეისრები, მოიკითხეს, მოუალერსეს და მერე, კრძალულად, საყვედურიც აკადრეს:

— წმინდანნო მამანო, ჩვენ დიდი სიყვარული გვაქვს თქვენი სიწმიდისა და სისპეტაკისა, მაგრამ ეს რატომ ხდება, რომ ჩვენგან გარბიხართ და უცხო ქვეყანაში წასვლა და ცხოვრება აგირჩევიათ?!

მაშინ წამოდგა და სთქვა იოვანემ პასუხად, ვითარმედ:

— ღმრთისმსახურნო და თვითმპყრობელნო მეფენო! მე აღრე ერთი ვლახაკი, ცოდვებით დამძიმებული ერისკაცი ვიყავი და გადავწყვიტე უცხოობაში გადავხვწილიყავი, ნაცნობს არსად გადავყოფილი და სამუდამოდ ყველასათვის ხორცით დაკარგულს, სული ჩემი მეცხონებინა. მაგრამ ეს ვერ შევძელ იმის გამო, რომ მოულოდნელად მოვიდა ჩემთან თორნიკე, ვეღარ მივატოვე იგი და ჩავვარდი მისი გულისთვის ისევ შფოთითა და შუღლით აღსავსე ერისკრებაში. ხოლო ახლა მაინც, როცა თორნიკე ამა ქვეყნიდან განსრულ არს, მინდა ვიყო ყოველისგან თავისუფალი, წავიდე შორს და ვიზრუნო ოდენ სულისათვის.

კეისრებმა სიტყვა ესე მოისმინეს, მაგრამ არ შეისმინეს. ჯერ კარგა ხანს თვითონ კონსტანტინოპოლს დატოვეს და არ გამოუშვეს, ვითარცა „კეთილი სტუმარნი“. მერე, ბევრი არწმუნეს და ბოლოს დაარწმუნეს, უკანვე, ათონზე დაბრუნებულიყვნენ და სპანიაში წასვლაზე ფიქრი საფიქრალიდან საბოლოოდ მუდამოდ ამოეკვეთათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაბრუნდნენ ისევ მთაწმიდელნი, ხელმწიფეთაგან ნაალერსალნი და ნასაჩუქრალნი.

და დაკნინდა და დაშლექდა ფიქრი ერთმანეთისთვის დაკარგული „ორი საქართველოს“ კვლავ-ხილვისა და კვლავ-შეხვედრისა.

ვიდოდა ჟამი.
წავიდა თორნიკე.
მიდიოდა იოვანე.
მიდიოდა ეფთვიმე.

ნიკრისის სენმა შეიპყრო და შეხუთა იოვანე და სამუდამოდ დასცა სარეცელზე.

საშინელი ტკივილები უჭამდა სახსრებს.

და იყო სულით მხიარული და მადლობდა უფალს, ეგზომ უსაშველო ტკივილები და ლმობანი რომ არგუნა ხორცსა მისსა.

არ არსებობს ჩემთვის უფრო ძვირფასი საფასე, ვიდრე ეს ხორციელი ტკივილებიო, ამბობდა იგი. გულწრფელად ამბობდა, სულის ზეიმით და მხიარულებით.

მაგრამ სასტიკი სენით სხეულგანკაფულს და მარად დარეცილს აღარ შეეძლო სატაძრო სამწყსოსა და სათვისტომოს მწყემსმთავრობა.

და ეკვდრებოდა იოვანე ეფთვიმეს, ძესა თვისსა, დრო დადგა და მიითვალე „ივერონის“ მეთაურობა და მზრუნველობაო. ერთხანს უარობდა ეფთვიმე, უარისთვის შენდობას ითხოვდა და „ამქვეყნიურ შფოთთაგან“ განრინებას იმიზეზებდა. მაგრამ ბოლოს მიხრწნილი და სხეულდაშრეტილი მამის ვედრება მაინც უნდა შეეწყნარებინა და შეიწყნარა კიდეც. მან იკისრა „ივერონის“ მზრუნველობა, ეკონომოსობა, მაგრამ მამის დაუკითხავად მაინც არაფერს წყვეტდა, არცა დიდსა და არცა მცირე გადასაწყვეტს.

მიდიოდა იოანე მთაწმიდელი.
მოდიოდა ეფთვიმე მთაწმიდელი.
უკვე მოსულიც იყო.

იმ დღიდან, რა დღიდანაც უთხრა მამამაშვილს ქართველთა ქვეყანა წიგნთაგან ნაკლულია და ეს სინაკლულე შენ უნდა შეუვსოო—მას შემდეგ გასულიყო ოცდახუთი წელიწადი. და ეს მეოთხედი საუკუნე უკვე გამხდარიყო საუკუნედ „ეფთვიმე ათონელისა“, ვინაგან აქამდე ქართველთა შორის არავინ გამოჩენილა ეგზომ მძლავრი მეუფე ქართული სიტყვისა და აზრისა. თარგმნიდა და წერდა დაუცხრომლად. თარგმნიდა უმეტესწილ ბერძნულიდან ქართულად, უფრო იშვიათად — ქართულიდან ბერძნულად. უკვე ეთარგმნა ქართულიდან ბერძნულად „ბალაჰვარი“ და „აბუკურაი“, მაგრამ მთავარი სწორედ ის იყო: როგორმე, რაც შეიძლება მალე შეესებულიყო აქამდე ღარიბი და ნაკლოვანი ქართულის საწიგნობელი. წერდა, თარგმნიდა და პირველი უთმინარი წამკითხველი და მკაცრი განმსჯელი იყო მამამისი იოანე. მას უკან გადამწერლები გადაწერდნენ, გადანუსხავდნენ და გზავნიდნენ ქართულ მონასტრებსა და სავანეებში.

რაღა თქმა უნდა, ყოველი წიგნის პირველ ნუსხებს ეფთვიმე გზავნიდა საქართველოში, მეფე დავით კურაპალატის მისართმევლად და მისი შეხედულებისამებრ დასაბინავებლად.

— მადლი ღმერთსა, რომელმაც ყამთა ჩვენთა ახალი ოქროპირი გამოგვიჩინა! — აღტაცებით იძახდა დავით მეფეთამეფე.

ეფთვიმეს თარგმანება არ იყო ოდენ ბერძნულიდან ქართულად გადმოღება თხზულებისა. არამედ იგი იყო დამოუკიდებელი ქართული გააზრება ქართველისთვის უცხო ტექსტისა, გააზრება უმაღლესი სიტყვათხელოვნებით, თავისუფალი მიმოქცევით, როცა თარგმნილის ენა და გააზრება უფრო შთამბეჭდავი და შთამაგონებელია, ვიდრე ენა სათარგმნისა.

წესი მისმიერი თარგმანისა იყო წესი „შემატებისა და დაკლებისა“ (ეფთვიმეცა იტყვის შემდგომში დიდი ეფრემ მცირე), ქართული სიტყვიერებით გამდიდრება ან გამარტივება სათარგმნელის აზრისა.

და ასე — ამძლავრებდა თარგმნილს სათარგმნზე ეფთვიმე ათონელი.

იმავ ჟამს ათონელებმა შეიტყვეს, რომ „ოთხთა ეკლესიათა ლავრასა შინა“, დაყუდებული ორი სახელგანსმენილი საეკლესიო მამა — იოანე გრძელისძე და არსენი ნინოწმიდელი. და მისწერეს წერილები მათ იოვანე და ეფთვიმე ათონელებმა, ვითარმედ: „წმიდანო მამანო, გვეუწყა თქვენი სიწმიდე და მანდყოფნა თქვენი. ვართ გულკლებული, რომ არ ინებეთ მოსვლა და თქვენი წმიდა ლოცვის მოღება ჩვენს წმიდა და სახელოვან მთაზე, ათონზე. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქვენსა, რაითა მოხვიდეთ და ვიყოთ ერთად, ვინათგან უწყით, ჩვენც თქვენებრ უცხოებასა ვართ“.

და მოვიდნენ ათონის მთაზე იოვანე გრძელისძე და არსენი ნინოწმიდელი.

და იყო სიხარული დიდი მომსვლელთა და დამხვედრთა შორის. ეფთვიმემ ცალკე სენაკი აუშენა მოსულ მამებს მათდა სადგომად და საცხოვრისად.

მალე ამის შემდგომ იოანემ სიკვდილის მომთხვევა იგრძნო, შვილი წინ დაიყენა და ათონის სავანეთა წინამძღვარობა გადაულოცა. იყავ მამა და მამასახლისი და როცა გადადგე, მამასახლისობა გიორგის გადაეცეო (ეს გიორგიც ყოფილა „თვისივე მათი, კაცი სახელოვანი და ფრთხილი ხორციელთა საქმეთა ზედა). მერე, გიორგიმაც თავისი წინამძღვრობა იმას გადასცეს, ვინც ძმათა შორის სიტყვით და საქმით სხვათა უმჯობესი იპოვნოსო. და ასე მარად ჟამს: ყოველმა წმამავალმა მამასახლისმა ახალი ღირსეული დატოვოს თავის ადგილასო. ახლა კი ეფთვიმე იქნება თქვენი წინამძღვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო უკეთუ თქვენს შორის გამოჩნდება მშლელი ვინმე მამა ეფთვიმეს განგებულობისა და მაშფოთებელი სამოთა თქვენთა, იყოს კრული, შეჩვენებული, განკანონებული და გაძევებული დაუყოვნებლივ, რათა იმ ერთი ვინმეს გამრყვნელი და მაკვდინებელი სენი არ გადადოს სრულიად გვამსა საკრებულოსასა.

და უთხრა უკანასკნელი სიტყვა იოვანე ვარაზვაჩე-ყოფილმა ქართველთა სამწყსოს:

— სასურველნო და საყვარელნო შვილნო ჩემნო, უკეთუ ღვთის მცნებებით იღვაწებთ, საღმრთო წესითა და სჯულით იცხოვრებთ, წინამძღვართა თქვენთა უზაკველად დაემორჩილებით და ერთმანეთშიც მშვიდობით და ერთობით იქნებით, ღრმად მწამს ღმერთისა, არარაი სიკეთე არ მოგაკლდებათ. მაგრამ იყოს თქვენს შორის სიყვარული ღმრთისა, მორჩილება მამასახლისისა, სიყვარული ერთმანეთისა, განუკვეთელი ერთიანობა სათვისტომოისა თქვენისა.

თქვა და ერთხელ კიდევ დალოცა ყველა, დალოცა ძე თვისი ეფთვიმე და მიესვენა მის მკლავებს. მიესვენა და დაიძინა ძილითა მარადიულითა.

და დაკრძალა ეფთვიმემ მამა ხორციელი და მამა სულიერი ლუსკუმასა, რომელშიც ესვენა უფროსი ძმა აღსრულებულისა, იოვანე-თორნიკე სვინგელოზი.

და ათონის სათვისტომოთა და სავანეთა დამაარსებელი ძმების სამარტვილზე ეფთვიმემ აღაშენა ეკლესია წმიდა მთავარანგელოზთა სახელობისა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რუხაია

ეტიუდი

დაშოშმინდა, დაწყნარდა,
აღელვება ცაცხვნართა.
ზღვის გოროზი ზვირთები
გადავიდნენ ნავიდან,
ტრიბუნის წინ მდგომარე
ხალხიც სახლში წავიდა,
დაისვენეს ზრახვებმა
მდაბიოთა, მეფეთა,
დაიფარა ბილიკი
ხშირი ბალახებითა.
ჩაიარა კოლონამ
გზად ავტომობილების
და ფრესკაზე დახუჭა
თვალი წმინდა ფილიპემ,
რახანია წისქვილში
არ ხმაურობს დოლაბი,
სოფლის წარმავლობაზე
სდუმან კლუბის დოლები.
აქვე „ვაშად“ სმენილი
ძილს მიეცა „ურა“,
მხოლოდ გული მამულის,
მხოლოდ გული მამულის,
მხოლოდ გული მამულის
სცემს, ვით გრდემლზე ურო.

ბიჯი

სიკეთე ნაბდისქუდა ბიჯია.
ობოლი და წყნარი ბიჯი,
ის დადის,
ის ფიქრობს,
ის — ჭია
დრო-ჟამის, ხმაურის, იჭვის.
შენ, მგზავრო, კიდეც შეიძლება
რომ შეგხვდეს:
მეტროში,
პროსპექტზე,
წყლისპირ...
არა თქო, ჭიტლაყს ნუ ამოჰკრავ,
ფიქრს ნუ გაუღუნავ ცისფერს.
გაუშვი, აბოტოს ოღრო-ჩოღროებში,
სალამური ჰქონდეს არგნად,
მისი წყენინება ანდა გაარჯლება,
XX საუკუნეე, არ ჰქნა!
ეჰეი, ნაბდისქუდა ბიჭია
თოვლზე რომ აბიჯებს ჭრი-ჭრიით...
ხელთ დროშის ტარივით მიჭირავს
მისი გზა —
შორი და დინჯი.

იჟით

კედლის იჟით თუ ჯებირის იჟით,
ღობის, ძეძვის თუ ჩანჩქერის იჟით,
სიკეთის ტოტის,
სიფრთხილის ნოტის
იჟით დამისტვენ ჩასაფრებული!
შემკრთალ მზერაში, ფარულ ღელვაში,
ხელთა ნერვიულ აქანებაში,
წამთა
წვეთაში თუ სიმღერაში
დღეღამ მომკივი სულგანაბული!
გაძლების აქეთ, დაძლევის იჟით,
და ზამბახების წკრიალა ჭიქით
ძგერ და ხელს მიქნევ და
მემალები,
მხრობ და მეძახი,
მამულის ხმაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ათი წელი კიდევ გინდა რომ

შენ ათი წელი გინდა რომ მასე
თითზე მოგერგოს ვინმეს ბეჭედი,
ვით ტყიდან შველის, შენს
გამოსვლაზე
აფორიაქდნენ სოფლის ბიჭები.
შენ ათი წელი კიდევ გინდა რომ
მთლად გაუტეხო ვიღაცას ძილი,
დაუდობილდე ჯიბრიან სარკეს
და შენს ჩავლაზე ბიჭი მოცლილი
ქვას გაისროდეს მდინარისაკენ.

შენ ათი წელი კიდევ გინდა რომ
სიცოცხლედ იქცეს შენთვის დროება,
შურით გამკობდნენ შენი ტოლები,
სოფლის ქვრივებმა ღიღილოებად
ზურგიდან თმებში გაწნან ჭორები.
რომ მთლად აყვავდეს შენი მინდორი
შესძახოს ვინმემ, ამაღლდი ჭერო!
შენ ათი წელი კიდევ გინდა რომ
მე დამაბერო.

მატარებელი და ცხოვრება

ცხოვრებას და მატარებელს
ერთ-ურთს ხშირად ადარებენ;
მართლაც წლებიც, ვაგონებიც
სადგურ-სადგურ გვატარებენ.

ეს მარტივად ყველას გვესმის,
ყველას თავის ნებაზე —
და ჩავდივართ როგორც წესი
ბოლო გაჩერებაზე

გეკითხებით, მიპასუხეთ,
აქ ხომ არ ვართ დარგული?! —
თქვით, ვინ იცით ცხოვრებასაც
თუ აქვს ბოლო სადგური?

თუკი, თუკი ამ ბილეთით,
რომ არც კი ღირს შაური,
სიჩაბუქის თეთრ სადგურსაც
ქროლვა-ქროლვით ჩავუვლი;

მაშინ კმარა, რაც ამ გზებზე
ვატმანების დარდი ვარ,
გაჩერეთ ელმავალი,
ამ სადგურზე ჩავდივარ,

...ცხოვრებას და მატარებელს
ერთ-ურთს ხშირად ადარებენ...

●

ბედმა თავნება გოგონასავით
ჩამიარა და
ვერც შემამჩნია
და ნატერფალი მან მსუბუქი
გულს დამაჭრა...
ძალიან ადრე ვიღაცამ მკითხა:
— უბედოდ ყოფნა შეიძლებაო?
მე ვუპასუხე:
— კაცს გაჩნია...
...ბედმა თავნება გოგონასავით
ჩამიარა და
ვერც შემამჩნია.
მე ვიცი ეხლა კვლავ დამისვამენ
ძველ შეკითხვას,
სულის ამოთქმას არც დამაცდიან;
ყველას გპასუხობთ ამ პასუხით
გულის მკვესავით; —
თუ ნახავთ თქვენი ბედი მოდის
შარბათ ნასვამი
მყის ყვავილებით შეეგებეთ
რომ არ ჩაგიაროთ
მან თავნება გოგონასავით.

ანზორ დავითაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დედამიწაზე დავდივარ რწმენად,
სუნთქვა ვარ მისი, სული შემტევი,
ჩემი პლანეტის გადასარჩენად
ამ პლანეტაზე ვერ დავეტევი,

რადგან ყოველგვარ საზღვართან მიცდის
სიკვდილი — სიბრძნე გაყინულ სულის,
რადგან მე მახლავს სიცოცხლე დიდი
არც დასაწყისით, არც დასასრულით

და წინაპართა მაღალი რწმენა
მაფრთხილებს მათი სულით შემტევით,
რომ ნიკორწმინდის გადასარჩენად
მის ჩუქურთმებში ვერ ჩავეტევი,

მე არ მსურს დავდო
საზღვარი სწრაფვას,
არ მსურს სიკვდილის წვიმა მაცრიდეს,
მე უნდა გავცდე ყოველგვარ საზღვარს,
ყოველგვარ საზღვარს უნდა გავცილდე

და პლანეტაზე დავრჩები რწმენად,
სუნთქვა ვარ მისი, სული შემტევი,
ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად
ერთ სიცოცხლეში ვერ ჩავეტევი!

●

ამქვეყნიურ არყოფიდან
ყოფად გამომწურა, ვიცი,
მამამ — ზეცის არყოფიდან,
დედამ — არყოფიდან მიწის

ვიცი, როგორ, რატომ მოველ,
რატომ, როგორ წავალ — ისიც,
რომ ეს ყოფა არყოფიდან
მე სიცოცხლით მომყვა რისთვის,
რისთვის მინდა სიცოცხლე და
რა ვაკეთო სიცოცხლისთვის!...

და მეც ყოფას არყოფიდან
ვწურავ თვით სიცოცხლედ მიწის
მე ვარ ის, რაც ვიყავი და
რაც რომ უნდა ვიყო, ისიც.

●

თეთრი ნისლი ჰკიდია
გადაბურულ ტყეს,
სადღაც წყვილნი მიდიან,
გზა შორი და დიდია,
გზაზე ლურჯი ფერები
ოცნებებად თვლემს.

შენ კვლავ მოხვალ იცოდე,
მე ხომ ასე მწამს,
კვლავ ხელს გამომიწოდებ,
კვლავ გავირბენთ მინდორზე
კვლავ შეგირხევს აშარი,
ქარი ლამაზ თმას

და კვლავ გადაიხრება,
დაეშვება მზე,
მაგრამ ჩემთან იქნება
აზვირთებულ ფიქრებად
ჩვენთან ერთად დაღლილი
საოცარი დღე.

ჯერ კვლავ ნისლი ჰკიდია
გადაბურულ ტყეს,
სადღაც წყვილნი მიდიან,
გზა შორი და დიდია,
გზაზე ლურჯი ფერები
ოცნებებად თვლემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიავ, ჩემო!

რაც სულში შენი მზე ჩამისახლდა,
ქვეყნად არაფრის დარდი არა მაქვს,
რაც მინატრია წარსულში, ახლა
იმ ნატვრის ველზე ვიმკი ბარაქას!

შენით დაამდა მწარე ტკივილი
საერთო საქმის აღმა დინებავ,
შენით დაეტყო სათნო ღიმილი
მამულს და იმის აღორძინებას.

შენით ესროლეს ქამანდი ენგურს,
შენით აენთო მტკვარი ზაჰესთან,
შენით მიეძმო ერთგული — ერთგულს,
მშვიდობის დილაც შენით გათენდა.

თუკი მესაზღვრე არის ფხიზელი
და ჩვენს სიცოცხლეს აქვს ტკბილი
გემო...
თუკი უღრუბლო არის ცის ველი,
სულ შენ გიმადლით პარტიავ, ჩემო!

რაც სულში შენი მზე ჩამისახლდა,
ქვეყნად არაფრის დარდი არა მაქვს,
რაც მინატრია წარსულში, ახლა
იმ ნატვრის ველზე ვიმკი ბარაქას!

თეთრო ლამარია!

ლამარია, თეთრო ლამარია,
შენი ნიშის ახლოს ჩემი სამარეა...
შიგ ვწევარ მრავალი ლომგულის
თანხლებით...
ტანზე მჭირს იარად ათასი
ნახმლევი...

სისხლიან ფარიდან მოჟონავს
სისველე,
და ჩემში სიცოცხლის სწრაფვა ვერ
ისვენებს...

და როცა შენს ცაზე ცისკარი ინთება,
ტოტს მიცემს იაბო სამარის
კიდესთან...

კვლავ სისხლით მევსება დამშრალი
ძარღვები
და შენი განგებით მჯერა, რომ
აღვდგები...
მზის შუქით შევიხვევ ნახმლევს და
ნაშუბარს...
და რჩეულ ხარჯიხვებს მოგართმევ
საჩუქრად!..

გულო, ნუ გეშინია

ქართვლის ჭირი რომ გგონია
განა მართლა ჭირია
„გულო, ჩაჯექ საგულესა,
გულო, ნუ გეშინია“.

ჯერ პირველი ღამე არის
მამლები არ ყივიან...
„გულო, ჩაჯექ საგულესა,
გულო, ნუ გეშინია“.

კლდიდან მტერი გადიჩეხა,
განა მართლა ღვინია...
„გულო, ჩაჯექ საგულესა,
გულო, ნუ გეშინია“.

ხალხი ტირის არც პაატას,
არც ლელას, არც კვირიას...
გულო, ღმერთი გაგახარებს,
გამიგე ვის ტირიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ურ მ ან ჯ გ უ ბ ურ ი ა

„ხაზარულას“ გარშემო, ანუ რამდენიმე საღამო ნოდარ დუმბაძესთან

— ახლა არ იფიქრო, დიდი ხათრი და პატივი მქონდეს შენი, ასე შორს რომ გამოგეგეზე, ექიმმა მირჩია, ძმა, ხშირი ადგომა და ფაჯდომაც კი ვარჯაშად ჩაგეთვლებოდა; აბა, დაჯექი და ვისაუბროთ, რა გინდა, რა საქმეგ მოგიყვანა.

— საქმე არაფერი მაქვს, ისე შემოვიარე, ტყიელ-უბრალოდ...

— ტყიელ-უბრალოდ, ეგერ (დუმბაძემ ფანჯრიდან გამახედა), ხე რომ დგას, ისიც კი არა ცდება.

— მართლა ისე შემოვიარე, საქმე არაფერი მაქვს.

— აგაშენა ღმერთმა, ფირისმანის ნატვრა ამხდარა და ეგ არის, — ერთი ქოხი მოგგცაო, რომ ნატრობდა, ერთი სანთელი და ერთი სამოვარიო, ჩამოვასხათ ჩაი ჭიქებში, დავსხდეთ და ვილაპარაკოთო. ჰოდა, თქვი ახლა, რამ მოგიყვანა.

— „ხაზარული“ წავიკითხე გაზეთში.

— „ხაზარული“ მეც მაქვს წაკითხული, — მითხრა დუმბაძემ, — „ხაზარული“ იქ ვნახე, ძლიერ ცუდად ვიყავი, კაცი რომ თუს წამოსწევს და თავისი სიყმაწვილისაკენ გაიხედავს, იმ ადგილებს დაინახავს, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა, და იქნება, ხე დაინახოს სხვაზე ადრე, ხეს შეასწროს თვალი, მერე კი მოებმება იმ ხეს ყველა და ყოველი: ეზო, ოდა, ჯარგვალი, ჩვენებურად — ჯარგვალე, გვიანი ჯა, ოწინარი, ასე გაიშლება თვალის საწერი. სოფელში დაბადებული ვარ და სოფელში გაზრდილი. ქართველი კაცი ბუნების შვილია; ვაჟას, დღემდე, ბუნების მგოსანს ვეძახით. ახლა ილიაც მოვიგონოთ: „თქვენთან, ჰე, მოვბო, ბუნებითა შეუფლებული“.

— წარმართუბი ვართ ჯერ კიდევ... დიდი ჭყონი, მუმლი მუხასა, ვაზის ჯვარი...

— ქრისტიანები ვართ და არა წარმართები. დიმნა შენგელაია გენქება წაკითხული, — ამირანის გარშემო, რომ წერს, მანდ არის კარგად აღწერილი, რანი ვართ ჩვენ, როგორ აჯობა ქრისტეგან ამირანს. თუმცა, ვინ იცის, ამირანი ყოველ გაზაფხულს გაწყვეტს ხოლმე ჯაჭვს და ისევ ამირანია.

— „ამირანია? — მივმართავ ტყიელს და ტყე გუგუნებს: ამირანია!“

— გალაკტიონმა ხომ ყველაფერს ჭკდა თავისი ჯადოქრული სულის თვალი; თვალი ხომ რამდენიმეა, — არის თვალის ჩინი, ესე იგი, — თვალი მხედველი, სპას უწერია ეს ამბავი დაწერილებთ, არის გულის თვალი, ესე იგი, თვალი მგრძნობელი, არის სულის თვალი, ესე იგი, თვალი მოყუარული, თვალი — მოყვასი, არის გონების თვალი, ესე იგი, თვალი ფიქრიანი, ჭკვიანი. არის, ალბათ, სხეულის თვალიც, დაბლა რომ არ დაახედგეს და ღორღსა და ქვას გადაალაჯებს; მეტი არ არის? ეს ჩემი პატარა მოთხრობაც, შენ რომ ახლა წაგიკითხავს, თვალით დაგინახე.

— მაგრამ ფინალი?

— ფინალში, მგონი, ცოტათი გონების თვალიც შემეწია. მერე მოკულობის მოთხრობა ლექსს ჰგავს, ლექსი ასე უნდა იწყებოდეს, გასწავლი, აგერ, პოეტ კაცს, ხომ ხედავ, მაგრამ, რა ხნის იქნები, შენ, ახლა, ორმოცის? ჰა, დიდი-დიდი, ორმოცდაორის, ალბათ.

— ორმოცდათხრა კიტრობა მაქვს ნანახი.

— როგორ თქვი?

— სამეგრელოში იტყვიან, სამოცდაათი კიტრობა ვნახეო.

— კარგი გამონათქვამია. ჰოდა, სწავლა სიბერემდისო; ლექსი გაკვირვებით იწყება მუდამ, ემოციით. მერე მოდის სიყვარული, ან კიდევ — სიძულვილი. ლექსი მიედინება, ცხოვრებაც მიედინება, დრო მიდის, მიდის და ეს — მიდის, მიდის, ეს მარადი ცვლა და დინება

კაცს ჩააფიქრებს, რაიმე ჭკვიანურ აზრისაც ათქმევინებს, რაც გონების თვალთანაა დაკავშირებული, დასკვნით მოავრდება ლექსი...

— „ბაზარულაც“ ასე დამთავრდა.

— „ბაზარულა“ მაინც მოთხრობაა, პროზაა, აღწერა მეტია, ვიდრე ემოცია.

— მე კი მგონია, პროზა და პოეზია დიდად არ განსხვავდება, განა პოეზია არაა „აღდგომის“ შესავალი?

— იცი ჩემი ამბავი და გინდა გული გამიკეთო, არა? უკეთეს მაგალითს მოგიტან აგერ. (დუმბაძემ ფილაკს თითი დააჭირა, მდივანი გოგონა შემოვიდა).

— თამილა, აბა, ერთი, აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ ამოგვიტანე (დუმბაძე ისევ მე მომიბრუნდა):

— რუსული კარგად არ ვიცი.

— ახლახანს რომ წერილი გამოაქვეყნე?!

— რუსულად დავწერე, შევიდა. საჩქაროდ უნდა გამეგზავნა წერილი და ითმოძიე დავწერე რუსულად. მაგრამ, მწერალმა ორი ენა არ იცის.

— მსგავსი რაღაც ამოვიკითხე ამასწინათ...

— ამოიკითხავდი, ძაძა, აბა, არ ამოიკითხავდი? განა მე უცალობელ ეშმაკობებას ვამბობ, როცა რაიმეს ვამბობ. საკუთარ სიბრძნეს კი არ ეფიალდებ, მაგრამ ტოლსტოისა და შექსპირის გამონთქვამებს კბილი რატომ უნდა გავუსინჯოთ. ისე უნდა მივიღოთ, როგორც არის. დიდი ცოდვაა ვითომ, ჩვენი აზრი ამ ბუმბერაზი მწერლების აზრს თუ დამთხვა. ორგანალობა ყოველთვის არაა ხელსაყრელი.

— „ბაზარულაზე“ ვსაუბრობდით...

— „ბაზარულა“ იქ დაენახე-მეთქი, ხომ გითხარი. თვალი ვკიდე იმ სიშორიდან. აი, ახლა რა გავიფიქრე, — მოთხრობას რომ ვიწყებდი, თვალის მწერალი ვიყავი იმ წუთას. თვალის მწერალი რეალისტი მწერალია. რეალიზმი მწერლობის თავიც არის და ბოლოც, მაგრამ არის აგრეთვე, ყურის მწერალიც, ანუ განაგონის მწერალი, ისტორიის მწერალი. აქ მეტი თავისუფალი ხარ, მეითხველი ზუსტ პასუხს არ მოგთხოვს ამა თუ იმ მოვლენის აღწერისას. ამიტომაც არის დღეის მწერლობა უფრო ფასეული. თვალის მწერალს, თანამედროვე მწერალს, მეტი კაცობა და ღირსება მოეკითხება. ყურის მწერალს, წარსულის მწერალს, მეტი გაძლება და წვეწნები ქიქეკი.

— მაგრამ, ბამბუკი რომ დახატო, ბამბუკის შინაგან სინათლესაც უნდა ჰკიდო მახვილი თვალი, როგორც ამბობს ერთი ქველი ჩინელი პოეტი თუ მხატვარი.

— ტანის ეპოეკი, არა?

— კი. ვან ვეის გამონთქვამია.

— ვან ვეი, ალბათ, ბუდას მოძღვრების მიმდევარი იქნებოდა. ეს ყველაფერი ჭვრეტასთან არის დაკავშირებული, დაყუდებასთან, სოფლით გალმა გაბიჯებასთან. პოეტი, ალბათ, იმდენი ხანი უყურებდა ბამბუკს, რომ თვალი მისი მეცნარის შინა სინათლესაც მიხწვდა, შინა ბუნებას. ტრაბახად ნუ ჩამომერთმევი და, „ბაზარულაც“ დაახლოებით, ასე შეიქმნა, თვალს ჩინით დავინახე და გონების თვალით გავაცალეს...

— შეიძლება?

— შემოდი თამილა, აგერ, ეს დალოცვილი წყენიც, წავიკითხოთ, როგორ იწყება „ჩემი თავგადასავალი“.

— ლექსივით არ არის?!

„აღდგომა“ რომ გაიხსენე, იმიტომ მოვაძახინე, წაიღე ეს წიგნი, თამილა, და წადი სახლში, გეყოფა ფეხზე დგომა...

— საოცარი და საკვირველი, აგერ, ჩვენს ფვერდითაა, ხელთ გვაქვს და ვერ ვხედავთ, ვერ ვიგონებთ.

— როცა საბორო იქნება, მოგიგონებთ. ახლა ეს შედარება გასინჯე: სიმი — ქართველი, ჩონგური — საქართველო. ჩვენი ენა ზღვის ფსკერზე ნაპოვნ კაეის ქვას მოგვაგონებს, — ის ერთი ბეწო კაეი უფრო ხანიერია, ხომ იცი, ვიდრე ვეებერთელა ლოდი, იმავე ზღვაში ჩაყუდებული. ლოდს მრიალდი და მრიალდი ტალღა რეცხავს, და ლოდი იგი, დღე-დღეს, შეუმჩნეველად, მაგრამ მაინც მცირდება. შორდება ის, რაც უნდა მოშორდეს და რჩება ის, რაც უნდა დარჩეს. რჩება კაეი, რაც ანენს ეცცხლს, ანუ სითბოსა და მყუდროებას, რაც არის სიკეთის მსახური. ასეთია ჩვენი ენის ბუნება. „რაც არ იწვის, არ ანთებს“, — ეს გამონათქვამიც, არა მარტო კაცთაგანს, არამედ, ენასაც მიესადაგება. რუსული ენით, მაგალითად, დიდი ტანჯვა-კირთებაა გაცსადებული, დიდი სულის გვემა. ჩვენი ქართული კი სიკეთისა და სინათლის მსახურია უპირატესად, — ენა თაფლოვანი, „ვითარმედ, ყოველი სიდიდენ ამას ენასა შინა დამარხულ არს... რაითა ყოველისა ენასა ღმერთმან ამბილოს ამით ენითა...“, ეს არის ქრისტეს ენა, ხატის ენა და ლოცვის ენა. ახლა გავითვალისწინოთ ის ამბავიც, თუ რა დიდ მნიშვნელოვანს ანიჭებს ქართველი კაცი ამ ენით წარმოთქმულ წყევა-ჩაკირვას, ლოცვა-სადღეგრძელოს. დავით კლდიაშვილს მოთხრობა ხომ გახსოვს, ამიტომაც არის ჩვენი ქართული ხატის ენა. სუფრაზე რომ კაცი შემოგვესწრება, შემოსწრებული ძალიან რომ ჩქარობს, როგორ ვეხვეწებით, ერთი დაილოცეთ, ბატონო, და ღვინოს, თუ გნებავთ, ნე დალეთო. ამიტომაც არის ჩვენი ენა ლოცვის ენა. ქართული ენა, თავისი ბუნებით, შეჰგავს სიტყვა „ამინს“ თანგმნა რომ არ უნდა, ყველა ჯერის და ყველი ძირის, ყველა ენის მეკონ ქრისტიანის რომ შეესმინეს.

„ყოველ ავენის ხედი, — კავკასიონის მთელი“

იცი, რა საოცარი ამბავი გამახსენდა, — ერთხელ თურმე, ილია ეკეკუა მიიწვიეს თანასოფლელებმა. სუფრა გაშალეს, როგორი სუფრის გაშლა იციან ჩვენში, — „ლუჩჯი სუფრა გაიშალა“, ხალხი შეთვრა, შეზარხოშდა, გაუთამამდნენ თანასოფლელები ბატონ ილიას და ერთმა მოხუცებულმა ვლეხიაკამა სტუმარს ჰკითხა: ასეთი დიდი კაცი როგორ გამოხვედიო. უბრალო ამბავი არიო, უთქვამს თურმე ილია ეკეკუას, ჩემი ფიცარული ოდა-სახლის აივნიდან, მინდოდა თუ არა, ყოველ დილით, კავკასიონის თეთრი მწვერვალებისთვის უნდა მომეცარა თვალიო, ის სინათლე თუ გადმოვიდა ჩემშიო. მოსწონებიათ მეცნიერის პასუხი თანასოფლელებს, მაგრამ, ერთ ენახმეინულ გლეხს მაინც უხუმრია, კავკასიონის მწვერვალს, ილიას შემოვევლე, ადერ, ეს ოთხმოცდაათი წელიწადია, ყოველ დილით რომ ვხედავ, მაგრამ თქვენხელა კაცი კი ვერ დავდეკო. გალაკტიონის ლექსმა მომაგონა ეს ამბავი. დიდი გავლენა აქვს მწერალზე იმ ადგილებს, სადაც დაბადა და გაიზარდა.

— ისევ „ბაზარულს“ ვუბრუნდებით.

— ხო, რითაც დავიწყეთ. სადაც არ უნდა წაბეიდე, მაინც ჩემთან უნდა მოხვიდე საბოლოოდ. ვეხუმრები, ჯიმა, სადაც არ უნდა წავიდეს კაცი, მაინც მამეცი დაბრუნებაში. „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი არ გავიარე, რაა მამული“.

— უგალაკტიონოდ, ეს საუკუნე, თითქოს არც ყოფილა.

— ასეა, — „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“, აქ, ქვეყანა, ალბათ, საქართველოს ნიშნავს. პოეზია და საქართველო კი, მისი გაგებით, ხომ ერთი და იგივეა. ჯერ ამბობს „პოეზია უპირველეს ყოვლისაო, მერე დასძენს, „თქვა: მამული უპირველეს ყოვლისა“.

— ერთი და იგივეა, ცხადია.

— მაგრამ, რატომ არაა, მაგალითად, რომელიმე პროზაული ნაწარმოები და საქართველო ერთიდაიგივე? ვერც იქნება. ენას პოეზია ინახავს და არა პროზა. კი მახსოვს სად წაიკითხე, მაგრამ ამბად კი ჩამრჩა: სარდაფსა გაიშშეკა ხმალი და ბრძანა: მტერი მოდის და ენა დავიცვათო. ენა და მამული რომ ერთიდაიგივეა, ამას ხომ მტაც�a არა სჭირდება. „რა ენა წაგხეს, ერი დაიკეს“. მტერი მოდის და ენა დავიცვათო, მაშინ გამოვიდა პოეტი და სარდაფს ეუბნრა: ეგ ხმალი კაი ძალია, მაგრამ, სარდაფო, მარტო ხმალი ენას ვერ დაიცავსო. მთავარია, ისეთი ნაწარმოები შეიქმნას, რაც ენას შეინახავსო. და ცამდე მართალი იყო პოეტი. ისე, ეს ხომ კიდევაც დაგვიღამდება აქ, დავიღალე, სხვა დროს შემოიარე, შენი ხნისა რომ ვიყავი... სალაპარაკოდ სად მეცალა.

2.

— ვერ ეხვდები, ეს ოხერი, რომელი ფალმფონი რეკავს, — დუმბაძე ვარ, — დამიდგინე, თუ არის მანდ და დავურეკავ.

ყურმილი დადო და მე მომიბრუნდა:

— დღემდე ვერ გავპარეივე, ფფთიაქის გამგე ვარ, მკურნალი ექიმი თუ მწერალია კაკაჩარის თავმჯდომარე... აი, რა ეიფიქრე წუხელის, — ჩვენი ენა რომ ასეთია, როგორიც არის, ამაში დიდი წვლილი მოუძღვის ბატონ ილიას.

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, მთათა ხვედრების და ღმერთების ენავ“.

ამ ორ სტრიქონში არ წერია თურმე ეკეკაფერი! მთა ინახავს ენას. ძნელბედობის ჟამს ხომ ჩვენი უძველესი ხელნაწერებიც მთებში იხიზნებოდა. ფშაურ კილოს შუაქართულიდან ისეთი რა განასხვავებს, მაგრამ ერთი ეიფიქროთ, ეაქას გარეშე რა იქნებოდა დღეის ქართული. უფალი ყველაფერს თავად ანაწილებს კანონზომიერად. ერთი ვაქას ხელა პოეტი გვერგება ხევსურეთიდან, ერთიც — სვანეთიდან, ერთიც — სამეგრელოდან და ასე შემდეგ. ამას, დღეის ენაზე ხელუხლებელი მარაგი ეწოდება, ენას რომ გაუჭირდება, მაშინ მოვა ის პოეტი. ასე მოვიდა ამ საუკუნეში გალაკტიონი. აკი თვითონვე ამბობს თავის ბოემაში:

„შეგნენით ჭაშვნილმან მან ანგელოსმან, როგორც ყვავილმან ცათა მდელოსმან, რა ქნა, რა ჯადოს მიმართა რა დროს...“

ენა ყველაზე ბოლოს სტოვებს ბრძოლის ველს. მე არ ვიცი, კაცი სიკვდილის წინ რას ეტყვის, მაგრამ „მამეულში“ აღწერილი ამბის დავიწყება ქართველი კაცისაგან არ იქნება. ანდა, მოვიგონოთ, როგორ გაიშალა „ოიენანას“ ირგვლივ პატარა ქეთოს ცხოვრების სურათი.

სიმღერა, ცეკვა, ლექსი, ეს არის ჩვენი სამება. ამ სამებით არის გამოთქმული ჩვენებური მსოფლმხედველობა. მწერლობაც სხვა არაფერია, თუ არა ამ წმინდა სამების კარში შესვლა. ზოგი კაცი შორს დგას ამ კარიბჭიდან, ზოგი ახლოს, ზოგი კიდევაც შევიდა ამ კარებში, მაგრამ რუსთაველის თვალით დანახული საქართველო დღეის საქართველოსაგან განსხვავებულია და ამიტომ არის აუცილებელი იმ დიდი კარების გამუდმებული ჭრიალი.

— მაგრამ რუსთაველი ხომ მარადის ჩვენთანაა. განა ჩვენი დროის შემოქმედი უფრო ახლოს მივა იმ საერთო სათქმელთან, რასაც ჩვენი სამება მოიცავს.

— თავისებურად მივა, თავისი თვალითა და გულით ალიქვამს დიდ ქართულ ეროვნულ ცხოვრებას, იმის წარსულს, აწმყოს და მომავალს. ისე კი, როცა „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობთ, ჩვენი თანამედროვეა, რაკილა, აგერ, ახლა ვეხებით; იმაში ხომ ერთი პირი გვაქვს ყველას, დავითის ხმალსა და შოთას სიტყვამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ერთიდაიგივე საქმე გაკეთა. „ეფეხისტყაოსანმა მეტი გააკეთა, ცხადია, მამულის საზღვრები რაც ნინდა მტკიცედ იყოს შემოღობილი, ისტორიის ქრობრიიაში მაინც გაიწვა». „ეეფხისტყაოსანი“ კი დიდსა და პატარა საქართველოში, გამაჯვებულსა თუ დამარცხებულ საქართველოში, თავისი მარადი შარავანდედით გაბრწყინებება. აღმაშენებლის მერე, რა არ ნახა საქართველომ, მაგრამ მაინც გადარჩა, გადაარჩინა თვისმა „ეეფხისტყაოსანმა“ და თუკი ოდესმე სიკვდილი უწერია, თავის წიგნთან ერთად მოკვდება; რუსთაველი ძნლზე ადვილად გვესაუბრება იმაზე, თუ რანი ეიყვიენ, რანი ვართ და რანი ეიქნებიენ, რა ძლიერ ვაბუნდოვანებთ ხოლმე დიდებულ სიტყვას, ჩვენი, ეგრეთწოდებული, მეცნიერული კვლევა-ძიებით.

— კიდევ კარგი, რომ მონღოლებს არ გაეჩნდათ ამგვარი წიგნი, რაც იმათი ხმლის ამხანაგი გახდებოდა.

— ვისაც გააჩნდა, კვალიც დაგვაჩნია. მონღოლური კი არაფერი შემოგვრჩა თითქმის. ხმალი და ისარი მიწამ შეჭამა, რაც მიწისა იყო, მიწამ დაიბრუნა. სპარსი და არაბი, გასსაკუთრებით კი — სპარსი, დღემდე იფარფაშებდა ჩვენს ენასა და ადათ-წესებში, მაგრამ აქაც „ეეფხისტყაოსანმა“ გვიშველა. ფარს ფარი დაგვდა და სიტყვას — სიტყვა. ვითომ ახალი რამე ეთქვი, ძაბა, ეს ხომ ცნობიერი და საყოველთაო ჭეშმარიტებაა.

— გამეორებაც ცონნის დედაა...

— სწორია, მაგრამ არც მე ვარ ახალა კოლეგის სტუდენტი და არც შენ ხარ ახალი უნივერსიტეტის აბითურიენტი. ასე, რომ საქმე საყოველთაო ჭეშმარიტებაზე მიდგება, ეს ამბავი იმასაც კარგად მიგვანიშნებს, რომ მოსაუბრეებს, მეტი არაფერი აქვთ ამჯერად სათქმელი და სალაპარაკო. დავიხუროთო ახლა ქუდები და გავიდეთ ჰაერზე. ქუდი ხომ ბატონიაა? არა, ხომ? არც მე მეხუცა ადრე, მაგრამ, ერთხელ, ერეკლეს მოედანზე ჩამიქცა მანქანა, დიდხანი ვეკახრიენ მე და შოფერი. შევაჩერნე, ქუდი არ მეხუცა, მომაგონდა ქუდზე კაცი და მას შემდეგ მახურავს ეს კეპი.

— ხომ უნდა დაერეკა ის კაცს?

— რომ არ რეკავს! იშოვა, ალბათ, წამალი. თუკი წამალი იშოვა, რატომ დამირეკავს! იმის ზარს არ ველოდები მთელი ეს საღამო? შენ კი გგონია ჭკუას გარგებ და ლიტერატურის ავანჩავანზე გესაუბრები, რაზე ვისაუბრითო, ჭკიახა ერთმა ჩვენმა ცნობილმა მწერალმა სტეინბეკს, — ლიტერატურაზეო, — უპასუხა სტეინბეკმა, — ეკონომიკაზე საუბარი გვირჩევნიაო, — უთხრა სტუმარს ქართველმა მწერალმა. სტეინბეკი დაეთანხმა.

3.

— არ მეშვები, ხომ?

— კარგი სხვა დროს შემოვიკლი.

— იყავი, რას მიმლი. ექვსი საათის მერე კაცებმენი არ მეკარება. რამე ხომ არა გაქვს შენ სათხოვარი და მიკიბულ-მოკიბულად ხომ არ მელაპარაკები... ნინეშვილზე ამბობენ, ყველას ამბავი გულთან ახლოს მიპქონდაო.

— კი, ყველა მისი მადლიერია.

— კარგი კაცი იყო ნინეი ოისები, დაუზარელი. კაცი რომ მოკვდება, მერე გამოჩნდება ხოლმე მისი ავიც და კარგიც. რამდენ კაცს მოეგონთა ხელი ჩვენმა ოისებმა, — წიგნის გამოცემაში მოეხმარა, ბინა მიიღებინა, ტელეფონი დაუდგა. დაავლებს ახლა კაცი ყურმილს ხელს და მოიგონებს, რომ ეს ოისების ნაწყალობეეია. და მოებმებაც იმ ყურმილს მოგონების ბორბალი, მიეცალებულს ხსოვნა, მისი სახელი, პიროვნება, პოეზია, ცხოვრება. თავით ფეხამდე აღდგება კაცი, გაცოცხლდება. სამაბი კი სულ პატარა რამე იქნება, როგორც ეთქვი, ერთი კონკრეტული მომენტი, სავანი და მოელენა, ნივთი. ბინას მე ვერ მოგცემ, ბინის საკითხს მთელი სამდივნო წუვეტს, მთელი პრეზიდიუმი. მაგრამ, მგონი, დამწყვეტ წერილებს აძლევენ ამჯერად ბინას, არა სჯობია, ახლა დამწყვეტი პოეტი რომ იყო? კონკრეტულ მოვლენაზე ესაუბრობდეთ; ერთხელ, გალაკტიონმა, ლენინის ორდენი დაკარგა, დაკარგა რომელიღაც ხესთან, და მერე, იმ ადგილ რომ ჩაუვლია (ნიკა ავიაშვილს აქვს ეს აღწერილი), გალაკტიონი სულ ოგიენებოდა ხოლმე: „დემონიური ხე! დემონიური ხე!“ და იმ ხეს კაცზე მეტად ადანაშაულებდა ორდენის დაკარგვაში.

სხვას თუ არ უნდა ამის გაგება,
შენი გაიგებს ნაძვი და ფიჭვი,
რომ ქვა არა ვარ და ქანდაკება,
არაფერ კაცი, რწმენით და იმედი...

ბუნებასთან უცნაური ურთიერთობა აქვს ადამიანს. ბავშვობაში ხომ გაუღალბარართ შინ? მერედა, სად გადაიკარგე, სახლიდან ცხელ ვულზე რომ გავარდი? ხესთან მიხვალ, თავს მიადებ და ეტყვი საიდუმლოს (გალაკტიონის ლექსში აღწერილი საიდუმლო სხვა საიდუმლოა ოღონდაც), გულს მოიოხებ. ხელოვნების ხანიერებაზე ხომ ესაუბრობდით, ბუნება ხელოვნებაზე უხუეესია. ამიტომაც მიდის გალახული ბალი ინ ჭკვიან ხესთან, („ხაზარულ“ არ უნდა გამომექვეყნებინა, როგორც ვატყობ), მივა ბალი და ხეს გაანდობს საიდუმლოს, როგორ იცხოვრებს აწი, ამას იქით,

მურმან ჯაფუტია

„ხაზარულას“ გარშემო, ანუ რამდენიმე სალამო ნოდარ დუმბაძისთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გზას დაადგება, მერე დაღამდება და ოდის ულანა ლაფარიდან შეავ შინ; ასეთი კონკრეტული მოგლენებიდან იქმნება ლიტერატურა, რაც, შემდგომ, კონკრეტულიც არის და არაკონკრეტულიც, ჩვენიც არის და შენიც, მე შეგქმენი და ჩემია, შენ კითხულობ და შენია, სხვისიც არის. ერთი ასეთი სურათი მახსოვს და უნდა გითხრა: ღორი გადავიდა მცირე ღელეზე და გადაიყვანა გოჭები. ღელის გალმა ჩიჩქნა მიწა, სალამი ხანს, მაძღარი ოჯახი მოადგა ღელეს. ამასობაში წამოწვიმა. ღელე ადიდდა. შორს, სადღაც, მთებში წვიმდა და შეეშმნილელად ადიდდა ღელე. აქ რომ გაწვიმებულიყო, სადაც ღორი ჩიჩქნიდა მიწას, ღელეზე გადასელას, რა თქმა უნდა, არ დაადგებოდა. შეეფიდა დედა ღორი წყალში და მიჰყვა ირი მოდიდო გოჭი. მოერია გოჭებს დინება, ფეხები გამოაცალა და წაიღო წყალმა. დაედევნა დედა ღორი, კისერში პირი დაალო და, გოჭები, ნაპირზე, რის ვაი-ვაგლახითა და წვალებით გამოიყვანა. დაანამუსა გოჭები, — აქ დამიცადეთო, კვლავ შეეფიდა წყალში, დარჩენილი გოჭების გადმოსაყვანად. ვერ გაბედეს გოჭებმა წყალში შესვლა. მაშინ, რაღაც უთხრა დედა ღორმა ისეთი, რომ დაარწმუნა თავის სიმარილეში და წამოიყვანა ერთი გოჭი, შეუდგა წყალს, გოჭი მარცხნივ დაიყენა მოფარებულში, წყლის მთავარი ნაკადი თვითონ მოიხვედრა. და ღრუტუნ-ღრუტუნით გადმოიყვანა ის ერთი გოჭი. ასევე გაისარჯა, სხვა გოჭები რომ გადმოსყავდა. ეს იყო, რაც ვნახე, მეტი არაფერი.

— მაგრამ ეს ხომ მოთხრობაა.

— რომ არ მეშინან! კი ბატონ მოთხრობას, მაგრამ მოთხრობა მარტო ის არ არის, რასაც დაინახავ. თვალმა ნახა, გულმა განიცადა, გონებამ — გასწავა. მოთხრობა აწი უნდა დაიწეროს. რამდენი ასეთი პატარ-პატარა სურათი მაქვს გულში ჩარჩენილი და დრო არა მაქვს, რომ გადავწეროო. ვინ იცის, იქნებ, ერთი საკითხავი წიგნიც კი შეადგინოს.

— ასეთი წიგნის კითხვას მართლა არაფერი აჯობებს.

— მცირე ჩანაწერები იმითაც არის კარგი, რომ ბევრ ტყუილს ვერ იტყვი. ვთქვათ და, ერთიდერთი ფურცელი ქაღალდი გაქვს და რაღაც უნდა დაწერო ზედ, ან ერთი საათი გაქვს დრო სულ, და ის ერთი საათში უნდა თქვა მთელი შენი აღსარება. ცნობილია, როცა გემი იძირება და დალუპვა გარდუვალია, მეზღვაურები ბოთლში ჩააგდებენ ქაღალდის ნაკუწს, სადაც მათი სანუკვარი სიტყვა სწერია. ასე აუცილებელი უნდა იყოს ყოველი ლექსსა და მცირე მოთხრობის ყოველი სიტყვა და წინადადება.

— ეკომმიკაზე ესაუბრობდით, გუშინ რომ დაგშორდით...

— სტენბეკი, არა? განა ეკონომიკაზე საუბარი ლიტერატურაზე საუბარია? ეკონომიკურად მწერალი ხომ იმაზე ფიქრობს, რითაც ხალხი ცხოვრობს. უცხოელთ ერთი კაცი შემეკითხა: თუკი თქვენი სახელმწიფო გეგმიანი სახელმწიფოა, გეგმის გადაჭარბება რატომ არისო ასე აუცილებელი? რა იცის უცხოელმა ჩვენი ცხოვრების ამბავი. გალაკტიონი წერს: „არიან ქვეყნები სხვა, რომელთაც არა აქვთ ზღვა“. და ხომ კარგად ვიცით, რა აწერინებს პოეტს მთელი ღუქსების ციკლს, მთელ ტომს საქართველოს, უკიდურესი კუთხეების გამო. გალაკტიონს, როგორც ეს ფრთხმა დაკაესრა, საქართველოზე ზრუნვა სხვებზე მეტად ეხებოდა, მაგრამ ჩვენც ხომ იმ დროში ვცხოვრობთ, რა დროის შემაფურნერეც ვართ. დღეს საფიქრალი და საღონარი უნდა იყოს ჩვენი კალმის ნათესავი და ამხანაგი. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ის შენობა, რა შენობითაც იგება ჩვენი დედაქალაქის გარეუბნები, მარადი შენობა არ არის. ხვავრიელ მოსავალს ზეიმი შეენის, მაგრამ მწერლის შემოდგომა და ხვავი და ბარაკი, საქვეყნო შემოდგომის საწყაო უნდა იყოს და არა რომელიმე ერთი კუთხე-მეიელის. გლეხიკაცი, რომელიც ვაზს უვლის, უპირველესად, ვაზზე ფიქრობს, მაგრამ თანამედროვე ტექნიკის გარეშე, არც მევენახე ვაოგა დღეს. ერთმა ჩვენმა მეგობარმა მწერალმა, კარგა ხნის წინათ, ჩვენი დედაქალაქი თავკომბალას შეადარა, და ამ მოკლე ფრაზით, ზუსტად დახატა მაშინდელი საქართველოს სურათი. ღვთით, ეს ამბავი, დღითიდღე წონასწორდება და ამ საქმეში მწერლის ამაგი სხეისაზე არანაკლებია. საქართველო მთა და ბარის საღონარი ერთმანეთს უნდა გაეტოლდეს, — ყველგან უნდა გვეპირდეს, როცა გვიჭირს, ყველგან უნდა გვეწინდეს, როცა გვეწინის. იმავე უნამუნოს თქმისა არ იყოს, მწერალს სხეულის რომელიმე ნაწილი კი არ უნდა სტკიოდეს, არამედ, საქართველო. უნდა სტკიოდეს, მისი ამერი და მისი იმერი; სასწორი უნდა გაიმართოს. საუკუნეობით დამდგარი ჭაობის ამოშრობის წინ, იმ საუკუნეებზედაც უნდა დავფიქრდეთ და იმაზეც, თუ რამ შეეშმნა ეს ჭაობი, და იმაზეც, თუ რას დაკრავეთ იმ ჭაობამომშრარალ მიწაში, — სიმინდს თუ ციტრუსს, რას უფრო შეიფერებს ჩვენი ბუნება. კოლმეურნეობის მრავალფეროვნება სკობია, თუ სიბუნთა მეურნეობის ერთფეროვნება. გლეხკაცს ახლა პირზე აკერია, სამოვარი არ გამაჩნია და საკმლის მოვლა-პატრონობა კი მაბარიაო. ადრე გლეხკაცს სამოვარი ჰქონდა და საუნელი კი არ ეგარა, რაღაც საშუალი არის, ლამათ, გამოსანახი, რათა თანმიმდევრულად, დინჯად და საქმის ცოდნით აღორძინდეს ქართული მეურნეობა. ვახტანგ ჭელიძის

„ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“ ამოვიკითხე: კაცი კაცს რომ გამარჯობას ეტყვის და ჯანის სიმრთელეს გამოკითხავს, მეორე შეკითხვასაც მიაყოლებს: საქონელი როგორა გყავსო. ნელინელო უნდა ავადოლძინთო ქართული მეფურნეობა. ერთი ხელის მოსმით არც რომი აშენებულა, არც მოსკოვი და არც ოფშქვითი აშენდება. ასევე, ერთი კალმის მოსმით, საქვეყნოდ ღირებული ნაწარმოები არ დაიწერება.

— კონკრეტულ მოვლენაზე ვსაუბრობდით, მერე კი გადაეუხვიეთ.

— ეს როდის იყო?

— აგერ, ერთი საათიც არ იქნება...

— მე კი მეგონა, გუშინდელ საუბარზე მეკითხებოდი. გუშინ რა ვქმეთ, ისიც არ მახსოვსო, კაცი რომ იტყვის, როგორი ნათქვამია? რატომ არ ახსოვს? არც ფერი ახსოვს, არც გემო ახსოვს, არაფერი ახსოვს? რომ არ ახსოვს, მარტო ის ახსოვს? ეხუმრობ, ძაძა, ამგვარი სიბრძნით, ახლა, ვერავის გააკვირვებ. საკვირველს აგერ გეტყვი: მე და ცხონებული ბებიაჩემი მიედავით შუკაში, ერთი ოდა-სახლის წინ, ჭიშკართან, ხის გრძელ სკამზე ზის კაცი და ათვალიერებს გამვლელ-გამოვლელს. მიესალმნენ ერთმანეთს ბებიაჩემი და ის კაცი. როგორ გიკითხოთო, — მან. — ცუდად, ჭირიმე, ძლიერ ცუდად, — ამან და ბზა რომ გავაგრძელეთ, ბებიას ეკითხა, ასე რატომ უსაუხეე-მეთქი, და თუ იცი, რა მითხრა, კაცი გავახარე, ნენა, რა დაინახე ამაში უვარგისი! ხოლო რატომ გაახარა ის კაცი ბებიამ, ამაზე რომ გიამბო, მთელი წიგნი არ მეყოფა, დიდდიალი. ქვეკნობიერი და გამოუფენელი ამბები ძევს იმ ორი ღერი სიტყვის გაცვლა-გამოცვლაში.

— რა კუთხით უნდა შეხედოს ამ ამბავს მოყურადღებ, ცრემლით თუ სიცილით?

— კარგი შეკითხვა მომეცი, მაგრამ ცრემლი და სიცილი რამ გაყო, სიხარულმა და მწუხარებამ, ორივემ იცის ცრემლი. მეეხრამეტე საუკუნეში ვაზი — „მეტის ღნენთის ტირის“, აგერ, მეოცეში, „უცმო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე, ნეტარება არის რაღაცგვარი“, — მოდი და, გაარჩიე მართალ-მტყუანი, ერთმა მკითხველმა მომწერა, შენს მოთხრობებსა და რომანებს რომ ეკითხულობ, მუდამ ეძებ ეტერიავო, მაშინ გამეხარდა, ახლა კი არ ვიცი, უნდა გამხარებოდა თუ არა ეს ამბავი...

4

— ამ ერთხელაც შეგაწუხებ და მორჩა, მეტი ჩემი ფეხი არ იქნება აქ.

— ასე ჩქარა რავა ღამემდფერე, რაში ვერ მიგიხვდი, ვითომ, განჩი აკლია ჩემს გულს.

— განჩი?

— საგანგებოდ ჩავუჯექი მეგრელს, ძაძა, რაც აქ დაიარები. რა იცი, ხალხნი ერთმანეთს კაცს არ ვაწყენინო-მეთქი.

— ხომ ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ, ერთ შეკითხვაზე მინდა მიპასუხო. რატომ ვიხსენიებთ ასე ხშირად, ჩვენს საუბარში გალაკტიონს?

— გალაკტიონს თავისი მაგნეტური წრე აქვს, ჩემის აზრით. ეს თუ მოქმედებს ჩვენს საუბარზე. ესეც შენი ქვეცნობიერი. როგორი მკითხველი იყო აშენებული, — „დემონიური ადგილები ღ. ჭოწქაძის „სურამის ციხეში“. კარგად დააკვირო, რა ადგილები ამოიწურა. და ამას, ყველფერს, ისევ ენასთან მიეყავართ. ერთი შაოსანი ქალი შემოვიდა ამას წინათ ჩემთან, რამდენი ჯვარი გადაიწერა და რამდენი ლოცვა ჩაიბეტბეტა, ვიდრე ხელს ჩამოვაბამევდი, აღელვებული იყო შალიან. კარგი სიტყვა ვუთხარი, დამშვიდდა, გამიჩემდა, გამიღიმა და ნიავივით გავიდა ოთახიდან. ადრეც ხომ ვთქვი, ჩვენი ენა, ჩვენი ქართული, უპირატესად, სიკეთის მსახური ენაა-მეთქი. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ჩვენი ერის ისტორიას რომ გავხედოთ, კარგად გავიგებთ ამ სიტყვების შინაარსს. ჩვენ, მართლაც რომ სიკეთით ვიბრძვით ბოროტებასთან და არა ბოროტებით. „მეზობელს ხარი უბოძეო“, ხომ გაგიგონია. „კარგი ქენი, ქვას დადევი, გაირე, წინ დაგხვდებაო“, — ხომ გაგიგონია. „რასაცა გასცემ შენიაო“, აი, ასეთი კანონ-სამართლიანი ცხოვრობდა უხსოვარი დროიდან ქართველი კაცი, ასეთი კანონ-სამართლიან ცხოვრობს ახლაც და ასეთი კანონ-სამართლით იცხოვრებს მომავალშიაც.

„შენ კი გენაცვალე, ღმერთო,
ჩვენი გამოსახვისთვისო,
ახლოახლო დაგვახახლე, —
ერთმანეთის ნახვისთვისო“.

დიდი მადლობა, ძაძა შემოვლა-შემოხედვა რომ არ გეზარება, სტუმარ-მასპინძლობაა წუთისოფელი, მეტი არაფერი.

5

— თავის ქებად არ ჩამითვალო და — არავის არ ვგავარ. ისევ ჩემ თავს თუ ვგავარ ცოტათი და ეს არის. ცოტათი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თუკი საკუთარი თავი გამოიცანი და გამოხატე, მწერლობაც მეტი არაფერია. საკუთარი თვალსაზრისისე გეკენება და საკუთარი ფილოსოფიაც. პატარაობიდანვე ჩემნაოქვამა ვიყავი, როგორც სწორი და მართალი მეგონა, ისე ვიქცეოდი, თავს არავის დავეჩაგვრინებდი. ჩემზე ღონიერ ყმაწვილებთან მიყვარდა შეხლა-შემოხლა. ვიცოდი, ვერ მოვეერეოდი, მაგრამ, ჩხუბში უკან არ დავიხევდი,

იმიტომ, რომ მარტო ღონე არა სწყვეტს ხოლმე გამარჯვება-დამარცხების საქმეს. მკლავის ღონე სხვა არის, სულის ღონე — სხვა. ამას, ჩემი ბაბუკაფის ასაკში, „დუხს“ ეეძახდნი, „დუხით“ აიყვანაო, „დუხით“ აჯობინა. ამგვარი „დუხი“ სპორტება რაიმე ღირებულის შექმნას, ახლის შექმნას. თუმცა, ამას იღბალიც უნდა. მარტო ცოდნა აქ ვერაფერს გიშველის. „მაგრამ მარტო წყრნინა ის ეზამ, თუ ბუნებამც არ უშველაო“. ნიუტონმა აღმოაჩინა კანონი, რაც, თავისთავად, ათასეზრის იყო აღმოჩენილი. არსებობდა, მაგრამ ვერავის გამოუთქვა. კანონად არ იყო ჩამოყალიბებული. ნიუტონის მერე რომ ეაკვირდები, ვაშლი ისე მძიმედ, ისე ჯუდ და ისე მოწყვეტით ეცემა მიწაზე, არ შეიძლება ეს კანონი მე არ აღმოვეჩინა, მაგრამ, ნიუტონს „ეაუმართლა“. „იღბლიანი“ კაცი იყო და იმიტომ. არაფის არა ვგვანარ-მეთქი, — ჩემი ეზით მივდივარ და კი ვიცი, სათაც მივდივარ. იქ სხეებიც მიდიან, სადაც მე მივდივარ, ყველას ერთი გეზი გვიჩიოქეს, მაგრამ ყველა საკუთარ ეზაზე მიდის და ეს არის მთავარი. ვიცი-მეთქი, სათაც მივდივარ. რაღა დაგიმალო ღა, მე სამთოხეზი მივდივარ. სამთოხეზი მისისველი ჩემი ეზა კი ასეთია: დაბადება, ობლობა, ტანჯვა, წვალება, მწუხარება, ბეერის დაკარგვა, ბულოტკეილი, საავდმყოფო, საავდმყოფო, საავდმყოფო, — გრძელი და ვიწრო დერეფანი, ურნები, თეთრი მტრედები. სიზზარ-ცხადიანი ძილი, არა ძილი, — წრიალი, სიცხე, ანთება, ფხიზელი ძილი, ფხიზელი სიფხიზლე, ფხიზელი ბუნანი, წითელი ტიტები, ფეეანა დ. თვალთვალი, ფოლადის დაუსრულებელი მილი და სივრცე-უსასრულობა. სამთოხე. იგი. ვინაც აქ დიდად გახარებულია, იქ, ალბათ, ტანჯვა-წამებას მოიმეის. და მაინც, ღმერთმა ნუ ქნას, — სულ ერთი წამით გახარებულს, მთელი მარადისობა ეწამოს. წამწამი რა არის? წამწამის დაფაზულება, არა? წამმეაც, ალბათ, წამიდან მოდის. წამება-წვალება. წამი. წუთი. წამი და წუთი ერთია. „წამი წუთისოფელი“. წუთი-სოფელი. წამი-სოფელი. მაგრამ იქ როგორ სწერია — „წამწამისა მსწრობელი“. ესე იგი, წამიც კი არაა, წამწამს ასწრებს. უფრო ჩქარია. არ ვიცი. თუკი ეს ასეა, როგორც ახლა მგონია, სულ სხვანაირად ყოფილა საქმე. მაგრამ ახმატოვას ლუქსი რა ეუფთო?

«И тихо, так, господи, тихо, что слышно, как время идет, тихо, так тихо, что как», და თითქოს, კაკ-კუკ, კაკ-კუკ, მართლა ისმის, დრო როგორ მიდის. თუმცა, დრო, ალბათ, საერთოდ არ არსებობს.

— „თუკი რამეს აღმერთებენ და პატივს სცემენ ამერიკელები, ეს არის დრო...“

— მანდ სხვა ამბავია შეფუთნული. ეს გამონათქვამი სამუშაო დღეს ეხება. ჩვენი სამუშაო დრო, ბუნებაში შეკადარე ამერიკელების სამუშაო დროს. აგერ, ბატონო, ჩემი „ოდისეესეის დაბრუნება“ ავიღოთ და წაკითხოთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აკ შესვენება თუ არ არის, გამორიცხული ეოლა მეუსასთან მასლაათი, შეკითხვების მიცემა, როდის შეუყვარდა ეს პროფესია, ან სხეა. ეს არის უკიდურესად დაძაბული და თავაუღებელი შრომის განაწილების სამაგალითო პროცესი... საავტომობილო ქარხანაში შევედი და თავი სანტიარული ჰიგიენის კაბინეტში მეგონა...“ და ასე შემდეგ... ჩვენი დრო რას მიაქვს? ბადრაკის თამაშს, ჯემპრის ქსოვას, გადმყიდველთმან ურთიერთობას, ჭორსა და ყაყანს, ლოტოს და დომინოს, — აი, მაშინ რას ეგულისხმიდი, დრო ერთია და მტკიცე, განუწყველელი. მარადიული. დრო, ალბათ, თავად ღმერთია. ის ყველგან არის, ყველგან იყო და ყველგან იქნება. ახლაც არის, როცა ჩვენც ვართ და მაშინაც იქნება, როცა ჩვენ არ ვიქნებით. დრო ყველაფრის ბატონ-პატრონია. არაფერი არა აქვს ხელში, მაგრამ ყველაფერი აქვს. მთავარია, ვინ როგორ გაიგებს ამას. ვინ როგორ აღიქვამს. „ყამი მიეალის, მოვალის, მუცოს, თორქეიის კარზედა“. ეს პოეზიაა, თუ გინდა — რომანი, თუ გინდა, ფილოსოფიური ტრაქტატი. მე ვამბობდი, ჩემი ეზა სამთოხისკენ მიდის-მეთქი. მილი გავიარე და იქ აღმოვჩნდი, სადაც არასოდეს არ ვყოფილვარ. აეთანადილი ეუნნება ტარიელს, სად არ ვიყავი, სად არ ვიარე, იქაც კი ვიყავი, სადაც ღრუბელი ვერ მიეკო; ჰოდა, მე მგონია, ისეთ ადგილას მივედი, სადაც კაცისშვილი არა ყოფილა. საოცარი კი რა არის, თუ იცი? იმ სიჩუმეში და უსასრულობაში რომ აღმოვჩნდი, — დაჯექით— მითხრა ხმამ. საად? — ვიკითხე გოგაწეზულმა. აი, აგერ, სკამი რომ დგასო. ღრუბლის სკამი? ბამბის საეარძლი? არა. ნამდვილად სკამი იყო. ზვიეკცეკი-მეთქი. სკამი ხომ მიწაზე არა დგას, — ნუ გეშინაო, კედელს მიეყრდენო. ღრუბლის კედელი? არა, ნამდვილი კედელი იყო. წარმოიდგინე, სკამი გიდგას და ზიხარ შენ სკამზე, სადღაც, უსაზღვრობაში, უსასრულობაში, ცის სიმჰა ტეში, და სიფაროთვეში, და არ ეცემი...

— მფრინავი ხალიჩა?

— არ მეგონა, თუ მიმიხვდებოდი, ქართველი კაცის სიზმარი და მოჩვენება სხეა არის და სხვისი კიდეე — სხვა. აქ რუსთაველიც მონაწილეობს და მფრინავი ხალიჩაც, მაგრამ ეს ყველაფერი ძალზე გვიან შემოდის სინათლის წრეში. მერე ხდება საგნობრივი და ხელშესახები. მანამდე კი სული გეხუთება გაურკვევლობისაგან.

— ბოლოს და ბოლოს, ალბათ, ყველაფერი ნათელი გახდება.

— ბოლო-ბოლო კი. ბოლოკი.

„ამერიკელ ბავშვებს კოკა-კოლა ეუყიდე. ჯერ დაიმორცხვეს და სასტიკ უარზე იყვნენ, მერე, ოდესაც ეუთხარი, ნუ მერიდებით, საბჭოთა მილიონერი ვარ და ბევრი ფული მაქვს მეთქი, გულიანად გაიცინეს და კოკა-კოლაც გამომართვეს. ერთმა მკითხა:

— მართალია, რომ საბჭოთა კავშირში მასწავლებლები ბავშვებს სცემენ!

— რა თქმა უნდა, — შევეპასუხე.

— მაინც რატომ სცემენ?

— აი, ასეთი შეკითხვების გამო, ეუპასუხე და შემკითხველს რბილ ადგილზე ხელი დავარტყი. ძალიან გაბჩიარტელდნენ.

— სან-ფრანცისკო თუ მოგეწონათ? — მკითხა ახლა პატარა გოგონამ.

— არა, არ მომეწონა, — ეუპასუხე მოგონილი სერიოზულობით.

— რატომ? — გაუკვირდა გოგონას.

— იმიტომ, რომ მთელი დღე დავდიევარ და არავინ მესალმება. — ამაზე უფრო მეტი იცინეს.

— მართლა გინდათ ამერიკის დაპყრობა? — მკითხა უცებ ბიჭმა.

— არ დაგიმალავთ და კი გვინდა, — გამოვუტყდი მე.

— რატომ? — მკითხა დადარაჯებულმა.

— ამერიკა ისეთი ლამაზი და მდიდარი ქვეყანაა, შენც რომ ჩვენს ადგილზე იყო, შენც წაგძლევედა სული.

შეგიტყვე, თან ესიამოვნა, ჩემი პასუხი, თან გაუკვირდა.

— თქვენ რატომ გინდათ ჩვენი დაპყრობა, — ახლა მე ეკითხე.

— ჩვენ, ჩვენ სულაც არ გვინდა, — ასე მიპასუხა დაბნეულმა.

— აგაშენა ღმერთმა, ამა, ჩვენ, მითუმეტეს, არ გვინდა-მეთქი და ხელი გავუწოდე. თვითონაც გამომიწოდა, მაგრად ჩამოვართვი, თან დავძინე:

— იცოდე, სიტყვა სიტყვაა!

— სიტყვა სიტყვაა! — მიპასუხა სიცილით. მერე ერთმანეთი გადავკოცნეთ. ასე დავდე ამერიკის მომავალ თაობასთან ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულება“.

— ახლა ერთ შეკითხვაზე უნდა მიპასუხო; შენ, როგორც განათლებით ეკონომისტს, ბევრი რამ გაინტერესებდა, ალბათ, ამერიკის ცხოვრებიდან, მაგრამ ძალზე ცოტა რამე თქვი, კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკაზე. რატომ?

— ჩემი წიგნის ოცდაშეკსრამეტე გვერდზე წერია ამ შეკითხვის ამომწურავი პასუხი.

— როგორც ჩანს, გამომრჩა ის ადგილი.

— რაღაც მუდამ გამოგრჩება, აბა, რეგიონალ ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
გინდა.

— და მაინც, მოდი, ერთი-ორი ღერი სიტყვა დღეის პოეზიაზეც ვთქვათ.

— დღეის პოეზია, მე ასე მესმის, ის არის, რაც იყო ოდესღაც, ხოლო ის, რაც იყო ოდესღაც, დღეს პოეზიაა. ერთხელ ხომ გითხარი, გალაკტიონი რუსთაველზე ხანიერია-მეთქი. ამიტომაც ამბობს: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“.

— ანა ცალანდაძე?

— ახლა ანიკის მოვუსმინოთ.

„მწუემსმა ჰკითხა: რომელია ქართლის გზაი? მწყემსმა უთხრა: სამართველო არის ესე...“

ეს, რაც შეეხება მიწას,

„ტყეს, დუმელი გვეყო, გვეყო, მკვდარი არი, დღეს დუმს ვინცა...“

ეს, რაც შეეხება სულიერსა და უსულოს.

„თავს დამელეარა მე სახარული და დამანახა მთიების ბრწყინვა...“

ეს, რაც შეეხება ცას.

ასე იქცევა პოეტის მსოფლმხედველობა, ასე მაღლდება დღითიდღე, თანდათან, ვიდრე დიდრუსთველურ სიბრძნეს შეიმეცნებს:

„რტოა დაფნისა სიკეთის ხელში...“

„შენ, სინათლის მეუფევ, განუწყვეტელ მზის ხარ... ო, შენც ქებათ-ქების ღირს ხარ, ღირს ხარ, ღირს ხარ, სასოების მფენო, გბრწყინებულ ცის ხარ...“

„ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი...“

ეს სიტყვები ანას ეკუთვნის და ეს სინანულის სტრიქონებიც ამ საუნჯის გამოა გამოთქმული:

„ეხლერნი ბრწყინვა არს მათი ბრალი...“

ამაზე უკეთ შემოქმედის ნამოღვაწარზე ალბათ არც იფქმის.

გვეყოფა, ახლა, ენაწყლიანობა, დავიხ‌ეროთ ქუდები და გავიდეთ სუფთა ჰაერზე. ქუდი ხომ გახურავს? არ გინდა, რომ მე მომმაძო და დამემგვანო, არა? აგერ, მალე ზამთარიც ჩამოდგება და ვნახოთ, სანამდე იქნი ასე თავშიშველი. თუ გინდა, ჩემს ოსტატს შევეკერინენდ. ადრე ყველას თავისი ოსტატი ჰყავდა. ახლა, იშვიათად თუ ვინმე შეიკერავს ჩასაცმელ-დასახურავს. ტარიელ ჭანტერიას ლექსი ხომ გახსოვს შენ: „მე ვიხდი პერმში შეკერილ პიჯაკს და ცოტნეს გვერდით თამამად ეწევიო“, რომ ამბობს. ერთი სამკერავლის მზა ტანსაცმლისა და ერთი ფაბრიკა-ქარხნის სურსათ-საოვაგის შემყურენი ვართ ყველა. ერთ ბაზარ-

ში დაიარები უამრავი ხალხი. ოთარ ჩხეიძეს აქვს ერთი პატარა ნოველა, სადაც სოფლელი ქალი ავტობუსით ბრენდება ქალაქის ბაზრიდან და თან მიაქვს მწვანილეულით გაძეძგილი ჩანთა. ეს, სადამდე მივიდა დღეის ვითარება. ამიტომ ვეკითხე მე, კოლმეურნეობის მრავალფეროვნება სჯობია თუ საბჭოთა მეურნეობის ერთფეროვნება-მეთქი.

6.

— რაზე ვსაუბრობდით?

— სიყმაწვილის ასაკი იგონებდი, ოთარ ჩხეიძის ნოველა გიახსენე, მწვანილეულით დატვირთული ქალი რომ გაჭიერებით აკიდა ხალხით გაჭედილ ავტობუსში.

— მაშასადამე დიდი კაცი იყო. ასე მიაჩნდა სოფელს. სამსახურის კაცი იყო მაშასადამ. მაგრამ მე უფრო გლეხიკაცი მგონია თავი. არც ის ამბავი უნდა დაივიწყოთ, ქამა, რომ გლეხიკაცი ბულგარეველად აღიქვამს გარეშე ვითარებას. როცა წვიმს, იმისთვის მართლა წვიმს, გლეხს რომ უთხრა, ღმერთი არისო, გაუკვირდება. მზე რომ ფამოვა, გლეხიც გამოვა, თოხს დაატრიალებს ყანაში. მოსამსახურე კაცთან შედარებით, გლეხიკაცი, ნაკლებ სიტყვის ხარჯვეს ლაპარაკში. საქმე და საუბარი ერთმანეთის ამბანაგი არაა. ახლა, ისიც გაეცინოთ, რისთვის იბრძვის და რისთვის იღწვის კაცობრობა? იმისთვის, რომ (ტოტა იმეშაოს და მეტი დაისვენოს. იმისგან, რომ შრომისგან საბოლოოდ განთავისუფლდეს. ეს არის, როგორც ვხედავ, კაცობრობის საბოლოო მიზანი. მან ყველაფერი მანქანების გადაბარა, მიკროსკოპი გამოიგონა. საინგარიშო-გამომთვლელი მანქანა გამოიგონა და რაზედაც ტკინი უნდა ევარკიშებინა, მანქანამ გამოუანგარიშა. ღილაკზე თითი დააჭირა და მოტორი ამუშავა. ახლა, გაეგებოდთ ეს ხუნარი დროიდან დღემდე მომავალი ომის გზას, ადრე ასე იყო: კაცი ტოტით მიდიოდა კაცზე, მერე კაცმა ცული გამოიგონა, ქვის სროლა ისწავლა, მერე — ისარი გამოიგონა. მერე — ხმალი, მერე — თოფი, მერე — ფუმბარა, მერე — ქვემეხი, მერე თვითმფრინავი. ცოდან დაბომბა ქალაქი და სოფელი. ქალაქს ბეები ხვდება, სოფელს — ნაკლები. ხომ საგულისხმო ამბავია, თუკი დაფაკერდებით. ქალაქი იგონებს თვითმფრინავს და თვითმფრინავი ქალაქს ბომბავს. ქალაქში მეტი მაცხოვრებელია და მიტომ. რაკეტა გამოიგონა. არაბალია, ძველია. მაგრამ მაინც, სადღეისო სატკივარია, რაზედაც ჩვენ ვსაუბრობთ. კოსმოსური ხომალდი და წყალბადის ატომი გამოიგონა. ლაზერი და საკონტინენტთაშორისო რაკეტები გამოიგონა. ახლა ერთი ნეკა თითით შეიძლება დიდი ზიანი მიაყენო კაცობრობას, აუნაზღაურებელი ზიანი. კაცს შეუძლია, სულაც ბოსპოს ეს დედამიწა. ადამიანებმა იარაღის ისეთი მარაგი შექმნეს, რასაც თავად ვერ უელიან, ვერ სპობენ. იარაღი გაუბატონდა ადამიანს, ამას ეწოდება, ეგრეთწოდებული, გაუცხოება. პატარა ბისას ხომ წარხტებებიანერ შენს კბილ ... ყმაწვილს. ისიც ხომ ხდება, რომ ორი ყმაწვილიდან, ვერც ერთი ვერ გაბედავს ჩხუბის წამოწყებას და ასე გადაწყვეტენ, ვინც უფრო შორს გადაადგურთხებს, ის იქნებაო გამარჯვებული. ამას ეწოდება მშვიდობიანი ომი. ვინც უფრო შორს გასტყორცნის კოსმოსურ ხომალდს, ის იქნება გამარჯვებული. ნამდვილი ომი ღმერთმა გვაშოროს. მაგრამ ერთი რამეც უნდა ვიგულისხმოთ, ზოგჯერ, ომიც კი, სულის მისწრებაა. გაიჩნია, ვისთვის და რისთვის.

— დამონებული ხალხისათვის, ცხადია.

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, ვესმის, როგორც ჩანს, რაზეა საუბარი.

— გლეხიკაცს ამ ვსაუბრობდით.

— გლეხიკაცს არ უყვარს ომი. მიწა უყვარს. ომში მიმავალი გლეხიკაცი უფრო ძნელად ეთხოვება თავის ადგილ-მამულს, ვიდრე ქარხნის მუშა თავის ჩარხსა და მოტორს. გლეხი უფრო ინანებს ერის დათან-წესებს. ჩარხი დღე-დღე უკეთესდება, გლეხსა და ნიადაგს კი ხანიერი და ერთფეროვანი ურთიერთობა აქვთ.

— მაგრამ, სიახლე ხომ მაინც სიახლეა.

— სადაა ამდენი სიახლე. ცოტა რამე შეიცვალა დედამიწაზე, მისი გაჩენის დღიდან. ადამიანი იბადება, იზრდება, მიწას მოვლა უნდა, როგორც უნდოდა ამ უხსოვარ დროს. რა სიახლეებზეა ლაპარაკი! კი დადმინანმა მოინდომა ბუნების გარდაქმნა, მაგრამ, ბოლოს მაინც ბუნებას მიპყვა, ბუნებას დაუბრუნდა.

— თუ უნდა დაუბრუნდეს?

— სად — როგორ. ზოგი დაუბრუნდა, ზოგი ახლა უბრუნდება, ზოგი — მერე დაუბრუნდება, მოგვიანებით. გლეხი თუ ომში წავიდა, ვაზი მოუცელელი დარჩება, ქარხნის მუშა თუ ომიდან დაბრუნდა, მოტორი ქვლავაც ოოლად ამუშავდება. ვაზი კი — გაჩანაგდება. მიწას დინჯი და თანმიმდევრული მოვლა-პატრონობა სჭირდება. ამ ნაოფლარ მიწას ვერ თმობს გლეხი. უბრალოდ რომ ვთქვათ, რეკლეუციაც ხომ ამიტომ მოხდა. გლეხს მიწა არ ჭმნდა და მუშას — ფაბრიკა-ქარხანა. მიწაც და ქარხანაც თქვენი იქნებიო, აი, რატომ მოხდა რეკლუციაც. არც შეიძლება, არ მომხდარიყო. იმდენად დიდი იყო მიზანი. ახლა მაგრამდება ორი ჩვენი სოფლელი კაცი. ერთი — თოხის კაცი და ერთიც, თოფის კაცი. ამ ორი კაცის ურთიერთობაში მიდის მთელი ცხოვრება. თოხი უფრო მჩატეა თუ რეკოლვერი? ნაგანი თუ თოხი? გაჭიერებაში გიაირა-მეთქი ჩემმა ბავშვობამ, ობლობასა და სიღარიბეში, თუმცა ვიმეორებ, მაშასადამ დიდი კაცი იყო. 21 წლის ყმაწვილი საკვეყნო საქმეს განაგებდა. მაგრამ, ხომ იცი, ქამა, რა დროც იყო. მაშასადამ გზას არც ჩემი გამზრდელი დედა ასცდა. ომი დიწყო.

«Высокая война» ...ასე წერს პასტერნაკი. მე მიწევდა ოჯახის მოვლა-პატრონობა. ოღ-

რნდაც, ზურიკელი არა ვარ მე, ისეთი იუმორი და სიხალისე არა მქონდა. მიწას ვბარავდი. ჩაის ვკრეფდი. შენი მოწონებული ჩინელები, ალბათ იცი, საუკუნეა, რაც ჩაის სვამენ. მოვიდა ერთხელ შებინდებულზე, ბრიგადირი და სამუშაო ჩაბარა. 700 კვადრატული მეტრი მიწა გადავბარე იმ დღეს. ეს კარგად მახსოვს. არ დაიჯერა იმ დალაცვილმა და ამხანაგს დაუძახა, რათა კარგად გაეზომათ ჩემი გადაბარული ფართობი. დიდხანს ზომავდნენ მიწას, დიდხანს ანგარიშობდნენ, მაგრამ მართალი გამოვდექი. ახლა იმაზე იტეხეს თავი, როგორ გამოეწერათ ჩემთვის ზრომადლის სიფასური, — როგორც ბავშვისთვის თუ როგორც კაცისთვის. როგორ გამოეუწერათო, ესეც კარგად დამამახსოვრდა. დიდხანს ირჯოდნენ. ახლა, აგერ, რა გაანახო, — ეს კრებული სპეციალურად წაბოვიღე. არ ვიცი, წაკითხული თუ გაქვს ეს ლექსი. აქ წერია კარგად ზრომის ორგანიზაციის საკითხი. ფოროტი უსწავლელი კაცი იყო. უნივერსიტეტი არ დაუთავრებია, თუმცა, შემდეგომში, ათეული აკადემიის წევრი გახდა, და ლექციებსაც კითხულობდა ძველი მეწყალე პოეზიისა და ხელოვნების საკითხზე. მაგრამ, მეტ ხანს, პოეტი, თავის ფერმაში ტრიალებდა. ღობეს ღობავდა და საქონელს უვლიდა. კარტოფილს რგავდა და სიმინდს თოხნიდა. მოკლედ მოგიყვები ამ ლექსის შინაარსს. ერთ დაზამთრებულზე, როცა ფოროტი თავისი ფერმის მახლობლად შეშას ამობდა, ორი უცნობი კაცი მიადგა კარმიდამოზე. ერთ მათგანს გრძელი ხერხი ეკიდა მხარზე. რა თქმა უნდა, მხერხავები იყვნენ. ფოროტმა რომ თავი აიღო და ის ორი უცნობი კაცი დაინახა, უჩვეულო ხალისით გაბაგბერი შეშის ჩიტვა. კარგად ეაპობდი შეშას, წერს ფოროტი, — ნაფოტიც არ დამეკარგნია მიწაზე, ჩემისთანა კაცი ქვისგანაც გამოიყვანანო სამოს; მაგრამ აქ იწყება სწორედ, დიდი ტრაგედია. პოეტი იმაზე ჩაფიქრდა, ქონდა თუ არა უფლება, იმ სამეს მოპკიდებოდა ისე ხალისიანად და თავის გასართობად, რა საქმითაც ის ორი მამაკაცი ლუკმაპურს შოულობდა. და მერე დასძენს... თუმცა; აგერ, წაეკითხოთ, როგორ მთავრდება ეს ლექსი:

«Но, как смирится с таким разделением,
Мне надо, чтоб навсегда сопряглась, —
В жизни работы со вздохновением,
Как зрении с глазом в союзе глаз.
Лишь там, где труд с призванием слилось,
И труд стал игрой для спасения людей
Лишь там работа идет всерьез,
Во имя неба и лучших дней».

სხვათა შორის, კენედიმ ფროსტის კუბოსთან თქვა გამოსათხოვარი სიტყვა და ასე დაიწყო: „ამერიკა — ეს არის ფროსტი. ამერიკას დიდიძალი ტექნიკა გააჩნია, მაგრამ ეს მიწისა და ბუნების მოყვარე კაცი, ეს პოეტი უფრო წარმოაჩენს ჩვენს სამშობლოს, ვიდრე მეცნიერება და ტექნიკა“. და, თავისი სიტყვა იმავე ფრაზით დაამთავრა, რითაც დაიწყო — „ფროსტი — ეს არის ამერიკა“

ამასწინათ, ერთი ჩემი მეგობრის ესსე წაეკითხე პუშკინის შესახებ, საღაც ამბობს, რომ პუშკინი უკეთ იცნობდა თავისი დროის სოფელსა და იმის მეურნეობას, ვიდრე რომელიმე, თანამედროვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე. კრიტიკოსი წერს, რომ პუშკინი უკეთ იცნობდა ცხენებს, მეცნიერებს, სამეურნეო ტექნიკასა და ხელსაწყოებს, ნიადაგს და ასე შემდეგ... ზრომის პროცესმა მომგონა ეს ლექსი.

მაგრამ, შენს მიერ ახლახან გამოთქმული, კაცობრიობის სამლოცო მიზანი, ჩემის აზრით, არ ემთხვევა ამერიკელი პოეტის დასკვნას.

— ვერ დავეთანხმები, ფროსტის მიხედვით, ზრომა ადამიანს ხალისს უნდა ანიჭებდეს. ზრომა შთაგონებას უნდა გაუტოლდეს. არა გამორჩენის მიზნით უნდა ზრომობდეს ადამიანი, არამედ, ზრომა მისი ბუნებრივი მოთხოვნილება უნდა იყოს. ბალი ვიყავი და კაცის დარად ვმეშაობდი-მეთქი ბეული კი არ მიმირბოდა ჩაის დასაბარად, აუცილებელი იყო, იმ ხანებში, ჩემი ბარიკა. თავი უნდა მერჩინა. ეს რომ არა, გავიტანდი ფრთას და იქვე ჩავასობდი ბარს მიწაში, ბლუზა-შარვალს გავიბერტყავდი.

თუმცა ქართველი კაცი, მეტწილად, თოხის კაცია. მიწის კაცია. ვაზს გვიჩგსავდნენ, სახლებს გვინგრევდნენ, გვაოხრებდნენ, მაგრამ რა ეტყობა ახლა ნათურქალსა და ნოხრალს ქართველს სანახებს. ვაზის სიყვარულმა გადაგვარჩინა. ღვინო მაქვს, ძამა, შინ, ნამდვილი ადესა, მეწვიე და დავლოთთ თითო ჭიქა სალხინო და ვილაპარაკოთ. ალისფერი ღვინით სავსე ჭიქას რომ ხელში დაიჭერ. ენაზეც სხვაგვარი სიტყვები მოგვადგება. საოცარია, ლანდშაფტისა და გარეშო ვითარების გაფლენა ჩვენს მეტყველებაზე. ერთხელ, მე და ნოდარ ჩხეიძე მივდივართ რუსთაველზე, არ მახსოვს, რაზე ესაუბრობდით, ნოდარი საუბრობდა, მე ვუსმენდი, ნოდარის საუბრიც კამთსა ჰგდა, გაცხარებით ლაპარაკობდა. ჰოდა, მე, უცებ, ადრე წაკითხული ერთი მოთხრობა მომაგონდა, „ბობოქარი ხომალდი“, — მიწა-მეთქი, ჩავილაპარაკე ჩემთვის. რამ გაგახსენაო ის მოთხრობა, მკითხა ნოდარმა. არ ვიცი-მეთქი. მაგრამ რუსთაველის პროსპექტზე ისეგ რომ ჩამოვიარეთ, მიეხედი, რატომ მომაგონდა ეს მოთხრობა. მაღაზიის ვიტრინაში, ზედ ქუჩაში მოსირბენელ ხალხს ცხვირწინ. ერთი უშველებელი, წვინტმოკუბებული ფეხსაცმელი იდო. აგერ, ამ ფეხსაცმელმა მომაგონა-მეთქი ხომალდი. ნოდარმა გაიღიმა და მითხრა, ეს მომეცნი მარტო ქართველ კაცს დაამახსოვრდებოდაო, —

ვითომ რატომ-მეთქი, — იმიტომ, რომ შენ კოლში კაცი ხარ და კოლში კიდევ უხსოვარი დროდან მოკიდებული, ხომალდის მშენებლები და მეზღვაურები იყვნენო. ასეთი დიდი გაგლენა აქვს ჩვენს მეტყველებაზე გარეშო სიტყვებს.

—„ხაზარულათი“ აღძრული ფიქრები, — ასე უნდა დავარქვა ჩვენს საუბარს, თუკი, რასაც ვიმახსოვრებ, ქაღალდზე გადავიტანე.

— რატომ?

— რა ვიცი. ახლა გავიფიქრე.

— ამ რამდენიმე წლის წინათ, გუდაუთაში, ერთი კაცი ამიხიზოდა, ბეწინინს წერტოთან, გინდა თუ არა ურიგოდ უნდა გამიშვაო.

— რატომ — ვეკითხები.

იმიტომ, რომ აქაური ვარ და მე ასე მსურსო... ვატყობ, ნასვამია, აშკარად, ზარზეა და ჩხუბი უნდა. თან ეხედავ, მხარზე მარტო ჩინეა უზის, ანგელოზი არსად ჩანს... რა თქმა უნდა, არ წავეჩხუბე, ურიგოდ გავუშვი მაგრამ, ამ რიგმა ახლა, კარგი რამე მომმგონა. წადი ახლა, ძაბა, შენ, ერთი მთხოვნელი უნდა მოვიდეს, მარტო უნდა ველაპარაკო.

7.

— ცოტა შევისვენოთ, კაცს ან ბევრი ლაპარაკით ალვავენ, ან უთქმელობით, ხომ იცი შენ?

— კარგი, დღეს არ შეგაწუხებ.

— უსვე ამიშალე ლაპარაკის საღერღელი და მეტი შეწუხება რა გინდა. ნახე ერთი, რომელი საათია.

— საათი არა მაქვს.

— მე კი მაქვს! გალაკტიონის ფრაზაა, — საათი რატომ არ გიკეთია?

— დროის შესახებ ხომ ვილაპარაკეთ?

— ახლავე ვეტყვი, რომელი საათია. (დუმბაძეს ჯიბის საათი ამოიღო და დახედა) — საცაა, შვიდს ჩამოჰკრავს. იაპონური საათია. უზუსტესი.

— ამერიკაში ხომ დასტოვე ერთი საათი, შენი წერილიდან მახსოვს.

— დამემტვრა, ძაბა, ის საათი. ხელიდან გამივარდა და არ აეხიკე. კატაევი შემეკითხა მოსკოვში რომ დავბრუნდით, რატომ არ ახიკეო, მე ვუპასუხე: საათის შესაკეთებელი ფული ამერიკაში საიდან უნდა მქონდეს მეთქი. გაიცინა და თავი გაკაანტურა: რა ხართ ეს ქართველებიო. ის, ხომ იცი, დრო რომ მიდის, ერთი ნუგეშია, თუკი ცუდ გუნებაზე ხარ; თუკი კარგ გუნებაზე ხარ, გწყინს, დრო მალე გადის. ფეხბურთს რომ უყურებ, გინდა, არ გათავდეს მატჩი.

— მაგრამ თუკი ვიგებთ?

— თუკი ვიგებთ, გინდა დრო მალე გათავდეს, თორემ, რა იცი დრო და მსაჯი რას მოგვეტანეს. გუშინ გითხარი, ლიტერატურაზე არ ვილაპარაკოთ მეთქი, წუხელის კი ხანი ვიფიქრე ლიტერატურაზე და აი, რას მივაგენი. ლიტერატურა ის არის, რაც არის აბრეშუმის პარკის ქსოვა, ანდა — ფუტკრის შრომა. რადგანაც თითული კილომეტრი უნდა გადალახოს ფუტკარმა, რამდენი უნდა იწუალოს და ინერვიულოს, რამდენი უნდა იფრინოს და იცეცავოს, ერთი წვეთი თაფლი რომ მოიტანოს შორი მინდვრებიდან. ასე წვეთ-წვეთობით გროვდება სკაში თაფლი. ოღონდაც, იმ თაფლსაც განსხვავებული გემო აქვს, როგორც სხვადასხვა მწერლის ნახელსაქმარსა და ნაფიქრალს. ზოგი ბუნებით გემოთი გამოირჩევა, ზოგი — მწარეა, ზოგი—მწკლარტე, გაიჩნია, რომელი ყვავილებიდან მოაგროვა ფუტკარმა თაფლი. როგორი ენითა და სიტყვითი, როგორი ფერებით მოიქსოვა რომანისა თუ მოთხრობის ხალიჩა. მერე ის ამბავიც ხომ კარგად ვიცით, რა მოსდის თავად თაფლის შემოქმედს. ასეა, აბრეშუმის ჭიაც. ამ შემთხვევაში უფრო ნათლად ჩანს შემოქმედის გრძელი და დამალული გზა. აბრეშუმის ჭია, ვიდრე ქიად იქცეოდეს, ერთი ბეწო, პატარა წერტილია. იზრდება, ღონეს იკრებს, შრომობს, ისვენებს, მთელი ეზოს თუთა არა ჰყოფნის, მუშაობს გამუდმებით. მერე გამოვა პირველ კაბაში, მეორე კაბაში, მესამე კაბაში, აღიდგება, როგორც იტყვიან, ადგილ ეძებს დიდის გულმოდგინებით, პარკის მოსაქსოვად, გაამაქს და გახლართავს აბლაბდას, გატტუნდება, გასისმარდება და იწყებს ქსოვას, ფერს იცვლის, და ასე გავიგებთ, რომელია ყვითელი და რომელი თეთრი, მერე აბრეშუმი აბრეშუმად წავა და პარკიდან ჭუპარი გამოფრინდება. იმ დიდი ნაყოფისა და ფეროვნების საზღაურად, რაც შექმნა, ფრთები მოესხმება. მერე ისევ ნამეცეი თესლი უნდა გამოიჩეკოს, და ასე შემდეგ, — იკვრება წრე, ფარგალი, — სიცოცხლის მარადიულობაში თუ გინდა დარწმუნდე, აბრეშუმის ჭიას უნდა დააკვირდე.

ღვთისმშობელო მარიამო, დამმადებელო დამმადებლისაო, — ასე ლოცულობენ გელათში.

ყველა შემოქმედის ნაწარმოებიც, ამგვარსავე გზას გადის დაახლოებით. ყველა კაბაში გამოვა, ყველა მოსამზადებელ სამუშაოს გასარულებს და, ბოლოს, ვღებულობთ ნაყოფს, რომელი ნაყოფიც აპურებს მკითხველს, და მკითხველიდანვე უბრუნდება თავის შემოქმედს.

— „რუსთაველმა შექმნა ენა და ხალხი და ხალხმა და ენამ შექმნა თავად რუსთაველი“.

— კი.. ასე მიწერია. შემოქმედის გზას გადის ყველა სულიერი ამ ცისქვეშეთში. ჩვენ რომ ჩიტებისა და მეცენარეების ენა ვიცოდეთ, რა თქმა უნდა, ამაში იოლად დავრწმუნდებით. რამდენი ღერი ბალახის ფესვი და რამდენი წვეთი ტალახი უნდა მოიპოვოს ჩიტმა, რომ ბუდე ააშენოს. განა კაციც ასე არ აშე-

ნებს თავის სადგომს? ეს, რაც შეეხება ფორმას. ახლა, შინაარსი თქვი შენ, აბრეშუმის ჭიისა არ იყოს, როგორი ხარისხის საქონელს იძლევა დალოცავი, ანთე დფიერებულხარ, რომ ჩიტის ბუდე ეს არის მარტო პირით აშენებული ბუდე, როგორი ნფერები და ნალოლიავები. როგორ არის შეხამებული ბუნებასთან, ფერი — ფერთან, და ასე ირჯება მთელი ცისქვეშეთი. დამადები გვეუბნება, რომ ღმერთმა ადამიანი თიხისგან შექმნა. დაინახა, რომ კარგი იყო, და სული შთაბერა. თიხისგან შექმნილი ისევე მიიქცევა თიხად და, ასევე, ალდგება თიხისაგან. მიწა არს ღმერთი ჩვენი. მთვარიდან დანახული მიწა ისევეა ღმერთი, როგორც მიწიდან დანახული მთვარე. მიწა არს ის, რაც აძლევს სარჩოს კეთილსა და ბოროტს. კაცის მკვლელი, ხდება ხოლმე, თავს შეიფარებს ულრან ტყეს, და მიწა იმასაც არ დაუტვრს საზრდოს. და რაც არ უნდა დაკარგოს კაცმა, მაინც, საბოლოოდ მიწის იმედი აქვს.

— ჩვენ, ახლა, ამ მიწას ასფალტით და ბეტონით ეფარავთო, ათასგვარი სასუქი და შხამ-ქიმიკატები შეგვაქვს მიწაში და ხელს ვუწყობთ, რათა მალე გამოიფიტოს.

— მიწას თავისი კანონი აქვს. განაწყენებული მიწა სარჩოს არ მისცემს ადამიანს. მე რომ მეკითხებოდეს, მიწას გეგმა არც უნდა დავაწერათ. იმიტომ, რომ მიწის ბარაქიანობა მარტო მიწაზეკ არაა დამოკიდებული. დიდი სტეტკა თუ მოვიდა, შესაძლოა, ვენახიდან ერთი გოდორი ყურძენი ვერ გამოიტანონ. ტყეილი არ უყვარს მიწას. საცოდაობაა, ჭალადიდის გაუქმებული ჩაის პლანტაციების ნახვა.

ერთი იმ საუკუნეში გამოცემული წიგნი მაქვს შენ, — ფრანგი მოგზაურის ჩანაწერები. ფრანგმა ნახა ჩინელი გლეხიკაცის კარმიდამო დიდის გულმოდგინებით დამუშავებული მიწა და ჯაოხმა მასპინძელს, საიდან გაქვსო მიწის ამგვარი სიყვარული. თქვენ რა, მიწის სიყვარული არ იცითო? დაუბრუნა შეკითხვა მასპინძელმა. — მიწა ჩვენც გვიყვარს, მაგრამ ასე თავგადაკლული არ ვამუშავებთო. — მერე, თქვე აშენებულებო, — უთხრა ჩინელმა გლეხმა, თუკი თქვენი საკუთარი მიწები ბოლომდე დამუშავებული არა გაქვთ, სულ ომში რომ მიიწევთ, სხვისი დუმუშავებელი მიწები რაღად გინდათო, მაგრამ, ბევრი რომ გაქვს, მაინც კარგია, როგორც ჩანს. ხევსურეთი მოგაგონდა, ხევსური ჩამოდის მთიდან. ცუდი საცხოვრებელი პირობები აქვს და იმიტომ.

— ახლა ბრუნდება ხევსური. გზა გაჰყავთ, ბარისახოში ტელეეიზორიც კი აციმციმდა.

— ტელეეიზორი ერთია. მშიერი კუჭით არ ვარგა კინოს ყურება. მაგრამ მართლა გამოცოცხლდა ხევსურეთი, ხომ იცი, შენ!

— ამბობენ, ჯაბუშანური ხევსურეთში ცხოვრობდა ათეული წლების მანძილზეო.

— კი. ფრიად განათლებული კაცი იყო. პოეტიც კარგი იყო ბაბრიელი.

— თუ გინდა, ერთ ლექსს წაგიკითხავ მასსს, ზეპირად მახსოვს.

— ვისსა?

— ჯაბუშანური ლექსს.

— აბა, ჰე!

ზე ავხედავ და ღაწვდაზაფრული
ცის სოოცრბას მივადგამ კიბეს,
თუ უვის მიჯნა, ან დასახარული,
არადა, მიღმა რაღაა კიდეე.

აი, იმ მიღმის მიღმა რაღაა,
ანდა ამ მიღმებს თუ ზღუდავს ზღვარი,
მერეკა ფიქრის დინება საღი
და ჭირისიფლის გადამდის ღვარი.

წამს, უმეცრების მძიმე გარიზი
ფიქრს აღუკეცავს ლადდ ბენებას,
და ჩემი თავი ამ სამყაროში,
მღილადაც ალარ მომეჩვენება.

— მოდი, თუ ძმა ხარ, ერთხელ კიდეე წაიკითხე ეს ლექსი. (დუმბაძე თითებზე ითვლის რაღაცას, ლექსი ჩავთავე და მეუბნება):

— ამ ლექსს სათაური არა აქვს, ხომ?

— მართალი გითხრა, არ მახსოვს, მგონი, უსათაუროა.

— საოინარი უნდა ერქვას ამ ლექსს.

— რატომ?

15 ალარი" დავითვალე ამ პატარა ლექსში. ღარი. ნაღვენი. ბალღამი. საღინარი. არ მახსოვდა ეს ლექსი, თანაც, ავტორი ხევსური კაცია. ხევსურეთი დამიდგა თვალწინ, თავისი ციხეებითა და მთაგორებით. ღვთისოებითა და ღვთისშვილებით, ხომ ხედავ, როგორი პოეტი გვყოლია, აგერ, ყურის ძირში. დიდი პოეტების მწკრივში ვახსენეთ და, ვითომც არაფერი. ვერ იტყვი, სად დიდი პოეტი, სად — ჯაბუშანურია.

— ეს რა, ანდაზაა თუ ანეგდოტი?

— გალაკტიონს ეწერვნენ, ოფრმე, თანასოფლელი ნათესავები, — აგურის შოვნაში უნდა დაგვეხმაროო, სახლს ვაშენებთო. გალაკტიონს, ამ სიტყვის გაგონებაზე, ხელები გაუსავსებია და ასე უთქვამს გაოცებით: სად აგური, სად გალაკტიონი, სად აგური, სად გალაკტიონი!

8

— ამასწინათ, ერთმა ცნობილმა მწერალმა, გაზეთის რედაქტორს მოსთხოვა, ჩემს ოფისესთან დაკავშირებით, სამი პორტრეტი გამომიქვეყნეთ, სამი ფოტო, სხვადასხვა ფასონშიო. ახლა სახოტბო,-სადიდებელ წერილებს არ იკითხავ! რად უნდა მწერალს ასეთი ხოტბა-დიდება, რატომ უნდა გამოეყოს ხალხს თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი. განა ერთი სურათი და ერთი წერილი საკმარისი არ არის? ზოგი მწერალი ტელეეკრანიდან არ ჩამოდის... სადა აქვს მწერალს უქმად დასახარჯი დრო, მე კი იმიტომ ვმსახურობ, ძაძა, რომ მწერლებმა არ იმსახურონ. გეხვეჩრები, ცხადია. მაგრამ, ვინმე ხომ უნდა მუშაობდეს. აგერ, ბატონო, ჩვენი ბალტიისპირეთი. კაცი შვილს არ უნდა, თურმე, მწერალთა კავშირის მდივნობა. დიდ დროს გვარმთვლესო. მე კი იმიტომ ვმსახურობ, რომ მთავრობამ დამავალა. ისე კი, ქართველი კაცი ზანტი და ზარმაცია, „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი, ყველა ცრუი, ყველა ყრუი"... და ასე შემდეგ... აგერ, შოთა ნიშნიანიძემ დაგვალვინა, ამასწინათ, სიფხიზლის წამალი: „რა უცნაური ერი ვართ, არ შეგვერხვეა წარბი, თუმც ერთმანეთში გვერეკა, ჭეშმარიტი და ყალბი".

ლეკნი ხომ ის არის, რაც ცოტათი მეტ ხანს სძლებს, ვიდრე რომელიმე კონკრეტული მოვლენა თუ სიტუაცია. მეკრთამის ადგილას რომ პირმართალი კაცი დაინიშნება, მაშინ ხომ არ ივარგებს ეს ლეკნი. რასაც გეუბნები, უბრალო ამბავია, მაგრამ, დაკვირვებაც უნდა. დღეის ქართული პოეზია, თითქმის, მარტო პატრიოტული პოეზია, ჩემის აზრით. მეტი არაფერი ევალება პოეზიას? დღეის ქართული პოეზია ნაკლებად ეხება, ეგრეთწოდებულ, მარადიულ თემებს, ძაფი უნდა გაიბას ხალხურ პოეზიასთან, აი, სად წერია ყველაფერი: სიყვარული, წუთისოფელი, ძმობა და მეგობრობა. ომი და მშვიდობა. ერი და ეროვნება. ენა და რწმენა. მე, ბანდახან, ისიც კი მგონია, რომ პოეტი მარტო კარგი ლექსის დამწერს არ ნიშნავს, საკუთარ თვალსაზრისს უნდა უტრიალებდეს შემოქმედი. მაგრამ, მოდი, ისევ იმ ძაფს გამოვყევით, ახლახანს რომ ხელში გვეჭირა.

ბაბუაჩემი რომ გარდაიცვალა, იმ წელიწადს, ჩვენს ეზოში, 29 ძირი მანდარინის ხე გაჰმა... ჩვენს დიდ ოჯახში, მარტო ის ერთი კაცი შრომობდა თავგამოდებით. იმის ზურგზე გადადიოდა ოჯახის ავკარგი. დაკვირვებული ვარ, თუკი ოჯახში ერთი კაცი გულიანად ეკიდება საქმეს, სხვები ნაკლებად გაანძრევენ ხელს. ეს არის კანონი. ბაბუაჩემი რომ მოკვდა, ასე ვთქვათ, ტაბუ მოიშალა, ყველა ჩვენებურად, როგორც მოეპრიანებოდა, ისე ვატიკტიკებდით ენას. ენის გამუდმებული ტრიალი უსაქმურობამ იცის. უსაქმურობიდან მოდის, აგრეთვე. ის ამბავიც, კაცი რომ სიგარეტს ეწევა, მაგრამ, ამას დამტკიცება უნდა. და ასე, ჰაიბარად, როგორც ვხედავ, ვერ დაგარწმუნებ. ტაბუ [illegible] მოიშლება, ადათ-წესები კნინდება, [illegible] ბას ეძლევა. ტკარდოვსკი რას მომგებიანა? ბებიაჩემზე ხომ არაფერი არ მოიქცამს. დედაბერმა კლიტე მოარგო რკინის კარებს და იქ შეავდა, საცა უნებებრთვოდ სულიერი ვერ შეავდოდა. მაგრამ, ტაბუს მოშლას თავისი დადებითი მხარეებიც აქვს ხოლმე. საგან-ვითარება-მოვლენას თავისი ნამდვილი სახელი ერქმევა. უსსენებელი — გველი იქნება, ზურგგადრეკილი — ჭინკველი და ასე შემდეგ.. (დუმბაძის კაბინეტში მდივანი გოგონას მოხსენების გარეშე კაცი შემოვიდა. დუმბაძე სტუმარს გაეგება. ერთმანეთი გადაკოცნეს. მასპინძელმა სტუმარი ჩემსკენ მოიახედა: ბუმრანგ ჯგუბუერიაა, ხომ იცნობთ? გამიგონიაო, თქვა სტუმარმა, ესე იგი, სახეზე არ ვიცნობდიო; ვერც მე ვიცანი კაბინეტში შემოსული კაცი, ეს შემატყო დუმბაძემ და დასძინა, — თენგიზ აბულაძეა. აბულაძემ ხელი არ ჩამომართვა, ერთმანეთს თავი დავუქნიეთ. მერე დაჯდა და თავისუფლად აეწყო საუბარი. აბულაძემ „მზიურის" მშენებლობა გაიხსენა. მერე — მილები მჭირდებაო, — უთხრა დუმბაძეს. დუმბაძემ — მინისტრი ამ საკითხზე ერთხელ უკვე შეავწუხეო, საგურამოს ბაგუშვრთეო წყალსადენი. რამდენი ტონა მილი გჭირდებაო ჭკითხა აბულაძეს. აბულაძემ — ტონრბილი იზომებაო თუ მეტრობითთო, დუმბაძემ — ტონრბითთო. მილები ცოტა გვაქვსო, ჭირს მილების შოვნაო, ჩარკვანი იახლე და შენ და ჯანსული რომ მიხვალთ, არ დაგიკავებენო. შეთანხმდნენ. „მზიურის" მშენებლობისათვის, ერთი-ორი საათი თუ მოიცალე კარგი იქნებაო, — თქვა აბულაძემ, — შენი რჩევა-დარიგება გვეჭიროდაო. ახლა მე არა მცალია, — თქვა დუმბაძემ, — მთა ჩვენი ფოლკლორისა და ადათ-წესების კარგი მცოდნე სჭირდებაო. რა საოცარია, კაცო, აგერ, ეს წუთია, რაც ჭინკველა ვახსენოთო, გურიაში რომ ვიყავით, თუ გგონდებაო, ჭიაკვველების ომი რომ ვნახეთო).

— აბა, კაცო, — თქვა აბულაძემ.

— ხომ გახსოვს, რა ომი და ქარბორია ტრიალებდა. ორი ჯარი ებრძოდა ერთმანეთს. ორი გვარი. ორი ტომი. მესამე ტოშიც მანდავე იყო დამანაკებული. ხომ გახსოვს, ერთი ჯარი ყვითელი იყო, ერთი — შავი, ერთიც — წითელი. წითელი და შავი ებრძოდა ერთმანეთს. ყვითელი ჯარი კი იდგა და არხეინად უყუ-

რებდა ორთაბრძოლას. ომში არ ერეოდა. მთლად ნეიტრალური სახელმწიფო გეგონებოდა. საკვირველი არის ბუნება ბუნებისა.

— მაგრამ, რამ მოგაგონა ახლა ეს ამბავი?

— მაგი იკითხე სწორედ, ყველფერი რომ მახსოვს, ამან არ მომკლა! — აგერ, ვიღაცამ უნდა დარეკოს, ვიღაცას უნდა დაეურეკა.

— მილები არ დამივიწყო, — თქვა აბულაძემ.

—ამაზე ხომ შეეთანხმდით.

— აბა, კარგად იყავით, წავედი. (დუმბაძე კარებამდე მიჰყვა სტუმარს, ხოლო როცა მობრუნდა, თქვა):

— ჩემი ხნის კაცია თენგიზი, როგორ იცვამს, რა ახალგაზრდად გამოიყურება.

— არც ეტყობა თავისი ხანი.

— რა ამდენი ხანი ჩვენ გვაქვს, რომ დაგვეტყოს, დიდი რეჟისორია. ხომ გინახავს მისი ფილმები.

— რა თქმა უნდა, მინახავს.

— ერთი კია, ეს ოხერი ფილმი ადრე ბერდება. ერთი კარგი მოთხრობა კი ხანჟამიერ მწერალსაც კი ყოფას უტირებს, გადაატანს. ფილმი მაინც თვალისთვისაა გამიზნული, „მატეო-ფალკონე“, კი მგონი, რომ მთელს მწერლობას გადაატანს. აპარატი გადაღებული ბუნება მაინც ბუნების ასლია და მიბაძვა. მიქელანჯელოს „მოსე“ კი, ცოტას გასცდა, სული რომ ჩასდგომოდა. «Шевелись Мойсей!»

კინაღამ გაცოცხლდა, ხომ იცი შენ! ახლა სულ უბრალო ამბავს გეტყვი, და თუ მიხედენი, მითხარი, ასე ტყობილ ხდება. კაცი ან ქალი წავა ხოლმე დასასვენებლად, სადმე, ზღვისპირეთში, თუ ბალტიისპირეთში და იქიდან, იაფფასიან, ღია ბარათებს უგზავნის ნაცნობ-მეგობრებს. ამ ღია ბარათზე ბუნების ხედებია გამოსახული. პალმა დგას, ზღვა ჩანს, ლურჯ ცაში თოლია ქანქარებს. და ასე შემდეგ... იმ ყაიდის ღია ბარათებსა რა შობიჭდილება უნდა გამოიწვიოს ადრესატში, მაგრამ მაინც მილიონობით იგზავნება?

— ეერაფერი გავიგე, მართალი გითხრა, რას მოაყოლე ეს ამბავი.

— ეერც მე გავიგე, ბოლომდე და, იმიტომ გეკითხები, ვითომ, რაღაც ალბის მაგვარს იშველიებდეს ის დამსვენებელი. ამა და ამ ალაგას ეიმყოფებიო, თუ რაშია საქმე. რატომ წამოვიწყე ამაზე საუბარი? იმ ღია ბარათებს ზოგი ინახავს, ზოგი — არა, როგორი მოგონებაა? — „მე აქ ვიყავი?“ მაგრამ, ვიმეორებ, იმ ღია ბარათების ფასი, თავისთავად, კაპიკია. კინოხელოვნებასთან ამას, რა თქმა უნდა, რომ კავშირი არა აქვს, და მაინც, გული ვწყდება, ასე რომ ბერდება კინოსურათი.

— ამიტომაც იღებს, ალბათ ერთი რეჟისორი ორ მრავალ ფილმს.

— კი. ესეც ერთგვარი ჭიდილია სიბერესთან.

— შენი რომანებისა და მოთხრობების ეკრანიზაცია თუ მოგწონს?

— მთავარია, რეჟისორს მოსწონდეს თავისი ნამუშევარი. მე ის ერთადერთი ფორმა მომწონს, რა ფორმითაც შეიქმნა ნაწარმოები. ბევრი კინოსცენარის ავტორი ვარ, მაგრამ კინოსცენარისტი კი არა მგონია თავი. ეს მეტად სპეციფიური ხელობაა. ადრე ხომ მოვიხსენიეთ ვიწრო სპეციალიზაცია, აქაც, ვიწრო, ანუ კონკრეტულ სპეციალიზაციასთან გვაქვს საქმე. მე რაც ვიცი და რაც ჩავიფიქრე, ის რეჟისორმა არ იცის. ჩემს პირველ რომანში მიწერია ასეთი უბრალო ფრაზა?: „თუ მოუბრაა, ყინავს“, — როგორ უნდა გადაიღოს ეს რეჟისორმა? ისე კი, კარგი სურათის ნახვას რა სჯობს, მთელი ორი საათი ერთობი კაცი, — თავი დავიწყებული გაგვეს. ნაწარმოებს რომ კითხულობ, თავს უღრმავდები, აანალიზებ შექმნილ ვითარებას, თუ გინდა, წიგნს სულაც დახურავ, კინოკადრები კი ერთმანეთს ენაცვლებიან და ფიქრის დროს არ გიტოვებენ. წიგნს, როგორც გინდა, ისე მოეკეცავ, სულაც დადაადებ. ან, როგორც ბლაკი ამბობს კუზმინის ლექსების კრებულზე, ერთი ხელიდან მეორეში ვერ გადაიტანს, ისევ გაგიტაცებს და თავს შეგაყვარებს, ესა თუ ის წიგნი: კუზმინის პოეზიით ბევრი რუსი პოეტია დაგალებული, განსაკუთრებით კი ისინი, ვითომ რომ ძალიან ემიჯნებიან საგანგებოდ. გალაკტიონმა კუზმინის პოეზია შესანიშნავად იცოდა.

— კუზმინი ახლა არ იბეჭდება. რატომ არ იბეჭდება?

— ეს უფრო ბეჭედითი სიტყვის კომიტეტის საქმეა, ვიღრე ჩემი. შენ თუ იცი, ფოსტტი და ახმატოვა ერთად რომ უნდა წარედგინათ ნობელის პრემიაზე. მოხუცებული ფოსტტი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, ინახული თავისი მეტოქე, ახმატოვას არ მოეწონა ბერიაკი; ძროხებზე რომ ლექსებს წერს, ის პოეტი რა პოეტიაო. მაგრამ მალე გადათქვა თავისი ახრიტ-ბული ახრი. დიდებული პოეტიაო ეს ბერიაკიი, — ასეთი დასკვნა გამოიტანა.

— კინოზე მსჯელობდი...

— გთავედა კინო. აგერ, ახლა „მარადისობის კანონს“ იღებს ვალერიან კვაჭაძე და ენახოთ, რა გამოვა.

კინოს საუკეთესო განსაზღვრება ლენინს ეკუთვნის; კინო მასობრივი აგიტაციის საშუალებაა. გაზეთი, კინო და ტელევიზორი მჭიდრო ნათესაობაში არიან ერმობანეთთან. ადრე ასე გვეგონა, კინო და ტელევიზორი დახურავდა მწერლობას. კინო, ტელევიზორი და რადიო. მაგრამ წიგნის მკითხველი მაინც წიგნის მკითხველად დარჩა. ასეთი რამეც ხდება: ტელევიზორი ჩართული გაქვს, ოთახებში ხმა ისმის, შენ არ უყურებ ტელეგადაცემებს, ზიხარ და შენს საქმეს აკეთებ. ჩართული ტელევიზორი ხელს არ გიშლის. მე რომ მკითხოს კაცმა, ეს, თითქმის, ხელსაც გიმართავს. რადაც ნიარი თანამედროვე ხდება, თითქოსდა, შენი ფრაზა, რასაც წერ რეფულში, როცა ტელევიზორი ჩართული გაქვს. ჰემინგუეიმ კაფეებში შეთხზა თავისი ნაწარმოებების ნაწილი. სად, რა პირობებში ქმნის ადამიანი თავის ნახელავს, ამასაც, ალბათ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

— „ხაზარულ?"

— არ ეშვები, ძამა, ამ „ხაზარულს" და რა ენენ. „ხაზარული" იმგვარ ადგილს შეეთხზე, ხის ანარეკლიც კი, ფიქრიდანაც შორს იყო. ისეთი გარემო იყო ირგვლივ. სახალხო ნაწარმოები, ჩემის აზრით, ხალხში იქმნება მაინც. ამის კარგი მაგალითია ჩვენებური კაფია. მხატვარი ხატავს, წინ უფენია ტილო და გადმოაქვს ბუნების სურათები. ხალხი ამას ხედავს; მაგრამ, მხატვარს ხელი არ ეშლება. შეთანხმებული არიან ხალხი და მხატვარი. არც ჰემინგუეის ეძალებოდნენ, ალბათ, წერის მომენტში, ჭიქა კონიაკით ხელში. მაგრამ, მეეზოვეს რომ კარგად დააკვირდე, როცა ის ქუჩას ჰგვრის, აუცილებლად გკითხავს, რომ მიყურებ, რას მიყურებო, საქმე არა გაქვსო. ულვაშა კაცს რომ ცოცხი უკავია, ქუჩას რომ ჰგვრის, ეს სათაკილო საქმე არაა, თუკი, ამაზე, საგანგებოდ არ გაამახვილე ყურადღებას. მაგრამ, მერიკაში ისეთივე ფეხსაცმელის მწმენდავები სხეულ ქუჩებში, როგორც ჩვენთან.

— ამ შემთხვევაში, ჩვენ და ამერიკელები, ერთ დონეზე ვართ.

— კი, ერთგვარად ვუყურებთ ამ ყაიდის საქმეს. ფეხების ხომ დადიანია ოჯახში, ბაბუასათვის? მაგრამ, მე ვამბობდი, სად ქმნის ადამიანი თავის ნახელავს, რა პირობებში, ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეთქი. მწერალი ხალხში უნდა ტრიალებდეს. სადაური კაცია ხარ, იქაური ქუდიც უნდა დაიხურო. ის ჭამდა და ის სვა, რასაც ჭამს და სვამს ხალხი შენი. ამასწინათ, კი, ერთი ჩემი მწერალი ადგა კრებაზე და თქვა: მწერლებს ცალკე სასურსათო მაღაზია უნდა გვქონდეს. ამაზე მეტი თავის მოჭრა რა იქნება, ქართველი მწერლისათვის.

„მთაგორების ზემოთ, მწვერვალების
ახლოს,
არ გაშენებ, ჩემო მშვენიერო სახლო.
მირჩევნიხარ სადმე, კვლავ ღარიბად
ვით დავთმეევი, დათმე შენაც ზენა..."

ხალხი და პოეტი განუყოფელი ერთია. ხალხიც სვამდა და გალაკტიონიც სვამდა. ხალხს სცოდავდა და გალაკტიონიც სცოდავდა. ხალხს არ ეძინა და გალაკტიონსაც არ ეძინა. ამიტომაც იყო სახალხო პოეტი. მაგრამ გრანელი განდეგილი პოეტი იყო. ხალხში ცხოვრობდა, მაგრამ სულ მარტო იყო. ალიო მამაშვილმა თქვა გრანელზე შესანიშნავი ლექსი:

დალონებული ტრის გრანელი,
ჩვენში მეორედ მოსული ქრისტე,
უშნო, ულონო, დაუბანელი,
მათხოვარივით საფლავებს მისდევს.

ვინც ჩაუღრმავდება, ამ სტრიქონებში შეშარიტების მარეცალს აღმოაჩენს.

ერთხელ გალაკტიონმა გარითმა: კაკაესიონი — გალაკტიონი. შემთხვევითი რითმაა, უკეთეს რითმას ვერ მოიკონებდა? სხვათაშორის, ამ სარითმო ერთეულებს დიდი დაკვირვება უნდა. რამდენგზის იქნება, მაგალითად, ერთმანეთთან გარითმული: ღმერთი და ერთი. იმიტომ, რომ შინაარსი განაპირობებს. ენამ მოაგვარა ყოველი ისე, რომ ორი სიტყვა ერთმანეთს გარითმეოდა. ქართულმა ენამ, **ბერ — ერთი, თუ ერთ, — რითმა არ არის.** ერთი და ღმერთი კი ერთია. აი, როგორია ჩვენი ქართული.

მე მგონი, ჩვენი სსაკი ისე მიდის, ერთ საჭიროროტო საკითხსაც მივადგებით მალე...

— რას გულისხმობ?

— კამთის, რითმიანი და ურითმო ლექსის შესახებ ატეხილს.

— ამაზე უკვე არ კამათობენ. ჩვენში ბევრი რამ დაგვიანებით მოდის. ეთქვათ და, რომელიმე ქვეყანაში გაჩნდა ახალი მოდა, ეიდრე აქ ჩამოვა, იქ, შეიძლება, ის მოდა კარგა ხნის გასული იყოს მოდიდან. კონსტანტინე გამსახურდია ამბობს მეტად საყურადღებო სიტყვას, როცა ის გვესაუბრება ჰომეროსის თარგმანის სიძნელეზე. დიდოსტატი გვასწავლის, რომ ჰომეროსი უნდა ითარგმნოს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ეროვნული ლექსის ზომით და, არას დიდებით — ჰეგზამეტრით. ქართული პოეზიაში, ამ ეროვნულ ფორმას უნდა მიეტეცეს უმთავრესი გულისყური. მარადჟამს უნდა გვახსოვდეს ტრადიცია და კლასიკა. ის, რითიც ჩვენ არა ვვაკვირ სხვებს. ისე კი, სახარებაზე კარგი ვერლიბრი მე ჯერ არ წამიკითხავს.

9.

— რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატები თუ გაქვს ნანახი? — მითხრა დუმბაძემ.

— კი, მინახავს.

— რუსუდანი ნახატები რომ ენახე გავეცოდი, ისეთი შთამეგონდა მოახდინა ამ პირველი ნახვისთანავე. პატარა რუსუდანი, თით-

ქოს, რომელიღაც დიდი მხატვრის შემოქმედებას აგრძელებს ახლა. ოღონდაც, ქართველი არ უნდა იყოს მისი წინაპარი შემოქმედი. ის ან ინდიელია, ან ეგვიპტელი, რომელიმე ფარაონის ასული, შემოქმედებით აღტაცებული. რა მასწავლია მის ნახელავსა და ფანქარში, რა სიმწყობრე. არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს მისი ბრწყინვალე ნიჭის ამდაგვარი ძალმოსილება. სულ მეშინია, რომ დღეს თუ ხვალ, შეწყვეტს ხატვას. ან თვითონ რუსეფდანმა იცის განა, რასაც აკეთებს? ვის უკავია მისი ფანქარი ხელში, როცა იგი ხაზს აკლებს სუფთა ქაღალდზე, ვინ კარნახობს? ფეტეიშვილის ნახატი ფეტეიშვილზე დიდია. ეს მომენტია საგულისხმო. ტოლსტოი — პიროვნება, როგორც ვიცით, არანაკლები იყო ტოლსტოი — მწერალზე. მართალი რომელი იყო: მწერალი თუ ქადაგი? ფეტეიშვილი არაერთგზელი მხატვარია. ქართველი არაა, რაგინდ ყურისწამღებად ღერღილს ეს ფრაზა, — ქართველი არაა, აგრეთვე, ზოგი ქართველი მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი... მაგრამ მე მწერლებზე ვიტყვი. ამრიგი მწერლების შემოქმედება — ცნობიერების ქვა-კირი ისევ და ისევ ლიტერატურაა. წეგნი რომ გამოაცალო, ამ ყაიდის მწერალი მწერალი ვერ იქნება. ვერაფერს დაწერს. წეგნის პარაზიტია, მოკლედ რომ ვთქვათ, ზოგი მწერალი იმითი ცოცხლობს და სუნთქავს, რაც წუკეთხუს, რასაც კითხულობს. სხვა ცხოვრება იმას არც გაკარებია. ამიტომაც არის არაერთგზელი მწერალი.. ასეთი მწერლების შემოქმედება მკითხველს ინტერნაციონალური ეჩვენება, მაგრამ ეს უფრო კოსმოპოლიტურია, ვიდრე ინტერნაციონალური. ინტერნაციონალურში ნაცია ხომ ფრავია, კოსმოპოლიტური კიდევ სხვა არის. ვაჟა ეროვნული პოეტია, — ჩვენს ტრადიციებსა და ადათ-წესებში უდგას მძლავრი ფესვები, — ჩვენს მითებსა და ლეგენდებში, მაგრამ, ინტერნაციონალურიც არის. ქართული მთის სთქმელს ამბობს და ბუბუნებს, მაგრამ, მთები მარტო საქართველოში არა დგანან და, ამიტომაც მეჩვენება მისი პოეზია საერთო-საკაცობრიოდ. ლომის წილი კი ეროვნულია. მაინცდამაინც, ქართული ნიადაგისა და სულის მკვიდრია. ვაჟა აქ დაიბადა, აქ ამოვიდა, ან აქ ჩამოუვარდა მამა უფალს კალთიდან, მაგრამ ქართველმა მიწამ მიიღო და ქართულმა მიწამვე აღმოაცენა. ფეტეიშვილიც აქ ჩამოვარდა, მაგრამ ჩვენი მიწის წვენი და სალხინო არ შეუსრუტავს, ისე დადგა ფეზზე და ისე შეუდგა ხატვას. პუშკინიც ღმერთს ჩამოუვარდა კალთიდან, რასაც, მე მგონი, მტკიცება არა სჭირდება და, როგორც იტყვიან ზედეკეტყოფა კიდეკეც, მაგრამ, რუსულმა ნიადაგმა შეიწოვა და კვალად აღმოაცენა. საფრანგეთში რომ ჩამოვარდნილიყო, ცხადია, ბალაბი დაახრჩობდა, მაგრამ, რაკიდა ტიტელი და ყამირი ალაგი დახვდა, აღმოაცენდა და გაიხარა. კალაპოტი გაუშრა და სადინარი გაუმართა. ეროვნული სულის ენერგიას. პუშკინი წმინდა „ეროვნული" პოეტია თავისი მსოფლმხედველობითა და თავისი სარწმუნოებით. ამ ყაიდის ათობით წიგნები იწერება დასავლეთში, ოღონდაც, ისინი, პუშკინის სარწმუნოებაზე უფრო ამაჯილებენ ფურადღებას, ვიდრე წმინდა ლიტერატურაზე. სად ცხოვრობდა ჩვენი პატარა მხატვარი, ვიდრე ეს ჩამოვარდებოდა? ადამიანი მარტო ის არ არის, რასაც ჩვენ ვხედავთ და აღვიქვამთ. ადამიანი არის ის, რაც იყო წინა ცხოვრებაში, რაც არის ახლა და რაც იქნება შემდეგ. ამ სამი ცხოვრებისაგან შედგება ერთი ადამიანი. შენი საყვარელი ჩინელი პოეტები სულ ფიქეად გაჩენის ნატრობენ, გორაკზე რომ დგას და სივრცეს გასცქერის, — ფიქეის ხე, ალბათ, იმით ცნობიერებაში, რაღაც ძალზე წმინდანსა და ნათელს უაბლოდგება. აგერ, ჩვენი ეფა გვეიხსენთო: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოეკ წვიმადა".

— სვანური ხალხური პოეზიიდან, გალაკტიონს, ერთი მცირე ლექსი აქვს გადმოღებული, სადაც ასეთი სტრიქონებია:

ხელახლა აქ დაიბადე, ამთა,
ხელახლა აქ...

— გალაკტიონი სხვა სანატრელს არც ინატრებდა:

ნეტა ამ ნავში დამაძინა და
გამომაღვიძა ასი წლის გარე,
მანახვა, რა მხრით, როგორ ინათა,
და როგორ ბრწყინავს აქ მზე და მთვარე.

გალაკტიონ მარტო ქართველი პოეტია. უთარგმნელი, ანუ — სხვათათვის გაუგებარი. ისევ იმ სიმპას დავუბრუნდეთ: წარსულს, აწყმოსა და მომავალს. გალაკტიონი დღეს ცხოვრობს და, მაინცდამაინც, დღეს უნდა თქვას თავისი სათქმელი, წინა ცხოვრების გზას კი არ აგრძელებს, არამედ, ამ ცხოვრებისათვის გაჩნდა, ადრეც იყო, ცხადია, მაგრამ, მაშინ, პოეტი არ ყოფილა.

ბარათაშვილს, ფეტეიშვილს, ლერმონტოვს, ასათიანს, — მოცარტს, — სხვა ცხოვრებაშიც უწევდათ, ალბათ, იმავე საქმის კეთება, რასაც აქ აკეთებდნენ, მაშინ ვერ მოასწრეს ყველაფრის თქმა, ყველაფრის გასრულება და, აი, აგერ ახლა გააგრძელეს ადრე დაწყებული საქმე. ის ცხრა წელი აკლდა მოცარტს, თავისი გენიალური შედევრები რომ დაესრულებინა. ჩვენს მიერ ჩამოთვლილ შემოქმედთა პირველივე ნაწარმოებები გენიალობის ხატით ბრიან ალბეჭდილნი. უცაბ, გენიოსებივით ალაპარაკდნენ, — არ დაიკარგა წინა ცხოვრების ნამოღვაწარი. გალაკტიონმა კი თავიდან დაიწყო. ჯერ დამწყები პოეტი იყო, მერე — ახალგაზრდა პოეტი, როგორც ვეძახით და, ბოლოს კი, — დაბრძენდა. და ბრძენი წავიდა ამა სოფლიდან.

ოღებელი სიმაღლე აიღო, ქეეყანის გადმოხედა, გადმოყარა ბარი და წერაყანი, წვიდა და გაფრინდა ადრე კი გრიშშვილს ბაძავდა, ვიდრე საკუთარ ხმასა და საკუთარ თვალსაზრისს გიმიგრებდა. აი, ეს საკუთარი თვალსაზრისი არ გაანჩიან ლიტერატურიდან მოსულ მწერლებს. ცხოვრებას არ იცნობენ და იმიტომ. ლიტერატურაც ცხოვრების ერთი მხარეა, მაგრამ არა — ყოველისმომცველი. ნასწავლი და ბრძენი კაცი გლეხიკაცს რომ უსმენს, რატომ უსმენს? ხელშემოსაკრავი არაა ეს ამბავი. ჩვენი წინაპრები ჰოროსკოპით კი არ ჭვრეტდნენ მნათობთა მოძრაობას, მთვარის ავსებას და განლეკვას, მაგრამ ყოველივე ამის გარჩევა არ უუნიდათ. გლეხს თავად ბუნება ასწავლის ამას, თავად ცხოვრება, ანუ საკუთარი ტყავი. გლეხი ახლოა ბუნებასთან, შუამავალი არა ჰყავს და, იმიტომაც, საკუთარი თვალსაზრისი გაანჩია იმიტომაც, საკუთარი თვალსაზრისიც გაანჩია ამ ცხოვრებაზე. ლიტერატურიდან მოსულ მწერალს კი თავისი თვალსაზრისი, თავისი მსოფლმხედველობა არ გაანჩია. ამიტომაც არის ის არაერთნაწილი მწერალი. მისთვის მდინარე მდინარეა, და არა ფიზრი, ან კიდევ ლიახვი. ქალაქი ქალაქია და არა ბათუმი, ან კიდევ — ქარელი. ასე შეიძლება, ეს ჩამოთვლა უსასრულოდ გავაგრძელოთ, მაგრამ, უცხონოვანი ლიტერატურისათვის, ასეთი მწერალი, უფრო მახლობელია, და უფრო გასაგები.

შემოქმედს თავისი ბუნების გაფლენა უნდა ჰქონდეს, თავისი ტოპონიმიკისაც, ეთნოგრაფიისაც. ხომ საოცარია, რა დიდი გავლენა ჰქონდა ფიროსმანზე სარშეპუნოვის, დავით კაკაბაძეზე — თავის იმერეთს, გუდაშვილზე — „ვეფხისტყაოსანს“. ფეტეიანშელის მაგალითი კი უნიკალურია, როგორც ნატაშა რუშეველი. თავის დროზე, პუშკინის ნაწერმოქმედნს, ალბათ, არ ჰყავდა მხატვარი-ილუსტრატორი და, აგერ, გამოუჩნდა, დაგვიანებით, ზაგრამ გამოძახებით. ფეტეიანშელის ფენომენი მაინც უფრო უცნაურია. რუშეველ „ალსაიკოსია“ და გასაგები, ფეტეიანშელი მისტიკოსი და — ძნელად გასაგები.

— „ხაზარუულს“ ავტორი?

— მე წმინდა წყლის გურული ვარ; ოღონდაც, ციდან არ ჩამოვვარდნილვარ, მართალი რომ გითხრა, ვიღაცამ რომ რაღაცა დამაგალა, რაღა თავი მოვიტყუო და, ეს ამბავიც კი მახსოვს, ბუნდოვნად. მახსოვრობა საოცარია, (ტოლსტოიმ სკლეროზიც კი თავის ნებაზე გამოიყენა, ბაგრამ, ამაზე სხვა დროს), ადამიანის ხსოვნას ერთი მიმრთულება აქვს, უკან ბრუნდება და იქიდან მოჰყვება დრო-ეპოს, მაგრამ, კაცი რაკიდა დღეიდან ფიქრობს, წარსული და აწმყო თითქოს ერთი ხდება. მაგრამ ადამიანი მომავლიდანაც ფიქრობს და მომავლიდანაც გვესაუბრება. რაღგან, რაც არის, უკვე იყო და, ისიც კი, რაც იქნება, უკვე იყო ახალი არაფერია ამ ცისქვეშეთში, როგორც ამბობს ეკლესიასტე (სიდან უნდა მოგებმანო, ყოველდღე სიახლე? დაბრიანი ისევ ძნელად იბადება, ძნელად იზრდება და ძნელად ამუშავებს ნიადაგს), ათასში ერთხელ, მე თითქოს ვხედები, თუ ვინ ვიყავი მაშინ, როცა აქ არ ვიყავი, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა რომ წინა ცხოვრებაში მწერალი არ ვყოფილვარ. ახლა ვარ ის, რაც ვარ ახლა და ძალიან მინდა, როცა აქედან წავალ, და მერე ისევ მოვალ, ის არ ვიყო ისევ, რაც ახლა ვარ. გაესარულო, მინდა, აქ ჩემი სამქმე, ხომ ხედები. სწორედ, ამ ძარეულ ამბავზე ვწერ ახლა რაღაცას, მაგრამ არ გეტყვი. გამოუქვეყნებელი ლექსები ხომ გაქვს? მეც ზოგ რამეს ჩემთვის ვინახავ, დაწერილია და დაუწერელს. დაუწერელს შენახვა უფრო ადვილია. არ დაგეკარგება, რაკიღა არა ჩანს. კიდევ კარგი რომ სიყვარული არ იყიდება, თორემ, ვინმე, ამ მშვენიერ მთვარეს ძაფს გამოაბამდა და, ვინ იცის, საით წაიყვანდა.

10.

— საგურამოში თუ ხარ ჩემთან ნამყოფი?

— ილიას მუზეუმში ვყოფილვარ, — ეთქვი მე.

— შორია საგურამო... როგორ ამბობს ჩვენი ანიკო? „შორია თამარ!“ ეუშარიტად რომ, შორია საგურამო. ისე, სულ ნახევარი საათის გზაა. კოლუუს ლექსი ხომ გახსოვს?

„წიწამურიდან საგურამომდე ექლესია და პატარა გზა,

წიწამურიდან საგურამომდე ცხოვრების გავლა ნეტავი რაა...“

მცხეთას ვუახლოვდებით, ლუმპაძის შოფერს ჩქარა მიჰყავს ნაქანაი.

— ნელა იარე, ძმა, — ფერთხილებს შოფერს დუმბაძე და ზაურიც ანელებს სვლას. ღამდება. „ვიღრე საგურამოში ჩავალთ, დაღამდება“, — გავიფიქრე გულში და ჯერის მონასტერს ვკიდე ზეირი.

— ჯვარი მარჯვენა ხელია, სვეტიცხოველი— მარცხენა. თუმცა, როგორ ამბობს ლექსი:

დამიბერეს, მკლავი მომჭრეს,

რატომ კარგი ავიგია...

ესე იგი, სვეტიცხოველია მარჯვენა ხელი. ჯვარი — ნარცხენი. რომელს უფრო ოფლად დასთმობს კაცი? მაგრამ, მთავარია, საიდან ვიანგარიშებთ. ჯვარი — ციხეა, სვეტიცხოველი რწმენაა. შეხე, რა ლოცვასავით მიიწევს ამ საოცარს მაღლა, როგორ აწურეულა. მგონი, მცხეთური საღამოებია ფეროფნებაკი აქვს დიდოსტატს ნაგულისხმევი, როცა ტაძარს აგებდა. ყმაწვილი რომ ვიყავი, ნიკო კეცხოველმა წამოშიყვანა ჩქეთ, წიწამური მანახა და მითხრა: „აი, ჩემი პატარა მკგობარო,

ეს ის ადგილი გახლავს, სადაც ვერ მოკლეს ილია“. სამდამოდ დამამახსოვრდა. ბატონი ნიკოლთვის საქართველო და „ეეფხისტყაოსანი“ განუყოფელი იყო. პატარა რომ ვიყავი, შოთას პოემა ჩემთვის ზღაპარი იყო, რომ გავიზარდე, — „ეეფხისტყაოსანი“ ჩემთვის საგმირო პოემა გახდა, ახლა კი სიბრძნის წყაროა, უწონარესად. ალიტმაც არის „ეეფხისტყაოსანი“ ყოველი ქართველის საკუთხავი წიგნი. ისე, ხომ იცი შენ, გარკვეული ასაკის მკითხველისათვის, ლადო ასათიანის ხელა პოეტი არცა ჭკუაყვს ამ სუუკუნეში. მოწიფულობის ასაკს ემთხვევა ეს პერიოდი. მთელი 4-5 წელიწადი ლადოს პოეტი არა სჯობია საქართველოში. და ვერც აჯობებს, ალბათ. ახლა ჩვენი გზა მარჯვნივ წავა. ჩემი სახლი ზედ გზის პირას დგას. უკეთეს ადგილს მთავაზობდენ, სიწყნარესა და სიმყუდროვეში, მაგრამ არ ვჭ�. მეზობლები მაკრავს გარშემო. გვაქვს ერთი გადაკახული და მისკენ-მოსცლა. ან საღამოსაც, ერთ ჩემს მეზობელთან ვარ გადაპატიჟებული, გურამიშვილს მარაშში იხდის დღეობას. აქაური კაცი იყო დავითი. მოვსულვართ და ეგაა.

მანქანიდან გადმოვედინ, ჭიშკარი შეეაღო. და ეზოში შეეედინ, ზედ მიწაზე დგას ფალი, კოტაკი შენობა, წითელი აგურით მოპირკეთებული.

— ჩემი ხელით მოვაპირკეთე, ძამა. აგერ, მოდი. აქ ბუხარი მაქვს. ჩემი ნახაზითა და ფარგლით არის გამოყვანილი. მოგწონს? მეც მომწონს. მერე, როგორმე, დღისით შემოიარე და უფრო კარგად დათვალიერებ აქაობას. თუმცა, ამ სინათლეზეც კარგად ჩანს ჩემი ეზო. ელექტრონის შუქზე ახლა, ფეზზოთისაც თამაშობენ. დღე არ გვყოფნის და იმიტომ. დღისით რომ სადმე, ქეიშში სინათლე ანთია და ბეტონაკს, როგორი უსიამო სინათლეა. ასეთ გუნებაზე ვარ ხოლმე. აგერ, ქეიფი გეველოდება და ჭამასმის არ შემიძლია. მაგრამ, დრო მოვა და ვიქეიფებ. რამდენგზის მომაწერინა ჩვენებურმა ღვინომ. აწიე მომაწერეს. შინ მეწვიე, ხომ გითხარი, ნუკი მოგერიდება, დიდებული იზაბელა უნდა დაგალვინონ. ეს ატყობ შენ, აქ რა სუნი ტრიალებს. აქეთ ნოიწი, ამ ფანჩატურის ქვეშ უფრო იგრძნობა. იზაბელაა, ძამა. ერთი ძირი ვენახი და ხომ ხედავ, რა დიდ ამბავშია. მაცალე ერთი-ორი წლიწადიც და მერე ნახე.

— მიწა კი მცირე გაქვს.

— მცირე მიწაზეც შეიძლება დიდი ამბები მოხდეს. მაგრამ, რად მინდა მეტი ფართობი. მე ხომ ვერ ნოფეველი. თავის გასართობად მჯყოფა ეს ადგილი. მეტი არ მინდა. კუჭის ზომა თაგვმაც კი იცის, — ჩავა მდინარეზე და კუჭის დონეზე დალეგს წყალს. ზედმეტი მიწა რა ჯირად მინდა. დასავლეთში აქვთ ყველფერი ზედმეტი პირწავარდნილ კაპიტალისტებს. მაგრამ იმ ზედმეტ სურსათ-სანოვაგეს წყალში ყრიან. ერთმა დასავლეთგერმანელმა მინისტრმა, საქართველოში ყოფნისას თქვა — დიდი გასაჯერი გვადგას, არ ვიცით, სურსათ-სანოვაგე სად წავიღოთო. ჩვენ ამგვარი გასაჯერი არ გვადგას ჯერჯერობით, მაგრამ, კაცმა თუ მოინდომა, რას არ გააკეთებს. და მაინც რატომ ულუბებთ ზედმეტ სურსათ-სანოვაგე? იმიტომ, რომ ყველს თავისი სამყოფი არა აქვს. ერთს ბევრი აქვს, მეორეს — სულ არა აქვს., ან არ ჯყოფნის. სასწორის ამბავია, — სასწორი-სამართალი. უამთოდ, ანარქიაა და მეტი არაფერი. ღმერთი ყველს მიაგებს სამაგიროოს. ერთი კაცი ეკერ იქნება კარგად, თუკი მეორეს უჭირს. ერთი სახელმწიფო ვერ იქნება კარგად, თუკი მეორე სახელმწიფოს უჭირს. ახლა ავიღოთ და, მაგალითად გავამაგრით, რასაც ეეუბნები. ავიღოთ, ერთი პატარა მდინარე, მაგალითად, გუნაზოფელი და იმ მდინარისპირა ჯალებში ჩავყაროთ ზედმეტი სასუქი. ერთ-ორ წელიწადს და, შეიძლება კიდეე მეტ ხანს, ჯობი ნოსავეთ ავიღოთ იმ მიწიდან, მაგრამ ის ზედმეტი სასუქი, საბოლოოდ, მიწას მაინც გამოფიტავს, დღეს გადაჯარბებით შეგასერეთ გეგმა-დავალიანებას, მაგრამ, კარგა ხნის შემდეგ, ერთ ნამეცც ბოსავლაც არ მოგვეცმს ის ადგილები. თან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიწისქვეშა დინებით არეცხება ნიადაგი და გუნაზოფელის ნაპირებში ჩაყარილი სასუქი და ზზამ-ქიმიკატები სხვა მოსაზღვრე მდინარეშიც ჩაედინება. სამეგრელოს მაგალითზე ვიტყვი: მაგალი უერთდება ენგურს, ენგური ზღვას და ზღვა არაფერს არ უერთდება? ამიტომაც არის ფუცილებელი, დაწესდეს მსოფლიო კონტროლი, რაც დაწერილებით შეისწავლის ამა თუ იმ მოვლენა-ვითარებას. ეთქვათ, რომელიმე დიდი ქალაქის მკვიდრნი, ერთი დიდი ავზიდან იღებენ სასმელ წყალს. ეთქვათ, 30-40 წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის წყალი, არცთუ ისეთი შესამჩნევი დონით, მაგრამ მაინც, მავნე ყოფილა ადამიანის ორგანიზმისათვის. ვინ უნდა აგოს პასუხი? არავითარი უფლება არა აქვს კაცს, თავისი მდინარე და ზღვა გაამუჭყიანოს და მოწამლოს, თავისი ქეეყანა გაბინძუროს და თავისი ტყე და ჭალაკი გაანადგუროს, იმიტომ, რომ, მარტო ერთკაცსა და ერთ სახელმწიფოს არ ეეკუთვნის ეს ედამიწა. ყველაფერი ერთმანეთთან არის გადანასკული. ასევე, ერთიანია, ადამიანთა საფეკრალი და საღონარი. ერთ მიწაზე ვცხოვრობთ ყველანი (აგერ, რა მომაგონდა! მიწა იმიტომაც არის ღმერთი, რომ ცაშია!), ერთ მიწაზე ვცხოვრობთ ყველანი და ბოლოს და ბოლოს, კარგად რომ დავფიქრდეთ, და ვიანგარიშოთ, ერთი ედამიწის შვილები ვართ ყველნი. ადამს რომ უკან-უკან გავედეეროთ, მერამდენე თაობის ბაბუა გამოვა. არც ისე შორსა ვართ წასული, როგორც შენა გგონია. გაერთიანდა-მეთქი,

ადამიანთა საფიქრალი და საღონარი. ერთი რომელიმე პლანტაც რომ შეეცალოდეს, როგორი ალიაქთი ატყდება დედამიწაზე, ქოლერას ყველან უნდა ეებრძოლოთ და კრიალა ცხვირსახოცები შეეთავაზოთ ერთმანეთს. ტკარდოვსკის ტიროკინი ხომ გახსოვს, მანდ წერია ერთი მეტად საყურადღებო ანბავი. ერთ ამალუბულ გორაკზე გერმანელი და რუსი ჯარისკაცი შეებმება ერთმანეთს. ტყვეები გაუთავდებათ, კონდახებით დასცხებენ ერთმანეთს, ბოლოს ტოტზე გადავლენ ვინ — ვის? ტკარდოვსკი წერს, ერთსაც დავიწყდა, რომ ფაშიტი იყო, მეორესაც — რომ კომუნისტი იყო და ორი კაცი შერჩა ერთმანეთს ოდესა და დღეოლოგიის გარეშე. პოეტი წერს, რომ ეს ომი, «Ради жизни на земле». მაგრამ ერთი პლანეტა რომ შეცალოდეს, გერმანელი და რუსი გაერთიანდება. საერთო მტერი ახლოლებს ადამიანებს. და საერთო მიზანი, — სიყვარული, ბრძოლა სიკეთისათვის. აჰ დედამიწის მოგლა-პატრონობისათვის.

— ჭიშკარი არ მომეწონს, — ვუთხარი დუმბაძეს, როცა კარში გამოვეკიდეთ.

— არც მე მომეწონს ეს რკინის ჭიშკარი, მაგრამ არ მინდა ქეეყანამ ეზოში შემოიხედოს. ტურისტებს თვალი, ხომ იცი, როგორი ხარბია. არ მინდა, ცოცხალ მეზეუმს დავემვანონ". დასძარი მანქანა, — მიუბრუნდა ფეშტერს.

— ახლა ჯვარი ჩვენი მარცხენა ხელია, სვეტიცხოველი — მარჯვენა. დაავლარდით, ახლა გამოჩნდება.

(ჯვარი თითქოსდა. მიწიდან ამოფრინდა, ცაში დადგა პროექტორებით განათებული).

— ღმერთო დიდებულო! — თქვა დუმბაძემ და პირჯვარი გადაიწერა.

ჩვენც უხმოდ დადავიწერეთ პირჯვარი.

— ჩქარა იარე, ზაურ, ღვინო ხომ დალიე? — ღვინოს როგორ დალიე, ბატონო ნოდარ.

— ნუ გეშინია, ბიჭო, თქვი სიმართლე, ღვინო თუ არ დაგიღვია, რამ დაგსვა იმ სუფრაზე ამდენი ხანი, რას აკეთებდი?

— გისმენდით, ბატონო ნოდარ.

— ყველი მე მატყუებს, — თქვა დუმბაძეკ, — ორავის ვეცოდები.

— რატომ გითხარი, თუ იცი, ჩქარა იარე-მეთქი, — ჰკითხა ისევ შოფერს.

— ვიცი, ბატონო ნოდარ.

— რა იცი?

— «ვრემიას" უნდა მიუსწროთ.

— ქვეყანამ იცის, რასაც ვაკეთებ, — მომბრაზებდა დუმბაძე, — ლიბანის ამბები მაინტერესებს. არ შემიძლია არ ვნახო. დღეს თუ არ გავიგე, რაც დღეს მოხდა, ხვალე სხვა ამბები მოხდება დედამიწაზე და ის რადის გავიგო? საოცარი არ არი, ძაძა, როგორი მოლაპარაკებენი გვაქვს ადამიანებს ამ შეიცა საუკუნის მიწურულში, — ომი თუ იქნებოდა ყაიდისა და რა სიძლიერის იარაღი უნდა გამოვიყენოთო. და რატომ ხდება, თუ იცი, ამგვარი რამე. ამიტომ ხდება, რომ ეშმაკსა და ნაბარს ჯერ კიდევ ღვიძავს. ეშმაკი თუ შეგხვედრია სადმე, მართალი მითხარი. არ შეგხვედრია. ეშმაკებით სავსეა ცოდეული მიწა. ზოგ კაცს ყურებზე შეეტყობა თავისი ენინამა, ზოგს კიდევ — პირისახეზე. და ასე შემდეგ. კრისტიანი ხომ შეგხვედრია ბევრგზის. მიდიხარ სადმე, ქუჩაში და უცებ შეეკურეგა კრისტიანი ადამიანი, — კაცი თუ ქალი. შეხედავ, შემოგხედავს და მიხვდები, რომ ეს ადამიანი კრისტიანია, — სიკეთის მცველი და შენნახავი. ამ ერთ სანლულშია ყველა და ყოველი: ავიც და კეთილიც, ვაითუ, უკვე გარდაცვლილები ვართ და იქ ვიმყოფებით, რაზედაც არაფერი ვიცით, ისე ცხადია და ჭეშმარიტი, რასაც ვგრძნობ ხოლმე, ამ ბოროტი და კეთილი ადამიანების შეხვედრისას...

II

— რაზე ფიქრობ?

— შენს სახლთან, მანქანაში რომ ვისხედით და ზაური გვისმენდა, ის მომაგონდა.

— ზაური, ხომ იცი შენ, მართლა გვისმენდი იმ საღამოს. რაზე ესაუბრობდით?

— მთარგმნელობით საქმიანობაზე, მაგრამ მე ის მომეტები უფრო მაინტერესებს, ზაური რომ გისმენდა გულმოდგინედ, მართლა აინტერესებდა, თუ ეს ქართველი კაცის ჩვეული და მეტი არაფერი.

— ჩვეული, რომ ამბობ, საგულისხმოა, ძაძა, ზაური თავისი საქნის მცოდნე, წესიერი კაცია და წიგნის მოყვარულიცაა. კითხეა უყვარს. ქართველი გლეხკაცის საუბარი რომ ფრაზებად დაკეთო და ლექსის ფორმა მიგეცო, სტრიქონებად დაკალაგო, ჩემის აზრით, ალბათ, ყველაზე მეტად შაირის ზომას მიუახლოვდება, თუკი, რითმას არ მივიღებთ მხედველობაში:

დღესა ერთსა მე და ფრიდონ ნადირობად
გამოვედით,
ზღვასა ზედა წაწურვილსა, ქედსა რასმე
გარდავედით,
ფრიდონ მითხრა: გითხრობ რასმე,
ვთამაშობდით, ცხენთა ვსხედით,
ერთი რამე საკვირველი მე ვნახეო ამა
ქედით...

დაკვირდი, რანაირი თხრობაა, რანაირი კილო, რანაირი პროზა... „ქედსა რასმე გარდავედით..." თან ეს მეოთხე სტრიქონი: „ერთი რამე საკვირველი მე ვნახეო ამა ქედით... „და უცებ, ლექსის იმავე მონაკვეთში:

საკვირველნა ამაჩქარა, ამაორთოლა,
და-ცა-მლეწა...

ასე განასხვავებს რუსთაველი პროზასა და

 პოეზიას ერთმანეთისაგან. საუბარს — მოქმედებისაგან. დასაღ შაირს — მაღალი შაირისაგან. გლეხი ამას არ აკეთებს, მაგრამ მისი სასაუბრო მეტყველება უსაღლოდ შაირის ზომაა. ამის შემოწმება შეიძლება. ჩვენმა გამოჩენილმა მსახიობმა, ნოდარ ჩხეიძემ მითხრა ერთხელ, — „ვეფხისტყაოსანის“ წაკითხვა მინდა (კონკურსში უნდა მიეღო მონაწილეობა), მაგრამ „დას“ არ მაკითხებენ. ახლა ამ „დას“ დაკვეირდი შენ, რა სუნენბრივად ჯდება სტროფში, როგორ ისვენებს მკითხველი, როგორი სიზუსტითაა თოძენილი ამ „დას“ ადგილი, — ვიდრე საბოლოო, მეოთხე სტროფზს აღმოტყოლეს მკითხველი, და რაც მთავარია, თავად რუსთაველს, თავისი პოეზა, ხმამაღლა საკითხავად ჰქონია განგაარშებული.

— ერთი უნდა გავაბოლო და ახლავე შემოვალ.

— მოეშვი, ძაბა, მაგ სიგარეტს, მაგი რომ კარგი ყოფილიყო, კაცი ვერ გამაგდებინებდა ხელიდან.

— ადრე ხომ ეწეოდი?

— ეს ორი წელიწადია, რაც თავი გავანებე. 9 წლიდან ეწეოდი. დედაჩემი რომ წაიყვანეს, ამ ღამეს მოგწერე პირველი სიგარეტი. ახლა მოდი და, იანგარიშე, თუმცა, სიგარეტი მაშინ სად იყო. თუთუნს ვახვევდი გაზეთის ნაჭეკში. ზუტიკელა ნე გგონიგარ-მეთქი, ხომ გითხარი, ყველაფერი კი არ დამეჯერება, კაცი თუ კაცს ძალიან ემიჯნება, ეს იმისაც ნიშნავს, იცოდე, რომ არც ისე შორიშორს დგას იმათი სახლი და სალოცავი. ზუტიკელა ხომ აპოლებდა ბიწოწოო თუთუნს, მეც ვაბოლებდი. ამაში კი ვგიჟართ ერთანეთს. რამდენი წელიწადი გადიდა? 45? არა, 43 წელიწადია მას აქეთ გასული, თითქმის იმდენი, რაც ეს დიდი ომი დამთავრდა. აქ არ გინდა გაბოლება ხომ? აფერ, მოდი, აივანზე გავიდეთ, მეც გამოგალ, თამბაქოს სურნელი დღესაც მსიამოვნებს, მაგრამ ახლა სადღაა ნამდვილი თამბაქო. ნაღდ თამბაქოს სტალინი აბოლეწდა. კარგი თამბაქო ნოდის ადუხაზეთში, გურიაშიც იცის თამბაქო, საქეგრელოშიც, აჭარაშიც, მაგრამ ვერც ერთი, ფუხაზეთის თამბაქოს ვერ შეედრება. „რეკორდის“ თამბაქო სჯობია ახლა სხვა თამბაქოს. ცოტა „სამსუნი“ თუ „ტრაპეზუნი“ ურევია. რამდენი შრომა უნდა თამბაქოს გამოყვანასა: დარგო, გაიბარო, გაიფხვიერო, გაამრო, გაიხ�,... თუთუნის საჭიელი მანქანა ხომ გინახავს? ერთმა ჩემმა მეზობელმა ხარის ფაცი მისცა თუთუნის საჭიელ მანქანაში. მთელი სოფელი იმ ერთ მანქანას იყო მიჩერებული. როგორი თავმოწონებით დადიოდა ის ჩემი ნაცნობი გლეხიკაცი. ასე იცის მანეფაქტურის მომძლავრებამ...

მინდა ეს ბაღი გავაშენო, გავამშვენო; ჩემი დაწყებული ნე გგონია ეს რემონტი. დიდიხანია ამ შენობას ეუკირტებთ, ნესტიანია ეს ადგილი, ამ დაქანებაზე ჩამონარეცი წყალი ჩამოდის, შენობა გაიბზარა, დავაკერეთ და ... ვადუღაბეთ. აი, იმ კედლის გასწვრივ, ... ნუდა ჩაეყარო. მალარი რომ ტანს აიყოს, კედელი არც გამოჩნდება. ამ ლინოლეუმს დროებით ვფეკნი, ვიდრე უკეთესს გამოვნახავდეთ. ლიტერატორთა სახლსაც გავხსნით მალე. კარგი შენობა გამოგვიყვეს. სამუშაოც გვექნება და თავის გასართობიც, რესტორანიც და წიგნების ფარდულიც. ხომ ხედავ, სად წამიყვანა ამ თამბაქოს გახსენებამ. ეზრა პაუნდი აბობს ერთ პოემაში, — ზვიად გამსახურდიას თარგმანიდან ვიცი, — აჯარ, გოგოლის მოთხრობა თარგმნა ახლა ზვიადმა, დიდებული, ღონიერი ქართულით, ნეტავი თუთუნის ფარდულით მომკალ, ნატრობს პაუნდი. ბედნიერი კაცი ვიქნებოდით, ჩავაყენებდი ფარდულში ლამაზ გოგონას, მეშტატს მიიზიდავდა, სიგარეტებს ბლოდად გაყიდდაო და ასე შემდეგ, ნეტავი თუთუნის ფარდული მომკალო, ოღონდაც, ეს აუტანელი ხელობა ნომაშორაო, — სადაც გამეტდებით მიწევს თავის ტეხვა და ტვინის ქულტაკი. ასეთია მწერლის ამბავი. ზოგს გვნერლობა უნდა, ზოგს — ნოქრობა, ზოგს — მეცხვარეობა, ზოგს კიდევ — რა. ეეშმარიტი ბედნიერება დასვეწებასა და სიმყუდროვეშია. შენ კი იჯექი და ოტეხე თავი გენერლის გამო, ნოქრის გამო, მეცხვარის გამო. იჯექი და უთიე ღამე ლამპას და სიტყვას. მაგრამ, ერთხელ, როცა ჩემს ახალ რომანს ვწერდი, და როცა სოსლოთან უთხრა ხატიას, — იქით გიიხედეო, მთელი სამი-ოთხი თვე, მტი ღერი სიტყვა არ დამიწერია. რაც ინ ერთმა მოკლე ფრაზამ სიბარელი მარგუნა, მთელი წიგნი ვერ მომანანეზებდა, — აეშნენი კაცი, მოგიცალე და დავიკვენე. ტერენტი გრანელს ეწერია, ძაბა, მიხარია, რომ ტერენტი გრანელი ვარო. მწერლობა ბედნიერებაა, მაგრამ ისეთი იშვიათი ბედნიერებაა, რომ დიდი ტანჯვა და წმენდა უძღვის წინ. ისე კი, რა უნდა კაცს, სიმარილი რომ ითქვას, — ერთი ნაჭერი ხორცი უნდა, რათა კუჭი გიიხარეს, და ერთი ხელსგელოსნოდენა ადგილი, რათა სიამე მოიმკას. ჩემი საკუთარი სალაროდან არაა, რაც ახლა გითხარი, სხვაგან ამოვიკითხე და მოიმწონა.

11.

— შემოდი, მურმან, ეს ჩემი ექიმია, გაიცანი, ამათინი ნიდგას სული. ახლა კარგად ვარ, მაინც არ მჯ'ზვენიან. ასე კარგად არასოდეს ეყოფილვარ.

— სულ ასე იძახი შენ, — ჩაერია საუბარში ქალბატონი ნანული.

— ასე რომ ვიძახი, მიტომ ვარ კარგად. სიტყვას მაგიერი ძალა აქვს, ხომ იცი შენ.

მურმან ჯაფუზარია

„ბაზარულას“ ბარშემო, ანუ რამდენიმე სალამო ნოდარ ფუმბაძესთან

(ექიმი რომ გაისტუმრა, დუმბაძემ კვლავ განაგრძო ადრე დაწყებული სიტყვა).

— სიტყვას მაგიერი ძალა აქვს. იყო ერთი ასეთი პიტერ—სპასები. ლენინგრადში ცხოვრობდა, მგონი. სახელი არ მახსოვს. პასტერნაკის მეგობარი იყო. წერილებს სწერდნენ ერთმანეთს. და ერთხელ, სპასკიმ მისწერა თავის მეგობარს, ეს ბორის დღეები სულ თავის მოკვლაზე ვფიქრობრ. პასტერნაკმა უპასუხა, არ ვარგა ასე დაფიქნეინთ ერთი და იგივე სიტყვის ჩაემბაო, ერთხელაც იქნება და, თავს მართლა მოიკლავო. ღვინოზე მოხვედი ხომ? ღვინო მაქვს, ხომ გიფიხარი, — იზაპელი. ნანელი, შენ სადილს მიხედე, მცირე სუფრა გაგვიწყვე, ვიდრე ჩვენ აქ ვისაუბრებთ. ღვინოს მე თვითონ გადმოვიღებ, ხელი არ ახლო, იცოდე, ღვინო არ გამოფუჭო. არ ნიყვარს, ბოცა რომ შეეანდეს, ასე მგონია, ღვინო აიმღვრეგა, ფერს დაკარგავს. ალადასტერს არ ჩამოუვარდება ჩემი იზაბელა. ალადასტერი იმერეთში იცის. შეუდარებელი ღვინოა, მაგრამ, სადაა ახლა. ოქტომში იცის კარგი ადესა, დაზამთრებულზე, ჭირაზი რომ ედება მინდერებს, ყინვის დილდილობით, ხეზე გასული ადესა კი ცაში კოხტაობს და ეესვა ქვეყნის ფრინველი. რაც კაცს ეკუთვნოდა, შეინახა, ჩიტის ყურძენი სხვაა. ცოტა რამ ჰყოფნის კაცსაც და ფრინველსაც. ჯარაზენში, ერთძა მოხუცებულმა კაცმა ნითხრა, ამხელა ჰესი რა ჭირად გვინდაო. მაგაზაზე უნდა აგვეგო ჰესი და გვეყოფოდაო, ჩვენს რაიონს ბაანათებდაო, რიონი — ქუთაისს ბაანათებდაო, ჯანისწყალი — წალენჯიხას, ხობისწყალი — ხობს და ასე შემდეგ... პატარა ფაბრიკა-ქარხნები გვინდაო, პატარა სახელოსნოები, საქართველო პატარა არის, შენ ხარ ჩემი ბატონი და, მოვლა-პატრონობაც არ გაგვიჭირდებოდაო. ამ ბერიკაცს თავისი აზრი ჰქონდა ყველფერზე და, რამდენიც არ უნდა გეჩიჩინა, თავისას ვერ გადაათქმევინებდი. სახელგანქმულ მეჯოგეს ძაკი კვარაცხელიას ვიცნობდი, ჩვენი ფერმა ასე სულ საქონელს ვერ უვლიასო, ძაკი მარტო უელოდაო. კვარაცხელიას საქონელი ხან მთაში ედგა და ხან კოლხეთის დაბლობზე, აწინდა დაპყვებოდაო. ეს გამონთქვამთ კარგად დამამახსოვრდა, „რაც კამერია?“ გახსოვს გალაკტიონთან. ახლა რომ კამერი მოვაშენოთ, და გაქრობას გადავაჩრნოთ, გეგმა როგორ უნდა შეკასრულოთ? ყველაფერი არ უნდა შეეტანათ, ეგრეთწოდებული, დგეგმარებაში. ღვინის გადმოღებაზე გეუბნებოდი. ღვინოს ფრთხილად უნდა გადმოღება. ღვინოც დამიწურავს. იმ რიგით კი არა, ოღონდაც, ოთარ იოსელიანმა რომ გადანახა ეკრანზე, აწამ მთელი წიგნი ვერ ეყოფა, კარგად რომ აღწერო. დიდი და გრძელი რიტუალია. რამდენი ხანი ემზადება კაცი, სწორანალმში რომ შაშველი ფეხებიი ჩავიდეს, რამდენი ხეხვა და ფეხის ბანვა სჭირდება. დიონისე აქ დაიბადა. როგორ მოიფარჩა თბილისი მწვანით და ვაზით. როგორ გაიფოთლა სამასი ძირი ვაზი. სამასი ფერი. მოდი, ძაბ, ლტოლ ნურაფერზე ვილაპარაკებთ. მსჯელობს მოვეშვათ. მომწყინდა ამდენი ორი და მშვიდობა. ამას წინათ, პარის მაღაზიაში, გამყიდველს ვეჩხუბე, — არა გრცხვენიანთ, დილანდელ პარს რომ ყიდით-მეთქი. მერე ისე შემრცხვა ჩემი ნათქვამისა, შევბრუნდი და ერთის ნაცვლად, ორი პარი ვიყიდე. გამყიდველი გოგონა, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდა, რადგან ძალზე ახალგაზრდა იყო და ომი არ იცოდა.

— ესე იგი, არც მშვიდობის ფასი იცოდა, ცხადია.

— ესეც დაბადება-გარდაცვალებასავითაა ერთნანეთთან დაკავშირებული. ომს მშვიდობა მოსდევს. მშვიდობას — ომი. აბა, რაკი გინდა, ძაბ, ახლა რომ ახალგაზრდები ომობაზაში ვარ-კიშობენ, ნამდვილი ვასოოოოა მოეხატრებათ ხოლმე, ნამდვილი ომი. ერთმა ჯარგამოვლილმა ყმაწვილმა, იარაღი აშოვა სადღაც და ნთელი ათეული უიარაღო კაცი დახოცა. ჩეხოვის არ იყოს, თოფი თუ კედლეზე ჰკიდია, კიდევაც უნდა გვიპროდეს. მაგრამ ჩვენი სახელმწიფო ომისთვის იბრძვის, რომ სოოოა საერთოდ არ იქნეს საჭირო. ამას დაფიქრება და გეფლთან ახლოს მიტანა სჭირდება. აგერ, მგონი, სადილად გვეძახიან...

— არ გახვიდე, გაიფრთხილა ნანელომ ქმარი, როცა მან კარი გამოაღო, რათა აიგანეზე მდგარი ბოცოდან ღვინო გადმოეღო.

— აბა, ბოცა არ შენ?ოდის სახლში და რა ენნა

— ისე დაკინებით ეუფრეს, შემოვა; არადა, ჩაიცეი მაინც, ობილი ჭიმპარი გადაიცვი, თორემ ენინავს გარეთ.

— თუკი ჩაეიცვი და ჩავიხუთე, რა გემო აქვს სუფთა ჰაერზე გასელას.

— აგერ სტუმარი გადმოიღებს...

— ახლავე, ვთქვი მე.

— არა, ძაბ, ამ საქმეს ვერავინ ვანდობ.

ლუმბაძემ კარი გააღო, აიგანზე გავიდა, რეზინის მილით პატარა ლოქში გადმოიღო წითელი ღვინო, რაკრაკით აივსო ლოქი, რეზინის მილის ნეორე ბოლოც ბოცაში ჩააბრუნა და ოთახში შემოვიდა.

— მილი? — იკითხა ნანელომ.

— მილზე მშვენიერი ანეგდოტი ვიცი, მაგრამ ქალთან არ ითქმის.

მე გამეცინა, მაგრამ, მასპინძელმა ლოქი მაგიდაზე ჩაპოდგა და პირზე ხელი აიფარა. სსუო, ესე იგი.

— მილი ითქმის ჩაეტოვე ბოცაში, ნანელი, იქნებ კიდევ დაგვჭირდეს-მეთქი ღვინო.

— არ შეიძლება შენთვის ღვინის სმა, გაიგე ერთხელ და სამუდამოდ.

— ამ ერთხელ გავიგე, ახლა, ნანელი და, სამუდამოდ ცოტა გადაშიშე.

— წამალო? წამალს რომ სვამ?

— წამალი დაგლევე უკვე.

— ის ჭამის წინა იყო, ჭამის ნერე ხომ უნდა დალონ?

— მაცალე, ახლა, ქალო, ჯერ ხომ არაფერი გვიჭამია:

შემოგუსხეოდით სუფრას — ოჯახის თავი, მისი მეორე ნახევარი, მისი სიდედრი, პატარა ნოდარიკო — დიდი ნოდარის შვილიშვილი და მე.

— მეგრეული, დედა, ეს კაცი, ჯუმბერია.

— ვიცნობ მე მაგას, ლექსებს რომ წერს, ის არის, ხომ?

— კი. მაგი.

— ჰოდა, ვიცი. ვიცნობ მაგას.

— მთელი ჩენი ოჯახი კითხულობს, ბატონო, ახა, რა გეგონა!

— ლიმონათი თუ ღვინო? — შეეკითხა დიდი ნოდარი პატარა ნოდარიკოს, — რა დაგისხა?

— ლიმონათი, — თქვა ბავშვმა, მაგრამ ჩვენს ქუქეში ჩამოსხმული სხვა ფერის წვენი რომ დაინახა, დასძინა, — არა, ღვინო.

— აი, შენ ლიმონათი და, აგერ, ცოტა ღვინოც გავუტიოთო, — ვისა აქვს ახლა ასეთი სასმელი ღედამიწის ზურგზე.

— ახა შენ იყავი, თამადა, ჯიმა, თქვი სადღეგრძელო.

მე, ჩვეულებისამებრ, ფეხზე წამოვდექი და ზეზეულად ვთქვი ოჯახის პირველი სადღეგრძელო.

— ნელენი ხარ, ალბათ, ნანა, შენ, — მითხრა თმაშეკერცხლო�მა მანდილოსანმა.

— როგორ მიხვიდნ, ქალბატონო?

— ფეხზე დგახარ, სადღეგრძელოს რომ ამბობ.

— მელენი გახლავართ, სამეურზაყანოელი.

— ჩვენ კიდევ მარტვილის მაზრიდან ვარ. დაჯექი, ნანა, რატომ შემიწუხდი?

— რამდენი ენა იცი? — მკითხა დუმბაძემ.

— ერთი, — ვუპასუხე.

— რუსულიც ხომ იცი?

— კი. ვიცი რუსული.

— ჰოდა, ორი ენა გეცოდნა, რომ ვიანგარიშოთ; რუსული ენის ცოდნა ქართველი კაცისთვის იგივეა, რაც — ფრანგისათვის ინგლისურის ცოდნა, ან ინგლისელისათვის — გერმანულის...

— უცხო ენაც რომ ვიცოდი, ამაზე არც მიფიქრია.

— კი. ასეა, მაგრამ, შენ მგონი, სამი ენა იცი და არა ორი.

— როგორ?

— მეგრული ხომ იცი?

— თუ ვიცი, მეგრული ვიცი, ცხადია. მაგრამ მეგრულის ცოდნა რა არის, ვითომ?

— ვინც იცის, იმისთვის თითქოს არაფერია, მაგრამ ვინც არ იცის, იმისთვის მთელი სამყაროა. მარტო კვირის დღეები რომ ჩამოთვალო მეგრულად და მათი შინაარსი გაიგო, ამდენი წელიწადი დაგვირდება...

— „თუთა, თახა, ჯუმა, ცა, ობი, სამბატონი, ქა“.

— ჯავახშვილთან სწერია ეს ლექსი.

— კი მაგრამ, საიდან იცი, რომ ეს ლექსია და არა უბრალო ჩამოთვლა სადაგი დღეებისა.

— რითმა აქვს ბოლოში და იქიდან ვხვდები. მაგრამ, ამას რომ თავი გავაანალიზოთ, როგორი ნოსსამენია: თუთაშუბა, თახაშუბა, ჯუმაშუბა, ცაშუბა, ობიშუბა, სამბატონი, ქაშუბა. ესე იგი, მთავრის დღე, თარხონის დღე, ჯუმის დღე, ცის დღე, ობის დღე, სამბატონი და მზის დღე. ყოველ დღეს თავისი ვარსკვლავი და ბეჭედი აზის, — თუთაშუბა დღე ბეჭნიერი დღეა, ამ დღეს არ შეიძლება შინდიან გასვლა, მაგრამ საქმის წამოწყება, კარგის მოიტანია. თახაშუბა — ტირილის დღეა, აგრეთვე — ლხინისა. ჯუმაშუბა სადაგი დღეა. მუშა დღეა. ცაშუბა — ცის დღეა, ტირილისა და ლხინის დღეა, ობიშუბა ჯუმაშუბას მსგავსია და ნათესავი. სამბატონი და ქაშუბა ისევ ტირილისა და ლხინის დღეებია. ქაშუბა, აგრეთვე, უქმეა. კვირა დღეს არ მუშაობდნენ ჩვენი წინაპრები. ისევენებდნენ. მეგრული ენით, ოდესმე, ალბათ, სასწაულ ტექსტებს აწოიკითხავენ. ახლა ნოხელის პრემიას ანიჭებენ ერთი ბეწო ფირფიტის გამოფრფესათვის. ჩვენ კი ეს დიდებული ენა გვაქვს და უნდა შევინახოთ, ასევე, უნდა შევინახოთ სვანური. აგერ, ჩვენი მერთხაზ ჩახავა ავიდოთ, — მშვენიერ ლექსებს წერს, თუმცა, მეგრულად. როგორი კარგი საბავშვო მოთხრობები აქვს; მერედა, უშლის მეგრულს ცოდნა? პირიქით, ეხმარება. ეთერ თათარიანმა თუშურ კილოზე დაწერა ლექსები. მკითხველმა ვერ გაიგო მისი ლექსები, მაგრამ მიიღო. ხალხით გაჭედილი დარბაზი უსმენდა თათარიანძეს. „დე, მომიკითხიდ...“, ეს „დე“ ჩვენი ენის პირველი საძრიანა, როგორც „ნა“ და როგორც კიდევ სხვა მრავალი რამ.

— ოთანე ზოსიმეს ლექსზე რომ კამათობენ ჩვენი ლიტერატორები, თუ კითხულობ?

— საკამათო მანდ არაფერია. ლექსში ხომ ნათლად წერია, რისი თქმაც უნდა ავტორს. „ღვინია გადაიჩეხა“ თუ წოიკითხე გაზეთში. დაახლოებით, ასეა ჩვენი ამბავი. ზოსიმე რასაც ამბობს, ისე უნდა გავიგოთ, აკაკი ბაქრაძეს სწორად წოაკითხა ტექსტი. მთელი ენერგია ქრისტესთანაა დაკავშირებული, საქართველოს ნოქაცეკავსთან, გაქრისტიანებასთან; დღიდან ბოქაცევისაო, ამბობს ზოსიმე, კაცი რომ მოინათლა, ენაც მოინათლა და გაქრისტიანდა. ქრისტეს რჯულზე შედგა, და რაკიღა მოიქცა, აწ და მარადის, ამ ენაზე უნდა იწარმოოს წირვა-ლოცვამ, საქართველო ქართველი მწერლისთვის ქვეყანაა და მსოფლიო. და რაკიღა, საქართველოში, ქრისტეს ენაზე იქნება წირვა-ლოცვა, ეს იმასაც ნიშნავს, რომ მთელს მსოფლიოშიც

ასე იქნება. „ღვინო გადაიჩეხა“ საოცრად მარეგზონა. დიდებული მწერალია ოთარ ჩხეიძე. მას კიბალი მიმბაძველებიც გაუჩნდა. მიმბაძველნაზე კი რა გითხრა, — სულერთია, ქართველ მწერალს ბაძავ თუ უცხოელს: „სა-ქართველოში დღეს ყველა მგოსანს, შარავანდედს ჰფენს შენი გავლენა...“ ეს რაც პოეტებს შეეხება, მაგრამ, შარავანდედი ეფინება თუ არა, ეს კიდევ, ამ ყიფლის პოეტების საკითხეაა.

— ისეთი მწერლებიც ხომ გვყვანან, საკუთარი ჩმა რომ გაიჩინათ, მაგრამ, ახალს არაფერს გვეუბნებიან.

— ფორმა და შინაარსის ურთიერთობაა მთავარი. აგერ, ეს დღეკი, ერთმა მეგობარმა მაჩუქა. ღვინო მოგიტანეთ, მიიხრაა, ღვინო დაილია, დოქი კი შეგვრჩა. ნახე, როგორი დოქია.

— მართლა ლამაზია.

— დოქი — ფორმაა. ღვინო — შინაარსი. რომელი სჯობინა? ფორმა თუ შინაარსი? დოქი თუ ღვინო? ორივე ერთად რომ არის, ეგ არის კარგი. ან დოქში კახური იდგა. ახლა, აგერ, იზაბელი ჩავასხი. რუსთაველსა და ვაჟას ერთნაირი ფორმის ღვინი აქვთ. ესეც არ უნდა დავიგიწყოთ, რომ დღეს, ჩვენში, ბევრი ლექსი იწერება ლექსისათვის, ფორმისათვის, მსოფლმხედველობისაკენ კი უნდა დაიწეროს. ამასწინათ, აი, ვერლიბრზე რა ეიფიქრე: არ შეიძლება ვერლიბრი დიდხანს გაჰყვეს ჩვენს პოეზიას. ვერლიბრით ხომ საბავშვო ნაწარმოები ვერ შეიქმნება, ესე იგი, არაა ვერლიბრი საჩვენო პოეზიის ფორმა. კონსტანტინე გამსახურდიას შეგონება რომ გავიხსენოთ, — რუსთაველს რომ ეთარგმნა ჰომეროსი, თავისი ლექსის ზომით თარგმნილიყო, ალბათ. გაეკართულებდა. გერონტე ქიქოძის „ტრისტანი და იზოლდა“ თითქოს, იმთავითვე, ქართულად შეითხზა. ქართველები ვართ და ქართველები უნდა ვიყოთ. ჩვენ ჩვენი საკუთარი ეროვნული ფერი და გვმოვნება გვაქვს. ჩენის აზრით, როცა ეს დედამიწაზე გაჩნდა, და როცა ამ დედამიწაზე ადამიანები გაჩნდნენ, ყველას თავისი განსაკუთრებული ფეროვანება დაპყავ. გაჩნდა შავკანიანი თეთრკანიანი, ყვითელკანიანი რასები. დრო გადის, მაგრამ, ეს რასები ერთმანეთში არ ითქვეფენიან, ორი ზანგი ერთ თეთრკანიანს ვერ შობს. აქ დიდიძალი ამაგი მოეძღოს ადგილმდებარეობასა და ლანდშაფტს. ჩვენ, ქართველები, პირნოსპირელები ვართ, — კავკასიის მთების შვილები. ქართველი ყველგან ქართველია და სხვა ეროვნების ადამიანში არ ეარეგა. ჰაეგე, განსხვავდება სხვათაგან ჩვენი ენა და ჩვენი ადათ-წესები. წერილ ყმაწვილებმა უცხოური ლექსის გავლენით. ეს საშინი არაა. იმიტომ, რომ ქართული ვერ იგუებს იმათ ნახელავს, ვერ გიგიათვისებს და, იმიტომაც, არაა საშინი. ახალი რასა არ ჩნდება დედამიწაზე, როგორც ადრე ვთქვით, და ამა, თუ იმ ერის ცხოვრებაში ახალი ფორმისა და პოეტიკის შეტანა წარმოდგენელია. ხოლო იგი, ვინც ეცდება, ჩვენში შეიტანოს თავისი ენა და ადათ-წესები, ამით მხოლოდ საკუთარ თავს დაიენიტნა, ეს საბოლოოდ, სავალალო გაუხდება თავისი საქციელი. სხვათა კულტურაში გაითქვიფება, განქარდება, როგორც ეს, თავის დროზე, მონღოლეთის უზარმაზარ დინასტიას დაემართა. და რაც უფრო ვრცელი მასშტაბისა იქნება ამგვარი დამპყრობლური ხასიათის ომი, მით უარესი იქნება ომის განჩაღებლისათვის. ასე ყოფილა და ასე იქნება. ეს ეხება ენასაც, ადათ-წესებსაც და ადგილ-მამულსაც.

დიდიხანია ვისხედით სუფრასთან, ჯერ ოჯახის პატარა წევრი ადგა, მერე ოჯახის უხუცესი. ქალბატონნი, მერე — დიასახლისი და მე და ჩემი მასპინძელი შეეჭრით ერთმანეთს.

— ახლა კი შეიძლება, — თქვა ლუმბაძემ და ნაჩქარედად გადაჭკრა ჭიქა ღვინო. და, ვითომც არაფერი, გაკრიალებული ჭიქა ჩამოდგა მაგიდაზე. მერე მასპინძემაც კიდევ გამოცალა ორი ჭიქა ღვინო, ნაგრამ ის პირველი ჭიქა მიინც სხვა იყო.

როგორ გამოჩნდა და როგორ დადგა ჩემს წინ ქართველი კაცი, მთელი მისი სიგრძე-სიგანით, ქართული სუფრისადმი, ქართული ღვინისადმი მისეული დამოკიდებულებით, — წამალი უნდა დალეი ის ღვინის მერე, მაგრამ ამაზე არც უფიქრია, არც გახსენებია, რამდენმე წუთით დაიგიწყა წამლის გეწო და ფერი, რადგან ის ღვინის ეეემ და სურსელი ასი თავით ეუპარებოდა წამლის ძალასა და ღონეს. ისეთი რამე დავინახე იმ ჭიქა ღვინის ეამოცლისას, რასაც ახლა ვერ ვამბობ, იმდენად გასაგები, ბუნებრივი და კ ქართული იყო ჩემთვის ის მომენტი, რომ ყოველგვარი აღწერა და საუბარი, არა თუ ჰმატებს ამ ამბავს რამეს, არაფერ აკნინებს, ციდან მიწაზე ჩამოჰყავს და საყოველთაოს ხდის იმას, რაც მაშინ, მარტო ჩემთვის გავიფიქრე და შეეგიბრძენი.

ამ ამბის მოყოლა, ამჯერად, მე მოკლულ ფრინველს მაგონებს, ფრთებს რომ ტალახში მითრევეს და სულ რაღაც, ერთი წუთის წინ კი, ცაში ნავარდობდა.

მერე ჩვენ, ყველანი, ლუმბაძის სამუშაო კაბინეტში შეეველით. რაღაცა უნდა განახოთო, დაგვპირდა, მაგრამ გადაავიწყდა. ზის ფეზნორთმბუელი დაბალ სავარძელში, დაფაჩიტულ წარბებს ქვემოდან გვიყურებს და საუბრობს. ნელნელა, სულნმ-სულნენით, ხელებს გაშლის ხოლმე, განზე გასწევს, ხან ერთმანეთს დაკვლიმს, ხანაც ხელებით მუხლებს დაეყრდნობა, მაგრამ ტანი არ შეერხეგა. სიტყვას ამბობს და ენერგიულიეთი ეხმარება გამოთქმულ აზრს, საჩინოებასა და ხიბლს ჰმატებს, იცინის, გვაცინებს, თან ჩვენ კი არ გვესაუბრება თითქოს, ხმადაბალი, საკუთარ თავს უსაუბრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რუსეთი დაბლობია, აგერ, ნანულის ზღვისფერი თვალები აქვს, მეგრელია და იმიტომ. მთიანი სამეგრელოდან ზღვა ჩანს, მარტვილში იქნება ნამყოფი. რუსეთი ვრცელია და ტოლსტოი ასი ტომის ავტორია.

დუმბაძის ენა, მისი სთქმელი და სალაპარაკო თასმაგვარ ნიუანსს მოიცავს. სულ მცირე დეტალიდან უცემ გადავა მასშტაბურ სახეებზე.

— ბეოლას ესხუბადი, ამბობს დუმბაძე, — ნაჯახი შოვიქნე და ამიცდა.

— ხომ არ დამარცხდი?

— არა. მოქნილი ნაჯახით კანი ავიცალე ბეოლას, გამოჩნდა ხის თეთრი ტანი. და მე უეცრად გული წაბივიდა. რატომღაც პური მომაგონდა და წავიქეცი. მერე დედა მომაგონდა, მერე მამა, მერე — ყველა ჩვენიანი, მთელი ჩემი ცხოვრება დამიდგა თვალწინ, და ცუდად შევიქენი.

— ახლა ესა თქვი, შენ, კაცი რომ ეჭიმთან მივა, ეჭიმი პაციენტს რომ შეეკითხება, რა გტკივა, სად გტკივაო, თუ დაუმალე და არ უთხარი, რა გტკივა, როგორ უნდა გიწინალოს? მაგრამ, ეჭიმმა, რომც მიაგნოს შენს სატკივარს, საქმე მაინც მერე უნდა დაიწყოს. ეს ზღვა საქმე თავსატეხი. ჩვენ კი საკუთარ სატკივარსაც ვმალავთ ხანდახან და როგორ გვეწამლება ამას ვამბობ, ამაზე ვწუხვარ.

პატარა ნოდარიკო მაგიდას მიუჯდა, წინ ნარინარი ფერის ფლომასტერები დაიყარა, ახალი სახატავი რვეული გაშალა, ფლომასტერი მომართა, დიდხანი იფიქრა, რა ჩაეხატა თუ ჩაეწერა რვეულში და ვერ გადაეწყვიტა. მერე ბაბუას მიუბრუნდა:

— ჩამიხატე, რამე, ბაბუა, აგერ დამიწერე.

— მომეცი, ბაბუა, კალამი.

დუმბაძემ ფლომასტერი გამოართვა და იმ პირველ გვერდზე, მარცხნიდან მარჯვნივ, რვეულის მთელ სიგრძეზე მსხვილი, მაღალი, დიდრონი ასო-ნიშნებით, გადაამუღლდ, როგორც ადრე, სკოლაში იგვასწავლიდნენ,

საქართველო

გამოიყვანა.

— ახლა შენ, ქართველი და ქართული მიაწერე ამ სიტყვას, ბაბუა და, შენი სამეცაც ის იქნება.

ბაბუამ რომ სამება მოიხსენია, პატარა ნოდარიკომ ფლომასტერი გამოართვა და ჩაფიქრდა...

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

*

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲘᲠᲘᲙᲐ

იოსებ ნონეშვილი სამწერლო ასპარეზზე 30-იანი წლების ბოლოს გამოვიდა. ქართულ ლიტერატურაში მისმა შემოსვლამ თან მოიტანა სიკეთის, სილამაზის, მეგობრობისა და სიყვარულის თემებზე თავისებური გაგმოვანება. მართალია, ქართული პოეზია საერთოდ მშვენიერების, სიკეთის, ადამიანის ამაღლებული სულისა და მიჯნურობის საგალობელია, მაგრამ ამ იდეების ყველა შემოქმედი თავისებურად წარმოსახავს.

ი. ნონეშვილის სტრიქონები გამთბარია ადამიანისადმი სიყვარულით, გარდასული თუ თანამედროვე ეპოქის მგრძენისადმი თაყვანისცემის გრძნობით.

პოეტი ფაქიზად ძერწავს თანამედროული საქართველოს მხატვრულ სურათებს, გატაცებით უმღერის ეპოქის ახალ გმირს. მაგრამ არც საქართველოს წარსულის მიმართ არის გულგრილი.

ი. ნონეშვილის პოეტური თვალთახედვა საქართველოს ისტორიის ღრმა ლაბირინთებში იჭრება და ჩვენს წინ ცოცხლდება პომპეუსის ხიდის, არმაზისა და მოდინახეს ციხეების, დიდგორისა და იყალთოს ჯადოსნურ-მხატვრული სახეები.

საუკუნეთა სქელ მტვერშია ჩაძირული პომპეუსის ხიდთან დაკავშირებული ისტორია. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 65 წლის გაზაფხულზე ბრძოლაში დახელოვნებული რომაელი ჯარისკაცები შემოჭრილან იბერთა მიწა-წყალზე:

შეაბარბაცეს დედამიწა მკაცრი ბრძოლებით,
შტბების შუქი ანათებდა ქართლის
ტრამალებს.
(პომპეუსის ხიდი).

ძლევამოსილ რომაელთა ლაშქარს სახელმოხვეული პომპეუსი სარდლობდა. მეფე არტაგამ ვერ შეძლო რომაელთა ლეგიონების დამარცხება, სწორედ ამ პერიოდთან არის დაკავშირებული მითი პომპეუსის ხიდის შესახებ და ი. ნონეშვილის ლექსიც ამ ქარიშხლიან დღეებს ეხმაურება.

ბრძოლების მრავალი საიდუმლო ჩაუკრავს დროის მსახვრალ ხელს, არმაზის ციხესთან, თვით პომპეუსსაც უბრძოლია ამ ადგილებში, ამ ციხეებში. საუკუნეთა განმავლობაში იდგა ეს ამაყი და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრე, მაგრამ ქვეყნად სხვა რა არის უკედავი და მარადიული, ათასბრძოლაგამოვლილი არმაზის ციხე დარჩენილიყო დაულეწავი. პოეტს სევდას გვრის არმაზის ნანგრევთა სასამძიმდილი ფერები. შემორჩენილი ნანგრევებიც კი ცხადნენ უცახადად მეტყველებენ არმაზის გარდასულ ძლიერებას.

რას გეგულებდნენ ნეტავ ზარები,
ასეთი სევდით და მწუხარებით?
იქნება გლოვობდნენ იმ ნეტარ დღეთა,
როცა დიდებით ბრწყინავდა მცხეთა.
(მცხეთობა).

პოეტი ლექსებში „იყალთო", „ვახტანგ VI", „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს" და სხვა მეტად ფრფელი, ლირიკული განცდებით ვეიხატავს წინაპართა დამსახურებას ქართული ეროვნული ღირსების დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში.

პოეტი სათანადო მხატვრული ფორმით, მეტად ღრმად და შინაარსიანად წარმოგვისახავს დიდგორის ბრძოლის გმირულ ეპოპეას. გარსმოჭარული უსჯულოება წალეკვას ემუქრებოდა ყოველივეს, რასაც ქრისტიანული, ქართველური, ლამაზი და ამაღლებული ერქვა. კარსმომდგარი საშინელების გაზრებამ გააათეცა თითოეული ქართველი, ერისა და ენის დაკარგვის საშიშროებამ მათ უჩვეულო ძალა შთაბერა.

რამეთუ დედა სამშობლოს დაცვა,
რამეთუ დაცვა
მშობელი ერის,
რამეთუ დაცვა
რჯულის და ენის
ერთის აქცევს ასად.

ი. ნონეშვილის ეს ლექსი საინტერესოა დიდგორის ისტორიული ბრძოლის მხატვრული გაგზრებით, მასში კარგად ჩანს პოეტის დამკვიდრული ემოციები. საყურადღებოა პოეტური სტილი, რომელიც შეეხადგება დიდგორის ისტორიულ ფონს. წინადადების არქაული სინტაქსური წყობა და მდიდარი არქაული ლექსიკოლოგია კოლორიტულად წარმოსახავს მეთორმეტე საუკუნის ბრძოლათა ისტორიას და მკითხველში გარკვეულ განწყობილებას ქმნის.

ლექსში „დაბრუნებული არწივი" ერეკლე მეორის ნათელი სახეა გაცოცხლებული. სა-

ხელოვანნი მეფისა და სარდლის ერეკლე მეორის საფიქრალი დღისითაც და ღამითაც საქართველო და მისი მომავალი იყო, მხოლოდ და მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან დამეგობრებით თუ მიიღებს იგი შეეგის:

სეედა მოეჩრდილა ვგრინს წამშამები,
ბეერგან შეჩერდა და ბეერი ისაკოისა,
ბედი ს ამშბლოსი მარად ნაწამები,
ასე გაალაწყვიტა გულმან ირაკლისამ.

ეს სტროფი ბარათაშვილის სტრიქონების ასოციაციას იწვევს: „დიდი ხანია გულს ირაკლისა, გადეწყვეტია ბედი ქართლისა...“ და არა მარტო ამ სტროფში, მთელს ლექსში იგრძნობა ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა“-ს რემინისცენცია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბარათაშვილის იდეების, მთელი ქართული სალიტერატურო ტრადიციებისა და ეროვნული წმერლობისადმი ერთგულებამ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა ი. ნონეშვილის პოეტური ხმა. „დაბრუნებულო არწივი“ საყურადღებო ნაწარმოებად რჩება პოეტის შემოქმედებაში, როგორც ისტორიული მოვლენისადმი პოეტის დამოკიდებულების, ისე მისი მხატვრული გადაწყვეტის თვალსაზრისითაც.

საინტერესოა ი. ნონეშვილის სონეტი „შაჰ-აბასი“. საქართველოს დაუძინებელი მტერი მრისხანე შაჰ-აბასი, პოეტიც იყო. ულლეველი მეფისა და პოეტის შაჰ-აბასის პიროვნებას მისი კაცცმოძულეობის გამო ვმობს ი. ნონეშვილი. მრისხანე შაჰს ღრმა ცოდნა და პოეტური ნიჭიც ჰქონდა, მაგრამ ის ადამიანი, ვინც კაცთმძულვარების სენით არის დაავადებული, საზოგადოების მტერია, თუ ბოროტთა და ქვეგამბედავთ ძალაუფლებაც ხელთ უპყრიათ, უდიდესი ტანჯვა და ვაება მოაქვთ, გინდ საკუთარი, გინდ სხვა ერებისთვისაც, შაჰ-აბასი კი ტირანი მეფე და პოეტი იყო, რომელიც თავის სურვილითა დასაკმაყოფილებლად მილიონების ტანჯვასა და ცრემლს არად აგდებდა და მრავალთა სიცოცხლეც შეეწირავს მის აკაცობას.

თვით შაჰ-აბასის ლექსიდან მოაქვს ი. ნონეშვილს ეპიგრაფი „დაასხი ღვინო, მალე ქვეყნად ალარ იქნება ალარც ეგ ღვინო, ალარც მსმელი, ჰეი, მერიჭიფეგ!“ ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ წარმავლობის შიში დიდად აუწახებდა სისხლის მსმელ მეფეს.

ლექსების ციკლში „ელადის ყვავილები“ განსაკუთრებული ხიბლიერით გამოირჩევა ლექსი „მეფე“.

სიყვარულთა სამსხვერპლოზე დაფერფლილი მეფეს სიცოცხლე მოკვდავთაგან შენდობასა და პატიებას იმსახურებს რამეთუ „სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე... და ეს ახეა, ვისაც ოდესმე სიყვარული გამოუცდია, მას უგემნია თავად სიკვდილი“.

ლექსის შესავალი ნაწილიდანვე პოეტი მეფეს დიდი ტრაგედიის შესაცნობად გვაშზადებს. უცხოეთში ქართველად მოტირალი ხმა სულს უძრავს მკითხველს.

აქ ქალაქ არგიში,
კორინთოს თამლოლად
ძველი ბუჩეჩები რომ ჩანან,
უეცრად მომესმა გოდება კოლხური
ეაი, ნანანა, ნანა...

პოეტს ესმის ხმითა მიწა-წყალზე ჭვარცმული და ტანჯული ქართველი ქალის გოდება ელინთა ქვეყანაში. მეფეს სახელი ტანჯვა-მწუხარების სიმბოლოა და არ შეიძლება უცხოელის მიერ სარეცელშეგინებული ქალის ტკივილი სულში არ შემოგეკრას.

ი. ნონეშვილის პოეტური სულისთქმა ყოველთვის სათნო და დამშობია, მაგრამ მეფეს თანამგზაფრობელი თითქმის ღვთაებრივ განსჯას უახლოდება. პოეტური სიტყვით მიღებულ შთაბეჭდილებას აძლიერებს ლექსის მხატვრული არქიტექტონიკა. ლექსის სათქმელთან შესადგებელი რიტმი კიდევ უფრო ნათელსა და ცხოველმყოფელს ხდის მის აზრს.

ი. ნონეშვილის პოეტური ხედვა თითქმის ყოველთვის სათნო და ამალლებულია, მაგრამ მისი პოეტური ხმა განსაკუთრებულ სრულყოფას განიცდის, როდესაც იგი სატრფიალო მოტივს ასახავს. ქართულმა სატრფიალო ლირიკამ განეთითრების მრავალსაუკუნოვანი, ფრიად მნიშვნელოვანი გზები განვლო. ქართულ საბჭოთა ლიტერატურაშიც იგი ერთ-ერთი ძირითადი მოტივთაგანია. ახალი მხატვრული სამოსელითა, მრავალფეროვანი თემატური ვარიაციებით, სატრფიალო ლირიკა თავისებურ ასახვას პოულობს ოსიეს ნონეშვილის შემოქმედებაში. სატრფიალო ლექსებშა კიდევ უფრო დაუახლოვა პოეტი მკითხველს. ქართველმა ხალხმა შეიტანა და შეისისხლხორცა ი. ნონეშვილის ღრმა განცდებით მდიდარი და მხატვრულად სრულფასოვანი სატრფიალო ლექსები. პოეტისათვის სიყვარული ქალისა და მამაკაცის ვნებიან ურთიერთობაზე არ დაიყვანება. ი. ნონეშვილი არ ჰგავს იმ პოეტებს, რომლებიც პრიმიტიულად გამოხატავენ სიყვარულს ან მის შესახებ ლაპარაკობენ სტანდარტული ფორმებით“ (შ. რადიანი). სატრფოს სახეში პოეტი ხედავს არა მხოლოდ ქალს, არამედ მთელ სამყაროს, პოეტის წარმოსახვაში იგი შეინეფეფულია სამშობლოს, ხელოვნების, ბუნებისა და საერთოდ ადამიანის სიყვარულთან. ამ მრავალ ძალზე საინტერესოა „უსაზღვრო ყვავილი“.

პოეტს სიამეს ჰგვრის საქართველოს ბუნება. იგი ლოცავს საქართველოს კურთხეულ მთა-ველს. ათასფერ ყვავილებს ფორთს პოეტს განსაკუთრებით მოსწონს ერთი პატარა, მანათობელი ყვავილი, სატრფოს მოგონებას რომ აღძრავს მასში და განა მარტო სატრფოს? ქართველი ჩუქურთმის, ქართული ხელოვნების სუნთქვაცაა გაცოცხლებული საქართველოს

მთა-ველზე მოციაგე ყვავილებში. ბუნება, ხელოვნება და ადამიანი პოეტის წარმოსახვაში ერთმანეთთანაა შერწყმული და სწორედ ამ მთლიანობის, უზადო და ამაღლებული სიყვარული წამოიყრის პოეტის სულიდან ლამაზ სტროფებში: „მზოლოდ ერთი პაწაწინა, ოქროსფერი ყვავილი, ვით ჩუქურთმა, ოპიზარის ხელით გამოყვანილი, სულ შენ გგავდა, ნაირფერად, ველად ბუნება სინათლეს, მოვიდოდმე მისი ცნობა და სახელიც ვინაცრ“.

პოეტს სწამს, რომ სიყვარულია პოეზიის სათავე, „გიფრთხილება უნდა ამ ძვირფას გრძნობას, გიფრთხილება და თაყვანისცემა მოკვდავთგან, რადგან არ არის ბუნებაში ძალა, მასზე სრულიფოფილად და ვეშმარიტად შეგაცნობინოს ცხოვრებისა და ბედნიერების სიტკბოება. სწორედ გრძნობის გიფრთხილებასა და სიყვარულისადმი ერთგულებას სთხოვს სატროს ნონეშვილის ლექსი „მოვარიან ღამეს“.

ლექსი ივა-არაკული ხასიათისაა, იგი იგივის ყოველგვარ მოთხოვნას აკმაყოფილებს. პოეტის მიერ მხატვრულად ამეტყველებულ მეტად მკვეთრ და სანღერესო ამბავს უშუალოდ ერწყმის დიდაქტიკური ელემენტი. მორალური შეგონება, რაც ლექსის მთლიან ქარგას ავსებს და შთამბეჭდავს ხდის. იგი ლირიკულიაკური ხასიათისაა.

ლექსი მნიშვნელოვანია არა მარტო აზრის ალეგორიული განსხვავებით, არამედ, რაც მთავარია, პოეტური აზროვნების სიღრმითაც. შეიძლება თქვას, რომ ნონეშვილის ეს ლექსი ერთ-ერთი შესანიშნავთაგანია, მისი სტროფნები ლაღად, ძალდაუტანებლად, მელოდიასავით მოედინება სწორედ ამტომაც იქცა სიმღერად.

საერთოდ, ი. ნონეშვილის ალეგორიით, იგავით თუ სხვა გადატანითი მნიშვნელობით ამოთქმულ სიტყვას ყოველთვის სითბო, შეგონება და ადამიანისადმი დამპრარის სურვილი ახლავს, მისი კალმისათვის დამახასიათებელი არ არის სატიროულად, მომაკვდინებელ დაცინვად ამოთქმული სტროფნები. თვითონ პარმონიული განწყობის პოეტ-პიროვნების ძალა შეუწევს შეგონებით, თბილი დარიგებით, შენდობითა და პატიებით გამოსწოროს სატიროს და, საერთოდ, ადამიანის ხასიათი, გაწამებულობის მისი ნებისყოფა. დიდაქტიკური ელფერი დაკრავს ნონეშვილის ლექსს „საუბარი ნაძვებთან“.

ამ ლექსში სატიფიალო განწყობილება მეტად თავისებურად. სწორედ პოეტურად ამაღლებული თვალითა და გულით არის აღქმული და გადმოცემული.

რაგორც ვთქვით, პოეტის გულთამხილავი თვალი ადამიანის სულის ხიღრმეში იჭრება, მეტად ნათლად და მკაფიოდ წარმოგვიხასავს იმ „მრუმე ლაბირინთებში“ დანაბულ რეალობას, მაგრამ პოეტმა ისიც კარგად იცის, რომ სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა მეტად თამძლე და უსაბამოა, თუ ის ადამიანის სულსა და გულს შემოეგზნო, მერე მასში რეალურად განვითარდა უნარი ქვეითდება. სატროს ნაკლი და მშვენება ხასწორის ცალ-ცალკე პინაზე არ აიწონება. ახალთა ბუნება ნამდვილი სიყვარულისა და სწორედ ამტომაა წრფელი და ხალასი პოეტის სტროფებში:

რას გიყურებ?
სურთ ამ თვალებს უმეცართ,
შეგამჩნეინ ნაკლიგა და მშვენებაც,
თორემ, თუკი
შემიყვარდი უეცრად,
ყველაფერი კარგად მომეჩვენება!

და მერე... პოეტი ჭარეტს არაჩვეულებრივ სილამაზეს, სიყვარულის ხხიეთი მაღლცხებულს, ამაღლებულს და გასპეტაკებულს. პოეტის მიერ ნაკანდაკეც ვმირეში კარგად იგრძნობა ქართული, ეროვნული კოლორიტი, ეს კიდევ უფრო მეტად ცხოველმყოფელსა და ღრმაბაზროვანს ხდის ი. ნონეშვილის სატროალო ლირიკას:

შუბლზე წარბთა წყვილი,
ცისარტყელა ბრწყინვაეს,
ნაწნავებიც მხრებზე
ირხევიან წყვილად,
გიშრის წყვილი თვალი
მარჯნის ბაგე წყვილი,
წყვილად,
წყვილად,
წყვილად
ჩაწყობილი კბილი.

(მაგრამ გაგიბედავ).

პოეტის მიერ შექმნილი მხატვრული სახე სრულყოფილი და უზადოა. მისი გმირები ბზის, მთვარის, ვარსკვლავთა და, საერთოდ, ციურთა თანფიგურდნი არიან, მაგრამ მკოთხველის შეგრძნებაში რეალურ, სრულქმნილ სახეს ღებულობენ. ლირიკულ გმირებში ვხედავთ ჩვეულებრივ ქართველ ქალებს, მეცნიერს, პოეტს, მოწიწავე მუშას, კოლმეურნეს და სხვ. რომელთა სახეებს მართლაც სპირდება პოეტური ხელით გამოძერწვა და სრულქმნა.

მხატვრული შედარებების, ეპითეტების, ზოგჯერ პიპერბოლების მეტად მოხდენილი, შეხვებული გამოყენებით პოეტი ადვილად დასამახსოვრებელ და ამაღლებულ სახეებს ქმნის. პოეტის მრავალთაგან მრავალ ლექსში გაცოცხლებულია ადვილად ქცეული ქალის სახე. ყველა მათგანში მხატვრული ხერხების ბარმონიული შეზავებით, რეალური და მშვენერი პორტრეტები იქმნება. მაგრამ არის ი. ნონეშვილის შემოქმედებაში ერთი მეტად ხასინტერესო და შთამბეჭდავი ლექსი, რომელ-

შიც. შეიძლება თქვას, ქალს, სატრფოს ხატი იქმნება და იხატება არა პირდაპირი გზით, სხვადასხვა პოეტური სამკაულებისა და რეალური სურათის მინაშენებით, არამედ ზოგადი წარმოსახვით. ცხოვრებისეულ შემოქმედებით და სხვა სფეროთა ცენტრში მოქცეული ლირიკული გმირის პორტრეტი ჩვენს წინაშე არ ცოცხლდება პოეტის ქალის პირდაპირი მოსმა. პოეტი ლირიკული გმირის მიმართავს — შენ საკმაოველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა! — და მკითხველიც უკვე თავადვე წარმოიდგენს მის სახეს. შემოქმედს სურს, რომ უფრო მეტად სრულოს ქართველი ქალის სილამაზე, ისი ამაღლებული ზნეობა, მისი სათუთი და წმინდა სული. ი. ნონეშვილის სატრფიალო ლექსები უმეტესის ქართველი ქალის მშვენიერებას, გონიერებას, კდემამოსილებას. მრავალი მათგანი ხალხური ლექსივით ეღერს, მაგრამ პოეტის მგრძნობიარე სულის სიმთა ეღერა მათ მეტად შთამბეჭდავს ხდის. ნონეშვილის ამ ლექსზე ქართულ კრიტიკაში მრავალი განმაკრქესელი, შეუფერებელი აზრი გამოთქვა, მაგრამ თვით ის წერილები გამოდგა მედროვეთა თვალით დანახული მცდარი შეხედულებანი, ხოლო ნონეშვილის ლექსმა გაუძლო დროის ქარცეცსს, კრიტიკას და დღეს ქართველ პოეზიაში მას სიამედო და მკვდარი ადგილი აქვს მოპოვებული.

თანდათანობით, მიხსაბ-მიხსაბ იკრიბება საგრფიალო ლირიკის მარგალიტები ი. ნონეშვილის შემოქმედებაში, აზრდება და იტვივრება ახალგაზრდა პოეტის წმინდა და ხალასი გრძნობა; მისი პოეტური და წარმტაცი სიყვარული ლექსში კეთილშმოვნებას იძენს. სიყვარულია ნათელი ლამპარი მთელი სიცოცხლისა, რომელიც საოცარი შუქით, ანრიალდნებს ადამიანის ხულს. ამასთან, პოეტი მიგვანიშნებენს, რომ ეს საოცარი და შეუქნობელი გრძნობა ჩვენს ნება-სურვილს აშეიათად ემორჩილება, გონების ხედვას უმნიშვნელოდაც არ აუურადებს, ეს ფრთამსუბუქი და უნაზესი სტუმარი შენს მიპატიეებას არასოდეს ელოდება, უეცრად გესხმის თავს და ზოგჯერ, თუნდაც ეცადო მის მიზნედვას, შეიძლება ხელიდანაც გაგიხსნატეს.

ი. ნონეშვილის სატრფიალო ლირიკა ამ ამაღლებულო გრძნობის წმინდა საგალობელია. მის ყოველ ლექსში სიყვარული და პოეტური ალმაფრენა ჰარმონიულად არის შენივთებული. „ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია“ ზოგადად ხელოვნებისა და სიყვარულის მიმნია. მუსიკასავით მოედინება სტრიქონები პოეტის ლაღ სულიდან და მკითხველს შემოქმედებისა და ტრფიალების ამაღლებულ გრძნობებს აზიარებს. ხელოვნების ყველა დარგი — ფერწერა იქნება ეს, ხუროთმოძღვრება თუ სკულპტურა, ხელოვანისაგან არაჩვეულებრივ ძალისხმევას მოითხოვს, სწორედ ამიტომ არის ჭაშუფინისაგან ჩუქურთმისმჭრელის ყოველი ნერვი დაძაბული და ნაკაღიე. ჭაშუფინის ჩუქურთმაში ხელოვანის მღელვარე და დაუოკებელი სული განივთებული. ლოდებში გაცოცხლებული ბუნება, ლოდებში ამჰაინებული სიცოცხლე ჩუქურთმისმჭრელის სუნთქვასთან არის შერწყმული:

გვიმრის ფოთოლი თუ რტო ვაზისა,
ძელქვაზე ფრთხილად ასული სვია,
ისე დაეხატე ქვაზე ფაქიზად,
რომ ჩემს სუნთქვაზე იწყვიტნენ შრიალს.

ბედნიერია ხელოვანი, რომელმაც ასე დაიმორჩილა ქვა, ასეთი სითბოთი და სინაზით ავსო ლოდები, ჰანგელოსებიც უკურთხებენ მარჯვენას მძლეთამძლე შემოქმედს. ღმერთს უტოლდება ასეთი კაცი ადამიანის წარმოსახვაში და როგორც კაცთაგან, ისე ღვთისაგან კურთხეულია მარჯვენა მისი, მაგრამ თვით ცივი ლოდების დამორჩილებელი სულიც კი მოკვდავთაგან შებრალებასა და შენდობას ითხოვს გულთამხილავის წინაშე.

ჩუქურთმისმჭრელი ცოდად მიიჩნევს სატრფოს თვალების ამტკბეველებას ღვთისმშობლის სახეზე, ცოდად მიიჩნევს სატრფოს დალალავების მსგავსად ჩუქურთმის ამოტვიფრას, მაგრამ თვითონ მასაც ვერ გაუგნაბიერია ეს ბეშარატება, რომ სატრფოს დალალკავებრა, თვალებმა შეაბერეს ფლოდები ძალა. სატრფოს თვალთა ელვამ ალუმი სული ცეცხლით და სიყვარულის ცეცხლშემოგზნებულმა ხელოვანმა ქვაში გადაიტანა სული ეს არაჩვეულებრივი წვა და მღელვარება. ჭაშუფინის ჩუქურთმაში, მის ფრესკებში თავად სიყვარული გაცოცხლებული.

ი. ნონეშვილმა გაიგო ჭაშუფინის ჩუქურთმისმჭრელის ენა, მართლაც, ადამიანის სმენისა და გრძნობის საწვდომად თარგმნა იგი. „ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია“, პოეტის გულისთრთოლვასაც გვაზიარებს და გვფიქრებინებს, რომ იგი ერთი სულისთქმითაა დაწერილი, არც ერთი კოჭლი ტალღისა, არც ერთი ზედმეტი ჩქარი, „ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია“ ქაშუეთის ჩუქურთმასავით ბუნებრივი და ლაღია.

ი. ნონეშვილის სატრფიალო ლირიკაზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ი. ნონეშვილმა ღრმად გაიზარდა ქართული სატრფიალო ლექსის ხმოვანება და ტრადიციული სატრფიალო ლირიკა ახალი და მნიშვნელოვანი ფერებით გაამდიდრა. ნონეშვილის კალმით გაჰმოვანებულმა ქართულმა სატრფიალო ლექსმა ფსიქოლოგიური სიღრმე, გრძნობათა შინაგანი ნვდომის მხატვრული განსახება წარმოგვიდგინა.

ოსობ ნონეშვილმა მოსახა და კიდეც დაიმკედრა კუთვნილი ადგილი ქართულ პოეზიაში. არათუ ხალხის გულისთქმასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობას აყურადებდა იგი, ხალხურ პოეზიასთანაც ახლო იდგა და ხალხური ენის სურნელების მადლსაც ეზიარა. შეისისხლხორცა და შეიფოთლა ყოველივე ძვირფასი, რაც ქართულ ხალხურ სიტყვიერებას გააჩნდა. სწორედ ამიტომ არის ი. ნონეშვილის პოეზია ესოდენ პოპულარული, მისაწვდომი და გასაგები. მიუხედავად ხალხის ესოდენ დიდი სიყვარულისა, მოუხედავად იმ დიდი აღიარებისა, რაც წილად ხვდა ი. ნონეშვილის პოეზიას. გარკვეული ეჭვი თუ მიდწეულით დაუკმაყოფილებლობის, საკუთარი თავისადმი მეტის მომთხოვნელობის გრძნობა არასოდეს დაუკარგავს პოეტს. ფრთხილი ეჭვი „ვაითუ" — ზოგჯერ მაინც გაითარეშებდა მის სულში:

ვაითუ კარგად ვერა ვთქვი,
რისი თქმაც კარგად მსურდა,
ჩემი გრემი და გელათი
ნუ გამიგებენ ცუდად.

(ვაითუ კარგად ვერა ვთქვი)

ამ ლექსით პოეტმა ერთხელ კიდევ გვაზიარა თავის სულიერ მადლს, ერთხელ კიდევ დაგვანახვა, თუ რა დიდი ფასი აქვს შემოქმედისათვის საშობლოს, ხალხს, მათთან საერთო ენის გამონახვას. კარგად წერს ნ. დუმბაძე ამ ლექსისა და ი. ნონეშვილის მთელი პოეზიის შესაფასებლად: „ტკბილად ღელავ და დარდობ, ჩემო იოსებ, ყველაფერი კარგად თქვი და ყველაფერი ძალიან კარგად გაგიგეს გრემმაც, გელათმაც და შენმა ხალხმაც..."

ნონეშვილის ყველა ლექსში, ყველა სტრიქონში ადამიანის სახე, მისი ხასიათი და სიყვარული მეფეობდნენ. პოეტის ეჭვი და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა არ არის ყალბი, მისი ძიების გზა არ არის ფორმალისტური. ეს არის ძიება ხალხთან, ადამიანებთან მეტი სიახლოვისა, მათი გულისთქმის ზიარებისა და, თუ მოთხოვნა მეტისა და უკეთესისა მაინც ჩნდება ი. ნონეშვილის სულსა და პოეზიაში, ეს არის არა საკუთარის, არა პირადულის, შემოქმედებითი სახელისა და სიმაღლის ძიება, არამედ ისევ და ისევ ადამიანის სულთან პოეზიის შესისხლხორცება. „არიან პოეტები, რომლებიც მუდმივად შფოთავენ, ეძიებენ და იცვლიან სულის ნიღბებს, მათ ეეჭვებათ შექმნილი და კვლავ მეტისაკენ მისწრაფვიან. რაც გვაძლევს უსასრულო მეტამორფოზებს, ახალ სტილურ მოსაკვლევს, ი. ნონეშვილისათვის ამგვარი გახელება უცხოა. ის დარჩა ერთგული იმ სტილისა, რომლითაც გამოლაქნდება მისი პიროვნება". (სოსო სიგუა, „ელადის ყვავილები", ახ. კომუნისტი, 1978 წ., 18 ნოემბერი). ამ სტილით კი ტრადიციული ქართული ლექსის გზა განავითარა პოეტმა, მეტად თავისებურად, ლაღად, ამედიანად იმღერა საშობლის სიყვარულის, მეგობრობის, ძმობის, პოეტის დანაშნულების, სიცოცხლის უკვდავების სიმღერა.

„მარინე“

გურამ რჩეულიშვილისთვის შემოქმედებითი „ენერგიის საბადო“ ექსტრემალური, „არაორდინარული“ სიტუაციები იყო, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე ინტელექტუალურ მუშაობაში.

თუმცა, აქ, ზღვარის გაკლება ძნელია, მწერალი ხშირად თვითონვე არის თავისი მოთხრობების შეუნიღბავი პროტოტიპი.

„არაორდინარულია“ „მარინეში“ მომხდარი ამბავიც. გურამ რჩეულიშვილი წერს ტრაგედიას, პიესას, სადაც კაცი კლავს კაცს, მაგრამ „ცოდვის მოტივი“, ქრისტიანული ეთიკის რღვევა და მკვლელის „სულიერი პერიპეტიები“ არ აინტერესებს მას.

გურამ რჩეულიშვილს აინტერესებს ანარეკლი. აინტერესებს ქაღი. რომელიც უშუალოდ ეხება მკვლელობის აქტს და შინაგანად თავისებურად რეაგირებს ამ აქტზე.

ფაბული ერთი შეხედვით გაცვეთილი და ბანალურიც კი ჩანს. მარინეს მოუკლეს შეყვარებული — გიო. მაგრამ ეს არ არის ტრაგედიის არსი, ეს მხოლოდ სათავეა ტრაგედიისა, არსი კი სხვაგან ძევს.

გიო მოკლა კაცმა, რომელსაც უყვარდა მარინე.

მარინეს წინაშე ჩნდება ალტერნატივა: გასწიროს თუ შეინდოს მკვლელი ე. ი. მარინეს ხელთ არის ადამიანის ხვედრი და ბედი, მსჯავრდებლის სიტყვა და, რაც მთავარია, არჩევანის თავისუფლება.

აქ კი უკვე ერთი შეხედვით გაცვეთილი ფაბულა ჰკარგავს ბანალობის თავდაპირველ შთაბეჭდილებას და ღრმა შინაარსს იძენს.

თუკი პირობითობის ენას მოვიშველიებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ორი დრამა მიმდინარეობს გვერდგვერდ (სხვადასხვა სიბრტყეში განფენილი): გარეგანი და შინაგანი.

ერთი მხრივ მკვლელობა (რომელიც ბანალობად შეიძლება მიგვეჩნია, მეორე სიბრტყე რომ არ ჰქონდეს) და, იქვე, ამ მკვლელობით გამოწვეული პიროვნების შინაგანი განხეთქილება, კრიზისი, გაორება. გ. რჩეულიშვილმა კარგად იცის: ექსტრემალური ელემენტის, მკვლელობის შემოტანა დრამაში და, მით უმეტეს, დრამის მკვლელობაზე დაფუძნება ერთგვარად აუცხოებს მეითხველს ხამოქმედო სიტუაციისაგან, მკვლელობა „არაორდინარული“, არარეგული აქტია და ერთგვარ დისტანციას ბადებს მკითხველსა და ნაწარმოებში მოქმედ პერსონაჟებს შორის. კაცს შეიძლება უნდოდეს, ...

მაგრამ მწერალი სწორად იქცევა — რეტროსპექტივას მიმართავს, რათა ყოფით ინ ექტში დაგვანახოს მარინეს ხასიათი და ამით ის უფრო სარწმუნო გახადოს ჩვენთვის. გ. რჩეულიშვილი მარინეს ბავშვობიდან იწყებს მოვლენების თანმიმდევრულ გაგვითარებას, თხრობას, მთხრობელი კი თვითონ მარინეა.

აქ არ შეიძლება მწერლის პიესებს („აკა და კო“, „იუელინი“, „მარინე“) ერთი საერთო ზოგადი მხატვრული თავისებურება არ შეეწინააღმეოდ. თავისებურია და უცნაური თვითონ დიალოგები. ყოველი პერსონაჟი ერთგვარ ჩაკეტილ დ შემოსაზღვრულ სივრცეში ლაპარაკობს, მათ დიალოგში მონოლოგიური საწყისი ჭარბობს ამ შთაბეჭდილებას თითოეული პარსონაჟის სალაპარაკო ინტონაციი ქმნის.

პერსონაჟი ივიწყებს მსმენელის და თანადამსწრის არსებობას და საკუთარ თავს ესაუბრება (ეს არის ერთგვარი ანგარიშგება საკუთარი თავის წინაშე).

მარინეს აქვს წარსული და სწორედ ამ „დაბეშული ინტონაციით“ უყვება ცირას (ბავშვობის მეგობარს) წარსულს. მკვლელობის შემდეგ მარინეს განვლილი ცხოვრება უკვე სხვა შინაარს იძენს, სხვა შუქი ეცემა მას და სხვაგვარ კონტურებს ავლებს. მარინე, თუ შეიძლება ითქვას, ბედისწერის მიზეზებს იძიებს ქვეშეცნიერულად. ტრაგედიამ მასში ღრმა რეფლექსიის უნარი დაბადა და წარსულის თხრობა, ამავე დროს, რეფლექსია, თვითშეცნობა და თვითჩაღრმავება.

მარინეს წარსულშია თავმოყრილი ის ეთიკური, ზნეობრივი, სულიერი წანამძღვარები, რომლებიც საბოლოოდ ქმნიან მის პიროვნებას, აყალიბებენ მის თვალსაზრისებს. ის ინტელიგენტური ზუნების და მსოფლგაგების, ღრმა სულიერებით დაჯილდოებული ქალიშვილია.

მარინე ეკსაპსიფირი ადამიანია. მის ნაამბობში მედიტაცია, გონებრივი ძაბვა ნაკლებია და მეტია სენსორული, შთაბეჭდილებისმიერი კომპონენტი. მარინეს აქვს წარსული, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს ტკივილი და დანაკარგი: „ჩემი დედა, თითქოს ახლაც ვხედავ, საწყალს, რა კეთილი იყო, გამაკეთებდა დიდ ბანგს. ოჰ, როგორ არ მიუვარდა ისე მაღლა აწეული თმე-

ბი... მომცემდა ხელში შავ დიდ ნოტებს შესანახს ოჯიხის პროფილით ყდაზე, მერე ხელს მე მომკიდებდა და მივდიოდით მუსიკაზე. იქ გავიცინეთ ჭეთ".

ბიო მიზეზია მარინეს გამოვლენილებული ცნობიერებისა. წარსულის მიმართაც მისი სკეპსისი და კაეშანი იმით არის გამოწვეული, რომ იქ იყო ბიო, რომელიც ალან არის... მარინე მთელ თავის იღლაფს და ბედისწერას გიოსთან აკავშირებს.

აქ, ერთ მომენტსაც აქვს მნიშვნელობა. გიოს და მარინეს ბავშვობიდანვე უყვართ ერთმანეთი, მაგრამ მათ შორის სიყვარულის გარდა ჩანნნდა თანაგრძნობა (მარინეს რომ დედა მოუკვდება, გიო მიდის მასთან და ბავშვურად იზარებს მის მწუხარებას)...

ერთი სიტყვით, მარინე კარგავს ადამიანს, შეუყვარებულს, თანამდგომს და ეს არის დანაკარგი, რომელიც საშინელი „ეგზისტენციური ვაკუუმით ავსებს მის ცხოვრებას.

მაგრამ ტრაგედია იწყება იქ, სადაც მარინემ მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს: გასწიროს თუ შეინდოს მკვლელი. ის ყალბ ჩვენებას აძლევს სასამართლოზე, თითქოს მკვლელმა წინასწარგანზრახვით მოკლა გიო. მარინეს, ერთი შეხედვით, აქვს საამისო მორალური და ზნეობრივი უფლებამოსილება. მას ამ შემთხვევაში თავისი პირადი „მორალურ-ზნეობრივი კოდექსი" გააჩინა, რომელიც უკარნახებს, რომ გასწიროს მკვლელი, გასწიროს ის კაცი, ვინც ყველაზე დიდი ღირებულება — ანრი წაართვა მის ცხოვრებას.

მარინე თავდაპირველად მიმეკვება ამ „პირადი კოდექსის" კარნახს და ერთგვარ შეგიანსაც გრძნობს.

მაგრამ მერე ხდება მეტამორფოზა. მეტამორფოზა იწყება ჭეკეინობიერი სფერიდან და სწორედ ამ მონაკვეთის მხატვრული განხორციელებაა გ. რჩეულშვილის უმთავრესი მიზანი, ვინაიდან აქ უნდა გამოჩნდეს ყველაზე აშკარად მარინეს ინდივიდუალური, რეალური, წინააღმდეგობრივი ხასიათი.

მარინე მთელი „ცნობიერი ძალების" მოკრძალით ებრძვის არაცნობიერი იმპულსების შემოტევებს. ის მხედველობითი მეხსიერების დაძაბვით ცდილობს გიოსესთან თავისი შეუყვარებულის — გიოს სახე, მაგრამ მოულოდნელად მკვლელის სახე წამოუტივტივდება თვალწინ. „ეგი, ჩემი ეროჩარა ბიე... ოო. ეგ ჭკეა ეროჩარი შენი არ არის, ნუ მატკუუბ, არც თვალებია შენი, ვიცი, ეს მისია, მისი, ან, უფრო ცხადად ვხედავ".

გურამან რჩეულშვილს ყველაზე მეტად მარინეს ჭეკეინობიერი სამყაროში მომხარი „ეტაკელლიზებინ" ინტერესებს, რადგან აქედან უნდა დაედოს სათავე მეტამორფოზას.

მწერალს თავიდანვე აქვს შემუშავებული ანრი, კონცეფცია, ნაწარმოების სქემა და კომპოზიცია. მაგრამ მას ყველაზე მეტად „წარმლმანები" („მთავარი წვრილმანებია" — დოტოეესკი), მარინეს ხასიათის ნიშნები, თვისებები, ნიუანსები აინტერესებს. გურამ რეულეთ ვილი ან ენდობა სქემას, არ კმაყოფილდებ სქემით, მას მარინეს „მეტამორფოზის შინაგანლოგიკა" რთული ინტელექტის პროგნეზებ დაგროვილი განცდების ზუსტი თანმიდევრობა იზზდეს.

მარინეს „სიბედისწერო სიმარილეს" ამცნ ბენ ხმები (მწერალი პირობითად ხმებს უწო დებს ჭეკეინობიერ იმპულსებს).

„რა, მოგწონს, კარგი ბიეა, არა? ვინდა ა ლ, რომ ეგიც მოკვდეს. ეგ ერთიღაა, ვისა ახე ახლო ინნობ, ვიზეც ამდენს ფიქრობ, რ გორც კაცზე, როგორც ცუდ კაცზე, მაგრამ მ ინე კაცზე. არა?"

და მარინე, მართლა ფიქრობს ამ კაცზ მკვლელზე, მაგრამ ეს უკვე მეტამორფოზის შ დეგია.

მაინც როგორ ხდება ეს მეტამორფოზა? ი ნიშ თავიდანვე ძევს მარინეში ჭეკეინობიერ მკვლელის ერთგვარი გამართლების სურვილი

მკვლელს ხომ მარინე უყვარდა. მან ხომ მ რინეს გამო გადადგა სახელოსწერო ნაბიჯი. „ინფორმაციაი" შეუძლებელია რაღაცნარიად ა ალეკვა მარინეს ჭეკეინობიერ „სამყაროს".

და ალიკვა კიდეც.

ალიკვა და ჩაიბეჭდა არა მხოლოდ გრძნ მკვლელისა, არამედ მისი ვიზუალური ხატ (მწვანე თვალები და ა. შ.).

ერთ ადგილს ცოტა ეკითხება მარინეს: „მ რთლა უყვარხი ამ ბიჭს?" (ლაპარაკია მკვლ ლზე) და მარინე ორეროფოლად პასუხობს: „არ ჰო, არა, ჰო, არ ვიცი". ამგვარი ორეროფო რეალური ვითარების უცოდინარობიდან რო მომდინარეობს, პრეტაგონისტმა იცის, რ მკვლელს ნამდვილი გრძნობა ამოძრავებდა. ე კარგად ჩანს ერი ხილვაში: „ო, რა უბრალო მიყურებენ ეს მწვანე თვალები, ზიზღიც კი არ აქვთ, არც მონანიება, ღმერთო ჩემო, ისე მშვ დად იყურებინ, ვერც ვაგდებ..."

მკვლელის თვალებში მარილაც არც ზიზ ჩანს და არც მონანიება, იქიდან სიმშვიდე გ მოსჭვივნა.

მაგრამ „ცნობიერი იმპულსი" აიძულებს მ რინეს მკვლელი გასწიროს. მოკვდა გიო — მ კვდეს ეს კაციც — ასეთია მისი ლოგიკა.

ეს არის ლოგიკა, რომელიც შვა ობეკტურ მდგომარეობამ, დაუძლეველმა სტრესმა, ნე როზულმა განსჯამ.

მერე და მერე კი ჭეკეინობიერიდან დაძრული იმპულსებმა, ვიზუალურმა წარმოდგენებმა, ხ ზმრებმა და ჩვენებებმა ეს ლოგიკა დაარსვ და წარმოშვეს ხავსებით საარისპანო ანრ შეიძლება ოიქვას, მსოფლგაგებაც, ეთიკურ მრწამსი.

ამ ახალ მსოფლგაგების ჩამოყალიბებას გ რეგანმა სტიმულებმაც მისცეს გეზი. კერძოდ მკვლელის დედის შუამავლობა ხვეწნა-შუდარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუეველამ და შეჩვენებამ, უფრო მეტად კი ცირას, მართლაც მიშკინისებურმა განსჯამ ამის თაობაზე, რომ სიკვდილის მოლოდინი უეცარ სიკვდილთან შედარებით ჯოჯოხეთური, ენითაუწერელი ტანჯვაა და ვიება.

და მაინც, შინაგანი, ქვეცნობიერი „ბიძგები“ არსებით, გადამწყვეტ ფუნქციას ასრულებს მარინეს ახალი მსოფლგაგების ჩამოყალიბებაში, მის უმტკივნეულეს მეტამორფოზაში...

„მარინე“ ნამდვილი ტრაგედიაა. აქ მეორდება კლასიკური ტრაგედიის მუდმივი სტრუქტურა: არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო, მაგრამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ორი სწორი გზა. თუ პირველ გზას აირჩევს მარინე (და თავდაპირველად ირჩევს კიდეც), მან უნდა გასწიროს დამნაშავე, რადგან მან უძვირფასესი ადამიანი მოკლა. მეორე გზას თუ დაადგება, უნდა შეინდოს მკვლელი, უნდა შეინდოს, ვინაიდან თვითონ არის „განხეთქილების ვაშლი“ და ამ ინციდენტის გამომწვევი მიზეზი. ტრაგედიის არსიც ის არის, რომ ორი ურთიერთგამორიცხველი გზის არჩევა ერთდროულად შეუძლებელია, რადგან პირველი გამორიცხავს მეორეს, მეორე — პირველს, ერთ-ერთი მათგანის არჩევა კი ყოველთვის შეცდომას ნიშნავს „მეორე ნაწილში...“

მარინეს აზროვნებაში ხდება მეტამორფოზა და ის ადგება თვითგვემის გზას: საკუთარი უმანკოება მიაქვს ხარკად სასამართლოს მთავარ მსაჯულთან, რათა ტუსაღის სიცოცხლე იხსნას, მაგრამ აჰაც იმედგაცრუება ელის...

ოღონდ ახლა ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მარინემ საკუთარი ეთიკური მრწამსი შეიმუშავა და მოქმედება ამ მრწამსს დაუქვემდებარა.

გურამ რჩეულიშვილმა სქემა მოხაზა და გულდასმით აღბეჭდა გმირის „შინაგანი მოდულაციები“, მაგრამ ეთიკური პოზიციის შეფასება ალარ მოუცია, თუმცა ეს არც იყო საკუთრივ მწერლის ვალი, მისი სათქმელი სხვა სიბრტყეში „იდო“. მან ინდივიდის ფსიქიკა, მისი ძალზე ცოცხალი, პლასტიური ხასიათის პარადოქსულობა წარმოაჩინა ამ უჩვეულო, მრავალმხრივ საინტერესო, ღრმა ნაწარმოებში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲜᲐᲮᲘ

აქ გელოდები, აღმაღლებულ თხემის
კიდესთან,
შენი სინათლე ჯვარცმისათვის
აკვართანძარცული,
ჰაერზე სუსტი და შრომაზნე უნატიფესი
ანთია იგი: — სიზმარივით ჩემი წარსული.
მართლაც წარსულისაკენ ბაკუთარი თავის,
უფრო სწორად, სულის მიბრუნება, იმდენად
ჭიშმარიტს ხდის პოეტის აღსარებას, რომ არ
შეიძლება არ დაიჯერო: იგი (წარსული) მხო-
ლოდ მაშინ რჩება, ახე სუსტი და უნაზფესი.
როცა პოეტს „მკვდარი ჩიტივით ადევს
მკერდზე თბილი სიმშვიდე და ბედნიერი ბავ-
შვის თვალებით ცაზე სისხლივით გამოუონილ
ვარსკვლავებს თვლის“.
ეს სტრიქონები ირაკლი ბაზაძის ორი სხვა-
დასხვა ლექსიდან მოვიტანეთ. ორივე ლექსი
პოეტის ახალი წიგნის, „ქარების ქალაქის“
ბოლო გვერდზეა დაბეჭდილი. ერთი შეხედვით
ისინი არ ჰგვანან ერთმანეთს, განსაკუთრებით
გარეგნული ფორმით. ორივე ლექსის დასას-
რულს სავსებით კანონზომიერად სვამს პოეტი
წერტილს, თითქოს ლექსის ქსოვილში საოქ-
მელიც დამთავრდა და პოეტის სული თქვენს
თვალწინ ახე ჰირველად შეშვლდება, რადგან
გულიდან წამოსული მართალი სიტყვის შე-
ჩერება ძნელია, ზოგჯერ რომ პოეტურ ჩარჩო-
ებშიაც ვერ თავსდება და წარსულთან ახე მი-
ახლოებაც სხვაგვარად გაძნელდებოდა:

მე კი ვიხსენებ... და ახლაც ჰყვავა
წყაღწოიელაზე ალუჩის ტრანი,
მე შენში ლბილად ჩამწყდარი ხმა ვარ
და მკრთალი ჩრდილი თეძერვლის თოვლის...
და ძლიეს ვიხსენებ იმ ვიწრო ბილიკს,
კი არ ვიხსენებ — მახსენებს შენი —
(ზმანება): თმები — წვიმები თბილი,
(ზმანება): ტანი — დამფრთხალი ფეული...

„ახლა გაზაფხულს სხვაგვარად ახსნის“, —
ასეთი სათაური აქვს ამ ლექსს... ხოლო გაზაფ-
ხულის სხვაგვარად ახსნის იდუმალება, როგ-
ორც დავინახეთ, ისევ და ისევ იმ ნათელთან
მიახლებაა, რასაც პოეტის ბავშვობა, მისი
სიკაშუკე ჰქვია... იგი ძალიან სწრაფად, თვალ-
სა და ხელს შუა გაპარულა... მაგრამ იმდენად
უსაზღვროა მისი სილამაზე, რომ პოეტისათვის
იმ ხელშესახები ჭეშმარიტების ხიბლიც კი არა-
ფრითაა უჩვეულო და, ამდენად, ავტორის გუ-
ლისტკივილიც საკმაოდ დამაკერებელი ხდება:

აქ არაფერი, მხოლოდ, მხოლოდღა
თრობა ბედით და ბედთან,
აქ არაფერი, აქ არაფერი,
იქ, იქ რაღაა ნეტა?
მე კი გავრბივარ, მრჩება სოფელი —
ღელე, ბიჭი და შუა,
არ მომახედო, არ მომახედო —
ძალზე შორია უკან.

რა რჩება წარსულში? თუნდაც ჩვენს ბავშ-
ვობაშე? — ამ კითხვის პასუხი ირაკლი ბაზა-
ძის ახალი წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხვე-
ლისათვის, ალბათ, კიდევ უფრო დაკონკრეტ-
დება: ბავშვობაში უამრავ სიხარულთან თუ
ტკივილთან ერთად ის დანგრეული სილის სასა-
ხლეცა დარჩა, რომელიც, ბავშვების პატარა თი-
თებით, ხელისგულებით ნაძერწი და ნაფერე-
ბი, ქარმა დაანგრია... და, ალბათ, დანგრეული
სილის სასახლის დარდი პოეტის ის ტკივილია,
დღესაც იმავე ბავშვური თვალებით სიზმრად
რომ ხედავს და გამოოღვიძების შემდეგაც „სიზ-
მრის ნაკრტენი“ თვალი კარგა ხანს ხტკივა:

ბავშვებს პატრუბს ოუგიათ სასახლე სილის,
ბავშვებს პატარებს დაუნგრია სასახლე
სილის ქარმა...

ბავშვებს პატარა გაუჩნდათ დარდი,
დიდი რამეა პატარა დარდი!
ბავშვები ქარში კაცებად ჩანდნენ,
ჯინსის შარვლებზე მიხატულ თათით.
დარბეულ სასახლეს უვლიან გარს,
რა უნდა უყონ, რა უნდა უყონ,
რა უნდა უყონ ბავშვებმა ქარს,...
მერე ერთბაშად დასტოლეს სილის
უზარმაზარი სასახლის ნაშთი.
სილასთან დარჩა ქარი... და ჩრდილი, —
ერთი ტკივილი სუფეელა ბავშვის.
მერე სიზმარში იხილეს ქარი,
სილის სასახლეც იხილეს მკვდარი.
გამოეღვიძათ და უკვე კაცებს
სიზმრის ნაკრტენი სტკიოდათ თვალი.
მერე კი, მერე, როდესაც ფრთხილი
სელით მიაშურეს ერეელ ზღვათა კბოდეს,
სულშიც ჩაენგრათ სასახლე სილის
და ბედისწერის სიცხადით თრთოდნენ.

ირაკლი ბაზაძე თავის საუკეთესო ლექსებში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველთვის გულწრფელია. ეს გულწრფელობა პოეტურ კათარსულს ნაზიარები კაცის ტკივილებიდანაა მოსული.

აყვავებული სინათლეით... თვალში,
აყივლებული სიმართლეთ... გულში,
ასეთი იყო ის კაცი — ბავშვი,
დავასაფლავეთ რომელიც გუშინ,

ის ადარ არის და ადარც ილტვის
თავის კაცური ენით და ჩვენით,
შენ რაღა გეთქმის, ან რაღას იტყვი,
რომელიც მხოლოდ წასვლამდე რჩები.

ლექსში პოეტის გულწრფელობა მისი მართალი სიყვარულიდან მოდის. სიყვარულს კი იგი იმ ორი გზის გასაყართან ირჩევს (და ეს გასაკვირიც არ არის!), ღმერთმა რომ დასვა დიდი ხნის წინათ და მისთვის ორივე ცდუნებად გახდა ნათელხილული. ცდუნებად, რადგან ორი გზის გასაყართან მდგარი პოეტი სიყვარულსაც და ბოროტებასაც კარგად ხედავს! უპირველესად სიყვარულს გულში საკუთარ შვილივით იხუტებს, რა თქმა უნდა, არც ბოროტებას ტოვებს უგულისყუროდ! კარგად იცის: მხოლოდ სიყვარულის დიდი ძალით შეიძლება მისი დაცემა, გაცამტვერება! ამ ძალით გამთბარი პოეტი იმდენად გულწრფელი რჩება ყველასათვის, რომ თითქოს კარგა ხნის, ჩუმად გულში ნათბილარ საიდუმლოს ვგულუბნება:

რას ვიმარხავდი გულში აქამდი,
მეც ფუფსკოულეთის ბზით გადავკანდი,
მეც ქამთან ბრძოლა მაქვს დანაქადი,
მეც სიყვარულის მადეს ხუნდები...

ირაკლი ბაზაძის პოეტური ენა საკმაოდ დახვეწილი და ნათელია. მისი რამდენიმე ეგრეთ წოდებული, მუსიკალური ლექსი არა მარტო გარეგნული, ოსტატურად გააზრებული და დახვეწილი ქსოვილით გვხიბლავს, არამედ იმ შინაგანი ძალით, რომელიც პოეტის სუხტ ლექსშიაც კი იგრძნობა:

უშგულზე შბარას ჩერია,
შბარას — ცა ჰხურავს უძირო,
რა უცხო საკრთველია,
ღმერთო, მიცოცხლე: ვუკვირო.

ასეთი მაგედრებელი ტონი ახლავს ირაკლი ბაზაძის რამდენიმე ლექსს.. და ეს ვედრება ისევ და ისევ იმ მართალი სიყვარულიდან მოდის. პოეტის ტანჯვის, ტკივილებისა თუ სიხარულის დასაწყისად და დასასრულად რომ ქცეულა. და მაინც, პოეტის ყველაზე გულმართალი აღსარება ის მარადიული ტკივილია, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ერთი ლექსის („სილის სასახლის ბალადა") ყოველ სტრიქონში დაუფარავად, პოეტის ცრემლთან ერთად ჩნდება. სწორედ ამიტომ, მივიჩნიეთ საჭიროდ ამ ლექსის სრული სახით მოყვანა.

„პოეზიის შუქი თავისებური ანარეკლის იმ დიდი ცეცხლისა და იმ ხშირად გამანადგურებელი ხანძრისა, რომელიც ადამიანის შინაგან სამყაროს მოიცავს", — წერს გურამ ასათიანი წერილში „ლირიკის დასაცავად" და სწორედ ეს შუქი, თუ პოეტის ადრინდელ ლექსებში გასაოვებელი ნაკვერჩხალივით ანა თებდა, დღეს მის რამდენიმე ლექსში შესამჩნევლად აელვარდა.

სტრიქონები ლექსებიდან: „მონოლოგი სარკის წინ", „შავ ზღვასთან", „აპრილთან" სავსებით კანონზომიერად გვაძლევენ ამის თქმის უფლებას.

ეს ის ლირიკაა, რომელიც ორმოცი წლის პოეტის იმ სამყაროსთან მიახლოების მაცნეა. რაზედაც თავად ასე წერს:

და უმძიმესი ჯაჭვი — საბელი
მაბამს მიწაზე, — ცისკენ გიფრენის
ენით მთვრალს!.. როგორც სისხლი აბელის
ცა წითელია და მიმზიდველი.
მიმზიდველია შენსკენ სახვიც,
როცა უთბილეს ნისლში მახვევდი,
ვმღეროდი, როცა ფრთას შემახებდი —
მეც ერთი შენი ჯვარისმტვირთველი.
ვმღეროდი, როცა აცისკარებდა
მწუხრს ჰელიოსი ათასკარეტა
და მერე მაღალ ტევრს მიჰკვალავდა,
ტევრს მიჰკვალავდა, ტევრს ყვავილიანს...

ამ სტრიქონების ავტორს მარილაც ხმამაღლა შეუძლია ილაპარაკოს „გულთან და გულზე", „ცრემლებით ცრემლებზე" და საერთოდ, ყველაფერ იმაზე, რაც „გულის სასწორზე აქვს აწონილი და გულის თვალებითა აქვს ნანახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პრიზის — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, სპორტექტორი — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 7. 05. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 07. 86 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15. 85. შეკვ. 1150 უე 04724 ტირაჟი 60 000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76886

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ